

მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები
ÖSTERREICHISCHE LYRIK DES 20. JAHRHUNDERTS. MATERIALIEN



ტომი XIV
BAND XIV



თბილისი
2008

ჰანს კარლ არტიმანი

გული ჩემი

გული ჩემი აროდესცა განმხელილის ფიქრის ღიმ-ღიმ სამოსელი
არის
გული ჩემი არის რასმე პილოს ძულისცა შუილდის უჩუმარი
კითხვა
გული ჩემი ფთქიალა თოვლს ატოვილი ახალ-დაფთიანებულთა
სირთა ნაკვალევი არის
გული ჩემი მიმწუხრისცა ღუმილია მარჯვენისა მფეთქავისა
მისსა მიმოძრვაცა არის
გული ჩემი ელვარ-მოქათქათე მუსლინისა ციცქნა ზარდახშასცა
ჰ-ს-ძეუდეს
გული ჩემი ზურმუხტოანს თასიდანცა ყვითელ-ბრკიალა წყალს
ჰ-ლევდეს
გული ჩემი ყოელ-უუწულილესის-ოქროისა საკვირვლადა-
ბრუნვილ ცხოველთ წრესცა დაატარებს
გული ჩემი შუა-ზამთარ-მიშვებული-ვარსკვლავთწვიმის-შიგან
მხიარულცა ჰ-ს-ძგერს.

ზვართ-გარღამბრწყმინის აბლაბუდის განმჭოლ მსმრა
თავიანთის ქელემბალახის ზურმუხტოანს ზვიშერს ჟანგაროს
მეზვრენი მიაზოზინებენ.
წალკოტთ ჩრდილოანს წყაროს წიაღცა ჳის-მწუანედ-შთაწნული
კიდეთა თუისთა ძილს-გამოტაცილ ასრე-ზმანებად-აქვავებულ
ხულიკი განეფრთხოს.
უფროდს-მწუანებრ-სიღრმედცა-დანთქმულ გრილოდ-ბნელთა
ჩანახთა შიგან ძუელი ღვინო დავარგდებოდეს.
ნაშუადღევის ბადია ოქრო-ფოთლოანი სისხლ-ტფილ-
ჩქროლვილის ბალახის წიაღ მიიღევა.
მითამ საღამო ჯერეთ მაინც ვინიცობაა ყოფილიყოს კაკლის ხეს
მიმხდომ მწყემსიც ესერა გაღალაჟვარდდებოდეს.
სუროს-მიერცა-თრობილი იგი გალობად, რომელიცა გოგუცანას
სარკეს ნათლიერს
ნაზებრ-ფერმხდომარ წითლოან ღაისს დააღებვინებს.
ცირცელიცა ზეთისებრ-მძიმე ვითარცა ნამი ყუნწს-მომწიფებულ
შთაიქცეოდინ...

ჩივილისად ნახაზ მსერა

.ომს წარცემულისაცა წილ.

ჩემი ძმის ერვინ-ისცა წილ

სისხლი მისი:

მარილ-ნაჯერი-მიწის-გულისა შიგან იგი ამიერ ყვავილთ

ალაფშუინუნებს

სისხლი მისი:

მინდვრის ყაყაჩოს ჟანგმორეგნილი ფერსოსცა გარემომჯარველი

ყვავილთ ამათ იგი ამიერ მიმოაქროლვებს

სისხლი მისი:

სახლის წიალ ყვავილთ ამიერ მიდმოიტანდეს რაოდენცა იგი

მამრი ჰგეიას აღარა

მისადცა ჰ-ხმობდეთ

მომხმეუ მისსა ჰ-ს-ჩიოდეთცა

მასცა ჰ-ს-ტიროდეთ

წარ-ჰ-ს-თქმიდეთ

მისგან მისაგებელცა კულავ რაიმე თულა გეგუღვით...

რად ძალუძდა მამრს მაგას კულავაც განელო თქვენდა ვინძლო

დღეთა ამათა შიგან

თუ არა თვისი მაგიდად ზედან რომლის მამრი იგი ინახად

ჰ-ს-დგესცა აღარასოდეს

დღეთა ამათ შიგან რაიდა

თუ არა იგი მაშრაფად რაიც მამრის ბაგეთ ამიერ შეეღვოდინ

რაიდა თვისსავ

სიკუდილისა სიჩუმის ამის დასტაქრულის შიგან ესერა

რად ძალუძდა

ზეთისხილისებრ-მრუმედ-მწუანე აიმ ბინდბუნდის მწუხრისეულის

შიგან მამრსცა

განელო თქუენდა ვინძლო ესერა კულავ ნამეტნავად
თუ არა იგი კეთილქმნული ჩრდილი თვისი
ტრედ-არწივს შორის მეწამული იგი პასუხიც

რადლა ასრე ნამეტნავად
თუ არ აღრიელ-შემოდგომის დაუსრულებლის აემაგ მწარე
წამალთ ყოელთა კვალადმიდენილ

იგი რკინადშავს ვარდს ამიერ წარსწყვეტავდა
მარილნაჯერის მთვარის მისსა მძრწოლვარს კიდესცა
მინაპირებულს

(აღმონათხელთა ნიშანნი აიმ ღამისანი მიმყოლ რომელთაც იგი
მღიმარცა წარვიდოდა...)

სისხლი მისი:

მარილ-ნაჯერი მიწის გულშიგან ყვავილთაცა კულავინდებურ
ალაფშუინუინებს იგი

სისხლი მისი:

მინდურის ყაყაჩოს ჟანგმორევილი ფერსოსცა გარე-მოძჯარველი
ყვავილთ ამათ კულავ მიმოაქროლვებს იგი

სისხლი მისი:

სახლის წიად ყვავილთალა მიდმოიტანდეს რაოდენცა იგი მამრი
ჰვიას აღარა

სისხლი მისი...

ზარბაზანთა ზრინს

ღმრთეებად ებატონება.

კურდღლისცოცხა-სცა გზა მიუა

ხიდი ესე წყაროცა ესე

ღამრჩობლის მისსა

წვიმისაცა ციბრუტი ესე

მტუერ-დაუსილთა კვირეთა მათთა

ფერსნაჯერებ შთაიშლებოდეს.

მდინარის ნაპირ ძილს

თავ-ძიცემულ საამოცაა

ღამე ესე.

მწუხრის ბრძოლისცა შიგან

მღუმარ ხელმწიფე ესე

ესე მამაცცა.

კარავთა მათთა ფარშემანგულის მტილოვანის წიაღცა ასრე

ამასობაში წარსულიც დაებოტებოდეს

მთვარის მისამხარ გარდამბრწყინებ

ჭიპლარი რადც ჟამითიჟამ ბლუა-ს¹

ტიტათა წყებას

ღააწმინდავებს-გა-ნაახლებს...

შენამც გუბისა მამას

ჩრდილთამებრ მიუბირებინარ.

ლაფნის თუ ფოთლის თანავე

რად წილ-გ-ჰ-ხლომიყო

მოზოზინე იგი სიზმარი.

მიენდობოდა ვინ?

მოგზაურობის საფასურსცა გადიხდიდა ვინ?

შენს გულს შთაეწერებოდა ვინ?

პითარცა არის ისარი რამ

შიშის ამისა ყვავილობის

შიგან განწონილ.

შენმიერი სამართალი

ჩემდა ჰგებესცა უსამართლობად

ზმანებისაცა ანაქეზებო ნაგაზო შენაც!

წინარე შენსა შთა-ცა-ვ-ჰ-ხურო

მესურვილება

ჩემი ცარცისებრ ფაშარი გული.

დავერ¹

არს შავი კატაფალკ-ი

კალე²

წითლოან არს კატაფალკ-ი.

ორთავ მათთა გარდამტან ფრფენს

გავაზი ღმრთისა.

ჭინჭრის თუ თაფლის თანადი ასრე

თეთრ-ქათქათა მთოვარე

ფლანდერ-ქუეყანას გამოატანდეს.

ნარძის თათმანნი მთვარისანი

ნავლიან დიდრონ ესერა ჩრილნი

და-ჰ-ს-ჩერებენ ზეციერს ზამთარს.

ვარსკულავ-კრებულნი ასრე

ურთიერთმიყოლებულ და-ჰ-შრტებოდინცა.

ჩუენც გენიოსთა თუ თვითმკულელთა

ერთილა დაგვშთეს მჭირსნევი იგი

ზღუის მარილი დავიგემოვნოთ.

მრაულის მტყობელნი ვინიცობაა

ვეოფილიყავით.

მანიფესტ-ი

მთელის ძალვითა ასრე პროტესტ-ს ვართ
წინააღმდეგომ სიკუდილის-სახედ-მცნე თოჯინათა თეატრისა
რომელ ესერა აუსტრი-ულ-ის ქვეყნის ამის ზედან ვერმაჰტ-ის
ნიადაგცა ნიშატიანის
კულაუ-მოყუანებისა თანავე ვინძლო
წარმოდგენისად მიწვენილიყო...

ბოლო-ჯერობას ყველამ ერთობლივ
საკმარ ესერა აკი ვიგემეთ –
ამ-თალიას მაშ უჩუენოდცა იქმნებოდინ!!

უნიდაგო სითავხედუა
სრულიადი უმაგალითო უსირცხვობაა
ბარე ათი წელიწადი მიყოლებულ,
პროპაგანდას რასმე ანტიმილიტარისტულს ჰ-მეცადინებდე
რასმე ყუჟლსა და ცუდმადს პირმოთნედ გა-ჰ-ყმუოდე
ბრპენის ჯარისკაცუნათა თუ ინდიელთ ფილმთა წყებას
(ჯერეც ეწეპონ პლაკატნი ესე...)
ვითარ არა-ზნეობრივსა ჰ-დეკლარირებდე
რომ მერმე
ეგრეთწოდებული საბოლოო თავისუფლების პირველს
შთასუნთქუისთანავე სკოლას- არცთუ-განცალზარდილნი
ახალნორჩნი
ფინთ შაშხანათა მათთა მი-ჰ-ს-ჭირსნო!!
ეგ არს სწორედ ატავისტურ!!!
სწორედ ეგ არს ნეანდერთალ!!!
ეგ არს წინარე-სამზადისი
ლეგალიზებულ იმა კაციჭამიობისად!!!
მოგიწოდებთცა ყოველთა თქუენ:
ბარბაროსობას მაგას თქუენგნივ აღუდგებოდეთ!

გერმანელთ მხედართ-მყუანებელთა თუ ხელმწიფის მეთოფურთა
რადეტკვი-სეულ მარშ-სა მაგას

სამზერელთ თუ სასმენელთ თქუენტა ნუცა წარახოცინებთ...

არად აქნევდეთ დაფნასა ამას

ოსპს გადაანდეთ სრულადცა იგი!!!

ისიც განსაზრეთ

რაგვარს პატივს მიაგებდა აუსტრია-სა-აღმოსავლის სამეფოს

ამას –

თუ იგი ვთქვით და აქამომდე ვითარ ყოფილა მსოფლიოდს

აიმ მხლოერთს სახელმწიფოდცა და-ჰ-შთებოდინ აქმაგ

ენითუთქმელს უგუნურებას

სხუათა ნამეტურ შლეგთა არჩივად

გარდულოცავსცა უმაღ რომელიც!!

ზუსტ-იმგვარ ვითარ პირველ-აღამისძეთა თუ მღვიმისბინადართა

მათთა

კაციჭამიობაცა თვისით ასრე

გარდატანილა

იქმნეს უნდა ესერა ბოლო-პასუხ-მიგებულ

აგრეთვე აევ ჯარისკაცობანად წარსულის ჟამის!!!

ესერა ჩუენ-სამს მილლიარდ-სა-

უფალმან უწყოდეს ანდა თუ კიდევ მეტსა –

მიგვანებდეთ სრულგერმანული ახალი ჯარის ხვლანჯილობანი

კულტურის წილ თუ განსაცივილიზებლად რომ მოვიხმაროთ!!

რადსად აევ მოხელეთა ბებრულგამოთაყვანებულქმნილ ტვინს

ნაჭყლეტი შილდბურგერულნი შეგონებანი...??

აუსტრია-აღმოსავლის სამეფო¹ იგი –

ესერა ახლივ-შეჭურვასა რადც გა-ჰ-ყვირის

აიმ ყიყინას სწორედ ემსგავსოს

თიაქრის არტახ- თუ დექსტროპურ²-მონაგრებულ-მომარაგებულს

დრაგონერ-ის ანტიური კრმლის ამოწვადვა ეწადებოდა ვინძლო

რომელსცა...

(მაისი 1955 ვენა-ქალაქსა ესე)

მკბენარიცა

საათის ძელურს შთაბუდებულ...

ო ძევეს!

დროდს

კბილთ-შუა-

ჩრილ

მკბენარიცა..

ციცქნა ბორბალნი

ოღეს ქავილს

ხელებულ ასრე

პირველ-ჯერობას

იგუმანებენ –

აღესრულოსცა

მაშინ ყოელი

სრულ-საკმარისად...

ტყის სამონჴავლოს

ჩუენსა ესერა მყო მავანიცა
გაზაფხულს
ჰ-ხერხავს

მცირედის
მოწადინებისაებრ
ჰ-მწიფეს გაზაფხული
სრულ-წარსაცემად

ხისგან გამოვალს
არსი იგი
გუგულისცა
კვერცხი ესევეით

ჩვენგნივ ესერა
მხიარულცა
მივანიშნებდეთ
ახალ გაზაფხულს
ოსტატს

აქა!

ენდოგოდეცა

ჰ-ს-ჭურეტდეცა

თუ ვის

ჰო და ჰე

ღმერთი გწყალობდეს

ვერთერ-ბატონო¹

ასრე შუენიერ

დღე გაზაფხულის

უბედურს შემთხვევასა არცა

რომელს აირიდებდე

ფუი ეშმაკს წმიდაო ვიტე²

ფოსტაც ესევეით

რიგისაებრ მოეტანება...

ნამკეკ ღამბაჩაც

ნამკეკ ხანჯალიც

შავის შაშვისა სტვენა

კონკიაც

თუალის მოსახატი ფანქარიცა

ღმერთი გწყალობდეს

ღმერთი გწყალობდეს

ფოსტაც ესევეით

რიგისაებრ მოეტანება..

ჰო და ჰე

მწარე ესე

დანაკარგი არის
ერთი კვერცხი;
უფროდს მწარ დანაკარგცა კვერცხნი
მრჩობლნი ჰვიან..
ასრე მწარე
დანაკარგი არის
ერთი თუალი;
ორთა დაკარგვისთანავე
ჰ-ხედვიდეცა
აღარასა...
მწარე ესე
დანაკარგი არის
ერთ-კერძ ფეხი..
ცალხელასცა
მეორისა ხელის
დაფხანვაი
გაუჭირდებოდინ..
ხოლო რომელს
თავი წარელების
ყოველივე წარელოდეს:
სახლიც ეზოც
ნდომაც დედრიც
მეგობარიც აგრე სიხარულიც
კაემანიც კურცხალიცა
ბაგენიცა მისსავ
ულონიობისა
შესალამაზებლად..

ფითრი მწუანედ მღუმარებსცა..

ესერა ზამთრის-პირობა-გაძრცვილ-ხეთა წიად
ფითრი მწუანედ მღუმარებსცა.
ყინულგადავარსკულაგებულ სხტესცა დამხრობილ
მზე აღმოატანს ფერმიხლომილი:
თეთრო გელო, შენაც სიკუდილგარდანაგებო,
ასრე ნისლთა-მიერ ზეცას მთარეო,
კიდევ ჩემმან ჩივილმან ამან, ვნებულებამან
მჭნარმან ჩემმან გამცნოსცა რად?
სახედ ჩემი ქუენა დავიდეს,
გულიცა ასრე მებოჭებოდინ:
ყავლი ესერა მეწესებოდეს –
ჰ-ფარფატებდესცა კელაპტარი ჩემი
სიცოცხლის სუსტებრ ეგოდენ...
გლოვად ჩემი ამიერ რასალ მოაწევინებს
ანლალა ჩემი სიანჩხლეცა მთლად-ფერწასული?
ჰ-მღუმარებს ფითრი მწუანედ ისევ,
სიკუდილადიცა განმაოვნოს ფითრს ფრიად ჰ-სურინ!
პირი ჩემი აღარასოდეს იყოს წითლოან –
განალა სხუაგუარ ეგებოდინ ესე ყოველი...?
სიკუდილ მარტოდ მძლავრობდესცა
თეთრის ამის სიჩუმის შიგან
ქვისსავ ნაჩორკნ ბუკს თვისსა მხოლო-გარდმომხლომელი...

საპატიო ვარსკვლავისა გარეგან ასრე
ჩემს-კერძ ჭუპრის ამის ამარი
რად განუ-ჰ-ფიჩნდებოდე
ვინალ ჩემად ტყორცნილ
ვარდი შემომაწიოს?

ზამთრის ნათხზენ ესერა სასაზავი ღაფა,
საჩვენებლადცა¹ ესე ყოველი,
ღაფის გარდმომქროლ მიმწუხრიცა ესერა მხედარ.

ვარსკულავთ მისარგოდ მჭოლველი თუალი
თუ გრძნობად ვინძლო მქონიყო.

ორმოცისა შევსრულებულვარ.

ფერკნიცა ჩემნი ცალის ჩექმის შიგან
ესემცა ჩაკერილ ჰგიან.

რიგიან მორბენალთ შუა მოას-
-კინკილავეცა ვარ.

მუღამჟამცა ფრთოსანნი იგი

ზეცისანი

დია ლურჯი გრძლივი
ნაპირი ვერცხლებრ
ჰ-ნელეხსცა ასრე ნაისარ

წითლოანი მზე
მოიწყებოდინ
ანგელოსის მისსა
მკერდზედან
შუენიერ ასრე ნიშანდება

შენთა ბაგეთა-მიერ-შენაც
ჰ-მკოცნიდე ასრე
დღემოტანებულ

გავაზივითა
მიზანივითა
შორებელ-თეთრი
წერტილივითა
შორად-შორ ასრე
დილაბინდმირთულ
ალამივითა

მუღამჟამცა ფრთოსანნი იგი
ზეცისანნი

საბჰელს ასრე ნაჯას-ნაჯას კ-ჟუღან ნაჯასნი

ყვითლოანთა ბზიკთა ბონაც ცულის-პირთ კ-კოცნის

მუხის ხეთაცა ხმანი გაშლილს ხელის გულს ჩემსა
მორიდალის ნადირივით აღმოხლტებოდინ

ნაჯახთა არცა რომელთა ვ-კ-ხელთებთ ფრთოსანნიცა მაგას
გვამცნობენ
ხეთა წლეული ფრიად მაღალ ფრიადცა მშუენ დაედგინების

დასავლური ხამლი თუისი მჭირსნევ ასრე შთაუკრავს
მზესცა გარნა არცაღა ჯერეთ ჩუენის მხრივ აღვიყრებოდეთ

რაზომცა ირმის მისაფართა გულის-ცემაღ გვარონინებს
მიმწუხრიცა ესევით თავქვე მოფარფატე რამე ფოთოლი
მოიწეოდინ

**უფალო ღმერთო მხიარულცა ვ-ჰ-ყო დაბადების
დღე მსმრა ჰ-მ-ს-ძინცა**

დღესა მაგას ესევით ამბოხს კიდეც განუღუიძებვიარ

ისმინეთ ორთქლის გემთა ხმოვანებაჲ ქალაღდის ხვეულთ
დაატარებენ მზენიცა ესე კვარსადგამნიცა კრიალა ფეხსაცმელიცა
კაპიტანნი
ესე

თავისუფლების წილ სავარძელი ჩემთა შუენიერთ თუალთა
წილადცა ყვავილთწნული აქა მო-ჰ-ს-ძარით

ვითარ სწორისწორ შეკრეჭილი ბალახი ჩრდილნი
ჰ-მოკლდებოდენცა განათუ ჭრინავს ჰ-სტვენსცა მეთოვლიაჲ იგი

საგალობელსცა ჰ-სტვენენ ტილონი თუ მაკრატელნი
დროშათმთარგველის გარემოისცა ხორიალი ხმიერ ესერა
გამოატანდეს

იქმნებოდინ ქუჩანი დაგვილ დაწმინდავებულ მდინარეცა
თაღფაქიან სანთელთ სამწუხროდ ვიეთნიცა განამზადებენ

სამშობლოღს წარსულის მხსოვარ აღიჭყუელოსცა ხმიერ ესერა
არჩენისა მოწოდებანი¹ საკერავთა მანქანათ წყებაჲ

თავხეთა ყოელთ კიდეგან ასრე ყირწი-ყურწად საგვაროვნებო
სანიშნონი გარდმოჰგორვებენ
დიდიან-ჰატარიანა რომელთ ესერა დაეტაცოდინ დღე
გაღალაჟვარდლებოდეს

ახალ-საფოსტო-ნიშანი იგი ცალკ-ცალკ კონცვილ წებვილნიცა
იქმნან
დაგზავნილ სვებედიან მგზავრობაჲ მგზავრობაჲ იყავნ სვებედიან

ისმინენ ორთქლის გემთა ზმოვანებად ცალ-კერძ ქალაქის
ხვეულნიცა ხიდიც ესერა თევზ-მოსევნილ
ბურჯთა თუისთა ნეკერჩხალთ შორის გარდმო-ჰ-კიდებდეს

მეფის აეროფლოტილიის დღემშვიდობისა გარდმო-ჰ-ქუხებდინ
საკუამურთა თავდამცქერალ დღეიდ ამოლაჟვარდლებოდეს

კაცად კაცადი რომელმანცა საგვაროვნებო სანიშნო თუისი
მოიძია
ბედნიერ არის ვითარ ეკკლესიად ფრიადცა-ახალ-ნაკურთხები

ორთქლის გემნიც იგი ყოელნი თეთრთა ბარათთა თანად ესერა
ემურებიან
ქუეყნიერს შორეთს ლაჟვარდოვან არს ზღუა აგრეთვე

დღესა მაგას ესევით ამბოხს კიდეც განულუიბებივარ
უფალო ღმერთო მხიარულცა ვ-ჰ-ყო დაბადების დღე ესერა ჰ-მ-
ს-ძენსცა

ასლა იმადცა მი-ჰ-სღებუროდეს ესე ყოველი რიგიანს
ფერჳის დასამაგრებელს
მოვიძიებ თუ არა ჩემსავ სამუშაითო ბაგირს შეკიდულ

არც რა მეთოფურ არც რა ყურდგლის მხოცუელ გახლავარ
სამოცუელ ასრე
პირმშოიცა მწადის დავაჩენინო არცა რომელთა ყურდგელთ
ვ-ჰ-კლვიდე

ზედა შალვარქვეშ ქვედა საცვალს ვიმოსვიდეცა
წითლოანი ყვითლოანი იისფეროანიცა ვიფლო

ვიფლო ესერა ზედა პერანგ ქვედა პერანგ არცა რა პერანგ
ვაშლის ხესცა საწუხარ ესე არა ვ-ჰ-ფლვიდე

გოგონიკათა შევიტრფობდე ახალთ ენათა გან-ვ-ჰ-წაფვიდე მათ
გოგონიკათა წილ ენათა მასწავლებელ ესე გახლავარ

ესერა ვ-ჰ-პყრობ ფაქიზს ნაჰუატლ-ს ქუიციჰე-ს
aymara guarani-ს არაუკანო-ს ო სწოროედ

ინდიელთ იდიომთა მათთა მეცან გახლავარ
აღვიარებ მრავლისწილ ასრე რიგიანი წონასწორობა ამა
ყოველს რომ მი-ჰ-ს-ჭირდების

სამუშაითო ბაგირს ჩემსა ჩანთით ვატარებ ჩემეული
იგი ჩანთა არცა რა თაგვთა მიერ გახზრულ

ეს ეს არის სტოკჰოლმ-იდან მოვეშურე პირდაპირ პარიზ-ს
განვემგზავრო არცა რა შორსა განვაწევდე სალამოდსა ამის
მიმხლომ

არცა რომელ მეთოფური არცა რომელთ ყურდგელთ მხოცუელ

გახლავარ სამოცეულ ასრე
გოგუცანა მწადის დავ-ჰ-ხელო არცა რომელთა ყურდგელთ
ვ-ჰ-კლვიდე

ვით ლაჟვარდოვანს საფოსტო ნიშანს ქარაშოტსაცა ჩემგნივ
ასრე
უსატრფოესის დიაცისადცა ფრენილ მომდევნო ელვა-წერილის
წილ გაცავ-ჰ-ლოკვიდე

ჰაერსცა ასრე გარდმოვლებული ვენდომ-მოედანს
დავ-ჰ-ხტებოდინ
ზამბარას თუ სინას სხლეტილი კარგა ცქვიტი ქანდარბაზივით

ამტფურ-ის¹ კარს ერთ-ხანობამონად-ყოფნა მისსავ
ლეინის დაგემოვნებად
მისსავ სიგარეტტა ქაჩვა მისსავ დილის ხალათისა
შემოკვალთვა იოსებ

რაგვარ იწოდების პეტეფურ-ისა თანამოსარეცლე ასრე
სიზმარჭოლვილ დედრი
ტრედვითა გადაილაძებდეს პეტეფურ-ისა ქალი რარეგ შუენიერი
არის იოსებ

დიაცისა თმაღ განბანილი თავისთავსცა სუბუქ ჰ-გზნებდეს
ვითარ წვიმამიწვენილი
თხილის ბუჩქი ამბობ ტრედიაო ტრედთა ახალფეთქილთა მათ
ჰ-ს-ძინაუდეთცა რაგვარ

სიზმარშიგან რაზომ აღმოოხრავს დედრი ხლტიან გველთეგზათა
დარად დედრის აღმოოხვრილნიცა
უსიზმრო ძილს მიხლომილი დედრი ვითარ აღმოოხვრიდესლა
იოსებ ვითარ ეგუნებებოდეს დედრსა ორაგული

ხორცისაებრ-წითლოანი მეცლა არყის ხეთ თუ პალმათ შორის
დავეზტუნებოდე პეტეფურ-ისა
თანამესარეცლევე შაისმებოდესცა თვისით ესე რაგვარ ლუინო
ქმრისა შენის ტკბილი არის იგი

პეტეფურ-ვაჟბატონსცა მრგვალი ქუდი ჰ-ს-ძენდეს რასმე ჭრელი
ლაზლიც ჰ-ს-ძენდეს მამრსა ამას
მასვე სამომჭირნოდ სალაროცა ჰ-ს-ძენდეს ჯინჭველიცა
თვისად-ჩემებული რაიც

დილის ხალათისა ჯიბეს წრიულ დაივლიდეს მასცა
მო-ჰ-კლვიდეო მომმართავდეს პეტეფურ-ისა
თანამოსარეცლე იგი ტრედი ესე მალალს ენას ზედან
მოცაკლულსა

ჯინჯველს დაიდებდინ მასცა დაიგემოვნებდეს დედრი წილად
აღსრულებულისა ამის დამტირებელ
ანგელოზი არცა რომელ ჰ-ს-ძენან ჯინჯველთაცა ანგელოზი
პეტეფერ-ვაჟბატონსცა ჰ-ს-ძენდეს ანგელოზი მიმწუხროია
კვლავინდებურ

მეც და პეტეფერ-ისა თანამოსარეცლევ ანგელოსის ჩუენის
სტომაქშიგან
ვიმალვოდეთ ანგელოსის პირის ღრუდან დედრის ამის
აღმოხვრილნიცა ვითარ ორაგულნი

ასრე გველთეგზანიც აღმოხლტიან ნაპირ ზღუისა ანგელოსი იგი
დაეშურებოდეს
გემთა მი-ჰ-მზერდესცა ანგელოსი ანგელოსის სტომაქიცა ვითარ
გემთა მათთა სტომაქ

თუისით მიდმოიძრვის იალქანნი დაედგინებოდეთ გემთაც
ანგელოსსცა იალქანი არცა რომელ
ანგელოსის ამის ძრავად ჰგიებს სიყვარული იოსების მიმართ
რომელს პოტიფრეცა ესავს

სანახისა დამართ ვითარ ანგელოსი მამრი იგი გაეხეტოს
სამოსელი თუისი
მამრსცა განუძარცავს კაცის ჭაჭანება აქა ირგვლივ არ არს
ოდენ იოსებ

მასთან პეტეფერ-ისა თანამოსარეცლევ ბნელსა წვანან ორნი
ღუინოს თუისსა
პეტეფერ ისაკლისებს ერთის ტკარცალის თუ გატან-გამოტანის
მერმე გემნი დაიდრებოდენცა

გემთა მათთა ზედათ-წარწერანი მისტერ დანიელ-ი
მასსაჩუსეტ-ისა მზარის

daring dutchman molloy მეზფის-ისა მზარის dopplegray dane molly
მეინ-ისა მზარის

ანგელოსი სახელთუქონელცა ჰკიას მიმწუხრიცა თვისი უვის
ანგელოსსა გარდიმწუხრებდესცა ანგელოსი
პეტეფრ-ისა თანამოსარეცლის წითლოან თუ ლაჟვარდოვან
აღმოოხვრიდნიცა საყლაპს მილაკს

ანგელოსის მევე იოსებ ალვატანდე პირსა მისსა შთავ-ჰ-ხდებოდე
ანგელოსის პირისაცა თეთრთა კბილთა მათთა განმჭოლ
ვიხილვიდე რასალ

არყის ხესცა მისაფრული ჩიტი ივალობებს პეტეფრ-ვაჟბატონი
თანამოსარეცლის თუისის
ფოტოს ათვალეირებდეს იოლს ორმაგს იარასა დაიჭდეცა
მამრი ფარანთ ჩაენაცულებოდინ

მთოვარედ სადალასა მრგვალი ქუდი ჩემი სადალასა ჩემი ღაზლი
ასრე
ჭრელი სადალასა ჰ-ყოფენ სიგარეტტ-ნი ჩემნი იგი ღუინო
სადალამს ესე ყოველ

ჯინჭველს თუისსა პეტეფრ-ვაჟბატონი დაიტირებდესცა
ჯინჭველისცა ფოტოს კარგა ხანსა იგი და-ჰ-ს-ცქეროდეს
მაჟრიალებდესცა მევე იოსებს მიღმა თეთრთა კბილთა
ანგელოსისათა მათთა

აოლუს-ერთ-კერპო მთიებად ვ-ვ-გიგვ ას-ლოლლარ

ვ-ვ-ფასობ

ვ-უმე-ი-ვარ ერთსა თეთრსა ბრანგვა დათვს ზამთრის ღამითცა
მოციმციმეს

ალასკა-ს მდგმო უკეთესთა ქულბაგთა-შიგან ქურქნიცა ჩემნი
მესყიდვოდეს
ნასყიდობისას რიგიანს ყინვას წინა-ვ-ვ-ს-თქმიდე
მომერთმოდესცა მათ მიერ ქურქი

ატომურთა ზომალდთა მათთა კედელთ-კიდევან ესერა ზღტომილ
შუქიცა ჩემი დაეხეტოდინ
სახელი ჩემი მოციმციმედ ნაუტ-ურთა ყოელ-ყვავილწულთაცა
და-ვ-ს-ჩინდებოდეს

ვითარ პრეზიდენტ-ს პრეზიდენტი კაპიტანნი ესერა პატივის
მომაგებდინ თუისთა
უკეთესთ კაპიტანთა მისადავ ასრე შემეტროვოდინცა ზამთრის
ღამესცა გ-ა-ნ-ვ-ვ-ს-ციმციმებ

ვითარ რასმე შუშის მთოვარეს კაპიტანნი დამატარებენ განა
უჩემოდ გავიდოდენ
ყოელ-ესენი ვითარ თავსარქველს საათისა დავეპატრონო
ყოელთა მათთა

თუალთაცა მათთა სრულ-შთა-ვ-ვ-ს-ჭურტილო სწორედ ჩემს გამო
რავდენ მრავალ
იპოვებოდინ ლაჟვარდთუალნი შუშად-მწუანე ზღუისაცა შუაგულ
ხშირად არის აღმო-ვ-ვ-ყვინვიდე

ყინვარ-ქელთა წიაღ ქუხილ გამოისმოდეს თითთაცა
დავატკაცუნებდე
გოგუცანა ესკიმოსი ესერა სამიც დალოდინებულ წარეწუართოს
სელაპ-ისასა ჩემს სარეცელს

სახელთაგანაც ჩემი ესერა სელაპი გახლავს გოგუცანები
ტანშიშველცა თოვლს
მო-ჰ-ხლდებიან შუენებას თუისსა ჩემეულის ციმციმის ამის
შიგან დიაცნი ყოვლიადცა განიახლებენ

სრულს-ალასკა-ს მდგმო უკეთესთა ქულბავთა შიგან შვეუძინებ
მათ ბეწვის სამოსსცა
ზღუარ-მიტანილ-ჩრდილო ბოძკინტი ტოტემ-ური აგრეთვე ვარ
ესერა ზამთრის ღამესა ამას

ჩემსავ ამოციმციმებისაებრ ლოგინს ამას დავეშურო ქუენა
დავიგდო ესკიმოსი
გოგუცანა ესერა სამი ესენიცა თუინიერ აგრე იწრიოკებდინ

გოგუცანები იგი კულაუაც მო-ჰ-ბრუნდებიან ციმციმს ჩემსა
ძლიერ აგრე და-ჰ-ფზოჭნიან გოგუცანები
ციმციმსა ჩემსა აგრერიგად ვეტრფიალები გარნალა იგი ესკიმოსი
გოგონიკები ჰ-მ-სურინ აგრეთვე

მათდა და-ვ-ჰ-სხმიდე ნაშიერს მრაუალს ყოულიად-მშუენ
ზღუის-ზროხათა თუ თეთრთა დათვთა
სელაპ-თ მათთა თუ ბატასინთა ავე ყოელნი სახელნი ჩემნი
დიაცთ საშოთა შიგან სისავსედ ესერა და-ვ-ჰ-სცე

თოვლის ქოხი ჩემი ესერა ფრიად რიგიან ძლიერ მკუიდრადცა
ანაგებ ჰ-გიებს
შესასლველისცა თავ-ზემთ ასრე წარეწოდვის ნათლიერი
ნისკარტი იგი დიდროან არს საფრინველოდ

მოციმციმედ სელაპიცა თუ თეთრი დათვი თუ ბატასინი ესე
გახლავარ
აგრეთვე ვარ ზღუის-ზროხად ესე კაპიტანი ესე ლომთევზთ
მონადირედ ესე

ნაღარის კრვისცა საქმეპელი უნდა ვ-ჰ-ს-თხზა ლექსი
ხოტბაცა ხელოვანების ამის
წუიძას პირველ რომ მოუგონია გარნა აქავე მოყოლებულ
ზოგნიც რომ დაესწავლებოდინ

ორაგულადცა ესერა ვ-ჰ-გიებ კუნძულს ამას გარნალა აიქ გაღმა
კუნძულს სხუას რაცა
ხანია მოიცევედეს ნაღარის კრკად ნაღარის კრკა ვითარ წვიმა
შთამესმოდესცა

ნელ ეგრედ გარნა კარგა ყურთამწვდომ ნაღარა ჰ-კრვიდეს
ნაღარის კრკასცა
სრულად ასრე ვეტრფიალები ესერა მწადს სარეცელ მასცა
ვუწილადლო მწადს ესერა

ცოლადცა ვ-ჰ-ს-ცნა ვინძლო აევ ნაღარის კრკად წყლისგან
მოვალს თუ ქარისგან გარე
მოტეკნილა ანდა ეგრედ გარდმომხოზობარის ღამის ჩქამისგან არის
ნაღარის კრკად

ნაღარის კრკისცა ამომცნობელს ცეცხლს წარ-ჰ-გ ზავნიდინ
ხელთპყრობილს ელვას
წარ-ჰ-გ ზავნიდე ნაღარის კრკისად დაგეზილს მაცნედ მი-ჰ-ხედეს
რომელი

ძერაბოტიცა ჯინჭველიცა თევზიც ესევით წარეწივნოს მასთან
ქვა-ლოდი
აღმონათხარი თავის დღეში ნათლის სხივი რომ არ დაულანდავს
ქუანი უკეთ

შთაისმენდიან ბრმად ჰ-გიან ქუანი უკეთ ჰ-სმენენცა ქუანი აემაგ
სხუა კუნძულს
ღა-ჰ-ხდომილ ესერა ჰ-გიებს ნაღარის კრკად თანხმიერ ასრე
ნაღარის კრკისა

ჰ-ს-ჩქროლვიდესცა სისხლი ჩემი ნალარის კრკისა ამის ღვიძლი
ძმად ვარ თანაშობილცა
დად მერგებოდინ ეგე ნალარის კრკად ნალარის კრკასცა მას
შევიტროფობდინ იქმოდინ

წუიმა იგი რადც გაღმით ესერა ნალარას ჰ-კრკდეს იქმოდინ
ქარი რადც გაღმით ნალარასა ამას და-ჰ-ს-ძახებს
თავდამძხობარე ღამე თუ არის რადც გაღმით ნალარის კრკასცა
ენომ დააწევნიდეს

გარდმომხობარის ღამისთანავე ქარისთანავე წვიმისთანავე ძილად
უნდა
წავწვებოდეცა მიუცილებელ არის ესე ყოელთ ამითთა ნალარის
კრკა ერთიან მ-ჰ-ს-ჭოლავს

წუიმას ამას ქარსა ამას გარდმომხობარსა ღამეს ამას მევე
ვ-ჰ-ს-ჭოლვიდე არცა ძერაბოტ არცა ჯინჭველ არცა ესევით
თევზ ღავადევნო

ქვა-ლოდიც იგი თვისსავე მიწას გადავანდო მეგუნებოს არცა რა
რადც ჩემსა
უმეტეს შთაისმენდინ არცაღა რომელს ვთქვათ მო-ჰ-ს-დევედესცა
ამად უნარი უპირატესი

თვინიერ ასრე ქვა-ლოდისა რადც მევე მაყურადებდეს არცაღ
მივანდო ქვა-ლოდსა ამას
ვთქვათ და ნალარის კრკისათანავე ძილსმიცემათ თავად
გახლავარ იგი ვინცა ნალარის კრკას გვერდთ მოიწუენს

არცაღ ხელთპყრობილს ელვას მივანდო იგი ნალარის კრკა
ჰ-გებესცა იგი ჩემ მიერ ტყვეულ
ნებისად ასრე ჩემთა ორთავ თუალთა წიად დამქონდეს იგი
მსწრაფლ შთა-ვ-ჰ-ხდე სველსა სიმრუემეს ამას

წყალთ მ-პ-ს-ცურვიდეს ორაგული ყურთა თუისთაცა
ა-პ-ს-ცქუეტდეს იგი შთაისმენდესლა
იგი ნაღარის კრკასცა ამას უმეტეს ახლო მოეტანოსცა ნაღარის
კრკად იგი წუიმა იგი ქარი

ღამისა ამის გარდმომხობად მრუმე წყალთაცა განმჭოლ
გა-პ-ს-ცურებს ორაგული
სრულად დაღტობილ პ-გებდეს იგი ყურნილა მისნი მშრალ
და-პ-მთებოდინ ამ ნაღარათ-კრვის ნათელიცა

განარჩიოს უკეთუ ძალ-უცს ორაგულსა აეგ ნათელი არს ნათელი
რადც ესერა ცოლისეულ
ნათლადცა პ-გებს ჩემი და იგივ ჩემი ცოლი არის ორაგულიცა
ვარ ჯანმაგარი

ნაღარის კრკაცა ცოლად მივის აგრე ძალოვან ნაღარის
კრკადცა პგებდეს ესე ცოლი ჩემი
ჩემგნივ მო-ვ-პ-ხელთო ნაღარის კრვად დისადცა ეგრედ
წარვეწოდო დიალაცა შვეიტრფო იგი

ღმრთის შვილეთულის შიგან სწავლად წარსწრაფებაი

ეგ მო-ჰ-ს-ცემს მართალს ადამიანურობას:
ღედლოფალა ესე არს რაიც კარგა-ნახევარ-ჩინეთად იქმნეს ველის
იორდასალაამს იგი ალლოშუიდეს
ესერა ფოტო მანეკენ-ის კოკო შანელ-ის თაფლს
განმჟღავნებულ
ზღუის ხასხასა თმავარცხნილობას გარდმო-ჰ-ხლდება ქუხილი
რამე
ყორისა შიგან ნიდაგცა ხანიერ-აგრე-აიყალყვის თვისით აროდეს
ღადრგებოდეს
ღა-ჰ-ს-ცემდესცა ჯიქურ-მოტევენას გონის-მიერ-ჰ-ს-ჭურეტს
თავისთავს ვითარ ჟირაფსა
წარმსწრაფებელს **მოზამბიკ-ის** საფოსტო ნიშანს ღა-ჰ-ს-ჩნდეს
რომელიც
აღღა-ს თუ **უაღღა-ს** ანღა ორთავეს რაბამად ასრე კინგს
ტონ-ს¹ წინარე ღიდროანსა ლუბრმას შთაწუება-შთაეწოდვის.
გიგანტთ ზანგელა ურჩხულთ-მიერ მოგარებული²
იერიქონ-ის ციხე-გალავნის წინარე ასრე რაკეტათა ფუძე-
სადგრომს ჩაალიბოვებს³

მასცა ეხილვონ სამნი ქრცვინნი რანიცა ვინძლო 1600
წელიწადსა მას ძუელს ნიპჰონ-ად⁴ იქმნებოდინცა
ამადცა ჰვიან ესენი: ეტლთა გარდმო-ჰ-ხლებოდინ ქუდთაცა ხელთ
ღაატანებდინ
გამოზაფხულის დარად ესერა ესერა შვეულ ღამის წინმსწრებ
თავსხმა ესერა ასო ესერა ესერა ტყუნაი⁵
ესევით მამრი ესევით ლომი ესევით ციღამტკაველაი⁶ ესევით
მგელი ესევით ღათვის ციურ ვარსკვლავთ კრებული იგი
აიძართვის
თავისთავს ღა-ჰ-ს-ცდის ვითარცა ბოა კერპი რაიმე
ღონემიხლომად-განმძღარიცა მცენარეთა ჩეროს ვინძლო

შთაემხობოდეს

ქვეყნის ოთხ-კიდე ქართა სამზღუარს სამზღუარს თვისსა
მიტანებული ვინძლო ახალი ორლეან-ის ფრიად მალაღს
ჰერალდიკას დაიტეგნიდეს

ესე არს თმაი მისი ამიერ: **სამი ბეწვი სიღრმივ შთაწული**⁷
ტუშის კოლოფი ასრე მყუჩარი
ღმრთის შვიდეულის შიგან სწავლად წარსწრაფებაი ესერა
ჰგებებს

ნეფრიტულ ასრე და-ჰ-ხდებოდეს **ნეფრიტულ** ასრე
აზრახდებოდეს წარ-ჰ-ს-თქუამდესცა:

აფროდიტე დიაღაც მე ვარ!

კაცებრივსა გონებას იგი სრულ-შე-ჰ-მუსრვიდეს
ბრედბერი-ს ნათხზენ ორ გვერდთა შორის რასმე შემთხუეუად⁸
ჰგეიას ესერა

მჩუმარ ჰ-ს-დგეს იგი მთლიან ასრე მომჩვარდებოდეს და თვისით
ასრე კვლავინდებურ აიძართოდეს
ეს არს გმირული შთაყვინულობა ნასადილევეს ან მარტოეულ
მყუდარი პალმა

სექსუალური იშკილბაზობის მისარგოდ შენგნივ დამუშავებულ
აქაც და იქაც ეს არს მასალა მოწაფისა⁹

ეს არს შუენიერ მხეცთა მეჯლიში რომლისცა ჟამს ფური
ნიამორისა ანთუ დედრი ჰავიანი იქმნებოდინ პატივახდილი
ესე არს მთიხვი რაიც თვისით თაკლა მაკან¹⁰-ის უდაბნოის
ძეულს სამყაროდ გარდიქმნებოდეს

ანდა ალგებრად მარიობისთვეს გაუთავებელივ აგრერიგად
მფრინველთა მწერთა ან, ვთქვათ, მხოლო-ერთს
განმაფრთხილებელს ზახილად ასრე: დიაღაცა ხმიანობად იქმნის
იგი!

თითქო თვისით საჩინოვდება თვისით ესერა იმედოვნებს თვისით
ესერა განძართლდება ასარქმეველადცა წარძმართვის
საჭურეტლადცა მოიქცეოდეს ვითარსობასცა
(ხილულობასცა) განალვიძებდეს

ესე არს ასო ფრიად დიდროან რაიც თავსარქმლის მუყაოს

კოლოფს მჭოლველ გა-ჰ-ბურღავს

ესე არს შეძახილიცა იგი, ვთქვათ და, **აუჰ-ის დარი!**¹¹

ესე არს მცირე ქარბორბალა **აღდა-დ** ან **უაღდა-დ**
სახელდებული

ერთი თალია ესე არს სიო მესაფლავისა ერთი თალიაც იგივე
მხვედრი ნიავექარია აქიმისა

სივრცისეული გოგუცანა ბირთვს დატმასნილი იგივე **ტაფობი**
ფიქრს რომ მიუღის

ნაღრძობნი მისნი უფრო და უფრო მოქნილიცა შეიქმნებოდინ
რომ არა ვთქვათ ცოტაოდნავ ფათერაკიან

შროშანისებრ-თეთრ-ნეგატივიშვიან მოხაზულობას თვისსა ესერა
მკვეთრ-საჩინოდ განამჟღავნებს ვარსკვლავთ

ჭერქვეშ ქუხილსაცა აითანიებს: ცხოველ აგრე პლანეტურ აგრე
მეომრულ აგრე იგივე

ელვად მკრთომარეი ნათლის ქონგურთა მათთა გოლეულს-შიგნივ

ტაფობსცა შთაახუედეს ქონგურთაცა ძაფად ცალ-ცალ
ნამდვილ ასრე გადა-ჰ-გრაგნიდეს

კვლავინდებურად წამოიძართვის ზუსტი საათის ზედმიწევნით
ბიჯებასა აითანიებს

წარსულს თითქმისდა გარდა-ჰ-შლიდეს¹²

ესე არს დია პერმანენტული სივრცედ დაშვება:

აწ ასე ჰ-ს-ჩანდეს წინა-ნიშნისებრ წინაუკმო განგრძელებო
ყოველივეი

თვისით ასრე რასმე ხელოვნურ-მეოცნებედცა მოექცეოდეს
გარდაგდებულ ლაქიან შუშად სეპარატორ-ს გამოწურულ რძედ

ნამკვეკ-ნამკვეკ ნასროლ სადაფად იქმნებოდესცა

გამოაღწევს დანაკუწებულ მამრულ ასოთა მოვსებულ
ოთახს რაღა თქმა უნდა¹³

ისევ და ისევ ლამის ასრე მოხარშული ტვინიანი ძვალვითა
გაფშიკებულია

შემოატანდეს ესევეთ ასო დედრს შთაყოფილი

გაიძულებსცა ანანასის ტყუნა დაუნაცვლო¹⁴

შენსავ გულის-ვარდს ვითარ ცვარ-ნამი იგივე ასრე დაეპკურება

ესე არს ცახე ზამთრის ნაფქვი ჭიაფერივით¹⁵ ვარდისფრად
სხიობს

გვიმრა-ბალახის და შარდის გუბედ ჰვიებდეს ესე
ოკეანისგალმა ქვეყანა კარიბბია საზრიანთა ბარრაკუდათა
ურჩხულთა მათთა აქვარიუმი

მან მოიყოლოს აქა-იქ წმიდა ადამიანურობა რარიგ კარგია!¹⁶
მტვრის ცახე რაიც დაახლოებით 91-ს **გარდატარებულ** 182
სმ-სცა აეტანება

ესე არს თავგი რაიც კორეის რუქათა მდგმო მთავრეხილებად
გარდისახება

იგი დღენათლის შიგნივ შავადშავ წერტილთა არცთუ
ნავლლიანთა გარნა ასრე არა-სანდოთა განბნეულთა
დააჩინებდეს

ეს არს თეჯირი ბუზის განმრიდე ანდა აივნის კარს განაკიდე
ტროპიკულთა კოლოთა ბადე მრავლადმრავალი ზუზუნის
ანთუ ბალისეულ ხმიანობათა ეს არს საწური
გისოსთ-კარიბჭის გადამართ ასრე **ყაღბ** კინგსტონ-ს
აღესწრაფება იგი

წამისყოფა¹⁷ იგი აღასრულებსცა იგი ყოველს რასაცა ესე
წამისყოფა აღასრულებდეს

ეს არს **მალიმალ-ფსმად-მიტევენება აზიურის უდაბნოების**¹⁸
რძის საბანებელს მინებებული კრეოლი დედრი¹⁹ ეს არს
ღიაღაც!

თვალსაწიერსცა მოტევენილი ქარის კედელი ესე
ესერა ჰვიან **ადამ** და **ევა** ესერა ჰვიებს უსახელო ფრთოანი-ბოა
სამოთხისაი

ესერა ხარნი ანთუ გედნი გარდმოსტანებენ იშვედეს წყება
დრაკულათა სამყაროულ **სივრცეს გაჭრილმა**
მოგზაურმაც²⁰ თვისით ასრე იღრძოს კიდურნი ბნელ-
გამოწურულ ასრე მისი სირცხვილეულობად შხაპქვემ
ფრენილი ჩიტივითა ახალ-ახალი პოზიციისებრ
მიდმოიდრვება

ეს არს ჩინური ჩაის ყვავილი კინოეკრანს ხარაჩოსავით რომ ჩაეფშენება

ის ლილისფერი ლაქა არის პალისანდრის ხის²¹ ყვავილთა კვდომა რომ მოიყოლებს

ესხან ტყუბნი ძუძუნი რანიც ხატიპეპელას მი-ჰ-მსგავსნიან ფერად-ფერადს ღინღლს მოუფარია წყვილი ფრთა რომლის²²

თვისითცა მტკიცედ ყოველივეს შეისუტვიდეს ფეხმოცდომილი მიდმოენლება თავს ვერ იჭერს სამარქაფო მუხრუჭსაცა წაეტანება

თვალთუქონელი მამალი მყვარის დორადლო (ელდორადლო) იგი **ჯენფიც²³**-ის მღვიმევთ თუ **ბურბონულ²⁴** უფსკრულთ თანავე ასრე არს მინდობილი

გულისგულ დაცულ ტყენაკრძალთა წარესწრაფება ზანგთა არაბთა თუ **მაციოს** მკვიდრთაცა²⁵ გარდყვებოდეს იგი იგი ჯეიმს ბონდი²⁶-ა, ავტომობილის საქარე სარკმელს დაფნის დამჭნარი გვირგვინივით რომ შთაეცემა ანდა ბანქოს სათამაშო ოთახთა შიგან აღანდული ლავანდის ყლორტი

ესე არს რაიც გაიძულებს შემართო ბუკი პორნოგრაფულს ფოტოდ რაიცა მოგაქცევდეს²⁷

ვითარცა მიწას დანარცხებული ადამიანი, იგი ძალასცა მოიკრებდეს, აიმართოდეს

იგი არს ვინცა ფუნქციათა თუ ქმედებათა განასრულებდეს წვენმოვსილ-მძიმედ-დაზიდული ესე არს ვარდი ხანისთანავე რომ შთაელპობა

წამს მართალს მანვე მოილოს შენდა ნამდვილ-ადამიანურობა გულისა შენის სარეცელს მიმდგარ წარსაბილწადცა ესე

დედრის ასო-ასო-ღამჩხეხველი მამრი

პირველადცა წა-ცა-პ-ს-ჭრიდეს მამრი დედრსა ამას მარცხენასა
ფერკსცა

მომდევნო დღეს კიდევ დედრსა ამას მარჯვენასა ფერკსცა
სარდაფისცა კელელთშიგან ორთავესა შთაუტანსცა-შთაახუევსცა
ერთად მრავალ ასრე გამოტარებულთა სამიჯნურო
წამისყოფათაცა შემდგომ...

მართლა რაღა გავუხერხო ორთა მკლავთა მათთა შენ პ-ს-თქვი
ესა

რომელნიცა მომაგებდენ როსმე თამაშს შეუნიერსა?
მათცა წა-ცა-ვ-პ-ს-ჭრიდე იქნებოდეს!
ერთად მრავალ ასრე გამოტარებულთა სამიჯნურო
წამისყოფათაცა შემდგომ...

და როცალა წა-ცა-ჭრილიყვენცა მკლავნი ორთავენი
წინაშეცა თვისსა მამრი იგი ბალლისაებრ ქვითინს მორთავდინცა
სხეულისგან რადგან არღა პ-ს-ჩქეფდინ სისხლი, სისხლი სრულ-
ამოთავდინცა

ერთად მრავალ ასრე გამოტარებულთა სამიჯნურო
წამისყოფათაცა შემდგომ...

ხელ-ფერკნიცა ჰვიან საიმელო სამალს
ამიერცა შე-პ-რჩეს მამრი იგი მარტოღმარტო თავის და
სხეულის ამარ

ზედან რომელთაცა ხრწნისანიცა ვარდნი იფურჩვნიან
ერთად მრავალ ასრე გამოტარებულთა სამიჯნურო
წამისყოფათაცა შემდგომ...

ნასხმანისცა მორგესა ამას თავსცა განუცალკეებდეს მამრი იგი
ჭასცა... ტყელუმპ... გარდუძახებდეს ასეამრიგადცა

და ოთახსცა თვისსა უკუ-მი-ჰ-ლოლდესცა იგი
ერთად მრავალ ასრე გამოტარებულთა სამიჯნურო
წამისყოფათაცა შემდგომ...

მაინც კიდევ ღედრის მკერდთა ოდეს მამრი იგი ნაჭერ-ნაჭერ
დაჰ-ს-ჩეხვიდა
დახე არაოდენ მასცა, ო უფალო, თანა-და-ჰყვებოდა დანა!
თვისსა მჭრელობასცა ჩა-ჰ-ხ-კარგავდა დანა
ერთად მრავალ ასრე გამოტარებულთა სამიჯნურო
წამისყოფათაცა შემდგომ...

უკუნითი უკუნისამდეცა აგრე ჰ-ს-ჩეხავს მამრი
თვისსავ გარდაცულილსა შემთხვევასცა მიტეენილი... ჩეხვასადა
უმატებსცა!
აიმ ამოდცა მოდარაჯე თუალთა ამარ...
ერთად მრავალ ასრე გამოტარებულთა სამიჯნურო
წამისყოფათაცა შემდგომ...

გაგაო ჩუენო

ვაზნებისგან წნულს
ვარდის გვირგვინს
ჩვენეული შემოდგომური ტყის გადამართ
შუადღისეულ დავატარებდეთ ცათა შინა
თან კი კამპარი-ს¹ კვლურწვიდეთცა
ეგრეცა ქუეყანასა ზელა
ტყვია-ნაკრავ
დარეცრეცებულ კაკაბთა გუნდი
მოვედინ სუფევა შენი
აღმა მი-ჰმართო ნავი შენი
იყავნ ნება შენი
სიმწვანე-წარგვირღ ფოთოლგანძარცულ სუფრათა ზედან
ცათა შინა ფურირემიცა დაშტერდებოდეს მაშასადამე
ეგრეცა ქუეყანასა ზელა
მომეც ჩუენ დღეს პური ჩუენი არსობისა
ფოთოლიცა ნისლიცა თუ სუნიცა ეგე
წარცემულთა სოკოთა მათთა
და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი
ტყის ნადირის სლვა ღირსეული
ეგრეც ვითარცა ჩუენ მიუტევებთ
თანამდებთა მათ ჩუენთა
წამომართვა მიმიზნებაი ჩახმაზის სხლეტა
აემაგ ლამაზი ზეცის კამარედის ქვეშ
ზოხბისა თუ კაკბის ზორცსაცა შევექცეოდეთ
და ნუ შემიყუანებ ჩუენ განსაცდელსა
ესერა მტკიცე ხელსაწყოი ხისაი
და ლითონისაი
არამედ მიხსენ ჩუენ
ყოვლისა უკეთურობისაგან
ვითარცა იგი ფერლაჰ-ის² წინ-მდგომ გაკრეფილი
ვაშლის ხეები
ამინ

ვით ნამეტნავად ტაბილის ნაყოფის ზვენი რაიმე
რასაც ზმანების წიაღ ხანიერ ჰ-ს-წრუპავ დაგემოვნებულ...
ვითარ ლანდი მოზარდეულის აიმ ნადირის,
წყაროს ირგულივ წყნარ ესერა ჰ-რებდეს რომელიც...
ვით ნამეტნავად შუენიერი, გაფოთლილი ხე,
რასაც პირველი სინაზე ღამის უბოლოოდ მოგალობე
ჭრიჭინობელთა და ცვარნამის თანავე ასრე თავს
და-ჰ-ს-ტეხოდეს...

ვითარ ჩემივ კუთნვილი თითი, უსატრფოესო,
რაიც სრულიად-სუბუქ-ასრე-გაეკარება ბაგეთ შენტა...

მიკლუნა

რასაცაღა ისწავლიდე,
იგივ აგრერიგად გქენდეს.
ამიტომაც სარგო არის
შეიძინო ეგ სამელნე,
მერმე საწერ-კალამსცა
და-ჰ-ს-ტენიდე მელნით,
ქაღალდიცა მო-ჰ-ხელთო,
წაუმახო ჰაზრნი შენნი.
ნათლიერს ლექსს კიდევ
არა ჰ-ს-თხზვიდე
თეთრადვე ჰ-ს-წერს ოდენ კაცი
ქვემეტრევი არამზადა ეგ ზომ დიდი.
ჯერ არს ასრე სისხლის განმჭოლ
ძვალთცა განმჭოლ რავდენ
იხოხვიდეს ლექსი ვიდრე იგი
გულის ციცქნა საკანს მიატანდეს.

ერთის წელიწადისთანავე ჩჩვილი¹,

ორის წელიწადისთანავე ყმაწვილი ესე,
სამის წელიწადისთანავე მამრი,
ოთხის წელიწადისთანავე ასრე რიგიანი ადამიანი,
ხუთისთანავე აგრეთვე ჯერეც წაწყობილად ჰ-ვლიდეს ყოველი,
ექვსისთანავე სიბერეცა მოგეტევენება
შვიდის წელიწადისთანავე ჰგებ ჭადაროსან,
რვისა წელიწადისთანავე თოვლივით თეთრ,
ცხრისა წელიწადისთანავე ცისკარ აღგიბრწყინდებოდეს,
ათის წელიწადისთანავეცა ღმერთმან გაგიმარჯვოს, დიალაცა
კეთილ იყოს მობრძანება შენი!¹

ბრატე ივუღღერ მ-ჰ-ნ-რქეია,
ვ-ჰ-ნ-ებენ ლამაზსა პაწა ყელსა, საცა კი არს,
ქვემძრომისა პაწა კბილი მ-ჰ-ნლებსცა,
პაწა მანჭუალიცა დამაქუს მომასული ესე,
თულა მო-ვ-ჰ-ნ-კუდე, არა ვიყო მკუდარი.
გარდავანშმებულსა ჟამსა კულავაც არის
ჩრდილნი რად იგალობებდინცა
თქუნაც შემოგესმებოდეთ ფრფენა ჩემი იქავ მოდენილი.

ასრე საყვარელი მუშიაცა ვარ

ეგვიპტიტგან უმაღლა ჰ-ვ-ვალ,
ოი ბალღნო ნუცა მოიქცეოდეთცა ურიგოდცა აგრე,
თორემ ავატოვო მეცა სარკოფაგი,
წარგიტანოთ მხარეს იმა პირამიდათა,
თერთმეტისა მეტრის ქვეშე უდაბნოურთ ქუიშათა,
აიქ მეგულების მისანდოცა კერა ჩემი ესე,
იგივ მეტკბილება თაფლის გეჯასავით,
აიქ, ხორშაკოცა ქვეშე მათთა, მერმე
ვერლა მოგ-ჰ-ჩხრეკდეთცა ვერვინ.
ოი მოაყურადებდეთ კია, ვითარ ფართიფურთით
ავალ-ჩავალ კიბის საფეხურთა
და, როცალა კაკუნიცა შთაგესმოდეთ,
ჩემი ცერა თითის ძვალე ეგეც ოღენ
მოეპყრობოდესლა კარსა ოთახისა თქუენის –
ოი ბალღნო, თავსცა მი-ჰ-ხედვიდეთ ესე სიკეთეცა ჰქმენით!

ჩვენი პანს-ი იმოსავდეს შალვარს,
შალვარიცა ვიწრო ლამის შემოასკდეს ტანზე ვაჟსცა.
მიაყურადებლე ვითარ მოეტევენებისცა ქარი,
მიაყურადებლე ვითარ კიდეგანსა ჭროკინია ძაფისანი,
კაფე-თესე კაფე-თესე ასე,
რაოდენლა ჩიტსა ლამაზს
ვ-ჰ-თავსებ!

ბჭინი ბანას უნენ, ბანას უნენ ბჭინი,

მო-ჰ-ს-ღგესცა ეტლი ვარდისფერი.

ეტლსა ვინლა ჰ-ს-ჯდა? ეტლსა ვინლა ჰ-ს-ჯდა?

მამრი წუანეთმიანიცა.

მამრს რაილა ჰ-სურს მაინც? მამრს რაილა ჰ-სურს მაინც?

მარიკუნას წარგვრა ჰ-სურინ მამრსა.

მაინც რათაო? მაინც რათაო?

აგრერიგადცა ტებილ იყოსო სისხლი ასულის.

რად ჰ-ხ-რქვია მამრს მაინც? რად ჰ-ხ-რქვია მამრს მაინც?

სახელისა არას გვეტყვის მამრი.

რასლა ინდომებდეს მამრი? რასლა ინდომებდეს მამრი?

ქალბატონთა ხორცს მიირთმევს მამრი სიამით მეტადრე.

მაშ მიეც ქალი მამრსა ამას, მაშ მიეც ქალი მამრსა ამას,

განალა მამრის გაცხარება გვინდა.

თორემ ვ-ჰ-ხედავ, მამრის თუალნიც ზომ ამხელენ,

შეგვ-ჰ-ხანხლვიდეს მამრი ყველას, რაც ვართ, მსხალივითა!

თავსცა დაგ-ჰ-ს ურავ ჩემივე ხელით

ბაიის წნულს გვირგვინს ნებისად,
ქორსაცა შენსა მიმოვუბნიო ვინძლო ნამკეკი,
რაზომცა ჩემი უცულებელ-ეგრედ-გირწმუნებია;
ოსპი, ბარდა, გლადიოლები
ნუგბარი ესე სრულად მოგართვა,
ბარბითსცა მერმე სურვიელ ჩემგნივ მოვაყოლებდი
ჯავზს ასევე ნუშის სასუსნავს ანუ უმაღ დამატკობარსა.

ამგვარის ძნობა-მუსიკობით გაგანებივრებ,
ჩემივ ჟღარუნი სულს წარგილებს სამოთხის წიად,
სამეფოს, დია სანატრელთა ეგრედ ბგერათა
ღვთაება ბალღურ¹ ფერტცა დაგ-ჰ-ბანს ამოდ და ღიად;
ღვთაებას ხელთცა განსაწმედელს (საპონს) ჰ-ს-წოდებენ
სრულ-ჯადოსნურნი გერიტნი ზღაპრისა,
სასიყვარულო ფანჩატურნი ასობითცაათასთოდენი
სამშობლოდ გექმნან ეგრედ სხუაფრივცა.

აკაციის, ეგრეც იელის,
ჩინარის, ეგრეც ზაფრანისა,
სამოგართაცა, ეგრეც ლოდნაშოს რეც-რეც იოლი
ქარივით ახალ-დროებაცა მოგვ-ჰ-ს-ცევედეს ფრიად;
ჰაი! მშუინავის გაზაფხულის შიგან ესერა შენი მკერდი,
ტიტლიკანა ეგ ტყუბი ბალდი, აეზვირთოდეს –
სიხარულითვე რაოდენით მას დავიდგენდე
მუხათა ჩემთა ტაძარს ვითარცა.

სტაფილოსფერს ნამღევა ღრუბელს აღმხდარი ანდედ
ღმერთა ფრადა აღეფრინოსცა;
გა-ჰ-ზუის იგი პაწაწინა ფუტკრის გუნდივით,
მო-ჰ-სწყუეტია რაიც ცეპპელინ-ს²,
ფრფინვანი ასრე, კოცნანიცა, ასრე ფიქრნიცა
ზაფხულ-ზამთარიც, დღე-ღამისცა სღვად უნებურ –

არცა მიჯნანი, არც სამზღუარნი რაი იყუნიან:
განულვიძნიათ ტრფობასა და თავისუფლებას.

კულავ აღეზილოს ვოდან³-ისცა მარცხენა თუალი,
უმალ-ასრე-მონოკლ-მიწეპილ,
ლილისფერსცა იასამანს ჰ-პუწავს დონარ-ი⁴,
აგერა ახალ-გახამებულ ვარდისფერი პერანგი მისი,
ვალკაურე-თა წყება წყნარად-მოლიმარეი,
ფერიები ესე მოდგმა მითომანიის,
მო-ვ-ნათლო ჩემი ჰანგიცა ბარემ:
არტმანნ-მან მე, გერმანიად მიპყრობილ ესე.

წვივით-გაქიქინებული შაბათიცა
ნამცხვრითა და შამპანურითურთ
თანვე სამი ორქიდეა
ო ეგ არის დიალაცა გემო აბა თუ არს!

სიტყოება ელექტრო-სი
ზელაც გრამმოპკონ-ი,
ზმანებისად მიმწვენელი ტანგო –
მსგავსცა ამის არა გაამებს რა მგონი!

გადაფითრებულთა წითლოანთა ბაგეთ-მიერ
დარჩეული სიტყვა სამიოდე
გადაასხვაფერებს ამინდს
წამში ოდენ...

ღა-ჰ-ს-ც-ვივდესცა კუმელთა ბარათით

გადაყვითლებული სიტყუა ერთი-ორი,
იგიც ჩიტმან ნამგალამან განაფინოს
ალიონის ლაჟვარდთაცა შორის.

სხვენთა მოკალათებულნი ქურდნიც
თვისით გამორჩენილიყვენ ფრიად:
ნარგიზთ ეგ ზომ მჭნობართ დამშვიდობებისა
სიფრიფანა წირი თანა-წარუღიათ.

კონიაკი ცალკე სახლი ბინაც,
დანდობილად ლაღობაცა განა,
შეძლებულთა ხროვის კვერცხებრ-სავსეობა,
ნავვიანევე ესე სიყვარულობანა.

უმეტესი წილი ჰ-შთენდა განქარებულ,
მცირედილა უკუნ-შემოქცეოდა;
ბედნიერებას ხომ არად აგდებ,
ჟამნი ცნობისანი მოგწევიან როცა.

სპილენძისცა ყუთთა ლამაზ-მკობილთ
აღმო-ჰ-ხდენენ მეყვავილე დიაცნიცა;
ტრამალს, შამბნარს, ხავსთა ზედან ჩემი საწოლიცა ავაკოკოლავო
სურვილეულ ვმეცადინებდეცა.

სატრფოს ტანსცა დახდომილი მზის სალტენი
აგრერიგად ჰ-თრთიან,
გენიათა-მიერ მოწყებული დროსტარების
ბოლო დღეთა ორომტრიალია.

ღმერთი გ-ჰ-ფარვიდეტცა, ქალბატონსა პაწაწინას,
მე კი წიგნისამისავჰმთე წამკითხველი ოდენ¹,
თქუენის ლანდიანად თქუენცა მი-ჰ-ს-ცორვიდეთ სულ წინა და
წინა

დელფინს ჩემდათავად მივედევნებოდე.

რაინ-ის-პირ ვ-პ-შობილვარცა,
მადიგან-ი მ-პ-ს-რქვია, ჰოდა,
ბნელ-ბნელ-ბეჭდურს-ასო-ნიშნებს ვ-პ-ს-თესავ
იმა ნათლიერი აეროდან...

ცხრა ჰაიკაი¹

გამოზაფხულს მებაღეთა მათთა ყოელთა
კუთვნიელ სათბურთ მიდმო-ჰ-ფინებდეს
პლასტმასსა და ლითონის ნაფქვი.

მუნ დაჭნდებოდეს იასამანი
იგი კვირტშივე მრეშად ესერა გამომზირალი
ლილისფრისა თაობაზე სიტყუა რაა არ დაიდრევა.

ორშაბათი, ოდეს ჟასმინი ობმოდებული
მთლად-დაღრღნილ წკირებს
აღმოატანს-აღმოეზრდება.

სამშაბათი, ცოტაოდნავ
ფერგაცრცნილ-ლურჯი განწყობილება
საწერ მაგიდას ზედან დასდებს.

ოთხშაბათი, ფრიადცა ნაკლებ
იდეალიზმი სხეულშიგან
ვიდრე ტვინშიგან იდეათა მათთა წყებანი.

სუთშაბათი, და-ჰ-ფრინდებოდინ
ბზუალა ბუზნი და ესერა
კინკილა ჩრჩილი ხელნაწერთ ჩემთა.

პარასკევი, ქალბატონი
გამაბეზრებელ ლექსთა მათთა
ფრიად ასრე ნანებივრები სინტაქსისითურთ.

შაბათი, ფურცელნი
გვერდივერდ საწერი მანქანისა,
რომელს სწორედაც ბოლო ეღების.

დომინგო, დღუმანშ,
დომენიკა, ზუნნანტაკ, კვირა უფლის ღღეი;
ხვალე ორშაბათი დგება.

ვითარ კუნძული ესე რაიმე
ვარდისფერი თავგ-მარილა
ხელთცა მომ-ჰ-ყვება
მასცა ზღუა ლურჯფრად მოეგარება
ტალლა ტალღას ჰ-სდევს
მარილი ესე თევზიც ესე
ნათელი ნათელს მი-ჰ-ს-წეოდეს
ჰაერი ესე ჩიტიც ესე
სუნთქვა ესე წინაგ ზნებად ესე.

წვიმა ესერა ააზმებს

ცაღცა ა-ლ-ს-წოდებს დედამიწას
წუიმისად-ჩვეულ-ნათლიერ ასრე ნელსუნნელი
ქალღალღ-აღწებილ სარკმელთა დარად
სარკმლის რომლისად სახე-მიყრდნობილ
განმჭოლ ესერა გან-ჰ-ს-ცქერ და გან-ჰ-ს-ცქერ
ზეით-ზეით მიუყვება ხოდაბუნები
საძოვარნიცა ტყედავლილნი
ბორცვნარიანნი საწიერნი
კარმიდამოდ რძის ფერმა რამე
მწვანე-ქუდიან ფრხივ მაგალი ადამიანი.

მზეო

ცისწილ ღელა-ქალო შენაც
ღელამიწაზელა შენცა ღედრო მეზობელო
ჩენი კარისაო.

ნაკადულის ასლო:

წინაუქმო ანტი-სამყარო მწუანისფრადცა სავოიის კომბოსტო
ქონდრისკაცნი ჰ-მკვიდრებდინცა შიგან რომლის
ჰკიას ვირისტერფაც რომელსაცა ზედან და-ჰ-სდებს ცვარი
ჭუირვალთ ლოფორთქინათაცა ზოლად-ზოლნი
ლორწოანი ბილიკიცა გარდანათხი ნერწყვი აპრილისა
წვიმას გარდახიდულიცა ცისარტყელა
ყოელთაცა ამათ შორის კინნი საგანნიცა ესე.

რტოთა ჳვერონი ჳმცად მიგრჳნილ

ჩიტუნას ჳერეც ბინდბუნდი ჰ-ს-ცევეს
რაოდენილა ჳამი დაუშთ ფრთოსანსა ამას?
რომელს საათსლა მოითვლიდინ?
გუშინდელიცა ამიერ ესე არის ხვალე
ესოდენი სანატრელი დალოდინება
მზის მოტფო რძისა
უხანოდ ანდა სახიერ ასრე
ზაფხულიცა თავდამყურე იმისა
რაიც არ არს ტიბეტ-ი
არ არს შორეულ-აღფურჩნილობა
არქტიკისაი
თითთა-ჩამოთვლილ,
დღენიცა წარიხოცებოდინ
ფრიად უფრორე მყოვარი ხანა
გალობისაი.

მღვიპარმა ლელჴმის ყარყატი

შუაში გადაშლილა
საგალობელთა მისთა წიგნი
კაცის-სიმაღლე ხევარდთ თვისითცა
უკუ-ჰჴენენ
ჩრდილნი ფრიადცა
უცნაურნი, უჩვეულონი,
გარდაგდებულთა-ძველმანთ-თავდაღწეულ
ფუტკარა აღიფურჩნოდესცა,
კურდღლისცოცხა და გვიმრა-ბალახი
თმის წიაღ თვისით ძალუმად ასრე შთაეწვინება;
შთამესმებოდინ სიტყუანიცა,
განსჯას ჩემსას აგრერიგად რომ მომახავენ
გარნა ესერა გულსაცა ჩემსა
კვლავაც აგრე მიმო-ჰ-ქსელვენ
ვითარცა ძაფნი გოლეულის...

ამერკუტორული¹ მცირე მოკლურება

რამ შეუნიერი, შეშებრივი ყვავილობად.

რკო არს ნაყოფი მუხის ხისაცა.

წარსახლომელი ვნება გახლავს იჭვიანობა.

ცელი, ფოცხი, სახნის-გუთანი ვით ხელსაწყონი მეურნისანი

ძველთაგანვე იქმნენ მითუღილნი.

კაცის ამის სიმშლიცა ფრიადს საჩინო-ყოფად თითქო

დაეპირებოდა.

მამრსა ამას ვაშას შე-ჰ-ს-მახოდენ კაცნი რაზომ დალანდავდენ

მასცა.

გამოწყობილიყო ვითარ დროშის ანდა კალოშითცა ფერცთა

დამოსილი მამრი.

და-ჰ-ს-ჩემებოდენცა მამრსა გარდამეტებანი.

ზეითურთა ბგერათ მიტანებულიცა შე-ხ-ჰ-კანკალდებოდა ხმა

მამრის.

ხელფასს ოთხად დაანაწილებდა მამრი, თმის გაკრეჭას თანვე

ალიკუეთდა.

ხეს ვითარცა საყდარს რასმე მამრი შთა-ჰ-ხდებოდა.

შემინული ვერანდები წყლის ნაპირთა გარდმო-ჰ-ს-ტანებოდენ,

რაკი მთიანეთსა ამას აგერ მერამდენე ღლეღ წვიმის ალო მო-

ჰ-ს-წევნიყო.

ქალაქისა განაკიდე ტევრის განმჭლოლ სეირნობას

ბულბულნიცა გაგვილამაზებენ.

ღღესა ერთსა აღესრულებოდა მამრი იმგვარ, რაგვარადცა

უცხოვრია მამრსა ამას.

კულავ რა გამოჯანმრთელებულიყო მამრი, ხასხას ჩირთსცა, რა

ხანია, მოილებდენ აეგ ჩირგვნი დირექტორის ეზო-ყურისანი.

ძელსკამს და-ჰ-ს-ჯდებოდა მამრი, ღილის გაზეთსაცა

გარდაიკითხავდა.

შვეულს არეს პოლიციელიცა რეც-რეც აეფორთხებოდა.

დაჭრილს შეშას ტოლ-ტოლ ააკოკოლავებდენდა კაცნი ესე.

თქუენი გამარჯვებაცაო, - დანახვისთანავე შე-ჰ-ს-ძახებდა
მეტყევეი კაცთა ამათ.
ხამი შალის ლეგა ქურთუკიცა ტანთ ემოსა მამრსა, პენსნე
დაეკოსა, ტიროლურის ყაიდისა ლაზლის წინდა ფერკთ
ეტმასნა.
წამოზრდილი მისი წვერიც ნალდი რამე გახლდა.
მამრის გარეშემო დამყოფ დედრნი ბილლარდის
დასარტყამისაებრ დატოკდებოდინცა.
პირიანსა კაცებს სესხსცა ხალისიან განულებდა მარკდორი.
ფაფა პანაღლ² თეფშით თითო-თითოდ მორთმეულიყოცა.

ოცდაათი გულდენ ჯიბის ფული არცა ეცოტავებოდეს
ყმაწვილკაცსა, თანაც დედაქალაქს აქა ყოვლიადი ფასდაკლება
ითქმებოდინ.

მამრი მამრს ანტონად მოიხსენიებდინ.
თერბი ანტონ საათ-საათ ზედმიწევნით მომთარგველი.
მის გამოჭრილს პიჯაკს მუდამ ასრე უხადოდცა მოირგებდი,
მისი შეკერილი ქუდი გაუუთოებელ აროდესცა იქნებოდინ,
შავის ვაქისაებრ დილაუცდენლადცა დაეჩინებოდა
ფეხსაცმელი მისი.

სულო ჩემო! ბედისწერულს მოტვენასცა ყოელს საჭურვლიან
და-ჰ-ხვდებოდა მამრი.

შეშებრივსცა ხესა აკი თქმულა ვითარ საყდარს მამრი
შთა-ჰ-ხდებოდინ.

იშლ³-ს წამოწევნილი დელგმა არცლა სანიშნობლად
მიმცხრაღიყო.

ორთქლდავლილი გამოცალიერებული მოკკა-ს თასი აღდგომა-
დლეს გამო-ხურდებოდა.

მადლი თქუენდა ანდა ღმერთი გწყალობდეთო⁴
ერთიერთმანეთსცა ასრე მიესალმებოდინ.

ჯენტლმენ იგი ითქმის ვინცა შინაგანად შეიმართებოდეს.
მამრის ამის დად, ვითარ თავად მამრი თუქცა ერთის რიგიანის
ოჯახისა ნაშიერი, ურცხვი ვინმე გახლდა.

როზა. იხოცავენ ცხვირსა ხმიერ ასე როზას შთამოებანიცა.
მამრსა ამას მისსავ ღვიძლი დად-ს მოახლეღ მშრალსცა
დაარჩენდა.

გეთაყვანე, გმადლობ, შილლერ, გოტჰე, არა უმცირესცა ამის.
პიჯაკისა გარდანაკეცს ხის ნუჟურისა წყებად მიბნევესცა
კვირა-უქმე ასრე და-ჰ-ს-ჩვევიყო მამრი.

საშუადღოს დადგრებოდა მზედ, გაინასამხრევებდა კი მთოვარედ.
ღია გვესურვილებათ, მოგვმართავდა მამრი, აქეთობას თქუნესა
შემოვლად.

ახოვანი მამრი ვითარ სრულად-გამართული სამმარცვლოვანი
ზმნა.

თუალთა ელუარისა თანად გასხეპილი უღვაშნიცა.
ობერ ეგერმაისტერ-ის (მთავარ-მონადირე-ოსტატისა) პატივ-
ღირსებანი.

ერთურთს ლარად-გადეწნილი უტაკტობანიცა.
კრემზიერ-იდან ლაიტმერიტც-ს⁵ რკინიგზითცა გაგრიალეებანი.
სახელდახელოდა სამხრობად salami-ს ნარჩევი ძეხვეულისაცა
ხემსი.

ღვიძლი დად, სკოლის ჰასაკს ჯერეც რომ არ გაჰსცლომიყო.
ერთი შნოიანი დაქალიცა პრალას, მეორეცა კოტტბუს⁶-ს ჰყავდა.
ერთის სიტყუით: ქვეყანაზედ გამოსული ვაჟივითა ჰ-სმიდესა თუ
ეწეოდეს.

ხამი შალის ქურთუკიცა მამრსა ამას ტანთ ემოსა.
გაჩქარებულიცა თითო-ოროლა ბწკარს მომიწერდა მამრი.
ბოჰემიენ-ისა ენას სწორედაც აცოდვილებდა; გერმანულად
ჩვეულებრივ გვებაასებოდა მამრი.
ჯეროვანი იყო კიდევ საბრხედ შემო-ჰ-ბრუნებოდა მამრსა
იჭვიანობად თუისი.

ჟამითი-ჟამ მოჯამაგირეთა ანთუ მოახლეთა ტოლის-ტოლად
დილაადრიელა წამოდგომა მამრს არ ეთაკილებოდა.
ერთი-ორი დამწეულიც ვაჟკაცს თვისსავ ხარჯით დაუპურებია.

მამრის სადღეგრძელოს თქმაცა მავანთ მოენებებოდათ.
უხშირესად ეხილვოდა ჯამათსა მხედრის სამოსლიანიცა მამრი.
რასმე საცინელსა ჟღერას აროდესცა სცევდენ გარდამეტბანი
მამრისანი.
ვაჟი ლოტბარიცა ქუდსა თუისსა ცად აღაწოდებდა თუისით
მადლობასა შე-ჰ-ს-წირვიდა.
შესვენების მერმე მუსიკაცა კვლავინდებურ მოეტანებოდა.
ღიაცისად საჩუქარსა განილებდინ.
არ ეგების დიდმთავარსცა კოჟიჟი რომ ჰ-ს-ძეუდეს.
რასმე უშვერობაწარმოროშვანიცა.
თვითმკვლელისა მიმართ დღიურ გარიგება.
დამარილული და ჩადებული თხის ხორცისცა მოყირჭება.
ფიაკრ-თ-ქვეშე⁷ ოდა-საქებელთა მოფილაქნებად.
უდგე თანამდგომთა ყურისგდება ცრუმოწმეთა ლურჯი ფანქრით
მონიშნვაცა.
მზის აბაზანათა გახერხება.
მავანისა მიმართ აჟმაგ სიტყვის – “მკურნალიო”, - მიკოსება,
ყელსა სკუნად.
დერვიშთა თუ ქვითხუროთა ქარგალთ ზიარ აშვებულის
ცხორებისცა აღკრძალვად.
საზარდულის თიაქრისადაცა ვინმეს დამუნათებად.
აჟგ გამოთქმად კარტოლინე პოსტალე⁸ რომ არ ძალგდის,
უდივრადცა აზომ ჰყოფდე.
კანცელარიისა მრჩეველადცა ყოფნა.
მზარე-ალაგთა თაურ-სახელის დაწესება.
თავისთავის ბუწუწ-ბუწუწ წეწვა.
ბაღის კრებულისცა პირის ხილვად ქაჩალ-კაცის წარდგინება.
ჭინჭრის ციებისცა სურდოსავით ჩამოფერთხუა.
ჰო-ს თქმაცა.
წითურთმიანს ლამაზმანად ცოლისაცა თუისის შერაცხუად.
წყენისმგურელი პლაკატისცა მეშვეობით საძინებლად
გასტუმრება მთვარის.
ინგლისურის მოთმინების პატრონადცა ყოფნა.

უნარისა თუისის უკურიდება.

ნაღდი განწესებულისა ალაგისა ატოვება ინსსბრუკკ-ელი დედრი

შიშველ პერანგ-ამარ დაატოვო რათა.

წერილთაცა ცეცხლს წარწირვა.

მიმოწერის გარდამალვა.

ბეჭდის ლუქისაცა მეშვეობით კედელგანმჭლოლ სრბისა

მოსურნეობად.

ლუქის ბეჭდის სოფლურს ყოფად მიდრკომასა იქმდე.

საზაფხულო აუზისცა ცალკ-ცალკ თითთა ჩამოყოლება.

ცერის წონა, პირისაცა დაღრეჯანი.

ქალაღდის-პარკ-მოხელთებულ-ასრე ბუღბუღთ მომწყუდევა.

გარემოვლებულცა მდგომარ საყელოდ მზესა გაეთავისთანებინა.

გვესურვებისო, მამრი ჰბრძანებდა, ნადირობიდან შემოქცეულებს

მოსახილველად მიმიზნული შვებულისა იმა ალაგის წიაღ

დადგრომა.

იჭვიანობა და იჭვიანობისა ვითარ წარსახდენლის ვნების

მნიშნველადობად.

სექტემბერ იყო მამრს აეგ წინა-პირველი შალვარი რად

ეწილადა.

აფრიანი ნავი მგ ზავრებიან აღმო-ჰ-ბრუნდებოდა.

კოვნაკ-ქალაქს⁹ წელიწადის ყოელსა ღროს ავდრობს.

მუხის ყოელთ ნაყოფთ შორის ყოვლიადცა-მარგი გახლავს

რკოი.

ღიღნი მიყოლილად წარეწყუიბა მამრს, მათცა გარეირგულივ

მოისროდა იგი.

მამრსა ამას დედრულს სანიჭარსა ჰ-ს-ძღუნიდენ დედრნი.

თუცა ლექსსა ჰ-ს-თხზუიდე ანტონ გერქუას აუცილებელი არის.

არც ქალაღდის, არც ძელნისა, არცად საცკლის მიკულევა

ძალ-უცდა მამრს.

ნამეტურ ფიცხელთა ზონათ წიაღ ესე ყოელიცა არა

მი-ჰ-ს-ჭირდების.

შუბერტ-ს, კარისკაცთა უფროსს თუისსა მამრი გა-ჰ-ს-ძახებდა.

დასაწყისცა გეშინოდა, ვაჰთუ არაოდეს დაბრუნებულყო მამრი.
ბუელმოხელეს ეუწყების სიბეჯითის ავანჩავანიცა.

სიღუხჭირისშიგან მხსნელი იგი მამრი.

უშვერობა-უმსგავსოებანი.

ზღვაოსანმან სკამჯოხითცა თანა-დაატაროს უნდა ჯაფა-წამებად
თუისი.

სრულერთთავად მარდი გახლდა მამრი იგი.

ვენის სამხრით-ტყისა ჰამბვის გულისგული.

სანიშნოდ სიტყუა გარდა-ჰ-ვიწყებოდა მამრსა.

როზალი და ანნა კარლ-სცა და-ჰ-ს-ტუქსუიდეზ, ეღუარდ კიდევ
კაროლინეს დაუშტიალებდა.

თუისსაცა შემობრძანებასცა იქმნდეს მალე გაზაფხული.

ხეკაკუნა კოდალაცა ერთობ სასარგებლო ტყის მფრინველი
არის.

ბუნას ვითარ განცალკეებულსა სამლოცუელოს შთა-ჰ-ხდებოდა
მამრი.

კოოპერატორები თუისით ანცობდენცა.

ო ფრანც ჩემო, ზრდილი თუ ხარ, კარნი ყოულისგნივ იქნება
განგეზუნებოდენცა.

თავმდაბალი ადამიანიცა თუისით ადამიანისა თანა-მენათესავეა.

როზალი და ანნა ბალსა დაეშურებოდენ ყაყაჩოს ყოილის
გასაკეთილშობილებლად, ეღუარდ კიდევ ზენაარისადცა
მოწოდებულობას თუისსა ჰ-მზნევდა.

აქიმისცა ქერივის მეუთოვეს შუენიერსა დედრსა უსაზღვროეს
მწყალობლობდა დიდმთავარი.

ახალს პლაკატს დაჰლანდავდა მამრი, სამართლიანადცა
განაწყენდებოდა იგი.

დედრისადცა წარბნი წარეხოცა ვისლა?

ბატონ დეემელ-ის სავაჭროდს მიდამოდა რძიანს ბრინჯის ფაფას
რასმე მიირთმეულენ ესენიცა.

განსადლიერებლის ქმედებისცა მომწიფება.

რასმე მეორისა სიჭაბუკის თავისთავსცა დაცდა.

შექცევა-მხიარულობის ასაკრებლისაცა გარდახდა გვალდებოდეს.

თეატრდასწრებათა ქება-შესხმა.

საპროგრამმო რვეულისცა ლოთბაზურად წარგებად.

საბაბადცა გაზაფხულის მოშველიებად.

ვერდი-სა და ვაგნერისა კარსცა რეკვა.

მიყუდროვანება.

ულალატობაცა-თუისით გაუცემლობად.

შეკავება-დამჭირვად.

დაყენება-დადგრომად.

ჰალლუცინაციათ ათანებად.

მედევობა-ქმნად.

მოყმის მწყემსის განცდანიცა დიდსა დროებასა მასა შინა.

სწორედ ასე!

დიალაცა.

ლომის წყვილსა ბოკვერნიცა ჰრგუნებიან, დედრი კენგურუ კი
ჯერეთ უცალოდა ჰვიებს.

უკეთურსა იშვილბაზად მიიჩნევდნენ მამრსა მას.

სატახტო ქალაქსცა გამოიზამთრებდა მამრი, გამოზაფხულს
მაინც წესისამებრ ივივ სოფლად გვეწვევოდა.

აეგ გახლდა მამრი, რომლისადცა ვინძლო შესაძლებელ

ყოფილიყო მეტყვეური, თანამდებობრივი გულისგულის სახელ-
დანათლვად.

რივიანად ასრე მოთარგული რეგლან.

ესენიცა ერთურთს შეაჯანჯლარებდენ.

კარგი ხარ, გაგიხარია, მეგობარო, აეგ ნალდი არის!

ათასგვარ არს ხელობად, ბატონკაცთაგანცა წურთვნილ იქმნეს

რომელ: დიდმოავრისა, ზღვაოსნისა, მეტყვევისა, ცურვის
მასწავლებლისა, ნიჩბოსანთა გაერთიანების თავკაცისა,
დარბაზბატონისა და ასრე სხუაცა.

ერთურთისადგაცვლილ იქმნებოდენ მოგონებანიცა.

საკლის კბილთა გასინჯული ეგ საფოსტო ნიშანნიცა.¹⁰

მანათობელიცა შეშხუნები ნემსკავს ჩამოკონწიალებული.

ვარდისფრისცა ძაფით ფეხსაცმლისა კერვა.
მღაბალი არს ბალლი იგი როზა, ხოლო თანა-ჰ-ხლებენ ანნას
ნებივრული გამონდომანიცა.

შემებრის ხეს ვითარ სიძუელის ნემსს შთა-ჰ-ხდებოდა მამრი.
თუისის პიჯაკისა გარდანაკეცს განსამშუენებლადცა მიბნეულ
როკს მამრი მოაცლიდა, რაკი ჭნობა უკვე მი-ჰ-ს-წვენიყო როკსა.
ო მამაჩემო!-ო: თვისსავ მამას მამრი მი-ჰ-რთავდა.
თვისსავ დედრი ბიძაშვილის ქვედატანის აშარიშურებას
მო-ჰ-ყვებოდა მამრი.

ძალტცა მოიკრებდა მამრი იგი.
აზრახდებოდალა მამრი, კრაზანას დაენესტრიყო მამრი.
ნადირობა რამ მამრული სიამეა.
ფეხსალაგსა სულაც კაიზერ თუ ხელმწიფენი მოიხმარენ.
კუნძულს სამოთხისებრს დაბინავებაცა.
გამართულის იტალიურიტა მეტყველება.
სიმღერისა ამისშიგან ვენეციის მონასმისცა დატევენად.
დიდსულოვნებისცა წურთნეუა.
მთასცა აღტანება.

პოეტი და გლეხი
კაროლინე-ს ღალატისა ჰამბავ მამრს საძილე ვაგონშიგან
მიეწევენებოდა.

მაგიდას თუ კედელს მამრი და-ჰ-ორჭყენიდა.
კასლერ კოტელლელტ¹¹-სა ზედაც სოფლის პურსა მამრი
შეუკვეთდა.

ფიქრულად ილიმოდა მამრი.
კვირადღედ იღვა და, არათუ შაბათი დღე, შენი ნავარაუდევნი.
ორს საშრობსა ფურცელს შორის ყოვნსცა დაიღებდა მამრი.
ფილტვის ორივ ნაწევრითა გაზაფხულის ტკბილ-მწარს ჰაერს
სიღრმივ შთაიწოვდა მამრი.

ჯეროვანი როდი არის, ბიჭავ, უმრწემესის დისა ლავანდისცა
სუსნვა!

მზერაგანმწოდეცა,
ზედაპირთა თანაზომად.
საველედ ჭოგრი იგი.
სავსებითცა.
განუზრახველ.
სრულგემიერ.
თანა-დართულ.
შედევობრივ.
წრფის დამსახველ.
ბგერა-წარგერა-წარტაცვა.
სიდიდეთა განწესების შესატყვისად.
შეკითხვად ნებისმიერიცა.
გონისეულ მართლივ იქმნებოდე.
უკიდურეს აუცილებელცა.
ობიექტურ განხორციელებულ.
საერთოდ სურათიცა იგი.
ოთხივგანზომილებიან.
სახელქმნად.
ცნებებრივცა ჩამოყალიბება.
ყოფნა-მართებულობისა მორჯმა.
აღესრულებოდა მამრი იმგვარ რაგვარადაცა უცხოვრია მამრს.
კვლავინდებურ რად გამოჯანმრთელებულიყო მამრი, ნაყოფნიც
მუხის ხისანი უკვე საშუადღოს დაედგინებოდენ.
შემის ანგარიშითურთცა წიგნუკასა მეტყვევდ მამრსა ამას
გადააბარებადა.
შავს შაშვს განსამშუენებლად ქუდის-კიდე განიჩრიდა მამრი,
სასინათლოს გადამართცა ტყისმცველთ ჯიხურს
დაეშურებოდა.
გუნება-ხალისიანი ბიძაშვილი მყავსო, - მეტყვევმან ჰ-ბრძანა.
ჩემი კიდევ ლიბერალურ განხლდა-მეთქი გავკვას-უხები.
ჯანსაღიცა იყო მამრი წყალსსხლეტილის თევზივითა.
გარდამეტებულად შემაქებდა მამრი.
შფოთიანი ვაჟბატონი.

ღმერთთა საესავი მამრი.
მამრი იგი ათასთაგანიცა.
იგი ცალკერძ-ნიშატიანიცა.
მცონარიცა ასრე საყვარელი მამრი.
იგი მოკონტავე მამრი.
ჟინიანი იგი მამრი.
ქირით მღვლომი თავგზიანი მამრი.
იგი მამრი ღამის თევად ჩამომხდარი ქვებუდანი სტუმარიცა.
ვითარ ფოსტის წიგნუკასა ნიშნულ ბატონკაცი ვინმე.
იგი ცალკერძ-ძრავალთაგანიცა.
ასთაგანი.
თექუსმეტთაგანიცა.
თორმეტთაგანიცა იგი.
ათთაგანი.
ცალ-კერძოდ თავქარიანიცა.
ბურთობრივი ელვა.
საკუირველი მამრი ერთადერთი.
მომიტევეთ, **თქუნ** ვით გესახებათ იგი?

მესვის ბრამატიკა-ქრესტომატიაცა

შენის თავის გამო ეგოდენსა არა იფიქრებდე, იფიქრელა მიმართ
მათთა, რომელნიცა შენგნივ მეოხებას მიჰ-ს-ჭირვებენ.

ზოგნი სამუსიკო სავარჯიშოთაცა თუისთა ჰ-ს-წურთნვენ ასრე
შაბლონმიდევნილნი.

შაბლონისა ტანისამოსისაებრცა მორგებად.

ქალიშვილი დედას ეთამაშებოდა, ძიძას ეთამაშებოდა ვაჟი.

სადლეისოდ გვძევებიყო ნესვთა წყება.

ნესვსცა ახილვებდა დედა მონადირეს ამას.

ბალსა ჩუენსა ეპოვების მეტად მცირენი თუ მეტად დიდროანნი
ჯიშნი ნესვისანი.

ბიძას ნართაულად ნესვსცა მიართმევდე, ბიჭავ.

საპირისწამლესა, ტყვიებსაცა ბიძას აახლებდე.

ჯოხის დაპოტინებად.

კარადიდან საპნის დახელთება.

ზრმლისცა წკარანისა გალებინებად.

ვარდის მონაშენებად.

საწოლთზედან ახალთახალ ზეწართ წაფენად.

უმრწემესი ბიძაშვილი გოგონიკას მოსასვენებელსა ოთახს

ვარდის თაიგულის გამოდგმად.

განსაზღვრულსა მდგმოებასა მიხდომად.

ასონიშნის ა-სი effe-დ ქმნად¹

რჩევა-დარიგება.

მტრისგან დატიშვაცა.

წითლად მზერა.

ლამის გარდატანა.

თვის ბოლოკის თესვა სტომაქისცა ამოყორვა.

ნესვის ახალშენთა ველთა პატრონიცა ვყოფილიყავ

მსურვიელებდესო, ასრე იუბნებდა ზოლმე კატალინა².

აემაგ ლუდის ფერი ღია არ მეგუნებება.
მამას ეთამაშებოდა ვაჟი, ქვრივი ღელაკაცის გოგონიკა კიდევე
მოზრდილს ბიძაშვილსა ვაჟსცა.
გოგუცანა ბიძაშვილმან მებალესცა შეათვალეერებინა ნესვი.
მტრის ალამთა გამო, მეგობრისცა ავჟანდათა თაობაზე იუბნებდა
მამრი.
ფართოდგანტოტვილის ცაცხვის ჩეროს სანატრელსცა კაცნი
წარ-ჰ-ს-წვებოდინ.
ან ხვრინვა-ფრთხვენა რქა-დადგმული-ქმრის მართალნო ღმერთნო
თვალთა მათთა
დიაცისათა შიგან ჰ-ვანებდეს ტყის ანარეკლი თითქოსდა მშვინვა
რასმე იმა მწვანილოვნების

მრჩობლს-კამკამა-ტბორს მიდმო-ჰ-ძრვიდეს ბიჯება ჩემი ასრე
ლალი და სწორ-აღმსწრაფველი
დაუდგებოდეს მაგას განა ვის ესურვება როდი ვიკითხავ
წაწოდვილცა ესევე ვიღებ

სანახი 19

განივ-გასულ-მოსასხამს-მოსილ მუნვე ჰ-ვლიდეს ევალდ
კლაისტ³⁴ ეთერისცა
მოფირუზო-შეფერილობა მის ხელს ჰ-ღებვიდეს ხელის-მოგარე-
ჰკიას ბრან-

დენბურგ შიგან რომლის შობილიყვეს ვინძლო ჰაერი დღენათლის
ამის ცქნაფი
გელი ჰაველ³⁵-აღმა-მცორვალ-ესერა მოიძღუანებდეს შროშნისაცა
ცარცსა ამას ეგრედცა

ჟოლოს-დღვილს-ანასხლეტ-აბდღვიალეზულ რა ეგრედცა
შპანდაუ-ს³⁶-ყოვლად-სახელისუფლო ვარ-
დის წინარეცა შუადღის-ხვატს-რეგნილ ესე ტალერის-ტოლ
იღუმალცა იგი შუქი

ტყის-ღრმულის-განმჭოლ-განეფინება დიად ციცინათელაცა მუნ
უკუნს ღამეს გზათა ესერა
გარდა-ჰ-კუეთდეს დღენათელს კიდევ ჰეპელაღ თვისითცა-ასრე-
ყვავილთ-და-ჰბრუნავს მაინც წყნარიწყნარ

ალამილა აღიტყუელდინ ბუკიც მონადირისაჲ ოჰ ჰ-მღუმრებს
ამ კე-
თილქმნულის-ფრენის-წიაღცა შემოდგომის მისადევარს
წარეწვართება იგი მერცხალი ჭილყვაჲ

ამ-ათასობით-რტოთ-გარდმომტანებ რომელთ-შიგან-საბუდარნი
ღიაღცა განლაგდებოდინ გოგონიკებსცა
ალამნი რომელთ განამზადეს ჰ-ვ-მზერდეთ ესერა მამრსცა
ჰ-ვ-მზერდეთ ალამთ მათთა ვინც ატარებდინ

ტბასაცა ლანდი ვინიცობაა გარდმო-ჰ-ულიდეს ტბის
გარეირგვლივ გარეირგვლივ ტბისა ვინძლო იგი მამრიც ე-
ფონ
კლასიტ აღასრულებდინ განზრახულებას თუისსა ესერა
წიფლის-კიდე-წაწოდელ-ლანდიც იფინებოლა შენად

ესერა ოჰ ქვიშის წმიდა დროებაო ჰ-ბიჯებს ამიერ ქვიშის-
ზედან გაუბედავ ესერა
ბიჭი ჰ-ს-ტკარცალებსცა ალამი ესე ადრიელ-ასრე წარეცემოდა
წარეცა რაიც

სანახი 20

gráine განკიცხული ცოლი fionn³⁷-ის მღუიმენი მრავლად აკი
მომიზოხმეკებია-გამიწყვია ვით წელიწადთა წილ დარჩენაჲ გარნა

მეტყოდე მთიანს მხარეს მღუიმევი იგი დაფარული idho is
niort is gort is ailm³⁸ უთხოვრისგან მურყნისგანცა სუროსგანცა
ესერა

კაცთა ბინაური ვითარ ა-ლ-ვაგო ამასთან ლეგა სოჭი შვეტი
ესერა ერთბამ თავისუფალ ვ-ჰ-გიებ
ცხადია თავისუფალ ვით ირემლადი მანინც სამი-სამ ცხრაგზის
წარეწოდოსცა ნადირობა ოჰ

წარმიძლუესცა ნეტამც ურჩხული ცის ვარსკვლავი წინამეგზურ
ხალისიანი

იქ სად წისქვილი იგულვების ავატოვო ეტლი ფარულად
მძლუანიცა იგი

o neill³⁹ კაცი ესერა წამონთებული ცნობებათა მათთ კოდექს-
ცა ამას დაუტევებდა

მი-ვ-ჰ-კვლუდინცა ჩრდილო-რკინიგზას მიმირქმევდინცა
მიმწუხრის-პირ იგი დანდობილ

ყელსახვევ ჩემი ჯერეთ ფრიადცა მადგას სახელმდებდინცა
ჯერეთ ესე

acab riuben teilmon moiria is acab ngoimar is ngoimar⁴⁰

მერცხლებრ-მლტოლვართცა

ჩრდილთაცა ახლიდინ ორაგულთა იგი შურდულნი მატყლის
ქსოვილს

გლეხკაცურის ჩემი სამოსის წარეწვართოდეს ფრთოსანიცა

სად წისქვილი ჰ-ფონებს ესერა ლურჯი წყალია გარნალა ესე
ტყიურს ცვარნამს-შერევილ

თვისსაებრ ასრე ინილბოლდინცა ჰ-ს-ჩხუტებდა როსმე წუეთი
ცუარი გარნა სადალას ჩემებრ ასრე შევინილბოლდე შენავ
ესერა

სანახი 21

წისქვილს აბლიხულ მამლაყინწა დაფქვილული ხელებიცა
პაემანი ესე

ჭალისპირ საყვარელი თამამი ვაჟი მეწისქვილისა მწუხრის
ვარსკვლავიც

შენსავ კინწს დაწოდილი ოდესცა შენგნივ ჭრიჭინობელთა-
კონჩერტო-ჩართულ ვინძლო მოაბიჯებდე მაინც

ესერა არ ჰგუობს მამა დოლაბისეულ-ღამეთა-მათთა-განმჭოლ-
ესერა ჰ-ბოგინებლესცა

თითქოსდა ზეცის კილობნიდან ღრმათ-ბზართა-შუა-გარდმოხვივარ
თოვლის ნამქერი
აიმ-მოხელის-სახლს-მიტანებულ-ჩავლილ-ჩახვეტილ მოხელისა
ვინ გალიაშიგან-გამო-ჰ-გლავს ფრთოსანს

თუთიყუშს მაგას კვერცხის-სახელცა ჩარჩოდ-ესე-ჰ-სჩენს
შთამოება გარნა ასრე მრგვლივია ჩარჩო ვითარ
ძრავალ-ბორბალნი იგი ვნებისანი პეტრე-პავლობის წინარე-დღენი
ზაფხულისაცა აიმ

ყუნწის წინარე განმყუან რომლისა მზეს გამო-ჰ-ს-თრეუდინ
სხივებ-დაყუდრულს
ოლონდ ესაა ჰ-ს-ჩქურებსცა waldo⁴¹ ასრე თვისსაებრ
უსაზმნოდ ჰ-ს-თიბსცა ნაბიჯი მისი

წამო-ჰ-ფრენს მწყერი აჰ დაინდობდეს ბიჯი კაცისა
პაწაწკინტელა კვერცხსა მაგას სახლიდამცა იგი
გამო-ჰ-ბრწყენს ცხაურთ-დატანილ-მოლიკლიკე-სინათლე
ვალდო-ს ჰკითხავსცა

გრეტუნია⁴² ჯერ-ჰ-ყოფდეს-ო რისად ესერა დაურიდალ თუმცალა
მართლივ zinnober⁴³-ბობრი ყმაწვილი იგი
ღრუბელს საძაგელს ა-ღ-ჰ-ხოცდეს მამრი კოცნა ერთბამ
გაღლვებოდესცა მოშუადლებულს

ტყიანთ-შთათა-ზედან ლაჟვარდი თვისით ესერა წარეწოდება
მეცადინებსცა ამაღ მოხელე
უგალობოს თუისსა lory-ს ერთბამ laura⁴⁴ ჰანგი იგი
ააღირებსცა თითს თუისსა მამრი იგი ფიქრთ-მიცემული

დაწესებულება I

პოეტური აქტის რვააშენიანი პროკლამაცია

არსებობს ერთი ყოვლად ხელშეუხებელი ჭეშმარიტება: შეიძლება იყო პოეტი და, ამასთანავე, ერთი სიტყვაც არ გქონდეს დაწერილი ან წარმოთქმული.

ამისთვის ერთადერთი აუცილებელი წინაპირობაა მეტნაკლებად გაცნობიერებული სწრაფვა პოეტურად ქმედებისა. თვით ყოვლად აბსურდული შესტიც კი, ამ სწრაფვით ნასაზრდოები, შეიძლება ამაღლდეს არნახული მშვენიერების აქტამდე, ლექსამდეც კი. ოღონდაც მშვენიერების ცნებას ჩვენ ძალზე ფართო დიაპაზონს ვანიჭებთ.

1

პოეტური აქტი არის შემოქმედება, რომელიც უარს ამბობს ნებისმიერ შუამავალზე, ესე იგი, არ საჭიროებს გამოხატვის ენობრივ, მუსიკალურ, ანბანურ საშუალებებს.

2

პოეტური აქტი წმინდა პოეზიაა. ის სრულიად თავისუფალია აღიარების, ხოტბისა და კრიტიკის ამბიციისგან.

3

პოეტურმა აქტმა, შესაძლოა, მხოლოდ შემთხვევით მიაღწიოს საზოგადოებამდე. ესეც ასიდან ერთ შემთხვევაში ხდება. რაკილა საკუთარი მშვენიებისა და შეურეველი სიწმინდისთვის ანგარიში აქვს გასაცემი, უფლება არა აქვს, საჯაროდ განხორციელდეს, რადგან ის წარმართული თავმდაბლობით გაჯერებულ გულისმიერ აქტად გვევლინება.

4

პოეტური აქტი სრულიად გაცნობიერებულად გადალახავს დროის ფარგლებს და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს უბრალოდ პოეტურ სიტუაციას, რომელიც პოეტის არსებობას არც კი საჭიროებს. ასეთ

სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ბიოური ისე, რომ ეს ვერც კი გაიაზროს.

5

პოეტური აქტი პოზაა, ამ სიტყვის უკეთილშობილესი გაგებით, ყოველგვარი პატივმოყვარეობისგან თავისუფალი, სავსე ხალისიანი თვინიერებით.

6

პოეტური აქტის ყველაზე სათაყვანებელ ოსტატებს შორის ჩვენ ვასახელებთ დემონურ-ელეგიურ კ. დ. ნერონს და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს უფალს, ფილოსოფიურ-ჰუმანურ დონ კიხოტს.

7

პოეტურ აქტს არ გააჩნია არავითარი მატერიალური ღირებულება, ამიტომაც ის პროსტიტუციის სენისგან იმთავითვე თავისუფალია.

8

ჩვენს მეხსიერებაში ჩაბეჭდილი, უკვე განხორციელებული პოეტური აქტი ერთი იმ იშვიათ ფასეულობათაგანია, რომლებსაც მუდამ განუყრელად თან დავატარებთ.

დაღუპული მებობრის დატირება

ფედერიკო გარსია ლორკას სიცოცხლე თითქმის ჩვიდმეტი წლის წინათ შეწყდა სადღაც ფუნტე ბაკეროსთან, შუა მინდვრებში გამავალ შარახე. ციდან ჩამოვარდნილი შავი ლოდივით ჩაჰყვა მას ბნელ სულეთში მთელი ესპანეთის გლოვა და დარდი. ეს დარდი ვერასდროს განქარდება, რადგან ის იმავე ფესვიდან აღმოცენდა, რომლიდანაც – დაღუპულის შემოქმედება: სიყვარულიდან...

ნაშუადღევს, როცა დღის აურზაური მშვიდდება მზით გამტკნარებულ ქუჩებში, ანდა, საღამონახანს, როცა მთვარე გაიელვებს ალვებში, მრავალი მისი თანამემამულე კვლავაც შეიგრძნობს უმძაფრესად, რა ძლიერ უყვარდა ფედერიკო. მაშინ ღუმილი ჩამოწვება იმ არარეალურ ჰაერში, უცნაურად რომ გვაგონებს ნატიფად გრეხილი ბრინჯაოს ან

ვერცხლის ნაკეთობებსა და იმ ქალაქის ვარდებს, კედლის სარკის მარცხენა მხარეს რომ ამაგრებენ...

ფედერიკო გარსია ლორკა საუკუნეთა მიჯნამდე ერთი წლით ადრე დაიბადა შეძლებული გლეხისა და მასწავლებელი ქალის ოჯახში, გრანადას მახლობელ ერთ სოფელში. მშობლებისგან ერგო მისი პიროვნების განმსაზღვრელი თვისებები: ესპანელი ხალხის დასაბამიერი კავშირი მიწასთან და უნარი – ადამიანის სულის უფაქიზესი ძვრების მსუბუქად, თამაშ-თამაშით ამოცნობისა. მშობლები საცხოვრებლად გრანადაში გადადიან: ამ ქალაქს იგი გააუღმებით ისევ და ისევ დაუბრუნდება. ფედერიკო სწავლას ალმერიის კოლეჯში იწყებს, შემდეგ მადრიდში განაგრძობს და ბოლოს ნიუ იორკში მიემგზავრება. სწავლობს ფილოსოფიას, იურისპუდენციას, ლიტერატურის ისტორიას. მისი პირველი პროზა წარმატებას ვერ აღწევს. იგივე ბედი ელის მის პირველ პიესას "პეპელას ჯადოქრობა", რომელიც 1919 წელს ბარსელონაში მაყურებელმა არ მიიღო. ლორკა ლექსების წერას განაგრძობს. მათ ბეჭდავენ. განსაკუთრებულ გამოხმაურებას ჰპოვებს 1924-1927 წლების შუალედში შექმნილი "ბოშური რომანსერო". ტრადიციული რომანსის სტილში დაწერილი ეს სიმღერები სულაც არ არის კლასიკოსთა მიბაძვა, ისინი უაღრესად ავანგარდულია და ძალიან სწრაფად იქცევა ფოლკლორის განუყოფელ ნაწილად. ლორკა რიტმულად კითხულობს საკუთარ პოეზიას საჯარო გამოსვლებზე, რომლითაც მთელ ესპანეთს შემოივლის, ამიტომ მრავალი ლექსი უკვე მანამდე ხმიანებს ხალხში, ვიდრე მას წიგნში დაბეჭილს იხილავენ. 1929 წელს ლორკა დგამს ძლიერი სიურეალისტური გავლენით დაწერილ ტრაგედიას "მარიანა პინედა". მას მალევე მოსდევს კომედია "ღონ პერლიმპლინი და ბელისა". 1930 წელს ამერიკაში მოგზაურობისას იქმნება თავზარდამცემი სისხლიანი სურათებით სავსე ლირიკული ციკლი "პოეტი ნიუ იორკში". პოეტ რაფაელ უგარტესთან ერთად ხელმძღვანელობს მოხეტიალე თეატრალურ დასს, რომლის შემადგენლობაშიც ძირითადად სტუდენტები არიან. ძალზე შთამბეჭდავად დგამს ლოპე და ვეგასა და ესპანური სცენის სხვა კლასიკოსებს. 1935 წლამდე მის დრამატულ შემოქმედებას ემატება "სისხლიანი ქორწილი", "იერმა", "ღონა როსიტა" და "ბერნარდა ალბას სახლი".

მის ბოლოსწინა და უსრულყოფილეს პოეტურ ქმნილებად კი დარჩება "იენასიო სანჩეს მეხიასის დატირება". ეს მოთქმა არენაზე დაღუპული მეგობრის გამო, ოთხი ლექსისგან შემდგარი ეს გვირგვინი, ხარის რქის დარტყმებით მძლავრი და უღმობელი, შეიძლება

თვით ლორკას სიკვდილზე დაწერილიყო. ჯერ კიდევ გაუაზრებელია მისი გავლენა ჩვენი დროის ლირიკაზე... მისი ფრაგმენტები სამუდამოდ ჩაინთქა შემდგომი ბობოქარი დროის წყველიაღში. ესპანეთის სამოქალაქო ომის დასაწყისში პოეტი, არასდროს რომ არ ყოფილა პოლიტიკოსი, შესაძლოა, რაღაც გაუგებრობის გამო, მძევლად აიყვანეს, შემდეგ დახვრიტეს და საერთო საფლავში დამარხეს.

მოდით, მის მოსაგონრად, ყვავილი დავლოთ მსოფლიო რუკაზე, იქ, სადაც ესპანეთია.

მანიფესტი

ჩვენ მთელი ენერგიით ვუცხადებთ პროტესტს
იმ ყოვლად ამაზრზენ ბალაგანს,
რომელსაც ექნება ადგილი
ავსტრიის მიწაზე
შეიარაღების ხელახალი დაკანონების შემდეგ...

ყველანი ჯერაც ყელამდე ვართ სავსე
იმით, რაც წინა ჯერზე ვიგემეთ –
ამჯერად ჩვენ ნულარ ჩაგვრევთ!

ეს უსაშველო თავხედობაა
იშვიათი უნამუსობა
ათი წლის მანძილზე
აწარმოო ანტიმილიტარისტული პროპაგანდა
ფარისევლურად იკნავლო მშვიდობასა და სამართლიანობაზე
სათამაშო ჯარისკაცები და ინდიელების შესახებ ფილმები
(პლაკატები დღესაც ჰკიდია ქუჩებში...)
დაგმო როგორც ამორალური აგრესია
და უცებ
ეგრეთ წოდებული საბოლოო თავისუფლების
ქარის პირველ ქროლვაში
ჯერაც სკოლადაუმთავრებელ ახალგაზრდებს

ბინძური იარაღი შეაჩეჩო ხელში!!
ეს ატავიზმია!!!
ეს სიველურეა!!!
ეს პირველი ნაბიჯია
დაკანონებული კანიბალიზმისკენ!!!

მოგიწოდებთ ყველას:
ბრძოლა გამოუცხადეთ ამ ბარბაროსობას!
არ მისცეთ უფლება რადეცკებს
ლოინმაისტერებსა და კაიზერიეგერებს
თვალები და ყურები დაგიხშონ...
ბოლოს და ბოლოს უარი თქვით დაფნაზე!!
დაფნა კარგია წვნიანში!!!
დაფიქრით იმაზე
თუ რა ღირსებას
შეიძენს ავსტრია
თუ ძველებურად დარჩება
მსოფლიოს ერთადერთ სახელმწიფოდ
რომელიც ამ ენითგამოუთქმელ იდიოტობას
თავისზე უფრო სულელებს უთმობს!!
ზუსტად ისევე როგორც პირველყოფილთა
და გამოქვაბულის ბინადართა კანიბალიზმმა
თავისი დრო მოჰტამა
გასული დროის ომობანაც
უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ!

სჯობს ის სამი მილიარდი –
თუ ვინ იცის კიდევ რამდენად მეტი –
რასაც ახალი ფედერალური ჯარი ჩანთქავდა
კულტურასა და ცივილიზაციას მოვახმართო!!
რისთვის ეს მეტიჩრობა
რასაც გამოპრუტუნებული ბიუროკრატები გვაძალებენ..?!

ისეთ ავსტრიას
რომელიც ხელახალ შეიარაღებაზე დალაღებს

მხოლოდ ბაყაყს თუ შევადარებთ
ბანდაჟით თიაქარგაკრული და გლუკოზით გაჭყეპილი
გარდასული ღროის ღვევმირთა ხმლის აწევას რომ ლამობს...

გაცემულია 1955 წლის 17 მაისს ვენაში

ვილანდ შმიდის შესახებ

ვილანდ შმიდს შუა საუკუნეების კელტთა მეომარ ბარდებს შევადარებდი: ტალეისინსა და გუოლხმეის. მათსავით ისიც ბუნების მგოსანია, გმირთა მეხოტბე, ლაშქართა შემაგულიანებელი, უპირველესად კი – ჯადოქარი: ნიმუში მინდა მას მოეუნახო / ნიშნით მტრედისა და ვაზის ყლორტის / პეპლისა და ბალახის ღერის / დიონისესი და ავაზისა.

ჩვენს დროში, როცა პოეზია მეტწილად სენტიმენტალურ ან ფსევდოფილოსოფიურ სახეს იღებს, ის შეგებულად აღიარებს შუა საუკუნეების პოეზიის პრინციპებს. თავადი ოსვალტ ფონ ბოლკენშტაინია მისი მოძღვარი. მისი შთაგონებით წერს. იგი იმათ რიცხვს მიეკუთვნება, ვინც თანამედროვე გერმანულენოვან პოეზიაში კვლავ შემოიფანანა საგანი და პიროვნება. თუ არ ვცდები, მის ლირიკულ კრებულში "ქარის რუკა" მხოლოდ შვიდ თუ რვა წინადადებას თუ ნახათ ისეთს, აბსტრაქტულ გამონათქვამს რომ შეიცავდეს. რასაც ის გვაწვდის, არის დაკვირვებები, გამოცდილებები, განვრცობანი. თავად ბუნება კონკრეტულად ფიგურირებს წიგნში, ბუტბუტებს და მღერის მასში. მისთვის, როგორც კელტი მგოსნისთვის, მიდამოსთან, მის მდინარეებთან და ჩარჩქერებთან, ტყეებთან და კლდეებთან საუბარი მითოსური აქტია, რომლის მეშვეობითაც სიტყვა გარდამსახველად მოქმედებს სამყაროში.

იმ აბსტრაქტულ ჯვანარში, დღესდღეობით პოეზიის გზები და ბილიკები რომ ჩაუხერგავს, ის გზას მიიკვლევს უშიშრად და შეუცდომლად ძველი, მივიწყებული, მაგრამ ჭეშმარიტი საგნებისკენ: ჰაინრიხ ფონ ჰარდეგეს საგანისკენ, ღონ კიხოტის წისქვილისკენ, ქრისტობალ კოლუმბუსის ინდოეთისკენ, იმ კალმახებისკენ, რომლებსაც უსინათლო რაფტერი ჭვრეტს ერინის კამკამა ნაკადულებში. მამასადამე, წარმოსახვითის ზღვარზე არსებული საგნებისკენ. წარმოსახვითისკენ და არა აბსტრაქტულისკენ! ეს ზღვარი არავის უნახავს: საამისოდ კონდორის თვალი უნდა გქონდეს,

მაგრამ ტყის ღალღები სწორედ ამ ზღვარს მიუყვებიან ხტუნვა-ხტუნვითო, წერს იგი.

მითოსის გზაზე შედგომა ბევრ ჩვენგანს ღღესაც ისეთ საქმედ ესახება, სიტყვათშემოქმედებასთან საერთო რომ არაფერი აქვს. არადა, ის ხომ წმინდა სიტყვათშემოქმედებაა. მითოსი, წერს მირჩა ელიადე, საჭიროებს თქმას და არა მოყოლას. ვილანდ შმიდი სწორედაც რომ მთქმელია. ის ასწლეულების შემდეგ კვლავაც ახალ გამონათქვამებს, ახალ ფორმულებს გვაწვდის: ჩვენზე უფროსი იალქანია, ხოლო ქარი – მასზე უფროსი.

1959

კარლ ლინე: ლაპლანდიური დღიური

როდესაც 1961 წელს სტოკჰოლმში პირველად მომხვდა თვალში "Iter Lapponicum", კარლ ლინეს ლაპლანდიური დღიური, და მის კითხვას შევუდექი, მოულოდნელად შემძრა ორმა ძლიერმა განცდამ: პირველი იყო გამაოგნებელი და უშუალო სინორჩე რაღაც საოცარი და უშუალო პოეზიისა, ხოლო მეორე: არანაკლებ საოცარი გრამატიკული დაუდევრობა, მთელ ჩანაწერებს გაუვალ ლაბირინთად რომ აქცევს. რა თქმა უნდა, ამ არეულ-დარეული ფურცლების პოეზია უხვად გვინაზღაურებს იმ *summa difficultas geographiae*¹-ს, რომელსაც გვიქმნის ტყეებითა და მთიანეთით დაფარული ლანშაფტების უეცარი გადასვლა სულის სანახებში, ლათინურ საკრალურ ჭალებსა და მთებში, ანდა – პირიქით.

რამდენადაც გაუმიზნავია ლინესეული დღიურის პოეზია, რამდენადაც უდანაშაულოდ და უნებლიეთ იჭრება მეცნიერებაში, მით უფრო შთამბეჭდავად მოქმედებს იგი თავისი ხშირად ერთმანეთზე უწესრიგოდ დახვავებული ეპიზოდებით, დაკვირვებებით, გრძობათა შეფასებებითა და ბუნების აღქმით. ჩვენს თვალწინ გამაოგნებელი მოვლენები იმლება. ვხდებით მიკროკოსმიური თავგადასავლების მომსწრენი. თავგადასავლებისა, რომლებიც *Vaccinia nigra*-ს ბუტკოს შეფერილობიდან ანდა *Sceptrum Carolinum*-ის ფესვიდან გვეგებებიან, – ან სულაც კეთილგანწყობილი მომთაბარის სამეზავრო ქვაბიდან, არქტიკული სიმარტოვის კლდოვანი

1 ლათ.: გეოგრაფიულ სირთულეთა ჯამი (მთარგმნელი)

მიდამოდან, ან იშვიათი ხოჭოს ფრთის მოლურჯო ჯავშნიდან. ყოველივე ისევე ახალთახალია ამ სამყაროში, თითოეული არსი კვლავაც ბზინავს და კრიალებს ნამის წვეთებით, როგორც ოვიდიუსის ახლად აღმოჩენილ ოქროს თუ ვერცხლის ხანაში, რომლის სუნთქვაც, ყოველი აღმოჩენის გამო ლინეს ხალას სიხარულთან გადახლართული, "Iter Lapponicum"-ის თითოეულ ფურცელს მსჭვალავს. ყველაფერი კვლავაც იმკვიდრებს თავის კანონიერ ადგილს: მიწისქვეშეთის ძრწოლაცა და ფლორას მშვენიეც, რომელიც მზად არის ფეხუსთან შესაუღლებლად.

“ლექსი და მისი ავტორი”

ლანდშაფტი 8.

*ნანატრი ავდარი ძროხას ჩაეხლართა რქებს შუა
ნელ-ნელა მიჩანჩალებს ეს ზანტი ძროხა*

*შინაური პირუტყვი მუხათა ხეივნაში მის ჩრდილში რომელსაც
მშვიდი გარემო ირეკლავს ძროხა მოსეირნობს რქებს შუა*

*ქარიშხლით წამები ჩაივლის სწრაფი მატარებელი მხუილით
გაქროლდა თითოეული ელვა ჯერ კიდევ მყარად ზის თითბრის ჰილზაში*

*ოპო მეცხვარე ბალახში ყვერებს იფხანს ვიცი გაავდრდება
ვერძნობ ამას არადა რამდენი საქმე მაქვს*

*ჭაბუკი მონეტას ტბორში გადაავდებს ის თვალში
მოხვდება ჭექა-ქუხილები ფრაიას თეთრეულის*

*თოკებზე ფენია ჯერ გასაშრობია ორთქლმავლის საჭესთან მძლოლს
ხელი ეშვება რბილსა და დაბინდულზე ის ყვერებს იფხანს*

*ოპო გაავდრდება ვეძნობ ამას არადა რამდენი საქმე მაქვს
მუხების ხეივიდან ძროხა მოსეირნობს ჰილზები ჰკიდია*

რქებშია სარეცხის თოკი აქვს გაბმული
ზედ შრება ქუხილი ქარიშხლის სურნელში მუხათა კორომზე

იღვიძებს რომელიც ფარფატებს ფრაიას სიქათქათე ჭაბუკი
ყვერებს იფხანს ოპო გაავდრდება ვერძნობ ამას დღეს

საქმე საერთოდ არა მაქვს ეს მომწონს წვიმა ჩამოიქცა
ელვები ამოსკდა ჰილზებიდან მეხი

მარწუხებიდან გათავისუფლდა ძროხა დამფრთხალია მუხა
თავსა ხრის ჭაბუკი მას: ფრაიას ნებართვით ერთი კოცნა.

მე წავიკითხეთ ლექსი "ლანდშაფტი 8", რომელიც ამავე სახელწოდების ოცლექსიან ციკლშია შესული. მსურს, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, – რომელსაც ესსეისტიკასთან არცთუ ბევრი რამ აქვს საერთო, – განვიმარტოთ, თუ რა მნიშვნელობას იძენს ჩემთვის სიტყვა "ლანდშაფტი" და რა ადგილი უკავია მას ჩემს გრძნობისმიერ გამოცდილებათა "მეურნეობაში".

1961 წელს სტოკჰოლმში შემთხვევით ჩამივარდა ხელში კარლ ფონ ლინეს წიგნი "Iter Lapponicum". ლინე იმხანად, XVIII საუკუნის დამდეგს, სტუდენტი იყო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შეისწავლიდა, მან მიიღო სტიპენდია, რომელმაც საშუალება მისცა ლაპლანდიაში გამგზავრებულიყო და იქაურ ბუნებასა და მოსახლეობაზე ეწარმოებინა დაკვირვება. ამ მოგზაურობის შესახებ ლინემ ვრცელი სამეცნიერო ნარკვევი მოამზადა (მისი ნახვა სტოკჰოლმის ბიბლიოთეკაშია შესაძლებელი). მაგრამ პარალელურად მას უწარმოებია პირადი დღიური, რაც მეტწილად ურთულეს პირობებში, ხანმოკლე შესვენებებისას ან უნაგირზე ჯდომისას უწევდა. ეს დღიური ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, არასრულყოფილი და დაუსვეწავია. მიუხედავად ამისა, როგორც კი ის წავიკითხე, მამინვე მივხვდი, რომ რაღაც ჩემთვის უზომოდ მნიშვნელოვანს მივაგენი. ის, რომ მოგვიანებით ეს წიგნი ვთარგმნე, მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტია. მომწონს იმან, რომ ნატურალისტის მედიდური და დისტანცირებული ანალიზის ნაცვლად აღმოვაჩინე წამიერი გაელვებით გაუკვდავებული წვრილმანები, სულ ერთია – ორგანული თუ არაორგანული, ბუნებრივი თუ სოციალური ხასიათისა: მთლიანიდან ამოღებული დეტალები, ჯერაც თავიანთი უტყუარი ფაქტობრიობის

შუქით რომ არის გაცისკროვნებული. აქ ვხვდებით მინიდახასიათებას ამა თუ იმ მცენარისა, ან კვირტისა, ეს-ესაა რომ განსწილა, ან მზის შუქის განსაკუთრებული რაკურსისა, სრულიად ახალ ბზინვარებას რომ სძენს მცენარეს. აქ ნახავთ მინერალების, ხის ჯიშებისა და კულინარული რეცეპტების ჩამონათვალს, შუაცეცხლიანი ქიხმასებისა და აბანოების ინტერიერის აღწერილობას, აგრეთვე, უნებლიეთ "პოეტურ ჩანაწერებს" თვალის უცნაური დაავადების თუ შარდის ბუშტის ანთების და, რა ვიცი, კიდევ რის შესახებ, – ფრინველთა თუ ამფიბიათა სახეობები, მზეზე დაკვირვებები შუალამით, – ყოველივე ეს ყოფიერების თავისუფალ ელემენტებად გვევლინება და ყოველივეს ერთნაირად დიდი ფასეულობა ენიჭება. მსურს ჩემი აღტაცების დასაბუთებად ერთი-ორი მაგალითი მოგიყვანოთ ამ წიგნიდან:

"ტოროლა მთელი გზა გვიმღერდა, ჰაერში ცახცახებდა:

Ecce suum tirile, tirile, suum tirile tractat.

ტყეში, ტბორის გადაღმა იზდება ყველანაირი სახეობის *Lycopodia: sabiniae, cupressi, abientis, bifurcati.*

Nomina plantarum:

Botska. გამოიყენება საკვებად. alias Rasi. ანგელოზა.

Fatno. Angelica. Caulis. ანგელოზა.

(ღერო და ფოთლები)

Jerja. Sonchus purpur. ღიჭა.

Jert. გამოიყენება კოჭას მაგიერ.

Hótme. ლურჯი მოცვი. ჭაობის კენკრა.

Cheruna. თეთრი მწყერი, პატარა და ნაზი.

Lues. დიდი ზომის ორაგული.

Stabben. თევზი.

Ketke. სამურავი.

და ა. შ.

ჩასვლისთანავე დამაბინავეს და უკვე დაწოლას ვაპირებდი, როდესაც უეცრად ოთახის კედელზე კაშკაშა ნათებას მოკკარი თვალი. შევმინდი, ხანძარი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ მალევე მივხდი, რომ ეს ფანჯრის მიღმა ამომავალი მზის მეწამული ნათელი ყოფილა, რასაც ჯერ სრულე-ბით არ მოველოდი. მამალი აყივლდა, ჩიტები აჭიკჭიკდნენ. ზაფხულს კი არა და არ ენება მობრძანება". სულ ასე გრძელდება.

ეს გახლავთ დაკვირვებები, არა განგებ განატიფებული, ესთეტიზებული, არამედ – უზუსტესად ჩამოყალიბებული დაკვირვებები, რომ-

ლებსაც საფუძვლად უდევს ის უხეში და მყარი ფაქტები, რასაც სიცოცხლე ემორჩილება ქვეყნიერების ამ კონკრეტულ კუნჭულში. ლინემ საკუთარი კვლევებისთვის შეადგინა დამხმარე ნუსხათა და ბგერათა ჯგუფების მთელი რიგი. ამ ყველაფერს სიურრეალიზმის ელფერი დაჰკრავს და, ამავე დროს, ყოველწამს გაიელვებს ძლიერი ნება და თვითდამკვიდრების წყურვილი, რაც თითოეულ სურათს თუ განცალკევებულ ბგერას ყოვლისმომცველი გამოცდილების ფარგლებში აქცევს. ჩვენთვის ცნობილია ავტომატური წერის ცნება. ის ამ შემთხვევაში არ გამოგვაღგება. მაგრამ ხელისშემშლელი ფაქტორების ფონზე, განსაკუთრებული ძალისხმევითა და შთაბეჭდილებათა სწრაფი მოხელთების შედეგად, წერას მსგავსი შედეგი მოსდევს. ესაა სიტყვათა და მოვლენათა ჯაჭვების ნახევარფაბრიკატები, წყვეტილი გამოცდილებანი, აღქმიდან სპონტანურად ამოკრებილი და სწორედ ამ სპონტანურობის ხიბლით განმსჭვალული, - ხიბლით, რომელსაც აუჩქარებელი და ნატიფი შესწავლის პროცესი მუდამ მოკლებულია.

უკვე ლინეს წიგნის თარგმანზე მუშაობისას დავიწყე წარმოსახვითი დღიურის წარმოება. მას სახელად დაერქვა "გუშინდელი დღის ძიება ანუ თოვლი ცხელ ფუნთუშებზე". ამ დღიურის მიზანს როდი შეადგენდა ჩემი ყოველდღიურობის თანმიმდევრული აღნუსხვა. მისი მეშვეობით მსურდა ჩემი აღქმა გამეკარჯიშებინა ამ ყოველდღიურობის მასშტაბური დეტალების დასაფიქსირებლად. სიტყვა "მასშტაბურს" აქ ხარისხობრივ მნიშვნელობას ვანიჭებ. იმ პერიოდში ბევრს ვმოგზაურობდი, ხოლო მოგზაურობა ჩემთვის უბრალო გადაადგილებას კი არ ნიშნავს, არამედ – გაშინაურებას ყველა იმ ადგილთან, რომელსაც გავივლი, ნანახის აღქმასა და დაფიქსირებას და ამ ნანახის საფუძველზე საკუთარი ხედვის მუდმივ დახვეწას.

ლანდშაფტების თუ ზოგადად სამყაროს ნახვის წყურვილი ჩემში როდი ეფუძნება პატივმოყვარეობას მავანი კარტოგრაფის თუ გეოგრაფისა, კარგად დასაბუთებულ ანდა სრულიად გაუგებარ დაკვირვებებსა და დასკვნებს რომ გვთავაზობს; არც ჩემი პატივმოყვარეობა ისახავს მიზნად კლასიკური რომანის ფორმით გადმოვცე დასაბუთებული და ყოვლად გაუგებარი არსებობის ხატი. ლანდშაფტის აღქმა ჩემთვის ნიშნავს კოლობხს, რომელსაც ფეხი წამოკარი, სურნელს, რომელიც ტრიალებს ქუჩაში ზუსტად თორმეტ საათზე და არც ერთი წუთით გვიან, ელექტრონურ ხის სიმღერას, როდესაც დამტკვრილი ფარის მიღმა ვზივარ

სასტუმროს ნომერში, ანდა ამას: ველურად გაბარდული ჭინჭრის ინტიმურ სიმწვანეში ლუდის ნაბახუსევი წყლების დაცლას.

მე შევეცადე ამეხსნა თქვენთვის, თუ როგორ აღვიქვამ ლანდშაფტებს და რა სახით ილექება ისინი ჩემი სულის ფსკერზე. რაც აქ გაიმბეთ, მხოლოდ წინაპირობებია, ძალზე პირადული დეტალები: ლექსის დაწერა კი სრულებით სხვა რამ გახლავთ. ის, რაც ახლახან მოისმინეთ და რასაც დღეს კიდევ მოისმენთ, გარკვეულწილად, შემდეგი სიტყვისმიერი მასალით არის გაპირობებული: ავდარი, ძროხა, ჩრდილი, მეცხვარე, ბალახი, ავდარი, ძროხა, თითბერი, თოკი, ჰილზა, ელვა, თითბერი, ჭაბუკი.

ამ სიტყვათა მიღმა დგას წარმოდგენები, რომლებიც, მეტნაკლებად, პირადად "მე" გამაჩნია, მაგრამ ეს წარმოდგენები თავისთავად ჯერ ვერ ქმნიან ლექსს. როცა ჩემს წარმოდგენებს ტექსტში ვათავსებ, ამით, გარკვეულწილად, ვაღწევ მათგან გაუცხოებას: რადგანაც სიტყვებს გარკვეული მაგნიტური ძალა გააჩნიათ, რომელიც მათ ერთმანეთს მიზიდულობის კანონით უკავშირებს. მათ შორის "სექსუალური" კავშირი მყარდება, ისინი იწყებენ ერთმანეთთან შეჯვარებას, მრუშობას, მაგიური მოქმედებებით მაჯადობენ, მათ თვალები აქვთ, ხოჭოების ფასეტური თვალების მსგავსი, და ამ თვალებით ყველა კუთხიდან აშტერდებიან ერთი მეორეს. მე სიტყვათა მაჭანკალი და სუტენიორი ვარ, მე მათ სარეცელს ვთავაზობ; იმთავითვე ვგრძნობ, თუ რამსიგრძე უნდა იყოს პწკარი და როგორ უნდა დასრულდეს სტროფი. ელვა ანაყოფიერებს წამებს, ჰილზები უეცრად თითბერში ამოჰყოფენ თავს, ძროხა რქებშუა მოიქცევს ავდარს, ფრიაას სისპეტაკე ხიბლავს ჭაბუკს, მეცხვარე ყვერებს იფხანს, ჭაბუკი ყვერებს იფხანს, მემანქანე ყვერებს იფხანს და საჭიდან უსხლტება ხელი.

ხედავთ, ქალბატონებო და ბატონებო? საკუთარ შეგრძნებებზე როდი მოვითხრობთ: სიტყვები გამოძყავს სცენაზე და ისინი თავად წარმოგიდგენენ თავიანთ ქორეოგრაფიას.

ლექსებს, რომლებსაც აქ გიკითხავთ, ლანდშაფტები ეწოდება. როგორც ხედავთ, ეს არ გახლავთ ლანდშაფტები ამ სიტყვის გარცლებული მნიშვნელობით, — ეს უფრო შინაგანი სანახებია, წარმოსახვითი პეიზაჟები, რომლებსაც თავად სიტყვები ქმნიან, ან, უფრო ზუსტად, რომლებიც სიტყვების მეშვეობით ხელახლა იქმნება.

(1967)

დანართი II

მს იყო ფერსული*

მარია ფიალიკის საუბარი ჰ. კ. არტმანთან

მარია ფიალიკი: ვილანდ შმიდმა ერთხელ დაწერა: "ჰ. კ. არტმანმა პოეზია და სინამდვილე ისე აურ-დაურია ერთურთში, რომ ისინი საბოლოოდ განუყოფლად შეერწყნენ ერთმანეთს". რას იტყვით "მიოღლინგის ჯგუფის" შესახებ, რომელსაც, სხვებთან ერთად, ორმოცდაათიანი წლების ვენის ავანგარდის წარმომადგენლებიც მიეკუთვნებიან?

ჰ. კ. არტმანი: ის, რაც მაშინ მიოღლინგში ხდებოდა, მთელი ომის შემდგომი ლიტერატურის წარმომშობი და მასაზრდოებელი დერიტა გახლდათ. სწორედ იქიდან მოყოლებული ავიღეთ მე და ჩემმა მეგობრებმა გეზი "ახალი გზებისა" და არტ-კლუბისკენ. მიოღლინგელი ვერნერ რიმერშმიდი იმ დროისთვის პატრიარქის როლს ასრულებდა. რამდენადაც ვიცი, სწორედ მან თარგმნა პირველად ისილორ დიუკასი: *Les chants de Maldoror*¹.

ფიალიკი: ვერნერ რიმერშმიტის ეს თარგმანი ერნსტ კლაინის, ანდრეას ოკოპენკოს, ჰენრი იელინეკის, ვილანდ შმიდის, ჰანს ვაისენბორნისა და ჰ. კ. არტმანის ტექსტებთან ერთად 1952 წლის მარტში გამოქვეყნდა კრებულში "ახალგაზრდა ვენელ ავტორთა ჯგუფის პუბლიკაციები", რომელიც ანდრეას ოკოპენკომ გამოსცა.

არტმანი: ვერნერ რიმერშმიდმა მოგვიანებით კიდევაც წაიკითხა დიუკასი ჩვენთან, თეატრში ბალგასეზე. არტ-კლუბში ხომ "ახალ გზებამდეც" იყო გარკვეული ჩანასახები, თუმცა იქ უფრო დაუპატიჟებელი სტუმრებივით გვეპყრობოდნენ, რაკილა არც მხატვრები ვიყავით, არც მოქანდაკეები. იქ იყვნენ ვილანდ შმიდი, რენე ალტმანი და ჰუმბერტ ფინკი, ეს პირველი მწერლები იყვნენ, ვინც კი გავიცანი.

* *Es war ein Reigen. Gespräch mit H. C. Artmann, Poet. წიგნში: Maria Fialik. "Strohkoffer" Gespräche. Paul Szolnay Verlag, 1998. გვ. 7-38.*

¹ ფრანგ.: მალდორორის სიმღერები (მთარგმნელი)

ფიალიკი: თქვენ არასოდეს ყოფილხართ არტ-კლუბის წევრი, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ გაპუდმებით წერენ.

არტმანი: მართალია, ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ. ღობეზე შემომხედარ ბავშვებს უფრო ვგავდით. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ხომ დავიმკვიდრეთ თავი. იყვნენ ისეთები, ვინც მხარს გვიჭერდა და – ისეთებიც, ვინც ჩვენი წინააღმდეგი იყო. ალფრედ შმელერი ჩვენსკენ იყო. თორბერგი მე პირადად მტრულ ფიგურად დამამახსოვრდა.

ფიალიკი: ვილანდ შმიდი 1951 წლის სექტემბრისა და 1952 წლის მაისის შუალედში პატარა ყოველკვირეულ გაზეთ "მიოდლინგერ ნახრიხტენის" ("მიოდლინგის ცნობები") რედაქტორი იყო. მისი პატიემოყვარება მოითხოვდა, კვირაში თითო გამოგონილი რეპორტაჟი მაინც გაეშვა გაზეთში. ამ რეპორტაჟთა უმრავლესობის მიღმა თქვენ Spiritus rector²-ის სახით იდექით. ჰონორარს თუ იღებდით ამისთვის?

არტმანი: ასე ხუთიდან ათ შილინგამდე.

ფიალიკი: რა ფსევდონიმებით აქვეყნებდით თქვენს მასალებს?

არტმანი: მაგალითად, ჰანს იაკობ თირშენროითერი. ერთ მასალას ჩემი ნამდვილი გვარიც კი მივაწერე. საინტერესო იქნება, თუკი ამ მისტიფიკაციებს ვინმე დაძებნის.

ფიალიკი: იყო კიდევ რომაულ კედელთან დაკავშირებული ამბავი: ეს მიოდლინგსა და ჰინტერბრიულს შორის განლაგებული ნანგრევებია, რომანტიზმის ეპოქაში რომ აშენდა.

არტმანი: დიახ, ამაში პეტერ რიდიან ვილიამსიც იყო გარეული, – ცნობილი ადამიანი კარდიფიდან. ბევრი დაიწერა რომაულ კედელზე აღმოჩენილი კელტური წარწერების შესახებ. ცხადია, ვილიამსი არც კელტოლოგი გახლდათ და არც რაიმე უპოვნია ამ კედელზე. ეს სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიდა, – "ვენის ტყის თქმულებები".

ფიალიკი: საგანგებო ადგილი უკავია ჰინტერბრიულში ნანახი მოჩვენებების ამბავსაც.

არტმანი: ერთ-ერთი ჩვენი მიოდლინგერი მეგობარი ერთ გოგონას ეთაყვანებოდა, რომლის მამასაც ეს ღიდად არ ეპიტნაებოდა. ჰოდა, ჩვენც მრისხანე მშობელს ოინი მოვუწყვეთ. ნათურებითა და ყმუილით ჩამოვუარეთ რომაულ კედელს მისი ნაკვეთის საზღვარზე, – როგორც "მეწისქვილესა და მის შვილშია", – და შემთხვევით ყვავილების სათბურის მინა ჩაუვლეწეთ. ხმაურით გაღვიძებულმა პატრონმა პოლიციაში დარეკა

² ლათ.: ხელმძღვანელი სული (მთარგმნელი)

და ჟანდარმერიაც მოქანდა სირენების წივილ-კივილით. დიდი ვაი-ვაგ-ლახით გადავფოფხდით ეკლიანი გისოსის ღობეზე. მე და პეტერ რიდიან ვილიამსი ანაფორებში ვიყავით გამოწყობილნი და ასევე დავბრუნდით მიოდლინგში. 661 ნომერში ვილაც ორი ხნეური დეიდა ძალზე მოწიწებით მოგვესალმა.

ფიალიკი: 661 ნომერი სანიბუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უსწრებს ენის ჯადოქრობა ფაქტობრივ ლოგიკას.

არტმანი: ჩვენ მართლაც ორი გადასარევედ წარმოსადეგი მღვდელი ვიყავით. აუცილებლად შეხვდით ვილანდ შმიდს. ასეთი შეხვედრებისას სიტყვა სიტყვას მოსდევს და შეიძლება ისეთი რამ მოგაგონდეს, რაც დიდი ხნის მანძილზე დავიწყებული გქონდა. იქიდან ბევრი ხომ ცოცხალი აღარ არის, თუნდაც რენე ალტმანი. ამ ოინში მონაწილეობას ისიც იღებდა. სწორედ მან მითხრა ერთხელ: იცი, რაღაც არტ-კლუბი გაჩნდა, იქ სიურეალისტები იკრიბებიანო. ჩვენც ავდექით და მივედით. მერე თითქმის ყოველდღე ჩავდიოდით "ჩალის ჩემოდანში". ზამთრობით ყოველთვის თან მქონდა შილინგიანი მონეტა გარდერობისთვის. იმ დროს ფული თითქმის არ გქონდა და ერთი შილინგი ძალიან ბევრი იყო, მაგრამ მთელ საღამოს პალტოთი ვერ ვიჯდებოდი. თითქმის არაფერს ვუკვეთავდით. დროდადრო მოხუცი თავადი შეარცენბერგი ლანგენლოიზური ღვინის ორლიტრიან ბოთლს გვიწყალობებდა ხოლმე. მისი მთავარი ხუმრობა ის გახლდათ, რომ ყოველთვის ფრანგული აქცენტით უკვეთავდა: "ორმაგი ლონგლუა ბატონ ხელოვანთათვის!" – დანარჩენ დროს უბრალოდ ვისხედით და კკამათობდით. ქალაქიდან ყოველთვის ფეხით მოვდიოდით და ასევე ვბრუნდებოდით ხოლმე.

ფიალიკი: ჰუნდერტვასერი კი რძეს სვამდა!

არტმანი: რძეს? სად ჰქონდა რძის ფული?! წყალს სვამდა და გაზეთზე ეძინა. მისი მაშინდელი ცოლი შტაიერის მხარიდან იყო, მის დეიდას სამხატვრო მალაზია ჰქონდა ჰიმელფორტენგასეზე. აღარ მახსოვს, დეიდას რა ერქვა, სიმპათიური, პატარა, მრგვალი ქალი იყო. ქულებს ატარებდა, რომლებზედაც მწვანე, მშრალი ატრის³ კონები იყო დამაგრებული, მშიერი კაცისთვის მართლაც რომ კარგი სანახავი იყო. ჰუნდერტვასერმა თავის შტაიერელ ცოლს იაპონური სახელი შეარქვა და იაპონურ სტილში აცმევდა; აიძულებდა, მაკიაჟით თვალის ჭრილი დაეგრძელებინა. რაღა გასაკვირია, რომ გაექცა? მოგვიანებით ნიჰონის ნამღვილი ქალიშვი-

³ "Tagliatelle", ბრტყელი მაკარონის მსგავსი ავსტრიული კერძი (მთარგმ).

ლი შეირთო, გიუდეკაზე თავის სასახლეში აცხოვრებდა, რამაც მთელი გარემოცვა მხატვართა იაპონურ უბნად აქცია.

ფიალიკი: ფრიც რიდელის ატელიეში თუ ყოფილხართ?

არტმანი: თრაულდ ჰუთერის ბინის პირდაპირ, – ჰო, რა თქმა უნდა, იქაც დავდიოდით, ჩეხური სკოლის პირდაპირ. მაშინ ფრიც რიდელი ჯერ კიდევ იოანა თულთან ერთად ცხოვრობდა. – იოანა თული კახანოვას ბარში პანტომიმაში გამოდიოდა. ჩვენ ის სცენაზე გავიცანით, აღფრთოვანებულები ვიყავით. ყველაფერი ისე იყო, როგორც პარიზში: "Mrs. Otis regrets, she's unable for lunch today"⁴. იცით ეს მელოდია? ამ სიმღერას ის პარტნიორებთან ერთად პანტომიმურად განასახიერებდა. აღარ მახსოვს, როდის იყო ეს, მგონი 1952-ში. – მოგვიანებით მულენ-რუჟში ჩემი ძველინგლისური პიესა დადგეს, „შურისმაძიებელთა ტრაგედია“, მასშიც პანტომიმა დადგა და თვითონაც მონაწილეობდა, შესანიშნავი იყო, პირდაპირ დიდებული. „შურისმაძიებელი“ იაკობინური პიესაა. მგონი, 1970 წელს დავეწერე. ამ პიესაში არც ერთი კარგი ადამიანი არ არის.

ფიალიკი: იოანა თული, როგორც ვიცი, ბევრისთვის იქცა შთავგონების წყაროდ.

არტმანი: წარმოუდგენლად ბევრი იმპულსი მოგვცა. – კიდევ იყო იოანა შიდლო, ფრიც რიდელის პირველი ცოლი. მასავით ვერავინ ცეკვავდა იტერბუგს. ჩემთვის ის უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახლდათ არტკლუბში, შეიძლება ითქვას, უგვირგვინო დედოფალი.

ფიალიკი: მხატვარი და სცენის დეკორატორი ჰუბერტ არათიმიც "ჩალის ჩემოდანში" დადიოდა, არა?

არტმანი: ჰუბერტ არათიმე ჩვენში ყველაზე დახვეწილი ჯენტლმენი იყო. მასაც თითქმის არ ჰქონდა ფული, მაგრამ, როცა წვეულებაზე პატიჟობდნენ და დიასახლისისთვის ერთი კონა იების მიტანა არ შეეძლო, უბრალოდ არ მიდიოდა, ეს დამახასიათებელი იყო ჰუბერტ არათიმისთვის, მაგრამ არც ქალაქის პარკიდან მოიპარავდა ყვავილებს ჩვენსავით. ჩვენ ხომ ყველა პედანტები ვიყავით. მიქელი ავტოსტოპით ჩავიდა იტალიაში და იქ ფლორენციაში შეაკეთებინა ფენსაცემელი ერთ არაჩვეულებრივ მეწაღეს. აბა, შეხედე, თუ ემჩნევა რამეო, დაიკვებნა მერე "ჩალის ჩემოდანში". მეორემ მიუგო: "რაო, ფლორენცია? დიდი ამბავი! მე

⁴ ინგლ.: "ქალნატონი ოტისის ბოდიშს ითხოვს იმის გამო, რომ ლანჩს ვერ დაესწრება" (მთარგმნელი)

ჩეხი მეწაღე მყავს ქველენის ქუჩაზე, აი, ის არის, თუ არის!" ასეთი საუბრები მიდიოდა. ხელოვნებაზე ხომ თითქმის არ ვლაპარაკობდით და ეს ძალზე მარგებელი იყო. ახლაც ჩემზე საშუალოდ ორჯერ უმცროსი მეგობრები მყავს. იქნებ, ამიტომაც სულ არ მაძმიძებს ჩემი ასაკი.

ფიალიკი: თქვენ ახალი "ფაუსტი" უნდა დაწეროთ.

არტმანი: კაცმა რომ თქვას, დრაკულა ვარ, რაკილა ახალგაზრდობის სასიცოცხლო ძალებით ვსაზრდობ, ფიგურალურად რომ ვთქვათ. მაგრამ ამის გამო არავინ მიბრაზდება. სინამდვილეში ძალზე ცოტა მტრები მყავს.

ფიალიკი: მაია ლამპერსბერგი ამბობს თქვენზე, არქიპოეტიყო.

არტმანი: ერთმანეთს დღემდე თქვენობით მივმართავთ. მაიასთან ყველა შენობით არის, ჩემს გარდა. ოკოპენკოსაც ათი წელი თქვენობით მივმართავდი, ისიც ისეთივე დარბაისელი პერსონაჟია. უცნაურზე უცნაური შეგრძნებაა, როცა ადამიანს ათი წლის შემდეგ უცბად შენობით დაელაპარაკები; გეგონება, მის შიშველ სხეულს შეეხეო. ისე, ერთმანეთში ყველანი შინაურულად ვიყავით, თქვენობით მხოლოდ პოლიციელებს მივმართავდით.

ფიალიკი: თქვენობით მიმართვა შეიძლება ოხუნჯობაც იყოს.

არტმანი: ოკოპენკოს შემთხვევაში – არა. მაგრამ ის შესანიშნავი პოეტია.

ფიალიკი: ანდრეას ოკოპენკოს დაწერილი აქვს დრამები, რომლების არასდროს დადგმულა.

არტმანი: ერთმა ჩემმა ზალცბურგელმა კარგმა მეგობარმა დაწერა პიესა სახელწოდებით "გერმანისტები". ასეთ რამეს ვინ დადგამს? "ცურვის ოსტატები" რომ დაეწერა, კიდევ რალაცას წარმოიდგენდა კაცი, მაგრამ "გერმანისტები"? ეგ არ გამოვა, კაციშვილი არ დაინტერესდება, მაყურებლის გარეშე კი სპექტაკლი ვერ შედგება!

ფიალიკი: "გერმანისტები" შეიძლება მეტაფორასაც შეიცავდეს, ერნსტ იანდლის "ჰუმანისტების" მსგავსად.

არტმანი: იანდლს შეუძლია ასეთი რამის უფლება მისცეს თავის თავს.

ფიალიკი: საერთოდ, რა დამოკიდებულება გაქვთ გერმანისტებთან?

არტმანი: მათ შორის ბევრია ისეთი, ვინც, უნდა ვაღიარო, მართალს ამბობს. მაგრამ ბევრი ჩემს შესახებ კი წერს, მაგრამ თვალთაც არ ვუნახივარ. მაგალითად, არის ერთი ახალ მექსიკაში, სხვათა შორის, მას ძალზე ვაფასებ. ერთი ხმოვანი ლექსის ინტერპრეტაციისას, "uurw'pp" ბგერებით რომ იწყება, აცხადებს, პირველი პწკარი "Urweib"-ს ნიშნავ-

სო, – "თაურქალს". აი, ეს ყველაფერზე უარესია. ასეთი რამეები მაში-
ნებს. ფელინი ხომ არა ვარ.

ფილიპი: ქალებს ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდებით! – ზოგიერთ
წიგნში წერია, რომ თქვენ 1921 წელს სანკტ-ახაციში დაიბადეთ, ტყის
პირას.

არტმანი: სანკტ-ახაცი უბრალოდ ვაიგელმა მოძებნა ტელეფონების
წიგნში. ძალიან გთხოვთ, ნუ შემეკითხებით, ყველა შეკითხება.

ფილიპი: ორმოცდაათიან წლებში თქვენი შეხვედრის ადგილები თავდა-
პირველად იყო "ესპრესო სტამბული" და კაფე "გლორი". სხვები კაფე
"რაიმუნდში" დადიოდნენ. მაგრამ ყველაზე ხშირად "ახალი გზების"
რედაქციაში იკრიბებოდით.

არტმანი: ჯენი ებნერი შუალედურ მდგომარეობაში იყო: ჩვენთანაც
დადიოდა და "რაიმუნდშიც", ჭეშმარიტი შუამავალი იყო ჩვენს შორის.
ხოლო კაბარეს ხალხს შორის, ასე ძალიან რომ დაიქსაქსა, შუამავლის
როლს ქვალტინგერი ასრულებდა. მას თორბერგთანაც კარგი ურთიერთ-
ერთობა ჰქონდა და ბრონერთანაც. გერჰარდ ბრონერი ხომ გაიქცა, რო-
გორც ამბობენ, საგადასახადო ვალების გამო, რაც თავისთავად საინტერესო
ფაქტად მეჩვენება. ბრონერისა და თორბერგის თვალში ჩვენ არარაობები
ვიყავით. ჰელმუტ ქვალტინგერთან და კარლ მერცთან ყოველთვის გა-
დასარევი ურთიერთობა გვქონდა.

ფილიპი: კარლ მერცი ჰანს ვაიგელთანაც იყო დაახლოებული, "ბატონი
კარლის" იდეაც სწორედ კაფე "ფალსტაფში" დაიბადა.

არტმანი: ძალიან ბევრი რამ შეიქმნა მესამე უბანში ერთ ნახშირის
დუქანში: მთელი "ბრეტელი" და "Hackl im Kreuz"⁵. აღარ მახსოვს, რა
ერქვა იმ ქუჩას, იქვე ახლოს წიგნების გამყიდველი იყო, სახელად პო-
პერი, წიგნებს წონით რომ ყიდდა. ლათინურის სასკოლო სახელმძღვა-
ნელოებისთვის ორმაგ ფასს ითხოვდა. მე რომ დამინახა, საერთოდ აღა-
რაფრის გაყიდვა აღარ უნდოდა: დღეს აღარ ვვაჭრობო, დაიყვირა. მან
მომცა იმპულსი პიესისთვის "ჩერმაკს წიწაკა არ ეკუთვნის". სხვათა
შორის, ჰელმუტ ქვალტინგერმა ეს პიესა ნაგლერგასეზე წაიკითხა,
ჩემს მაშინდელ მეგობარ ქალთან, ერნი ვობიკთან. იმ ადგილას, სადაც
მისი პერსონაჟი – გრაისლერი – კვდება, სკამიდან ძირს დაეშვა. ოტო

⁵ სათაური, როგორც ჩანს, სიტყვათა თამაშზეა აგებული: არის მსგავსება
სიტყვასთან "Hackenkreuz" – "სევასტიკა", "Kreuz" "ჯვარსაც" ნიშნავს და
"ხერხემალსაც"; შეიძლება ასეც ითარგმნოს: "ზურგში ჩასობილი ნაჯახი"
(მთარგმნელი).

კობალეკიც აბსოლუტურად გენიალური მსახიობი გახლდათ, რასაც ჰქვია, გენიოსი, მაგრამ ამ ქვეყანას არ იყო. ქვალტინგერი და მისი მეგობრები დიდად უჭერდნენ მხარს პროლეტარულ პოეტ კობალეკს, მაგრამ როცა სცენაზე ხარ გამოსასვლელი და სპექტაკლის დაწყებიდან თხუთმეტი წუთის მერე კიდევ არა ხარ ადგილზე... ოტო კობალეკი ოტო ცოკანის როლში: "მოწყალეო ქალბატონო, მე ოტო ცოკანი გახლავართ და თქვენთვის ნახშირი მომაქვს. პატარა ფისოები სადაც იყვნენ, იმ ყუთში ჩავყარე". – "ოჰ, თქვე მხეცო!" მამამისი მენახშირე იყო და ამ ნახშირის დუქანში შეიკრიბა მთელი ბრეტელის ბანდა. ეს ყველაფერი მაშინ გამოიგონეს, ერთ ლიტრ რუსულ USIA-ს არაყს რომ სვამდნენ. და ეს ძალზე მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ სწორედ ასე იქმნებოდა რალაც-რალაცები. ვენის კაფეში კი არა, – ნახშირის დუქანში, ლოთობისას, ზუსტად ისევე, დღეს რომ ბომბები სხედან გრახენტან და იქვე სძინავთ კიდევ, ოღონდ მათი იქ ჯდომით ახალი არაფერი იქმნება.

ფიალიკი: ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ვენაში მართლაც გადატრიალების მსგავსი რამ ხდებოდა.

არტმანი: მშვენიერი დრო იყო, შიმშილი იგრძნობოდა, არა ხორციელი შიმშილი, – ომის შემდეგ აღარ გვიშიმშილია, – არამედ კულტურის შიმშილი, თუკი თავს უფლებას მივცემ, ეს ასე მაღალფარდოვნად გამოვხატო. ამგვარი სიტყვების შემდეგ ყოველთვის ბოდიშს ვითხოვ ხოლმე.

ფიალიკი: დედათქვენი ძალიან გიჭერდათ მხარს.

არტმანი: მან ყველაფერი მომცა, რაც გააჩნდა. მხოლოდ მაშინ ბრაზდებოდა, თუ ისეთ გოგონასთან ერთად მოვიდოდი შინ, მას რომ არ მოსწონდა. უხერხულია.

ფიალიკი: თქვენი ძმა რუსეთში დაიღუპა.

არტმანი: დიახ, ის ჩემზე სამი წლით უმცროსი იყო. ფეხსაცმლის კერვის ტექნოლოგია შეისწავლა და სწავლის დამთავრებისთანავე ომში წავიდა.

ფიალიკი: ომის შემდეგ დედათქვენისთვის ერთადერთი სინარული თქვენი იყავით, არა?

არტმანი: სიტყვა "სინარული" მაინცდამაინც გულზე არ მეხატება, ცოტათი მაშინებს კიდევ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენს შორის ბევრი სიტბო იყო.

ფიალიკი: ამბობენ, ვაჟიშვილები უფრო დედებს ემსგავსებიანო.

არტმანი: ჩემს შემთხვევაში ეს ასპროცენტისადაც გამართლებულია,

თუმცა მუდამ თავზე ხელალებით ვაცხადებ ხოლმე: "მამის გულს ვერ-ანაირი ოქროთი ვერ აწონი, დედიკოს კი ყველგან იშოვი!" – ჩემი გამო-გონილი ანდაზაა, მას ხშირად ვიმეორებ, განსაკუთრებით, ქალების გა-საგონად!

ფიალიკი: 25 წლის იყავით, მამა რომ გარდაგეცვალათ.

არტმანი: დიახ, ის კი 49 წლისა იყო. 46-ში გარდაიცვალა. პირველ მსოფლიო ომში გრანატის აფეთქების შედეგად კანტუზია მიიღო და იმის შემდეგ ხელები ეყინებოდა. ამასობაში მეორე მსოფლიო ომი და-იწყო, წესიერი მკურნალობის გარეშე დარჩა და გულმა ვეღარ გაუძლო. დედაზე შვიდი წლით უმცროსი იყო. როცა იქორწინეს, მამა 23-ს იყო, დედა – 31-ის, დღეს ასეთი რამ აღარ უკვირთ.

ფიალიკი: დედათქვენი ამის შემდეგ აღარ გათხოვილა.

არტმანი: არა, აღარ. კიდევ ერთხელ რომ გათხოვილიყო, იმ ვაჟბატონს ფანჯრიდან გადავისროდი.

ფიალიკი: 1974 წელს ავსტრიის დიდი სახელმწიფო პრემია დედათქვენის თანდასწრებით გადმოგეცათ.

არტმანი: ძალიან სასიამოვნო იყო, სინოვაცმა ეს ძალიან უშუალოდ გადაიღო: დედა ჰოფბურგში, მესამე რიგში ზის, პირველში არა, და იც-ინის.

ფიალიკი: "ვენის ჯგუფიდან" თქვენს გარდა რიუმმა, ახლაიტინერმა და ვინერმაც მიიღეს ავსტრიის სახელმწიფო პრემია...

არტმანი: ...ოსვალდ ვინერს მანე-შპერბერის პრემია უნდა მიეღო, მა-გრამ გაურკვეველი მიზეზების გამო არ მისცეს. სკანდალი ატყდა! მე-ორე მხრივ, ეს პრემია აღმოსავლეთგერმანიისთვის სრულიად შეუფე-რებელია. მაგრამ ჩვენში ასეთი შეუსაბამობები ხშირია. გაიხსენეთ თუნდაც გამოფენა სევილიაში და ჩვენი მეგობარი ნიჩი. ჩვენი ღრმად პატივცემული ფედერალური პრეზიდენტი გახსნას არ ესწრება, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ესპანელებს სისხლის დანახვა არ შეუძლიათ: ეს მათი რელიგიური გრძნობების შელახვააო.

ფიალიკი: რა, კორიდის დროს სისხლი არ იღვრება?

არტმანი: კორიდა მითოლოგიური მოვლენა გახლავთ. სულაც არ ვარ ფიცინადო, ანუ კორიდის მოყვარული, მაგრამ მინოტავრომაქია უძ-ველესი ტრადიციაა: მინოსური მითოსი. ისევე, როგორც ფეხბურთი! კო-რიდის დროს მხოლოდ და მხოლოდ უდანაშაულო ცხენები მეცოდებიან. ხარი კი ისეა განრისხებული, რომ ვერაფერს გრძნობს (იმედი მაქვს, ყოველ შემთხვევაში). როგორც ვთქვი, კორიდის მოყვარული არ ვარ.

მითოლოგიური წარმოდგენები შთამბეჭდავად მეჩვენება, მაგრამ მერე რა? თუ მითოლოგია მომენტატრა, მირჩვენია მონტევიდეოში გავემგზავრო და ტანგოს ვუყურო.

ფიალიკი: ნადირობაზე რა აზრისა ხართ?

არტმანი: ორივე პაპა მონადირე მყავდა. ერთი მეტყევე იყო, მეორეს საკუთარი პატარა ტყე ჰქონდა. მაგრამ ისინი მხოლოდ მაშინ ისროდნენ, როცა ეს აუცილებელი იყო. პროფექტორებისა და მერსედესების გარეშე, ზოგიერთ ვენელ ბობოლას ასე რომ უყვარს. თევზისა და ხორცის მოყვარულად აღმზარდეს, მაგრამ თავად არ მოვისურვებდი ცოცხალი არსების მოკვლას. მეტისმეტად მშიშარა ვარ ამისთვის? რაგინდ სასაცილოდაც არ უნდა ჟღერდეს: ტიპიური საბავშვო წიგნების ავტორი ვარ. ხომ ვწერდი კიდევ საბავშვო წიგნებს. ჰოდა, მათში სულ საყვარელი ცხოველები ფიგურირებენ. საინტერესო ფაქტია: ჩემი ბებია-ბაბუის სახლში თუკი ცხოველს სახელს შეარქმევდნენ, ვთქვათ, რომელიმე ბოცვერს ჰანზი დაერქმეოდა: ის სიცოცხლის ბოლომდე თავის წყალობის პურს მიირთმევდა, მას ხელსაც კი არავინ დააკარებდა! როცა პაპაჩემი ირემს კლავდა, შინ ყოველთვის დაღონებული ბრუნდებოდა. ერთხელ მიაბბო, რომ მოკლული ნადირი საშინლად შეებრადა, რადგან თვალებში ცრემლები ედგა.

ფიალიკი: დედათქვენის მამაზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ.

არტმანი: პაპაჩემი ბავშვობაში მოხვდა თაიას ხეობაში, ისე, წარმოშობით ვენიდან იყო. დედამისი გერმანული ბოჰემიიდან იყო, ბავარიული ზემო-პფალციდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მდებარე დასახლებიდან, რომელსაც ჰოსთაუ ეწოდება. მამამისი კი, როგორც ოჯახური თქმულება გვიამბობს, გერმანელ-უნგრელი ოფიცერი უნდა ყოფილიყო. ამბობენ, გადასახადი ვერ გადაიხადა და ამის გამო ვერ იქორწინეს. პაპაჩემი შოთენფელდის ეკლესიაში მონათლეს. მშობლების სახელების ადგილას მხოლოდ მაგდალენა შნაიდერი წერია, მამის სახელი და გვარი აკლია. ამიტომაც პაპაჩემი ტყისპირა დასახლებაში მოხვდა და დარჩა კიდევაც იქ. ბებიაჩემის ოჯახი უნსოვარი დროიდან (ასეთი გადაჭრბებები მჩვევია) იქ ცხოვრობდა. მამაჩემის გვარი კი, არტმანები, რეციდან და მისი შემოგარენიდან არიან. ამბობენ, ისინი ჯერ კიდევ ოცდაათწლიანი ომის დროს ჩამოვიდნენ შვედებთან ერთად, რაც ძალიან შესაძლებელია: ხომ განსოვთ, გუსტავ ადოლფის ომები! ამ გვარს შეიძლება შვედეთიდან ბოჰემიამდე მიაკვლიო. ყოველ შემთხვევაში, არტმანები მალმომიცი არიან და ჰილდესჰაიმშიც.

ფიალიკი: ერთ-ერთი არტმანი ვალენშტაინსაც კი ედგა მხარში ეგერთან.
არტმანი: რაო? არა მგონია. ჩემი წინაპარი ვენახების რევიონში მოხვდებოდა, გლეხის ქალს მოიყვანდა ცოლად და იქვე დასახლდებოდა: აი, ამას უფრო დავიჯერებ.

ფიალიკი: ამაში, როგორც ჩანს, წინაპრებს ჰგავხართ. ამიტომაც გაგიწიათ გულმა შვედეთში? თუ ეს უკვე გადამეტებული ინტერპრეტაციაა?

არტმანი: არანაირად! შეიძლება, ქვეცნობიერად მართლაც ასე იყო.

ფიალიკი: ამაში ერთ შვედ გოგონასაც მიუძღვის წილი.

არტმანი: "შვედი გოგონა" – საზიზღრად ჟღერს, მაგრამ ეს უკვე გამოთქმად იქვა. ასეთი შლაგერიც იყო: "მოდო, მეცეკვე, შველო გოგონა!" ბირგიტა "ჰაველკაში" გაეცინა. ჩემმა ქალიშვილმა ემილიმ ახლახანს მონახულა შვედეთში თავისი ნახევარძმა კარლ იოჰან კაზიმირი. აი, ასე მიდის ცხოვრება.

ფიალიკი: "ჰაველკაში" ბევრი ახალი წამოწყება დაიბადა.

არტმანი: "ჰაველკა" პირველად ახლაიტნერმა აღმოაჩინა. ჯერ ხორცის ბაზართან ვიკრიბებოდით "ესპრესო-სტამბულში", ეს ერთ-ერთი პირველი ესპრესოს კაფე იყო ვენაში. ერთ ჩემს მეგობარ ქალს იქ ერთხელ მოკა მიუტანეს, რომელშიც მარილი და ასანთის დამტკვრეული ღერები ეყარა. ჰუსიტური ხუმრობა იქნებოდა! მერე ერთი-ორი დღე წასასვლელი არ გვქონდა. უცებ ახლაიტნერი მოვიდა და გვითხრა, ახალი კაფე ვიციო. იქ ვილაც საეჭვო გადაწყველებებს ნახავდით, დოროთეუმში რომ ყიდულობდნენ სურათებს და მერე ძვირად ყიდდნენ. არასდროს დამავიწყდება წარწერა საპირფარეშოს კედელზე: "რასაც ზილბერმანი აკეთებს, სარისკოა". თავიდან ტუალეტის ქალაღლიც არ ჰქონდათ: ეგ "ჰაველკაში" მხოლოდ ათი წელია, რაც შემოიღეს.

ფიალიკი: სახელის გატეხვისთვის გიჩივლებენ!

არტმანი: ფეხებზე მკიდია! კედელზე ლურსმანი იყო ოთხგანყოფილებიანი Express-ით. მორჩა და გათავდა.

ფიალიკი: სახელგანთქმული თბილი ხილფაფიანი ფუნთუშები თუ იყო მაშინ?

არტმანი: მაშინ ჰაველკები ჯერ ახალგაზრდები იყვნენ. საყვარელი ქალბატონი ჰაველკა! – ერთხელ შვედეთიდან დავბრუნდი: "ოო, ჰ. კ. დაბრუნებულა! მართო ხართ თუ მეგობრებთან ერთად?" მგონი, პრისნიცი იყო იქ, მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა. "დაბრუნდით ნორვეგიიდან?" არა, შვედეთიდან-მეთქი. "აჰ, სულ ერთი არ არის! ნება მიბოძეთ, სამი ჭიქა ღვინო მოგართვათ". ჩვენ ვუპასუხეთ, საწინააღმდეგო არაფერი

გვაქვს-თქო. შემთხვევით აერია და თავისი განთქმული ბირნდლერის ლუდი ჩამოგვისხა. ბრიუნერშტრასლერი ძალიან გემრიელია-მეთქი, ვუთხარი. მერე კიდევ მეორედაც ლუდი მოგვიტანა და ისევ ღვინო ეგონა. მაგრამ რაკილა თბილი ხილფაფიანი ფუნთუშები ახსენეთ, გეტყვით, რომ დედაჩემი მუდამ მათი წინააღმდეგი იყო. ამბობდა, ფუნთუშა გაგრილებული უნდა იყოს; საღამოს ხუთ-ექვს თბილ ხილფაფიან ფუნთუშას რომ შეჭამ, მერე სიზმარში ეშმაკი მოგეკლანდებო.

ფიალიკი: რას იტყვით თქვენს პიესაზე "ძალიან ცხელი, გეთაყვათ"? მისი მოქმედება ხომ სწორედ "ჰაველკაში" ხდება.

არტმანი: "ჰაველკამ" მიბიძგა მის დასაწერად, ამის შესახებ თითო-ოროლა კაცმა თუ იცის. ყველაზე კარგი დადგმა ციურიხის ნოიმარქტის თეატრში მქონდა, იქ პიესა ოპერის სახით დაიდგა. შვაიცარლებმა პრემიერამდე ვერ გაიგეს, რას ნიშნავდა მისი სათაური.

ფიალიკი: სინამდვილეში რას ნიშნავს?

არტმანი: ომის შემდგომ წლებში ოფიციატებს ჩვეულებად ჰქონდათ გადაქცეული, გადაჭვდილ კაფეში ცხელ კერძებს რომ დაარბენინებდნენ, ასე გაჰყვიროდნენ ხოლმე: "ფრთხილად, გეთაყვათ, სოუზი ძალიან ცხელია!", ოპერეტის ტენორის ხმით, თან ლანგარს ჰაერში ჟონგლიორივით აბურთავებდნენ. დალაქებმაც ასე იცოდნენ ლაპარაკი: "მოწყალეო ქალბატონო, დღეს რა ვარცხნილობას ინებებთ?" ვენელი ოფიციატები დღესაც მსოფლიოში საუკეთესონი არიან: ენაკვიმატი, ოლონდ თავხედურად არა. "ქალბატონო, დღეს ლამაზი წინდები გაცვიათ!" – ეს კი, მაგრამ ხელის ფათურს არ დაუწყებენ. ასეთი ფრაზა თუ გაგიგიათ: "კიდევ ერთ ჭიქა არაყს ხომ არ ინებებთ, ტკბილი ძილისთვის?" – ეს პიესა ბერლინში თუ შვედეთში დავწერე და მერე გადავაგდე. ერთგულმა გერალდ ბისინგერმა კი ნაგვის ვედროდან ამოიღო, გააუთოვა და მომავალ თაობებს შეუნახა. ბისერლი არაჩვეულებრივი ადამიანია, ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მეგობარი. თუმცა თითქმის ყველანი ერთგულები არიან. ორმოცდაათიან წლებში მხატვრებს შორის უკვე არსებობდა განხეთქილებები: ისინი, ვინც სიურრეალიზმიდან წამოვიდნენ, აბსტრაქციონისტებს ეწინააღმდეგებოდნენ. მაგრამ, მე მგონი, დრომ გვიჩვენა, რომ აბსტრაქციონისტები უფრო სოლიდურები არიან. იოზეფ მიკლი შეგიძლია აკრიტიკო, რამდენიც მოგესურვება, ყოველთვის რალაცნაირი ცინიკოსი იყო, მაგრამ როგორც ადამიანი და ხელოვანი, განუმეორებელია. ბევრი ერთ ადგილზე გაიყინა. მაგალითად, ფუქსი ჩემი ძალიან კარგი მეგობარია, მაგრამ თემატურად თითქმის სრულებით არ განვითარებულა,

თავის *derrières*⁶-ს ვერ გასცდა. მითხრა, ოქროს ბიუსტით გაგაუკვდავებო, მე კი ვუპასუხე, ეგ არ ჩაიდინო, უეჭველად შენს თავს დამამსგავსებ: ბიბლიური ცხვირი და წინასწარმეტყველის წვერი! არა, სერიოზულად, ის ჩემი ნაცნობებიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო სიმპათიური ვინმეა. ანტონ ლემდენიც ხომ უკვე ასი წელია თავის მიწის ფორმაციებშია ჩაფლული, თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს ის არ მომწონდეს.

ფიალიკი: ჯენი ებნერი ჰყვებოდა, რომ ჰუნდერტვასერის ატელიეში მივიდა მაშინ, როდესაც ის ქსოვდა გობელენს სახელწოდებით "ბიჭი, რომელიც ცათამბჯენის ფონზე შარდავს". სრულიად დაბნეულმა, დაუფიქრებლად მიართვა სარდლების ქილა უპუროდ.

არტმანი: კარგი მასპინძელი იშვიათია. მე საერთოდ არ ვიცოდი, რომ ფრიდენსრაიხიც მქსოველებში გაერია. დიდი მქსოველი ჩემს თვალში ჰილდე აბზალონია, მე ვთვლი, რომ მან არატიმისთვის ყველაფერი გააკეთა, ნამდვილად ღვთით დაჯილდოებული ხელოვანია. აბზი 16 წლისა ჩამოვიდა ვენაში. ძალიან მოკლედ შეჭრილი წითური თმა ჰქონდა. ყველანი ძალიან ახალგაზრდები იყვნენ, კიკი კოგელნიკი, მაგალითად. ყველამ საკუთარი ძალებით გაიკვლია გზა და ეს ძალიან შეამაყება.

ფიალიკი: ჯენი ებნერი გონიერი გოგონა იყო, არა?

არტმანი: ღმერთო ჩემო, რა პირობებში ცხოვრობდა პრატერმტრასეზე, ბოზების სასტუმროს უკანა ეზოში, ოღონდ ეს – ერნსტლამდე, ე. ი. გათხოვებამდე, – მოგვიანებით ამ ყველაფრის სტილიზაცია მოახდინა. ყოველთვის ბიჭური ვარცხნილობა ჰქონდა, ქუდებს ატარებდა, გამოჩარხულ რიკულსა ჰგავდა თავის მოკლე-მოკლე კაბებში... კიდევ ერთი საოცარი პიროვნება რუდოლფ შონვალდია. შონვალდი და კუბელკა, დიდებული მომღერლები, საქილიკო სიმღერებს მღეროდნენ, ნაღდ ფრანგულ, ირლანდიურ სტილში, სასწაულებს აკეთებდნენ. რუდოლფ შონვალდი უნიჭიერესი მთხრობელი იყო, ისევე, როგორც ცხონებული მოლდოვანი და ავადსახსენებელი ვოლფერლ ჰუთერი.

ფიალიკი: ვილანდ შმიდი ჯერ კიდევ 1950 ნოემბერში გაიცანით, ხომ ასეა?

არტმანი: ეს უკვე იმდენად ისტორიად არის ქცეული, რომ ვეღარ გაინსენებ, რა უფრო ადრე იყო – ქათამი თუ კვერცხი. ის ხომ ფრანკფურტელია და წესიერი გერმანულით მეტყველებდა. ახლა მახსენდება, ერთხელ როგორ გადაწყვიტა დიალექტით ელაპარაკა და "Guarrten Tag"-

⁶ ფრანგ.: უკანალი (მთარგმნელი).

ო, წარმოსთქვა, ეგონა, ეს ვენურად ჟღერდა. ვილანდ შმიდი დარბაისელი პროფესორის ოჯახში დაიბადა მიოდლინგში, მამა ადრე გარდაეცვალა. დედა ბალტიისპირელი ჰყავს, სახალხო პოეტია, თავის სამშობლოში ძალიან ცნობილი. როგორც პაოლა გროგერი, ისიც ხომ ბევრს წერდა, ანდა მაღლა, ტყის უბანში იმა ფონ ბოდმერსჰოფი, "ურბან როიტნერის ბედაურები" რომ დაწერა. იცნობდით იმა ფონ ბოდმერსჰოფს? ათ წელიწადზე მეტია, რაც გადრაცივალა, მე იქვე ახლოს ვცხოვრობდი. გლეხები შეწუხებული იყვნენ, სასახლეს რა ეშველება, ვინ გადმოიბარებსო. ბოდმერსჰოფი მართლაც უყვარდათ.

ფიალიკი: გაშტაინერ მარია ციტრაუერსაც ხომ არ იცნობდით?

არტმანი: უიმე, ციტრაუერი! ისიც "ახალ გზებში" იბეჭდებოდა, მაგრამ ჩვენთვის მეტისმეტად ეკლიანი იყო. მარლენ ჰაუსჰოფერი კარგი იყო, ამას ახლავს ვხვდები, მაგრამ ჩვენთვის, სიურეალისტებისთვის, ის ხომ მიუღებელი იყო. იყვნენ ჰერბერტ ცანდისნაირებიც, – ის მეტისმეტად ჰიპიდ გვეჩვენებოდა.

ფიალიკი: ქრისტინე ლავანტს კარგად იცნობდით.

არტმანი: ლავანტიც ჩვენთან ერთად იყო! ლავანტთან ერთად საუკეთესო კაფეში რომ შეხვიდოდი, ხალხს ეგონა, მოხუცი ბომა ქალი შემოვიდაო. და უცებ ამოიღებდა Cinea Service-ს – დღეში 100 ლერს ეწეოდა – ანდა Players medium Medicut-ს. სულ ტყუილად ამბობენ, ხელსაქმით ირჩენდაო თავს. რა სისულელეა! უბრალოდ უყვარდა ქსოვა. სასახლეებში ეპატიჟებოდნენ: პილარ გოესის დედასთან – საოცრად ლამაზი ქალი იყო! – და ხნიერ გრაფინია ვრანგელთან. კარინტიის მთელი არისტოკრატია, მთელი ორსინი-როზენბერგები თავს ევლებოდნენ: ქრისტინე, ქრისტინე!.. ლავანტს საერთოდ არაფერი ჰქონდა საკეთებელი. იჯდა და ლავანტის ხეობის რაღაც სასწაულ დიალექტზე ლაპარაკობდა. ეს არც შტაიერული იყო, არც კარინტიული. ის ყველაფერზე მაღლა იდგა და ყველა ფეხქვეშ ეგებოდა. ამას მაიაც გეტყოდით. ახლა უქმნიან ლეგენდას, თითქოს საცოდავი სოფლელი დედაკაცი ყოფილიყო. ჯერ ერთი, დაბადებით პოეტი იყო, მას ხომ ყოვლად ჭკუიდან შემშლელი ენა აქვს, არავითარ შემთხვევაში არ იყო პრიმიტივი! რატომღაც ძალზე უნდათ, სახალხო პოეტად აქციონ. ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია. უბრალოდ, ჭირს მისი ამხელა შემოქმედებიდან არჩევანის გაკეთება, იმიტომ, რომ ყველაფერი კარგი აქვს. ისღა დაგრჩენია, გაითვალო: "როცა გეტყვი "ი", გა-მო-დი!". უბრალოდ, არ გაუმართლა იმაში, რომ მასზე არასწორი წარმოდგენაა შექმნილი, ისევე, როგორც მე დამემართა "შავი მელნის"

გამო. გერმანიაში ლავანტს აბსოლუტურად სხვანაირად აფასებენ, ვიდრე ჩვენთან. აქ ისევ ძველებურად თავსაფრიან ბებოდ აღიქვამენ.

ფიალიკი: ვილანდ შმიდმა გამოსცა ლავანტის ლექსები.

არტმანი: რა საკვირველია, ჩვენ პირველები ვიყავით. ვილანდ შმიდი ხომ თვითონაც კარგი პოეტია, ლექსებს ახლაც წერს. ისე, იურისტია; 29 წლისამ გადაწყვიტა, სწავლას თავს ვანებებო. ვენელი ფანტასტიკური რეალისტების წინაშე ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის. კესტნერის საზოგადოებაში დაუჭირა მხარი და ყველანი ჰანოვერში წაიყვანა. ახლა წვერი მოუშვა, დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში გადავწყვიტეთ, ცალ-ცალკე გვებრძოლა და ერთობლივად შეგვეტია.

ფიალიკი: ომის შემდეგ ლტოლვილთა გამანაწილებელ ამერიკულ ბანაკში მუშაობდით თარჯიმნად.

არტმანი: ჰო, ბავარიაში, ომის შემდეგ გერმანიაში ვიყავი. ჩვენი ნაწილი ქვემო და ზემო ავსტრიიდან შტაუბინგისკენ დაიდრა. სულ ვფრთხილობდით, რუსებს არ ჩავვარდნოდით ხელში. შტაუბინგში ამერიკელებმა დაგვაკავეს. იკითხეს, ინგლისური ვინ იცისო. მე გამოვეხმაურე და ერთი თვის მანძილზე ვთარჯიმნობდი. ბოლოს გათავისუფლების ქალაქი მომცეს, მშვენიერი ფრაზით "to whom it may concern"⁷. ამ ქალაქზე ბეჭედს მირტყამდნენ, როცა საკვების ტალონებს ვღებულობდი. სოციალური სამსახური რამდენიმე დღის რაციონს გამოყოფდა ხოლმე. ერთი პატარა ხრიკი მოვიფიქრე, რომლის მეშვეობითაც მუდამ ხუთმაგ ულუფას მაძლევდნენ. გულახდილად უნდა ვთქვა, ომის მერე ძალიან კარგად ვიყავი.

ფიალიკი: ომის პერიოდში როგორღა იყავით?

არტმანი: 1940 წლის ოქტომბერში საწვრთნელად გამანაწილეს ენგერაუში. ერთი თვის შემდეგ პოლონეთში გაგვიშვეს, გალიციაში. იქ გვარიანად გაგვაშალაშინეს მომავალი თავგადასავლების ასატანად. რა თქმა უნდა, აზრზე არ ვიყავით, რომ რუსეთთან ომი მზადდებოდა. მაგრამ 1941 წელს ეს ყველაფერი დაიწყო. რუსეთში პირველი დღეებიდანვე ვიბრძოდი. 1941 წლის აგვისტოში დავიჭერი, ტყვიამ ბარძაყში გამიარა. როგორც ლამაზად ამბობდნენ ხოლმე, ათასგულდენიანი ნასროლი იყო, იმიტომ, რომ ამის მერე ცხრა თვე ლაზარეთში ვიწექი.

ფიალიკი: სად?

⁷ ინგლ.: მოთხოვნის ადგილას წარსადგენად (მთარგმნელი)

არტმანი: პოლონეთსა და შლეზიაში, ბად ფლინსბერგში. ამის მერე გამოჯანმრთელებულთა განაყოფში მომთავსეს ოლმუცში. მაგრამ, რაკილა ომი ჯერ არ იყო დამთავრებული, მე კი ყველაფერი ყელში მქონდა ამოსული, შვაიცარიის საზღვრამდე მივალწვი და მისი გადალახვა ვცადე. მაშინ იმდენად შეშლილი ვიყავი, მეგონა, რამენაირად მოვახერხებდი ინგლისში ჩასვლას. ინგლისელებთან ერთად მინდოდა ბრძოლის გაგრძელება. უკანასკნელ მომენტში კროიცლინგერთან დამაკავეს და ბანაკში მომთავსეს. ამის მერე სამი წელი სასჯელის მოსახდელ ნაწილში ვიბრძოლე ომის ბოლომდე. უკვე გამოტანილი მქონდა სასიკვდილო განაჩენი, მაგრამ ბრძანებამ ბერლინიდან ველარ ჩამოაღწია და რალაცნაირად გაეძვერი. ყველა მეუბნება, ამის შესახებ რატომ არ წერო, მე კი ვპასუხობ, საამისოდ უკვე გვყავს ორი ტიპი: ზიშელი და კონზალიკი.

ფიალიკი: მამჩაქეში ომის მერე კლარნეტსა და საქსოფონზე უკრავდა ამერიკელების კაზინოში, ველსში, სასტუმრო "გრაფში".

არტმანი: ბედი ჰქონია. მაგრამ მე ზომ არაფერზე ვუკრავდი. 1945 წლის ივლის-სექტემბრის შუალედში ბად იმლში ვიყავი, იქ, საიმპერატორო კუნძულზე ამერიკელების ბანაკი იდგა. გაგეცინებათ, მაგრამ ბანაკის უფროსი გავხდი და სამეურნეო სამუშაოებს ვზედამხედველობდი. ვერ ვიტყვი, იქ ცუდად ვიყავი-მეთქი, მე ზომ მაიორ ნელსონის გაცემული "ქსივა" მქონდა. ეს იყო A4 ფორმატის წიგნაკი, უკვე საკმაოდ ნათრევი, შიგ ბეჭდის ჩასარტყმელი ადგილი აღარ დარჩენილიყო. კიდევ რალაც ფურცელი ჩავაკარი, ახალი შტემპელის დასასმელად. სამჯერ რომ ისაღილებ პილმენითა და სოკოს სოუზით, რა, ცუდია? საკვების ბარათებიც ზომ ზუთმაგი დოზით მქონდა, ამ ყველაფერს ვიყენებდი და მთელი ბავარია შემოვიარე.

ფიალიკი: ომის შემდეგ ვენაში როდისღა დაბრუნდით?

არტმანი: სიფრთხილის გამო ოქტომბრამდე მოვიცადე, რადგან სანკტ-ვალენტინში რუსები იდგნენ, მაშინ იქ გადიოდა საზღვარი. მერე კი რკინიგზით ჩამოვეყვი რძის ტრანსპორტს ვენის დასავლეთ სადგურამდე. კონტეინერებზე ვისხედით. შინ მივედი, დედაჩემს სარკმელზე დაუვუკაკუნე, პირველ სართულზე გვქონდა ბინა, კაკ-კუკ. მოისმა ნამძინარევი ხმა: "ჰანზი, შენა ხარ?". ჩემი მისვლა სულ არ გაჰკვირვებია. წინასწარ იცოდა, მეექვსე გრძნობა ჰქონდა. ღმერთო ჩემო, ვენაში ხალხი საოცრად გამხდარი და გასავათებელი მეჩვენა. მერე თარჯიმნად ვმუშაობდი სამხედრო პოლიციაში, ლერჰენფელდის ქუჩაზე, სადაც ახლა სექს-მოპია. მაშინ იქ იყო Military Police⁸-ს 796-ე განყოფილება. იქ საბეჭდი მან-

ქანაც კი მქონდა, რომელზეც ლექსების წერა შეემძლო.

ფიალიკი: ახალგაზრდობის საუკეთესო წლები ომში გაატარეთ.

არტმანი: 19 წლისა წამიყვანეს და 24-ისა დავბრუნდი. ერთი მხრივ, ეს დაკარგული წლებია, მაგრამ იქნებ ამიტომაც ვგრძნობ ახლა თავს ასე ახალგაზრდად. სხვები 20 წლის ასაკში ქორწინდებიან, მე კი ომში ვიყავი, – რა ვუყოთ მერე. რამდენჯერმე დავიჭერი, მაგრამ არასდროს მიფიქრია თვითმკვლელობაზე. ამან, პირიქით, უფრო გამაძლიერა. ცოტა მაღალფარდოვნად კი უღერს, მაგრამ რაღაც სამხედრო რომანტიკული სული დღემდე გამომყვა იქიდან, თუმცა ნებისმიერი ომი მძულს და არაფერში არ მჭირდება. მართალია, ჩემს ერთ წიგნს ასე ეწოდება: "ჰუსარებისა და ბაგირზე მოცეკვავეების შესახებ", მაგრამ ჩემთან ყოველთვის შინ მიმავალი ჯარისკაცი ფიგურირებს, როგორც ანდერსენის ზღაპარში, გაუბედურებულ-გაძვალტყავებულები, უკაპიკოდ რომ დაითხოვეს ჯარიდან. ასე მოვიწვევდი ის საშინელება, სხვანაირად ვერც გადავრჩებოდი. ჩემი თაობიდან ხომ უმრავლესობა დაიღუპა. ჩემს სასკოლო კლასში 25-იდან მხოლოდ ხუთი გადარჩა.

ფიალიკი: მანამდე რას აკეთებდით, სწავლა რომ დაამთავრეთ?

არტმანი: იძულებული ვიყავი ფოსტალიონად მემუშავა. რაღაც ხომ უნდა მეკეთებინა. მაშინაც ყალთაბანდი ვიყავი. მაგრამ ჩემს თანატოლებს დიდხანს არ მოუწია მუშაობა. 131-ე ინფანტერიის განაყოფში ამოვყავი თავი, დღეში 70 კილომეტრს გავდიოდით შეუჩერებლად, მუდამ მოლაპლაპე ჩექმებით.

ფიალიკი: აღმოსავლეთის ფრონტის მიმართულებით.

არტმანი: ეგ – თავისთავად. ჩვენ საფრანგეთისკენ გვერჩივნა წასვლა.

ფიალიკი: როგორ მოხდა, რომ სიკვდილი მოგისაჯეს?

არტმანი: 1944 წელს საფრანგეთში გამოვიქეცი და ვენამდე მივალწიე. იქ სხვადასხვა ადამიანთან ვიმალებოდი, ვიდრე ერთ-ერთმა, ვინც მძალავდა, არ გამცა. ეს ხომ მათთვისაც სასიკვდილო განაჩენს ნიშნავდა. მერე ყველანი მორცინის მოედანზე დაგვამწყვდიეს, მაგრამ მთელი საქმეები წესისა და რიგის მიხედვით მიმდინარეობდა: განაჩენი 1945 წლის მარტში ბერლინში გაიგზავნა დასამტკიცებლად, იქიდან კი აღარასდროს დაბრუნებულა.

ფიალიკი: დახვრეტას გიპირებდნენ?

არტმანი: არა, თავის მოკვეთას. სპეციალური მანქანით, რომელშიც ერ-

⁸ ინგლ.: სამხედრო პოლიცია (მთარგმნელი)

თდროულად ოც კაცს აწვევენ და, ერთბაშად, ლაწ! – დახვრეტას კიდევ რა უჭირდა! იცით კინოთეატრი ბურგასეზე? ახლაც არის. იქ გვერდზე ერთი შენობაა, სადაც ყველა დეზერტირი და თვითმკვლელი ჰყავდათ გამოძევდებული. ყოველ დღე თითო კაცი მიჰყავდათ: "კარგად, ბიჭებო!" სიკვდილისა არც ერთს არ ეშინოდა. მაგრამ, ვიდრე ჩემი ჯერი მოვიდოდა, რუსები ვენას მიადგნენ. ისევ გამოგვიყვანეს ვენის დასაცავად ერთი მაიორის მეთაურობით, რომელსაც 15 წელი ჰქონდა მისჯილი საბერძნეთში სპეკულაციის გამო. რენვეგის ყაზარმაში მოვხვდით, აფრიკისთვის განკუთვნილი უნიფორმები დაგვირიგეს, მშვენიერი, ასალთასალი უნიფორმები, ბრიჯებით, რასაც ჰქვია, მოღური! და მერე მარშით გავემართეთ შტრებერსლორფისკენ, ჩვენს უკან ყველა ხიდი ააფეთქეს და ნეიტრალურ მიწაზე აღმოვჩნდით. ჩრდილოეთიდან რუსები გვიტყვიან, დასავლეთში კი ამერიკელები იყვნენ. – ტყის რაიონზე გავიარეთ. თავდაპირველად ფრაიშტატისკენ გვქონდა გეზი, მაგრამ იქ უკვე რუსები იდგნენ. მივედით ლიბენაუშდე. მერე ბავარიაში ავედით, იქ ამერიკელები დაგვხვდნენ. იარაღი ჩამოგვართვეს და ორი-სამი დღე ღია ცის ქვეშ გვამყოფეს. გასაგიჟებლად ლამაზი ზაფხული იდგა. გამოგვკითხეს, ინგლისურად თუ ლაპარაკობს ვინმეო. მე ვლაპარაკობ-მეთქი. ამერიკელები ძალიან კორექტულად იქცეოდნენ. ხალხი შეაგროვეს; ვინც კი ამერიკული ზონის ფარგლებში ცხოვრობდა, სატვირთო მანქანებზე დასვეს და სახლებში დააბრუნეს. მე ვუთხარი, ნოიშტატიდან ვარ. ნოიშტატი ბევრია, ყველგანაა⁹. ვუამბე, მშობლებს ვეძებ და ამიტომ ვმოგზაურობ ჩემი საბუთით-მეთქი. ფული მქონდა: ჩვენ ხომ ბატალიონის ბიუჯეტი ერთმანეთში გავინაწილეთ. – ერთი კვირით ადრე კი ლექსების წერა დავიწყე: 1945 წლის 12 აპრილს.

ფიალიკი: ზეპირად ხომ არ გახსოვთ რამდენიმე პწკარი?

არტმანი: რას ამბობთ, მე და ზეპირად?! "თბილი თქორი, გულში ვატარებ დაუოკებელ მონატრებას..." – ეს პირველი ლექსია წიგნიდან "შრომანივით ქათქათა წერილი ლინკოლნშირიდან".

ფიალიკი: ამ დროს ალბათ კონკრეტულ პიროვნებაზე ფიქრობდით?

არტმანი: დიახ, ერთ-ერთი შესვენებისას, ჰოლბრუნში, 16 წლის გოგონას შევხვდი, მეწისქვილის ქალიშვილს. ისე, ორიოდ საათით ვნახე და სრულიად უმწიკვლოდ ვესაუბრე. სამწუხაროდ! მერე კი ჩემს ბატალიონთან ერთად განვაგრძე მარში დასავლეთისკენ: ჰორნი, ცვეტლი, გროსგერუნგსი,

⁹ "Neustadt" გერმანულად „ახალქალაქს" ნიშნავს (მთარგმნელი)

კარლშტიფტი, ლიბენაუ, ურფარი, ლინცი. შემდეგ დუნაის ავუყევით პასაუს მიმართულებით შტაუბინგამდე, ბედფორტის სატვირთო მანქანით. ამ გზაზე მთელი ხუთი ლექსი ჩავიწერე ქიმიური ფანქრით სასკოლო რვეულში. ამერიკელებმა ჩემი პროფესიის შესახებ რომ მკითხეს, ვუპასუხე: "Wrighter"¹⁰. მას მერე მწერალი ვარ, ხედავთ, რა იოლად ხდება ეს! როგორც გითხარით, ამერიკელებთან თარჯიმნად ვმუშაობდი და გათავისუფლებულთა მონაცემებს ვიწერდი. იქ საბეჭდი მანქანაც მქონდა, – ათი თარჯიმანი ვისხედით მანქანებთან ჩამწკრივებულები, – და იქვე მომეცა საშუალება, ხელით დაწერილი ლექსები გადამბეჭდა. სადღაც სამი კვირის შემდეგ ვუთხარი, აღარ მინდა-მეთქი, მათ მიპასუხეს, კი, ბატონო, შეგიძლია წახვიდეო. საოცარი ხალხი იყო. მერე ერთმა ამერიკელმა მაჯის საათი წამართვა...

ფიალიკი: ...ნუთუ, ამერიკელებიც რუსებივით ართმევდნენ საათებს?

არტმანი: ...კიდევაც გავიფიქრე, ამერიკელი ასეთ რამეს არ იზამს-მეთქი და უცებ: ბრახ!

ფიალიკი: საათები იდაყვებამდე ექნებოდა ასხმული.

არტმანი: ზუსტად ასე იყო. მოკლედ ამ სამი კვირის მერე ჩემს მეგობართან, მსახიობ ჰერბერტ შტეტნერთან ერთად, გამომიშვეს და ინგოლშტატში წავედით. იქ მამამისის სახლი დანგრეული დაგვხვდა, თვითონ მამა დაბომბვის დროს დაიღუპა, მაგრამ ბიბლიოთეკა გადარჩენილიყო. წიგნები გარაჟში იყო დამალული და ასე აღმოჩნდა ეს შესანიშნავი ბიბლიოთეკა – მთელი ექსპრესიონისტული პოეზია – ჩემს განკარგულებაში. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია: მამა პროფესორი ყოფილა და ისეთი რამეებიც ჰქონდა, რაც ნაცისტებმა დაწვეს. ჰერბერტი ერთ მეგობარ ქალთან ცხოვრობდა და რაღაცას ღებულობდა დაზღვევისგან. მე ერთი ოთახი ვიქირავე, ფული ხომ მქონდა. ამასობაში ავტოსტოპით დაყვებოდი ამერიკელებს, ვეუბნებოდი, მშობლებს ვეძებ-მეთქი. ბოჭქვიამდე მივაღწიე, გზადაგზა ლექსებს ვწერდი, უმშვენიერესი ზაფხული იყო.

ფიალიკი: თქვენთვის მაშინ ახალი ცხოვრება დაიწყო.

არტმანი: ამ განთავისუფლებამ, სიკვდილისაგან თავის დაღწევამ შინაგანად შემარცია. წანწალის ჟინი მომეძალა, ვისხენებდი ულანდს, ლუდვიგ რიხტერს... რვა საათის მერე ქუჩაში გამოჩენა არ შეიძლებოდა, მაგრამ ბავარიის ხალხი ყველგან ძალიან კეთილგანწყობილი იყო. და უცებ ზალცბურგში რომ ჩავედი: "საბძელში მინც არ შეიძლება დავიძინ-

¹⁰ ინგლ.: მწერალი (მთარგმნელი)

ოთ?" – "კი, როგორ არა! ცეცხლი გინდათ წაგვიკიდოთ!" – ფუ, ამა-ზრზენია. და ყველაზე პირწავარდნილი ნაცისტები სწორედ მანდ არიან! ზალცბურგში პოლიციის ციხეში მოვხვდი და ვუუბნები: "დიას, მაშინ ჰაინც როლანდად ვასალეზი თავს!" მეორე წუთში გამოვფრინდი იქიდან, ციხის დირექტორი იგივე იყო, რაც ჰიტლერის დროს. ზოგი მთელი სიცოცხლე ამაზე წერას მოუნდებოდა.

ფიალიკი: სხვათა შორის, ზალცბურგის რეგიონულ სააკადემიოლოგშიც ამოჰყავით თავი, თქვენს მფარველ ანგელოზს იმხანად ზიგლინდე ერქვა და მოწყალების დად მუშაობდა.

არტმანი: ეს შემეძლო ათ სიზმარში წარმომედგინა ანდა ლექსში აღმეწერა. როცა ჰყვები, კიდევ შეიძლება მთელი ატმოსფეროს გადმოცემა, მაგრამ ქალაღზე დაწერილი უკვე კრემიანი ნამცხვარი გამოვა. მატარებლების კიბეზე ჩამომსხდარები ჩავგრიალდით ინგოლშტატიდან მიუნხენში, გზად ყველაფერი დაბომბილი იყო. მერე კი ზემო ავსტრიაში, იშელში მოვხვდი. ღმერთო ჩემო, რა იყო ამდენი ხნის მერე ისევ კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება! თეო ლინგენი გამოდიოდა ლეარ-თეატრის სცენაზე, ზიგფრიდ ბროიერი. სიგარეტის ნაკლებობას არ განვიცდიდი იმიტომ, რომ კონტრაბანდით გადმომიქონდა. ლეარ-თეატრში ჩებოტარი მღეროდა, მე ვარდები ვუყიდე და თაიგული პირდაპირ სცენაზე ვესროლე. ლამაზი ქალი იყო! ერთხელ ჟირარდის რძალი გამოგველაპარაკა, უკვე ხნიერი ქალი. მეუბნება, თქვენ ხელოვანი უნდა გახდეთო. ლეარ-თეატრში ფილმის პრემიერაზე ვიყავი პაულ კემპთან და თეო ლინგენთან ერთად. "ჩარლის დეიდა" – ეს ბომბის აფეთქებას ჰკავდა! – ომის შემდეგ ვენაში ხშირად ვნახულობდი კამერულ სპექტაკლებს. რა ვნახე მაშინ? მოლნარი, ამბესერი, სტატისტიკადაც კი ვმუშაობდი თეატრში.

ფიალიკი: არა მხოლოდ აკადემიურ თეატრში, არამედ მანამდეც, სკალაში, არა?

არტმანი: იქ მომთხოვეს, პარტიაში გავწევრიანებულიყავი. სკალა კომუნისტური თეატრი იყო. იქ ოტო თაუზიგი იყო, – პირველი, ვისაც ჩემი ლექსები ვაჩვენე.

ფიალიკი: სკალას ახალი თეატრის პირველი დამაარსებელი კარლ პარილა იყო.

არტმანი: ოჰ, პარილა! კეთილშობილი კომუნისტი, მან დადგა ბრესტი. ფანტასტიური მსახიობი იყო, პირიდან სულ დუჟებს უშვებდა. ორიოდ წლის წინათ იოზეფშტატში შევხვდი, ის ხომ ბოლო დრომდე მუშაობდა.

ფიალიკი: ბავშვობაში ყველაზე მეტად კინომ შეგძრათ, ასეა?

არტმანი: წესიერად არც დავდიოდი კინოში, მაქსიმუმ: წელიწადში ერთხელ დედასთან ერთად. თხუთმეტი წლის რომ გავხდი, მერე ვნახე ოცდაათიანი წლების მთელი ფილმები. იან კიპურა და მართა ეგერტი ბრაითენზეეს კინოთეატრში გავიცანი. ეგერტი ნამდვილი ვარსკვლავი იყო, დღეს ასეთები აღარ გვყავს.

ფიალიკი: მაშინ თეატრში ჯერ არ დადიოდით?

არტმანი: ერთხელ დეიდასთან ერთად ვნახე ბურგის სცენაზე შილერის "ორლეანელი ქალწული"; ასე 13-14 წლის ვიქნებოდი. საშინელება იყო!

ფიალიკი: ანუ იმ საღამოს ნამდვილად არ გადაგიწყვეტიათ, პოეტი გამხდარიყავით?

არტმანი: ვიჯექი და არაფერი მესმოდა. კისერი გამიშემდა. – კლასიკურ თეატრებში ისედაც არ მიყვარს სიარული, იმ გამონაკლისის გარდა, როცა ჩემი პიესა იდგმება. – მაშინ, ომის მერე, ვთქვი, ახლა არ შეიძლება ავსტრიული ლიტერატურის მიტოვება, არ უნდა დავუშვათ კულტურის ამერიკანიზაცია, სწორედ ახლაა საჭირო ჩარევა! – ჰო, კარგა ხანი კი დაგვჭირდა...

ფიალიკი: ფრონტზე არაფერი დაგიწერიათ?

არტმანი: როგორ ვითხრათ, ლაზარეთში წოლისას პატარ-პატარა ცდები მქონდა. იქიდან ორ-სამ ნახევარ ჰაიკუს თუ შეაკოწიწებ. იქ წესიერი ვერაფერი შეიქმნებოდა, ეს სულ სხვა სინამდვილე იყო, რას დაწერდი?

ფიალიკი: სკოლაში?

არტმანი: რაღაც წვრილმანებს ვწერდით და ერთმანეთს ვაკითხებდით. დეტექტიურ თავგადასავლებს. ამას უამრავი სასკოლო რვეული ეწირებოდა. თხელ მუყაოს ყდებზე მრავლისაღმთქმელ სურათებს ვხატავდით. თითოეულს ჩვენ-ჩვენი დეტექტიური ამბავი გვქონდა მოფიქრებული. განსაკუთრებით სახალისო რამეებს ჩემი ძმა წერდა. ნიმუშად ტომ შარკის კომიქსები გვქონდა ალებული: მგონი, ახლაც შენახული მაქვს ერთი 55 ცალი. დაწყებითი სკოლა კეფშტაინგასეზე იყო, საშუალო სკოლა – ლორცინგასეზე, კინმაიერგასეზე კი გოგონები სწავლობდნენ.

ფიალიკი: საშუალო სკოლა რომ დაამთავრეთ, მეშვიდე უბანში მუშაობდით შეგირდად.

არტმანი: იქ ვისწავლე უცხო ენები. ერთი პატარა, ებრაული ფირმა იყო, ჩინური ვერცხლის ჭურჭელი ჰქონდათ. მეპატრონეს ივანაც რაიზინგერი ერქვა, მთელი დღე კაფე "თუხლაუბენში" იჯდა და ბანქოს

თამაშობდა. ბრაითენზეედან ციგლერგასემდე მივდიოდი ფეხით, რვა საათზე იქ ვიყავი, თორმეტზე შინ გავბოდი, – ოთხი კილომეტრი გამოდის, – ვსადილობდი და ისევ უკან გამოვბოდი. და ამის მერე, საღამოობით, ქალაქში გასვლასაც ვახერხებდი. მერვე უბანში კი, შკოდაგასეზე, კომერციის სკოლა იყო, საიდანაც, თუ სწორად მახსოვს, დამხმარე კომერსანტის სტატუსით გამომიშვეს. შკოდაგასეზე მხოლოდ კვირაში ერთხელ დავდიოდი ბულალტერიისა და ხარჯთაღრიცხვის შესასწავლად. 1938-ში ჩემი ფირმა დაიხურა. კომერციულ სასწავლებელში მკითხეს: "ებრაელი უფროსი გყავთ?" – დიხ-მეთქი. "აბა, მაშინ ველარაფერს ისწავლით, გათავისუფლებული ხართ". ერთხელ სამ გამოცდაში ჩავიჭერი, კომერციულ გეოგრაფიაშიც კი! არადა, რვა კლასის განმავლობაში მშობლიურ ისტორიაში და გეოგრაფიაში აღარც კი მცდიდნენ, ერთადერთი გეოგრაფია და ისტორია მაინტერესებდა, ყოველთვის ერთიანები მქონდა ამ საგნებში. რელიგიაც მაინტერესებდა; ეკლესიაში რომ მეულო, რელიგიაშიც ერთიანი მექნებოდა. ჩემთვის საინტერესო იყო სხვადასხვა რელიგიის ერთმანეთთან შედარება. – იგნაც რაიზინგერთან თითქმის არაფერი მქონდა საკეთებელი, დრო და დრო მოდიოდა ბულალტერი და მთელ საქმეს ის აკეთებდა. მე პრაქტიკულად დამკვირვებლის როლში გამოვდიოდი. ღარიბული ფირმა იყო, ჩინური ვერცხლი, სანთებელები და ამგვარი რამეები. სხვათა შორის, ვერცხლის წმენდა მიწევდა.

ფიალიკი: წიგნები არ ჰქონიათ?

არტმანი: ოხრად! რაიზინგერთან ენის სახელმძღვანელოებში ჩავეფალი. მეპატრონე სიმპათიური კაცი იყო. არ ვიცი, მერე რა ბედი ეწია, მაშინ ასე ორმოცდაათი წლის იქნებოდა, შვილები პალესტინაში ჰყავდა. იმედი მაქვს, რომ გადარჩა.

ფიალიკი: ბავშვობის მოგონებები თუ გაქვთ?

არტმანი: თავისთავად. გარკვეული ატმოსფერო. მაგრამ ეს იყო ბავშვობა მოვლენების გარეშე. მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, ერთი დღე მეორეს წაავადა. შაბათ-კვირას ბებია-ბაბუასთან ვატარებდით ტყის რაიონში. მატარებლით ჩავდიოდით რეცამდე, მერე კი – ფეხით.

ფიალიკი: ზამთარ-ზაფხულ?

არტმანი: ზამთარში – არა, მაგრამ ეს ძალიან ბუნდოვნად მახსოვს.

ფიალიკი: და სკოლის დამთავრების შემდეგ ფოსტალიონი იყავით!

არტმანი: ჯერ საფოსტო განყოფილებაში ვმუშაობდი, მერე წერილების ტარება დამევალა. კარგად მიხდიდნენ. ფოსტის მერე პირდაპირ ჯარში წავედი. მთელი ომის განმავლობაში ხელფასსაც კი ვღებულობდი, ამ

ფულს მშობლები მინახავდნენ. მეონი, მხოლოდ ბოლო წელს შეიტყვევს, რომ დაპატიმრებული ვიყავი და გამომიგზავნეს ეს თანხა. ომის მერე კი ფოსტაში დავბრუნდი, მაგრამ აღარ მიმიღეს: "ვწუხვართ, მაგრამ თქვენ წინასწარ სიკვდილმისჯილი ბრძანდებით". ეს ისევე ჟღერდა, როგორც: "თქვენ წინასწარ სიკვდილით დასჯილი ბრძანდებით". მე ვუთხარი: "ეს ხომ ჰიტლერის დროს იყო!" და ეს – 1946 წლის მარტში თუ აპრილში!

ფიალიკი: რა მნიშვნელობას ანიჭებთ თქმულებებსა და ზღაპრებს?

არტმანი: ზღაპრების წიგნებს მრავლად ვკითხულობდი ბავშვობაში. ცოტა მოგვიანებით კი, როგორც ვითხარით, 64 გვერდიან კომიქსის ბროშურებს: ტომ შარკს, როლფ ტორინგს, იორნ ფეროუს, ლორდ ლისტერს, მეტსახელად რაფლს, ჯენტლმენ-ქურდს. 14 წლისა კი, შეგიღობისას, რაც კი ხელში მომხვდებოდა, ყველაფერს ვკითხულობდი: მაქს ნორდაუთი დაწყებული და რობერტ ბერნსით დამთავრებული. ყველაზე მეტად გრამატიკები და ლექსიკონები მაინტერესებდა. ესწავლობდი უელსურს, ირლანდიურს, მალაურს, ასირიულს, სამოურს და ა. შ. ეს ყველანაირ თავგადასავალზე უფრო წარმტაცად მეჩვენებოდა. იქნებ სწორედ ამიტომაც, გამუდმებით ენის გენიოსად რომ მრაცხავენ. ენების მიმართ განსაკუთრებული ნიჭი არ მაქვს, მაგრამ მათ მიმართ სიყვარული მაქვს, მიყვარს ცოცხალი იდიომა. და საკმაოდ ბევრ ენაზე ვკითხულობ. ამიტომ თარგმანებისგან პრაქტიკულად დამოუკიდებელი ვარ.

ფიალიკი: ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი. ომის შემდეგ თქვენ არ გიწევდათ იმ საკითხავით შემოფარგლულიყვით, რაც თარგმანში არსებობდა.

არტმანი: არც თუ მწირი ლექსიკური მარაგი მაქვს, ისტორიული თვალსაზრისითაც კი: ვკითხულობ ძველფრანგულად, ძველინგლისურად, ძველშვედურად, ეს უფრო მიაღვივდება, ვიდრე თანამედროვე სალაპარაკო ენა.

ფიალიკი: და ახლა პავლეხავით მოგზაურობთ?

არტმანი: რა ვიცი, ეს ნამეტანია, მე არა ვარ გურუ. ისე ვმოგზაურობ, როგორც მოხეტიალე მუსიკოსი, ჩემს ნაწარმოებებს საჯაროდ ვკითხულობ, ბევრი ხალხის ნახვის შესაძლებლობა მეძლევა. მთელ გერმანულენოვან სფეროში უამრავ ხალხს ვიცნობ, რომელიც შემძილია ერთმანეთს გავაცნო. სწორედ ამას ვაკეთებ აგერ უკვე ორმოცი წელია. სამისოდ სმა და სიმღერა უნდა შეგეძლოს.

ფიალიკი: ჰანს ზაქსივით, არა?

არტმანი: მე ხომ მეწალის შვილი ვარ. მაინცდამაინც ჰანს ზაქსის ხსენება აუცილებელი არ იყო, მის ეპოქაში ხომ ბევრად უკეთესი მაის-ტერზინგერებიც არსებობდნენ. მაგრამ, მე მგონი, ჰანს ზაქსი ძალიან მნიშვნელოვან პიესებს წერდა, რომლებიც XIX საუკუნეში მანიერიზმად ჩათვალეს და უსამართლოდ დაიწუნეს, დარჩა მხოლოდ საქილიკო კუპლეტები. და არა მგონია, ვაგნერის მიერ ასე ავად მოხსენიებული კრიტიკოსი მართლაც ცუდი ყოფილიყო. კაცმა რომ თქვას, რასაც "პოეზიის სკოლაში" ვაკეთებ, ისიც კრიტიკაა. რას წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მოწაფეებს მარცვლებს დავუთვლიდი!

ფიალიკი: 1974-ში, როდესაც სახელმწიფო პრემია გადმოგეცათ, თქვენი მეგობრის, კონრად ბაიერის საფლავი მოინახულეთ.

არტმანი: კონრადის საფლავზე მეორე დღეს მივედი. ვთქვი: "პრემია ბაიერს ეკუთვნის და არა მე!" შავი ბორსალინო ვიყიდე და ფიაკრით გავემგზავრეთ დორნბახის სასაფლაოსკენ. ყოველ დუქანთან ვჩერდებოდით, ამაზრზუნად დაეთვერით! ვოლფგანგ აინბერგერიც გვახლდა თავის მცირეწლოვან ბიჭთან ერთად. ეს ფირი არქივში უნდა იყოს შემონახული: როგორ მივაბიჯებთ სასაფლაოზე, მე ულვაშით ვარ ინგლისელი ვიქტორიანელივით. – თვითონ პრემია მხოლოდ ორი თვის მერე მივიღე, მანამდე ფული არ ჰქონდათ. ჩემი საკუთარი 10 000 შილინგი მქონდა და ის ჩავიდე ჯიბეში. საინტერესო ისაა, რომ კონრადმა თავისი ტექსტების ნახევარი ჩემს საწერ მანქანაზე დაწერა, თავისი არ ჰქონდა. საოცარი ხელწერა ჰქონდა, სახასიათო, თითქოს ბრჭყალით ნაფხაჭნი. საოცარია მისი "წერილები იდასადმი", კიდევაც რომ გამოქვეყნდა. – ვოლფგანგ და თრაუდელ ჰუტერების გაყრის აღსანიშნავ წვეულებაზე კონრადთან ერთად მაგიდის ქვეშ ვიწექი. მერე თრაუდელმა ჰოლცბაუერთან დაიწყო არშიყობა, ორთვინ ქირაჰაიერმა კი თქვა: "ეგ ღვთის კომბალი, ეგ!" მაგრამ სინამდვილეში როგორ იყო, არ ვიცი. ჩვენ ყველანი ძალზე ტაქტიანები ვიყავით. ისე არ იყო, როგორც ალბათ ახლა ლაპარაკობენ იმ დროის შესახებ. უბრალოდ, ფერხული იყო, ხომ გესმით? – დედაჩემს ძალიან მოეწონა თრაუდელი: "აი, ქალი! მდიდარიცაა, ლამაზიც!" დედაჩემი მუდამ იხიბლებოდა ლამაზი გარეგნობით. – მოგვიანებით თრაუდელი კონრადს გაჰყვა ცოლად, მაგრამ მშობლების ზეწოლის გამო ისევ გასცილდა, რადგან ქმარი არაფრის მაქნისი გამოდგა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც განაგრძობდნენ ერთად ცხოვრებას. მაშინ პარიზში იყვნენ, კონრადმა დაწერა "მექქესე გრძნობა", მე კი იმ დროისთვის უკვე შვედეთში ვიყავი. – თრაუდელს თვალს ვერ მოსწყვეტ, ისეთი ლამაზია. გინახავთ?

ფიალიკი: არსებობს ფოტო, რომელზეც თრაუდელ ჰუტერი იოზეფ და

კარლა ჰოფმანებთან ერთად "ჩალის ჩემოდანშია" გადაღებული.

არტმანი: დღესაც ზუსტად ისევე გამოიყურება, არადა სამოცდაათს გადააბიჯა! – ამასწინათ გამოვლივარ "გრაბენის" სასტუმროდან, ვხედავ, თრაუდელი მოდის, ისევე ისეთი, ქუდითა და ქურქით, საოცარ სურნელს აფრქევს, დახვეწილი და გემოვნებიანია. ასეა, თრაუდელმა ყველას გადაგვიჯოკრა!

ფიალიკი: ცოტა ხნის წინათ ფერი რადაქსსაც ვესაუბრე ორმოცდაათიანი წლების შესახებ.

არტმანი: რადაქსი რომ მოყოლას დაიწყებს, ბევრი რამ გამოვა დღის სინათლეზე. მაგრამ ხალხთან საუბარს ერიდება. კარგად მახსოვს, "ჩალის ჩემოდანში" შემოსვლა აუკრძალეს, ჩექმებს რომ ატარებდა, იმიტომ. შმელერს, რომელთანაც მერე ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მისი ჩექმები მეტისმეტად ნაცისტური მოეჩვენა. აღარც ჩვენი კეთილი მეგობარი შმელერია ცოცხალი. შმელერს მხოლოდ ერთი ხელი ჰქონდა და მახსენდება ერთი ჩხუბი "ჩალის ჩემოდანში", როცა მისმა მოწინააღმდეგემ სამართლიანობის გულისთვის ითხოვა, მისთვისაც ცალი ხელი ზურგსუკან მიეხათ. ეს ჰკავდა ირლანდიურ კრივს 1840 წელს. – რადაქსი პირველად სტადიონის ქუჩაზე, ფორუმის კინოთეატრში ვნახე – რომელიც დღეს აღარ არსებობს – კაფე "ელის" პირდაპირ, დიდი, თანამედროვედ აღჭურვილი კინოთეატრი იყო, და იმის წინ დავინახე: გამხდარი, ჯემპარი – მუხლებამდე, აბრეშუმის ვიწრო შარვალი და ჩექმა, – უბრალოდ სხვა არაფერი ჰქონდა ჩასაცმელი. თხილის ორმეტრიანი ჯოხით ხელში იდგა და მაშინვე გავიფიქრე: "ეს ჩვენიანი იქნება!" მერე ერთმანეთი არტ-კლუბში, "ჩალის ჩემოდანში" გავიცანით, სულმთლად ბიჭი იყო. – რასაც რადაქსი გეტყვით, ყველაფერი მართალია. და, საკუთარი პერსპექტივიდან, ადრიანსაც ბევრი რამის მოყოლა შეუძლია.

ფიალიკი: ფერი რადაქსი მხოლოდ "ჩალის ჩემოდანში" როდია გადაღებული, არსებობს ერთი მისი ფოტო შტეტეფან ფრალის ატელიეიდან.

არტმანი: შტეტეფანი ფანტასტიკური ადამიანი იყო. ფრალთან შეგაკეთეთ "შავი მელნის" სურათები. მონიც ხშირად იყო იქ, ხომ გახსოვთ: "სამი ლექსი მონისათვის". და იქ იყო ჰელგაც, მაშინ სულ პატარა გოგონა იყო. ეს იყო ჩვენი "ამქარი". – ჰელგა ფილიპი ასე თვრამეტის იქნებოდა, რომ გავიცანი, ჰილდე აბზალონი – თექვსმეტის. – ჰილდეს მაშინ ტიცინანისეული წითური თმა ჰქონდა და ერნი ვობიკთან მეგობრობდა. აქ ყველაფრის გადაკვეთის წერტილია. ეს იყო შეფიცულთა ორდენი. და ამიტომ ძალიან ვბრაზდები, როცა "ვენის ჯგუფი" სულ ხუთ კაცამდე

დაჰყავთ ხოლმე, სინამდვილეში ეს უზარმაზარი "ამქარი" იყო.

ფიალიკი: ქალებს მაინც "ვენის ჯგუფთან" მიმართებაში თითქმის არ-ასდროს მოიხსენიებენ.

არტმანი: კონრად ბაიერი წერს, იმიტომ გამომაგდეს, რომ პორტრეტისთვის ვპოზირებდიო, ეს სულ ტყუილი ლაპარაკია. მაიროკერს თავიდანვე ვიცნობდი, "ახალი გზებიდან". ერნსტ იანდლი სულაც არ გახლდათ ნოვატორი, მაგრამ მის "სხვა თვალებს" ახლა მართლაც რომ სხვა თვალთ ვკითხულობ; გარდა ამისა, ის შემდგომში ძალიან განვითარდა. რიუმმა, მაგალითად, არაფერი გამოაქვეყნა ჩვენს მიერ გამოშვებულ ჟურნალში, "პუბლიკაციებში", იმის გამო, რომ მასში იანდლი იღებდა მონაწილეობას. ამიტომაც "ვენის ჯგუფი" ვეღარ გაფართოვდა.

ფიალიკი: ახლაიტნერთან ერთად სხვა დროსაც თუ გიმეშავიათ, 1957 წელს "ინტიმურ თეატრში" გამართულ ერთობლივ ღონისძიებას თუ არ ჩავთვლით?

არტმანი: მე და ახლაიტნერი საუკეთესო მეგობრები ვიყავით, ჩვენი ურთიერთობა, ასე ვთქვათ, უბრალო ხალხის დონეზე მიმდინარეობდა. ხომ გესმით, ყველას ჰყავს საკუთარი ახლაიტნერი, საკუთარი ბაიერი, საკუთარი რიუმი.

ფიალიკი: მაგრამ აზრთა ურთიერთგაცვლა, ის, რომ ერთმანეთს ახლადდაწერილ ტექსტებს უჩვენებდით, ესეც ხომ გაკავშირებდათ ახლაიტნერთან?

არტმანი: ჰო, რა თქმა უნდა, "ჰაველკა"-ში და "გლორი"-ში როცა დავდიოდით. იქვე იყო ჩილეელი მხატვარი იბან კონტრერას ბრუნეტი. შეიძლება პურის ნაჭერი გთხოვოთ?

ფიალიკი: თუ ნებას დამრთავთ, პურთან ერთად კიდევ რაიმეს შემოგთავაზებთ.

არტმანი: ცერა და საჩვენებელი თითის გარდა არაფერი მჭირდება...

ფიალიკი: ნარკოტიკები არასოდეს გიზიდავდათ.

არტმანი: არც ალკოჰოლი. მძიმე მომენტებში კიდევაც დამილევია, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ სასმელზე დამოკიდებული. ზრდილობის გულისთვის ერთი-ორჯერ კანაფიც მოვქაჩე, მაგრამ მერე სპაზმი მქონდა. არა, ეს საჩემო არაა!

ფიალიკი: კონრად ბაიერი კი...

არტმანი: ...ქლოროფორმს ღებულობდა, დროდადრო. ჩემს ჰიცინგის ბინაში, სადარბაზოს კედელთან იდგნენ ერთხელ ის და ინგრიდ ვინერი. კედელი ახალი შეეთეთრებული იყო. ჰოდა, ორივენი უცებ იმ კედლის

ძირში ჩაიკეცნენ. კონრადი ნამდვილი ანგელოზი იყო, დაცემული ანგელოზი. — ძალიან მიმძიმს, როცა მირეკავენ და მთხოვენ: "მიაბეთ რაიმე კონრად ბაიერის შესახებ!" კი, ბატონო, ძალიან კარგი, მაგრამ ეს გერმანისტები იმდროინდელი ხალხის შვილთაშვილები არიან, ამათ რა უნდა დაწერონ ჩვენზე? — მაგრამ აი, ასე რომ ვზივარ, საუბარში ხან რა მომაგონდება, ხან რა.

ფიალიკი: ერთხელ საჯარო კითხვისას დამცინავი ღიმილით წარმოსთქვით: "ჩემი სასიყვარულო ლექსები ხელოვნურია. სინამდვილეში შეყვარებული არასდროს ვყოფილვარ".

არტმანი: ჰო, ყველანი ვამბობთ ხოლმე ამგვარ რამეებს. მაგრამ ძალიან ბევრი ლექსი დიდი მახერს მივუძღვენი. დიდი უმშვენიერესი ქალიშვილი იყო და ვთვლი, რომ დღესაც სიმპათიურია. — ეს ყველაფერი ეროტიკაა, ამის მეტი სხვა ხომ არც არაფერი არსებობს.

ფიალიკი: მაგრამ უხამსი ლექსი არასდროს დაგიწერიათ.

არტმანი: რა თქმა უნდა, მე ხომ წესიერი და დახვეწილი ადამიანი ვარ.

ფიალიკი: ერთხელ ახსენეთ, ბევრი რამის დაწერაზე იმის შიშით თქვით უარი, "ვაი, თუ დედიკომ წაიკითხოსო".

არტმანი: ეგ უფრო ტლანქი, თითქმის პორნოგრაფიული ტექსტები უნდა ყოფილიყო.

ფიალიკი: ესე იგი, სიამოვნებით დაწერდით ისეთ რამეებს, როგორსაც გერჰარდ რიუმი წერდა...

არტმანი: აი, ასეთ რამეებს დედას მართლაც ვერ ვუჩვენებდი, მომერიდებოდა. სხვადასხვანაირად ვწერ, მაგრამ უგემოვნო არაფერი დამიწერია, ყველაფერი დახვეწილია.

ფიალიკი: სწორედ გემოვნების თვალსაზრისით თქვენთვის უმნიშვნელოვანესი შთაგონების წყარო ქალები იყვნენ.

არტმანი: ახლაც ასეა.

ფიალიკი: "მანიფესტი შეიარაღების წინააღმდეგ" 1955 წელს დაწერეთ, ამით სახელმწიფო ხელშეკრულების წინააღმდეგ გაილაშქრეთ. ამ საპროტესტო აქციაში ქალებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

არტმანი: არსებობს სურათი, სადაც კარინტიის ქუჩაზე ვდგავართ, არც ერთი ქალი არ გვახლაგს, — მე, ოსი ვინერი, კოლცი და იქვეა რამდენიმე ჯაზმენიც.

ფიალიკი: სურათზე დიკ ჰერმანიც ჩანს.

არტმანი: გერჰარდ რიუმი გვიან შემოგვიერთდა, მე მგონი, მამამისის

გამო გაუჭირდა ამის გაბედავა. ფოტოზე კარგად ჩანს, რომ ყველანი ვიკრიჭებით. მხოლოდ დეიდაჩემს აქვს დარცხვენილი სახე, ის სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა იქ. ავსტრიაში ამის თაობაზე მხოლოდ ერთმა გაზეთმა მოამზადა რეპორტაჟი. "მანიფესტი შეიარაღების წინააღმდეგ", ცოტა არ იყოს გულიბრყვილოა, ჭაბუკური რომანტიზმით გაჯერებული. დღეს იგივეს სულ სხვანაირად გამოვთქვამდი, მაგრამ რა აზრი აქვს? ჩვენ "გაერო" გვიცავსო, თქვა ამასწინათ ჩვენმა ფედერალურმა პრეზიდენტმა.

ფიალიკი: ფრიდრიჰ პოლაკოვიჩი ერთ-ერთი მათგანია, ვინც თავიდან მხარს გიჭერდათ.

არტმანი: არაჩვეულებრივი ბიჭია, უნიჭიერესი პოეტი, ღვთისგან დაჯილდოებული სტილისტი, სიამოვნებით ვნახავდი მას კიდეც, მაგრამ მეტიმეტად პირქუშია. მან დაწერა მსოფლიოში საუკეთესო ანტიმილიტარისტული წიგნი, რომელიც არასდროს დაბეჭდილა. ჩემი ვაჟის სკოლის მასწავლებელი იყო. იანდლი ინგლისურს ასწავლიდა ვალტერის გიმნაზიაში, პოლაკოვიჩი კი – ხატვას. პოლაკოვიჩი მკაცრი და სამართლიანია, მოწაფეებს ძალიან უყვარდათ, უდრტივენვლად დამცინავი ტიპია. მე ხომ თავიდან ვერც კი ვბედავდი "შავი მელნის" ხმამაღლა წაკითხვას. წიგნიც, პირველი საჯარო გამოსვლებიც, პირველი აუდიოფირები, "ჭუსარების წიგნიც" – ყველაფერი პოლაკოვიჩის დამსახურებაა. პოლაკოვიჩი ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია, მაგრამ მას მხოლოდ ათ წელიწადში ერთხელ ვნახულობ.

ფიალიკი: ერნსტ კოლცზე რას იტყვით?

არტმანი: კოლცი გენიოსი ვინმეა. მეტიმეტად მოკრძალებულია, რაც ნამდვილად არ ეპატიება, არადა ძალიან კარგი კომპოზიტორია. ისე გამოიყურება, როგორც გრილპარცერის დროინდელი მოხეტიალე მუსიკოსი, ძალიან გულისამაჩუყებელია. – ასევე ზედმეტად თავდაბალი ვინმეა ოკოპენკო, ისიც ძალიან ნიჭიერი. სხვათა შორის, გინახავთ იაპონელი რეჟისორის, აკირა კუროსავას "რასიომონი"?

ფიალიკი: "რასიომონში" სხვადასხვა ადამიანები ერთსა და იმავე ამბავს თავ-თავიანთი პერსპექტივიდან ჰყვებიან.

არტმანი: ჰოდა, რასაც თქვენ ახლა აკეთებთ, "რასიომონს" მაგონებს და ძალიან მახალისებს.

დასკრთი III

ახალი თვითმყოფალი პოეტი

ჰანს კარლ არტმანი უკანასკნელი წლების ვენელ ემიგრანტთა რიცხვს ეკუთვნის. მისი პიროვნებისა და შემოქმედების ვერც ერთი მიმოხილვა გვერდს ვერ აუვლის ვენაში შექმნილ იმ განსაკუთრებულ გარემოებებს, რომლებზეც, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, თვით არტმანიც ახდენდა გავლენას. 50-იანი წლების ვენა — და, მაშასადამე, ავსტრია, — წარმოადგენდა, დღევანდელზე უფრო მეტადაც კი, მყარად თავდაცობილ გაუმჭვირვალე ბოთლს, რომლის შიგთავსიც ვენის გარეთ ცოტა ვინმეს თუ აინტერესებდა: მას სულაც თითქმის არავინ იცნობდა. ეს ისევე ეხება ვენის სკოლის მხატვრობას, რომელსაც არტმანი დიდად აფასებს, როგორც ვენის მწერლობას, — მთელი გერმანულენოვანი სალიტერატურო სივრცისგან იზოლირებულს, მშობლიურ გარემოში კიდევ უფრო ვერშემჩნეულს, ვიდრე — უცხოეთში. საყოველთაო შემოქმედებითი დეპრესიის მძიმე სათბურისებრი ატმოსფერო ლიტერატურულ დაჯგუფებათა შექმნას იმთავითვე უწყობდა ხელს. მოგვიანებით პირწავადნილი კომუნისტის, ჰანს ვაიგელის წრეში, ისევე, როგორც გავლენიანი ანტი-ვაიგელიანელის, ჰერმან ჰაკელის ჯგუფში, "ახალი გზების" სამწერლო წრესა და ვენის პოეტთა ჯგუფში კვლავაც და კვლავაც იკრიბებოდნენ ერთურთის სითბოს მოწყურებული შემოქმედნი, — ჰარი პონგსმა სხვა მაგალითების მოშველიებით უკვე საფუძვლიანად გააშუქა საზოგადოებრივ დაჯგუფებათა ეს ფენომენი. ამგვარ, თუნდაც არამდგრად და სხვა წრეებთან კავშირების გამო მერყევ ჯგუფში შემოქმედს არც იზოლირებულობა აშინებს, არც გამოქვეყნების შესაძლებლობათა სიმწირეს თუ მკითხველთა უყურადღებობით გამოწვეულ დამუნჯებას უჩივის. 1950 წლიდან მოყოლებული, არტმანის ძლიერ გავლენას განიცდის, სულ ცოტა, ორი ამ დაჯგუფებათაგანი: ესენია "ახალი გზების" ავტორთა წრე, რომელსაც იმ ავსტრიელი მწერლების დიდი ნაწილი შეადგენდა, რომელთა ნაწარმოებებიც ჰანს ვაიგელმა შეაგროვა ანთოლოგიაში "თანამედროვეობის ხმები I-IV", და — ვენის პოეტთა ჯგუფი. ვილანდ შმიდი წერს ამის თაობაზე: "არტმანის როლი ამ წრის საქმიანობაში შეიძლება შევადაროთ იმ ადგილს, რომელიც ჰაუნდს ეკავა ლონდონში პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში".

ამ შედარებაში მხოლოდ პაუნდის "დამძიმებული" სახელი თუ მოგვეჭრის ყურს; სხვა მხრივ, ყოველ შემთხვევაში, ავტორთა წრის ექსპერიმენტულ ფრთასთან და მოგვიანებით მთელ ვენის პოეტთა ჯგუფთან მიმართებაში, თუკი შესაბამისად შეეცვლით მასშტაბებს, ეს შედარება სავსებით გამართლებულია. თავისი შრომებითა და ლიტერატურული აღმოჩენებით, ენობრივი მონაცემებით, რაც უცხო ენებისადმი მიდრეკილებასაც გულისხმობს, არტმანი ახალგაზრდა მწერლებისთვის უთუოდ რჩებოდა იმ აუცილებელ იმპულსთა და წამყვან იდეათა მატარებლად, ჯგუფის ერთსულოვნებას რომ უზრუნველყოფდა, თუმცა მათ თავად უწევდათ ამ იმპულსებისა და იდეების მოწესრიგება და ადექვატურად ათვისება, რადგან არტმანი, როგორც მის მეოცნებე ბუნებას შეეფერებოდა, თავადაც მუდმივ ძიებასა და პოზიციათა ცვლაში იყო, რათა, ბოლოს და ბოლოს, ერთი საბოლოო გეზი აეღო. წრეებში გაერთიანებამ ვენის იმდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებას იმთავითვე საკუთარ თავში ჩაკეტილი, სექტანტური სახე შესძინა, რაც ძალზე ართულებს კვალდაკვალ მივლით მის ყველა დეტალს. ანდრეას ოკოპენკო ასე წერს 50-იანი წლების ვენური ლიტერატურის შესახებ: "ხშირად ერთმანეთთან სტუმრობისას იმპროვიზაციებს ვქმნიდით, მეგობარს კვარანახობდით ანდა უბრალოდ წარმოვთქვამდით ტექსტებს, რომლებიც ქაღალდზე აღარ გადაგვქონდა; ნაწერს კვაგავდით, ნაგავს ვატანდით, ვწვავდით. შემოქმედებას თან რაღაც გიჟური სილაღე ახლდა: თითქმის უეჭველი იყო, რომ ყველაფერი, რასაც ვქმნიდით, ჩაუწერელი დარჩებოდა".

თუკი ბოთლის მეტაფორას დაეუბრუნდებით, არტმანი ამ ბოთლში მომწვედელი ჯინი გახლდათ, პოეტთა ზღაპრული რესპუბლიკის ჰარუნ ალ რაშიდი. 1964 წელს ოცდათორმეტი წლის ასაკში გარდაცვლილი კონრად ბაიერი აღიარებდა: "ის ჩემთვის მთელ მსოფლმხედველობას წარმოადგენდა, დასტურს იმისა, რომ პოეტად ყოფნა შესაძლებელია".

დღევანდელ, დასავლეთგერმანულ სინამდვილეში ეს უცნაური ადამიანი უცხოთსავით მორიდებით შემოდის. ის თავს არიდებს ლიტერატურული საზოგადოების მიერ დაკისრებულ მოვალეობებს. მას მთლად სანდოდ არ მიიჩნევენ. დასანანი ის კი არ არის, რომ ის ყურადღების ცენტრში ვერ მოექცა მავანთა მსგავსად, ვინც ამას ბევრად ნაკლებად იმსახურებს: დასანანი უფრო ის არის, რომ მის საინტერესო და ვრცელ ლიტერატურულ შემოქმედებას უჯრაში ჩარჩენა და მივიწყება ებუქება. ან კი რისთვის შეინახოს ლექსები, თუკი ისინი არავის სჭირდება? ოტო ბრაიხა წერს ჟურნალ "Wort in der Zeit"-ის ივლისის ნომერში: "ყველაფერი იქით მიდის, რომ ამ ავტორის კანტი-კუნტად გამოქვეყნებულ

ფრაგმენტებს მისი სრული შემოქმედების კონტექსტში ვერასდროს ვიხილავთ". არტმანის რამდენიმე ასეული ლექსიდან, რომელთა ნაწილი დღეს უკვე დაკარგულია, მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანს თუ წაუკითხავს ორი ან სამი ცალი, ხოლო რაც შეეხება 1966 წლის გაზაფხულზე გამოსულ კრებულს "ვერბარუმი", ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში შექმნილ ორმოცდაათიოდე ლექსს რომ შეიცავს, ის მხოლოდ განმეორებით უდასტურებს განდობილთ იმას, რაც მანამდეც იცოდნენ: რომ არტმანი, როგორც ჩანს, ერთადერთი ჭეშმარიტი პოეტია, რომელიც გერმანულენოვან ლიტერატურას ჰყოლია 1945 წლის შემდგომ, – ყველა იმ მოდური გენიოსის ჯებრზე, ვინც კი მას შემდეგ ცამდე აუყვანიათ: ბახმანით დაწყებული და გრასით დამთავრებული. ხოლო პროფანებისთვის "ვერბარუმი" მხოლოდ კიდევ ერთი ცდაა, – საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი, თუმცა, უდავოდ, მნიშვნელოვანი. ასევე სანახევროდ დაკარგული, მეტწილად მოკლე პროზაული ტექსტების მრავალი ასეული გვერდიდან დღემდე წიგნად მხოლოდ "გუშინდელი დღის ძიება" გამოცემული ვალტერის გამომცემლობის მიერ და "მოთხრობები ჰუსარებზე", რომელმაც ამ ბოლო დროს ჰიპერის გამომცემლობას გვარიანი ზარალი მიაყენა. ავსტრიაში მხოლოდ დიალექტზე დაწერილმა ლექსებმა მოუპოვა აღიარება. ესენია: ზალცბურგში, "ოტო მიულერის" მიერ დასტამბული "med ana schwoazzn dintn" და ფრიდრიჰ ახლაიტნერსა და გერჰარდ რიუმთან ერთად შექმნილი "hosn rosn baa" (ვენა, ვილჰელმ ფრიკის გამომცემლობა). "med ana schwoazzn dintn" ("შავი მელნით ნაწერი") ბესტსელერიც კი გახდა. მხოლოდ ვალტერ ჰიოლერერი ჩასწვდა არტმანის მნიშვნელობას, როდესაც ამ რამდენიმე ხნის წინათ მისეული "გრძელი ლექსის" ფენომენი აღმოაჩინა და ჟურნალ "Akzente"-ში მისი რამდენიმე ბერლინური ლექსი დაბეჭდა. აღსანიშნავია არტმანის "დრაკულა დრაკულა", – უკვე ბრემერის გრავიურებით შემკობილი ძვირფასი, ძალზე ძვირად ღირებული წიგნი (თითო ეგზემპლარის ფასია 300 მარკა), 1966 წლის ივნისში ბერლინის გამომცემლობა "რაინერ"-მა რომ გამოუშვა, და რომლის ტირაჟიც სულ 55 ცალია. ეს გახლავთ შესანიშნავი, კლასიკური, უნიკალური რომანი, მანქანით ნაბეჭდ სულ ათიოდე გვერდს რომ შეადგენს. თავისი აგებულებით, შესრულებით, ლაკონურობითა და უნატიფესად დასმული აქცენტებით ის სწორედაც რომ მისწრებაა ბესტსელერების ავტორებისთვის: ის მათ ასწავლის, თუ როგორ უნდა დაწერო რომანი, თუკი ეს მაინც და მაინც მიზნად დაგისახავს და თუკი არ შეგწევს იმის უნარი, რომ არტმანის მსგავსად სხვას უჩვენო, თუ როგორ კეთდება ამგვარი საქმე.

და მაინც, მისი სახელი თანდათანობით სულ უფრო ხშირად ჟღერს. მისი მეგობრებიც კი უკვე თანდათან იწყებენ მის აღმოჩენას. მალე ისინი, ალბათ, მისი პიროვნებისა და პოეტური შემოქმედების ფიზიკურ რუკასაც შეგვიდგენენ. ის, რაც დღემდე დაწერილა მის შესახებ ალფრედ შმელერის, ვილანდ შმიდისა და კონრად ბაიერის მიერ, ან მოკლებულია ყოვლისმომცველ ხედვას, ან მხოლოდ მოკლე მოხსენიებას ისახავს მიზნად, ანდა, როგორც ბაიერის 1964 წელს ვენის ჟურნალ "Wekstatt Aspekte I"-ში გამოქვეყნებული შთამბეჭდავი შეტყობინება, განგებ ცალმხრივი და ტენდენციურია და გარკვეული იდეებით შემოფარგლულ მცდარ წარმოდგენას გვიქმნის არტმანზე. როგორია ის სინამდვილეში? 1933 წლის ერთი ფოტოსურათი გვიჩვენებს თორმეტი წლის წოწოლა გამხდარ ყმაწვილს, გვერდზე მდგარ ბავშვებს მთელი თავით და მეტითაც რომ უსწრებს სიმაღლეში. ერთი ფეხი აუზის ნაპირზე შემოუდგამს. ოცდათორმეტი წლის შემდეგ მისი მოხრილი, თითქმის უსინათლო დედა სწორედ ამ სურათს ამოიღებს უჯრიდან და მოკრძალებით იტყვის, - როდესაც ვიგრძენი, რომ ბავშვს ველოდები, უეცრად გამიჩნდა სურვილი, ჩემი ვაჟი პოეტი დამხდარიყო. ეს პოზა პოეტს დედამ, ვენის გარეუბნის ბინადარმა, მეწაღე ოსტატის ქვრივმა გადასცა მემკვიდრეობით.

მაგრამ რატომ ხდება ერთი ვაჟი პოეტი, მეორე კი - მამის ხელობის გამგრძელებელი? რა უბიძგებს საშუალო სკოლადამთავრებულს უცხო ენებისა და სიტყვებისკენ? თანაც - მაღალი კლასების, საღამოს სკოლისა თუ სხვა ნებისმიერი დამატებითი განათლების გარეშე? არტმანს თარგმნილი აქვს შვედურიდან კარლ ლინე, ესპანურიდან - ფრანცისკო დე კევედო, ირლანდიურიდან - კელტური რელიგიური პოეზია, ფრანგულიდან - მარივო, ინგლისურიდან - დეიზი ეშფორდი, იდიშიდან - ებრაული ანდაზები; ეს მხოლოდ თითო მაგალითია ზოგიერთი ენობრივი სფეროდან, რასთანაც მას საქმე ჰქონია. დაწერილი აქვს ლექსები ბაროკოს სტილში, რომელთაგან "25 ეპიგრამა" დანართად მოსდევს "მთხრობებს ჰუსარებზე", სპარსული ოთხპეტიანი ლექსები, გრძელი ლექსები, ბგერული ლექსები, ლექსები დიალექტზე, - ესეც მისეულ პოეტურ ფორმათა მხოლოდ არასრული ჩამონათვალი გახლავთ. მისთვის გამუდმებით მიწვედაო წიგნების ყიდვა, იხსენებს დედა, ფრონტიდანაც კი წიგნებს მთხოვდა და ვუგზავნიდიო. იყო თუ არა ის თვალშისაცემი პიროვნება? ებრაელს, რომელთანაც ის შეგირდად მსახურობდა, მისი ხუმრობები ჰყვარებია. განსაკუთრებული სიბეჯითით არ გამოირჩეოდა, სამაგიეროდ მახვილი გონება და სიოხუნჯე არ აკლდა. ბოლოს და ბოლოს, "დაითხოვეს",

ანუ, როგორც ახლა ვიტყვოდით, პრაქტიკა დაასრულა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არტმანს ოცდაათი წლის ასაკამდე კითხვისა და ენების შესწავლის გარდა არაფერი უკეთებია. ის ქალაქში მიმოდის, ადამიანების საუბარს აყურადებს, კითხულობს საგზაო ნიშნებსა და მაღაზიის აბრებს, შემდეგ კი, საღამოთი, ლექსიკონებში დაეძებს თავის მონაპოვართა მნიშვნელობებს. მისი პირველი პუბლიკაცია 1950 წელს შედგა. ესაა პირველი ცხრა ბჭკარი 1949 წელს დაწერილი უსათაურო ლექსისა, რომელსაც სრულად, 20 ბჭკარის სახით, ორიოდ ადგილას ოდნავი ჩასწორებებით, "ვერბარუმის" "კარინტიულ სასიყვარულო ლექსებს" შორის ნახავთ.

რაც შეეხება სიტუაციას მაშინდელ ვენაში: 1945 წელს ოტო ბაზილმა დაიწყო ჟურნალ "Plan"-ის გამოცემა, რომელიც 1948 წელს დაიხურა ისე, რომ ვერ მოესწო არტმანის პირველი, უკვე დაკაბადონებული ტექსტების დაბეჭდვა. 1950 წლისთვის, ანუ არტმანის პირველი პუბლიკაციის დროისთვის ვენაში არსებობდა ერთადერთი ჟურნალი "Neue Wege" ("ახალი გზები"), რომელსაც ახალგაზრდული თეატრი გამოსცემდა ყოველთვიურად. მასში, დაახლოებით 1948 წლიდან, ლექსებსა და მცირე პროზას ბეჭდავენ ჰანს ვაისენბორნი, ჰერბერტ აიზენრაიჰი, გერჰად ლამპერსბერგი, ფრიდრიჰ პოლაკოვიჩი, ანდრეას ოკოპენკო, ერნსტ კაინი, ვალტერ ტომანი და სხვები, რომელთა გვერდითაც ასევე თავ-თავის სიტყვას ამბობენ კაროსა და კვაზიმოდო, არაგონი და მიაკოვსკი. 1950 წელს ჟურნალი იწვევს მუდმივ ავტორებს შეკრებაზე, სადაც ახალგაზრდა ავსტრიელ ავტორთა დაბეჭდვის საკითხი უნდა გადაწყდეს. არტმანის – რომელიც ჯერ თვით ვენაშიც კი ვერ დაიკვეხნიდა პოპულარობით – იმ დროისთვის ერთადერთი მოწაფე რენე ალტმანი სიტყვას შეაწვევს თავის მოძღვარს და მოითხოვს საზოგადოების ყურადღებას ამ, მისი განმარტებით, სიურრეალისტი პოეტისადმი. არტმანს მიიღებენ და ის მაშინვე იქცევა მენტორად ამ არაერთგვაროვნად დასტრუქტურებული ჯგუფისა, რომელიც ეწინააღმდეგება კონსერვატულ, ძირითადად, აკადემიურ ტენდენციებს და, "ახალი გზების" ავტორთა წრის სახით, ხაზგასმულად პროგრესულ გეზს ირჩევს. მთელი ამ ფაზის მანძილზე, 1951 წლის ნოემბრამდე, ჯგუფში მხოლოდ ჰელენე დიმი, ფრიდერიკე მაიროკერი, ვილანდ შმიდი და ჯენი ებნერი მიიღეს. მანამდე არტმანი ახერხებს 1933 და 1938 წლების და შემდეგ 1945 წლამდე არსებული საგამომცემლო ჩავარდნების ამოვსებას არა მხოლოდ გერმანულენოვანი ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ნოვატორთა გამოცემით, არამედ – ჯერაც აბსოლუტურ ჩრდილში მოქცეული დადაისტებით, სიურრეალის-

ტებითა და კიდევ უფრო შორს წასული მიმდინარეობებით. ის შეისწავლის იმ დროისთვის ჯერაც უთარგმნელ უცხოურ ლიტერატურას, ამზადებს საინფორმაციო თარგმანებს ლორკას, ლუსბერის, მისტრალის, დილან თომასის, ალბერტის, ნერუდას და სხვათა შემოქმედებიდან, აწვობს საჯარო კითხვებს, რომლებზეც სულ ახალ-ახალი ტექსტებით აცხრება თავს აუდიტორიას, მაგალითად კითხულობს ლექსებს "romancero gitana"-სა და "el poeta en Nueva York"-იდან¹. ცხადია, ჯგუფს არც სხვა მხრიდან აკლია გავლენები, მაგრამ არტმანი თავის მიერ მოწვდილი მასალის სიუხვითა და მრავალფეროვნებით და თავისი მჩქეფარე პიროვნებით ყველა სხვა იმპულსს გადასძალავს.

"ის ყველაფერს განსაკუთრებულ სიცხარეს ანიჭებდა, ყველაფრის მაცოცხლებელი ძრავა იყო" – წერს ანდრეას ოკოპენკო. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში "ახალ გზებში" არტმანის ძალზე ცოტა ლექსი იბეჭება, 1951 წლის ივნისამდე – სულ თერთმეტი ცალი. რამდენადაც შეგვიძლია ზოგადად ვიმსჯელოთ მათ მიხედვით, ამ პერიოდში ძირითადად ბუნების სურათთა ამსახველი, ზღაპრული შინაარსის ანდა ბოშური რომანტიზმით აღბეჭდილი ლექსები იწერება. მაგრამ მათ გვერდით ჩნდება ფორმალურად განსხვავებული ტექსტებიც, დღემდე გამოუქვეყნებელი, როგორიცაა თუნდაც "ესკიზი სამგლოვიარო სიმღერისთვის. ბრძოლაში დაცემულ მებრძოლს", – აშკარად 1951-52 წლებში, ლორკას ხანგრძლივი და ინტენსიური გავლენის პერიოდში შექმნილი ლექსი, პოეტის ომის დროს რუსეთში დაღუპულ უმცროს ძმას რომ მიეძღვნა და მისი ლექსების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც დიდ გულ-ახდილობას, აღიარებასაც კი შეიცავს, თუმცა, აქაც ძალზე თვალშისაცემი ენობრივი სტილიზაციის მოწმენი ვხვდებით. მთლიანობაში, 1944 წლიდან 1953 წლამდე, მისი სულ ორიოდე ლექსის პუბლიკაცია თუ მოიძებნება.

1950 წლის აპრილში "ახალ გზებში" გამოდის არტმანის პირველი პროზაული ტექსტი: მხოლოდ ორიოდ სიტყვით თუ სტრიქონით მონიშნული რვა პერსონაჟი, რომლებიც გვიტოვებენ შთაბეჭდილებას, რომ მათზე ძალიან ბევრი რამ დარჩა უთქმელი. ამ ნაწარმოების შექმნის იმპულსად თავად არტმანი სხვადასხვა დროს განსხვავებულ წყაროებს ასახელებს. სხვა ესპანელ თუ ესპანურენოვან ავტორთა გვერდით ის მოიხსენიებს 1899 წელს დაბადებულ რამონ გომეს დე ლა სერნას, თარგმნის მას და ამ პერიოდისთვის თავის მისაბამ შემოქმედად წარმოგვიდ-

¹ ლორკას "ბოშური რომანსერო" და "პოეტი ნიუ იორკში".

² მცირე მოცულობის იუმორისტული პროზაული ნაწარმოები ესპანურ ლიტერატურაში.

გენს. სერნასთვის დამახასიათებელი გრეგერიები², – მაგალითად, ასეთ სტილში: "ქალი, რომელსაც პომადის წასმა დაავიწყდა, ისეა შემფოთებული, თითქოს ტუჩები შინ დარჩენოდას", – არტმანმა შემდგომში არაერთხელ გამოიყენა თავის პერსონაჟებზე, ფანტასმაგორიებსა და სხვა სახის მცირე ტექსტებზე მუშაობისას. მაგრამ მცირე მოცულობის პროზას, თუ არ ჩათვლით მის მცირე რომანებს ("დრაკულა დრაკულა", "კაციჭამია" და ფრაგმენტების სახით შემორჩენილი სასიყვარულო რომანი) არასოდეს მოუტანიათ არტმანისთვის წარმატება. ლექსსა და პროზას შორის ბუნდოვან ზღვარზე მერყევი ტექსტები ყველაზე შორსგადაღებული ნაბიჯებია ეპიკურ სფეროში, რასაც მისგან შეიძლება მოველოდეთ, თუკი ძალზე საღად შევაფასებთ მის ტალანტს და სწორ აქცენტებსაც დაეუსვამთ. მაგრამ, საერთოდ, არც ისეა იმ პერიოდში საქმე, თითქოს კრიზისში ჩავარდნილი რომანი ციდან მოვლენილ მხსნელს ელოდებოდას. უბრალოდ, შუაგულ XX საუკუნეში რომანის წერა აბსოლუტურად ზედმეტ გარჯას და სინამდვილის უხემ არცოდნას ნიშნავს. და ეს არტმანმაც იცის, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად.

1951 წლის ნოემბერში ახალგაზრდა ავტორებსა და რეაქციონერ აკადემიურ წრეებს შორის განხეთქილება ხდება, არადა "ახალი გზები" მთლიანად ამ უკანასნელთა მფარველობაზეა დამოკიდებული. ლიტერატურული გეზის თაობაზე კამათი ავტორთა წრის მიერ ჟურნალის ხელში ჩავდებით დაიწყო. არტმანის, ალტმანისა და სხვათა მრწამსიდან გამომდინარე, ახალგაზრდებს სიურრეალიზმში დაედოთ ბრალი. ისევე, როგორც 1964-65 წლებში თვით ჰერბერტ აიზენრაიხისთან ატორებიც კი აგრესიულად უტყვედნენ, როგორც "არსებითად არაავსტრიულ ლიტერატურას" (რამაც გფრ-ში რეაქციონერი კრიტიკოსის, მ. რ. რანიკის მხრიდან ოვაცია დაიმსახურა, ავსტრიაში კი 1965 წელს აიძულა ჟურნალი "Wort in der Zeit", თავისი წრიდან გაეძევიებინა გერჰარდ ფრიი), ატორთა წრის მაშინდელი მოწინააღმდეგეებიც "სიურრეალისტურად" რაცხდნენ და უღმობლად კიცხავდნენ ყოველივეს, რაც კი ახალი შემოქმედებითი ძიებების შედეგად იქმნებოდა, ოკოპენკოს სოციალური კრიტიკის შემცველ სიუჟეტებსაც კი. სიურრეალიზმში იქცა ლიტერატურის აკარგვიანობის შეფასების უპირველეს კრიტერიუმად. 1950 წლის ნოემბრის "ახალ გზებში" არტმანი უმკაცრესად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას სიურრეალიზმის გარშემო ატეხილ ხმაურთან მიმართებაში. ის, უპირველეს ყოვლისა, გამოთქვამს აღშფოთებას იმის გამო, რომ სიურრეალისტებს თითქმის ყოველთვის ისეთ ახალგაზრდა ავტორებს

უწოდებენ, ვინც სრულებით არ წერს სიურრეალისტურად და ვისი პუბლიკაციებიც ისე შირსაა სიურრეალიზმისგან, როგორც – ცა და დედამიწა ერთმანეთისგან. ამასთან დაკავშირებით ის გვთავაზობს საკუთარი შემოქმედების საინტერესო დახასიათებას, რამდენადმე რომ უსწრებს წინ "პოეტური აქტის რვაპუნქტიან პროკლამაციას". არტმანი წერს: "ავტორები, რომელთაც, ჩემი აზით, მართლაც მიესადაგება ეს განსაზღვრება, განლაგეთ, პირველ რიგში, ჰელენე დიმი, რენე ალტმანი და ჰ. კ. არტმანი. დასახელებული ავტორები მართლაც სიურრეალისტურ ლექსებს წერენ. (...) სიცოცხლეში სტრიქონიც რომ არ დამეწერა, მხოლოდ ჩემი მრწამსითა და მსოფლმხედველობით მაინც ვიქნებოდი სიურრეალისტი".

სიურრეალიზმი – რომელსაც დღემდე მხოლოდ ფრიდერიკე მაიროკერმა უერთგულა, ისიც მხოლოდ თავის ზოგიერთ ლირიკულ სტრუქტურაში, – განხეთქილების ვაშლის სახით მოველინა ვენის პოეტურ წრეებს. ფრიდრიხ პოლაკოვიჩი, ავტორთა წრესა და ჟურნალს შორის შუამავლის როლს რომ ასრულებდა, სასტიკი თავდასხმების მიუხედავად, არ ჩამოშორებია ჟურნალს. ის მოგვიანებით რედაქტორიც კი გახდა, სწორედ მან მოიყვანა ჟურნალში ტრაუდე დინელი და ერნსტ იანდლი, რეკომენდაცია გაუწია ვოლფგანგ ბორხერტსა და ჰანს ერის ნოსაკს და ჰერბერტ აიზენრაიხისა და ვილანდ შმიდის მოზიდვაც კი მოახერხა. მაგრამ დანარჩენები, 1954 წლამდე, უარს ამბობენ ჟურნალში თანამშრომლობაზე და ამის გამო წლების მანძილზე თვითგამოხატვის საშუალების გარეშე რჩებიან. 1951 წლის მარტში ოკოპენკომ დაიწყო "ახალგაზრდა ვენელ ავტორთა ჯგუფის პუბლიკაციათა" გამოცემა, რომელიც ჰექტორაფით იბეჭდებოდა საშუალოდ 100 ეკზემპლარის ტირაჟით. ეს გამოცემა 1953 წლის დასაწყისამდე წელიწადში ოთხჯერ გამოდიოდა, შემდეგ კი, მრავალწლიანი ინტერვალის შემდეგ, 1957 წლის მარტსა და აპრილში, არტმანის მიერ გამოცემული ორი ნომრით გაგრძელდა.

არტმანი "პუბლიკაციების" ყველა ნომერშია წარმოდგენილი, პირველში დაიბეჭდა მისი სამი ფანტასმაგორია. მეოთხე ნომერში იბეჭდება გერჰარდ ფრიჩის, ერნსტ კაინის, ფრიდერიკე მაიროკერისა და სხვათა ტექსტები, მათ შორის, არტმანისა და მისი მეგობრების ფანტასმაგორიათა წინამორბედი ავტორები: ალოიზიუს ბერტრანი (1807-1841), რომლის სამი მოკლე პროზაული ტექსტი კონრად ბაიერმა 1965 წელს ერთგვარი გზამკვლევის სახით წარუმიძღვარა არტმანის პროზის ("ურჩხულის შესახებ ანუ იკაროსის დაცემა" და "განმარცვანი") პუბლიკაციას ჰერბერტ ფაბიან კულტერერისა და ჰანეს შნაიდერის ჟურნალში "Eröffnungen"; გარდა ამისა, ალფრედ ჟარი (1873-1907), მაქს ჟაკობი (1876-

1944) და ანრი მიშო (დაიბ. 1899). ამ ტექსტების ჟანრს მთარგმნელი ვერნერ რიმერშმიდი განსაზღვრავს, როგორც პოეტურ პროზას. ექვსი წლის შემდეგ უკვე არტმანისეულ "პუბლიკაციათა" მეორე ნომერში დაიბეჭდა ვილანდ შმიდის წერილი მითოლოგიური მოტივების შესახებ ახალ ავსტრიულ ლიტერატურაში, რითაც ფანტასმაგორიის ჟანრი ახალ შინაარსსა და სიღრმეს იძენს. სწორედ არტმანის "ურჩხულის შესახებ ანუ იკაროსის დაცემა" შეიძლება დასახელდეს ფანტასმაგორიისა და მითოლოგიის შერწყმის ნიმუშად.

1950 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, არტმანი განუწყვეტლივ ეძებს გამოცემის ახალ-ახალ შესაძლებლობებს, რადგან "ახალი გზები" და "პუბლიკაციები" ამ მოთხოვნილებას მთლიანად ვერ აკმაყოფილებს. ახალ-ახალი კლუბების დაარსება და ლუქან-სარდაფებში დაუსრულებელი ჯდომა, რაზეც კონრად ბაიერი და სხვა ქრონისტები გვიამბობენ, იმდენად საეჭვო ურთიერთობების ფინით როდი იყო გამოწვეული, რამდენადაც – მუდმივი ბეჭდვითი ორგანოს ძიებით. არტმანის წრის ნაწილობრივი დაშლის შემდეგ ეს მოძრაობა გადაიზარდა – არა საზოგადოებრივი გარემოებების, არამედ პოეტის პიროვნების ძალით, რომლის გარშემოც ის იყო კონცენტრირებული, – პოსტდადაისტურ აქციათა ლიტერატურაში, რომლის წარმომადგენლებიც ძველ წრეზე საშუალოდ ათი წლით უმცროსები იყვნენ. მაგალითად, არტმანის პროექტი "სარდაფი" ჟურნალის ან აღმანახის სახით იქნა ჩაფიქრებული. თავდაპირველად მას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ეძლეოდა, მოგვიანებით კი ის თავისი დასახელების კონკრეტული მნიშვნელობით განახორციელეს. ერთ ხანს ის, არც მეტი, არც ნაკლები, ბალგასეს ქვეშ არსებულ ოთხი სართულის სიღრმის ცნობილ კატაკომბშიც კი ფუნქციონირებდა.

კატაკომბებში შეფარებულ დაუფასებელ შემოქმედად საკუთარი თავის გამოცხადებამ არტმანს ნამდვილი აღიარება მოუტანა. როდესაც 1951 წლის შემოდგომაზე ალბერტ პარის გიუტესლოსა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებულმა არტ-კლუბმა საკუთარი კაფე-გალერეა "ჩაღის ჩემოდანი" გახსნა, სადაც მოეწყო არტმანის, შმიდის, ოკოპენკოსა და ვაისენბორნის საჯარო კითხვები, არტმანი თანდათან იქაურობის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამერიიდან ის "ახალი გზების" წრის გარეთაც ხდება ცნობილი. თუკი მართალია ის, რომ, როცა ამერიკელების ტყვეთა ბანაკში საშუალოდ ანკეტის შევსება მოუწია, საკუთარ პროფესიად მწერლობა დაასახელა, თუმცა იმ დროისთვის სულ სამი ლექსი ჰქონდა დაწერილი, მაშინ უეჭველია, რომ ეს სახელდახელოდ შერჩეული

კატეგორია, ყველაზე გვიან, "ჩალის ჩემოდნის" პერიოდში იქცა მისი პიროვნების არსებით ნიშნად.

თუკი 1945 და 1950 წლებს შორის არტმანი, ამერიკელებთან თარჯიმნად მუშაობის შემდეგ, ლუკმა-პურის გულისთვის ხან მშენებლობაზე მუშაობდა, ხანაც სტატისტიად იყო დასაქმებული, ამ პერიოდში ის ამგვარ რამეს აღარ მოითმენდა არც საკუთარ და არც მეგობრების ცხოვრებაში. ის საკუთარი ცხოვრების სტილიზებას შეუდგა, სულ მალე იქცა პოეტის ანუ საკუთარი თავის ცოცხალ არტეფაქტად და, ამასთან, ბუნებრიობის უმაღლეს დონეს მიაღწია. ეს გარემოება არტმანის შესახებ თხრობას ძალზე ართულებს. თუკი პოეტის პიროვნება, როგორც წესი, ნაწილობრივ მაინც იძლევა მისი შემოქმედების გასაღებს, არტმანი-სებრი მრავალსახოვნად შენიღბული ავტორის შემთხვევაში, პირიქით, ლიტერატურული ნაწარმოები გვიქმნის წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ მოიაზრებდა ის საკუთარ თავს შემოქმედებით პროცესში: ჰუსარად თუ სიურრეალისტად, სახალხო პოეტად თუ საკუთარი არარაობით ბაროკალურად დათრგუნულ მონად უფლისა, ავითატორად თუ ჩინეთის იმპერატორის კარის მგონსად, მსოფლიო მოგზაურად თუ ვენის გარეუბნის პოეტად, მოუსვენარ ვაგაბუნდად თუ დინჯ მოქალაქედ, დარდიმანდ მოქეიფედ თუ ბუღბუღის გალობას მიყურადებულ მეოცნებედ, ღუნაისპირა მონარქიის ანტიესემიტ მესვეურად თუ მემბოხე ანარქისტად, დახვეწილ მეტრფედ თუ ურცხვ კარასკოდ. ეს – რომ არაფერი ვთქვათ დიალექტზე დაწერილი ლექსების კრებულის, "hosn rosn baa"-ს თაობაზე, სადაც მითითებულია, რომ წიგნის ავტორი, სამასი წლის წინათ არის დაბადებული, ანდა სახელების ხშირ-ხშირ ცვლაზე – ჰიერონიმუს კასპა ლაერტეთი დაწყებული, ჰანს კარლ ლაერტეთი დამთავრებული – მისი ბინის კარებზე, კლასტის ქუჩაზე, ფერშეცვლილ, ოდესღაც არისტოკრატულ სახლში, ბერლინის ჰომოფილთათა ყველაზე ცნობილი კაფეს თავზე რომ იყო განთავსებული. მას შემდეგ, რაც არტმანმა აღმოაჩინა, და შემდეგ გამოსცა კიდევ, კვირინ კულმანი და ბაროკოს ლირიკა, ის თავადაც, ნაწილობრივ მაინც, ბაროკოს პოეტად გარდაისახა.

არტმანმა მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყო თავისი მისტიფიკაციების უგულვებელყოფა და დღეისთვის შემორჩენილ გაურკვეველ დეტალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. მისი დაბადების ადგილად დღემდე საყოველთაოდ ითვლება ვითომდა ქვემო ავსტრიაში მდებარე არარსებული სოფელი სანტ-ახაცი-ტყის-პირას: ამგვარი ინფორმაციის გადამოწმება დღეისთვის უკვე შეუძლებელი ხდება, მაგრამ ეს მაინც დიდად არ ცვლის ჩვენს საერთო წარმოდგენას არტმანის ბიოგრაფიაზე.

ბებია-ქალს როზა მაიერი ერქვა, ხოლო ოთახი, სადაც პოეტი მოევლინა კვეყანას, ზედ ეზოში შესასვლელი ჭიშკრის თავზეა განთავსებული; ეს ოთახი, ისევე, როგორც მეორე, მასზე უფრო მოზრდილი, ესაზღვრება სამზარეულოს, რომელშიც, როგორც ამას ხშირად ვხვდებით ვენაში, პირდაპირ შევდივართ სადარბაზოდან. ის, ვინც გულდასმით წაიკითხავს არტმანის "med ana schwoazzn dintn"-ს, მიაკვლევს მასში ქუჩაში გატარებული ახალგაზრდობის ამსახველ მომენტებს. თამაში "იმპერატორი-მეფე-თავადი-მათხოვარი" ისაა, რასაც ლიტერატურული ბიოგრაფი მიაწერს ოსტატს. თავად არტმანი არაფერს გვიმხელს იმის შესახებ, თუ რამდენს წერდა იმ პერიოდში, რა სახის ტექსტები იყო ეს და სად შეიძლება ამჟამად ინახებოდეს, რა კავშირი აქვს ერთმანეთთან მოგვიანებით ნაპოვნი ფრაგმენტებს და ა. შ. სხვა რა დაგვრჩენია: ვენდოთ ძველი მეგობრების საკმარისად დამაჯერებელ მოწმობას იმის თაობაზე, რომ არტმანი 1950-53 წლებშიც ძალზე ნაყოფიერი ყოფილა; გაცვებით შევიტყვით, რომ მის მიერ ფოსტით გაგზავნილი ვრცელი ხელნაწერის ერთადერთი ეკზემპლარი არაერთხელ გამქრალა თვალსა და ხელს შუა; თავი ვინუგემოთ ბუნდოვანი ვარაუდებით, რომ ზოგიერთი ხელნაწერი უნდა ინახებოდეს გამოძეგმლობა-რედაქციებში, რადიოსტუდიებში ანდა კერძო მოყვარულებთან, ვინც, კონრად ბაიერის მსგავსად, თავის დროზე ხელიდან გამოსტაცა ავტორს მისი ძვირფასი ქმნილება.

მხოლოდ 1954 წლიდან მოკიდებული, შეიძლება შევადგინოთ არტმანის ნაწარმოებთა მეტნაკლებად სრული სია. ლამისაა ვირწმუნოთ, რომ თავად არტმანი არ არის ერთადერთი, ვინც არტმანისეული ლეგენდის ქსოვითაა გართული. ყოველ შემთხვევაში, სრულებით აღარ გვაკვირვებს ის, რომ იმხანად, როცა გერჰარდ რიუმს ვენაში ჯერ კიდევ არავინ იცნობდა, გავარდა ხმა, თითქოს არავითარი რიუმი არ არსებობს და რომ რიუმის ავტორობით გამოქვეყნებული ტექსტები სინამდვილეში ეკუთნის არტმანს, რომელმაც რიუმის სახით მეორე "მე" შეიქმნა და ამ გზით გამოიტანა დღის სინათლეზე თავისი ექსპერიმენტული ნამუშევრები.

არტმანის ლიტერატურული სილუეტის მოსაზრებას ორი გარემოება ართულებს. ერთი მათგანი განსწავთ ყოველ ნაბიჯზე, უფრო ხშირად, მეგობრების და მეგობარი ქალების ბინებში მოწყობილ სამუშაო კაბინეტთა უსაშველო სიმრავლე და ხელნაწერთა დაკარგვის მაღალი რისკი, მუდმივ მოგზაურობასა და ბოკემური ცხოვრების წესს რომ ახლავს თან. მეორე ის უეჭველი ფაქტია, რომ არტმანის მშობლიური სტიქია ფრაგმენტია. ხშირად ყოველ დღე ახალ-ახალ ტექსტს იწყებს, — ცალკეულ ნაწარმოებს თუ ზღაპრების, მოთხრობების, ლექსების ახალ ციკლს. უბ-

რალოდ ძალზე ბევრი იდგა უტრიალებს თავში. ამასთან, გასაოცარი ის არის, რომ თითოეულ ტექსტში ავტორისეულ სტილს ამოიცნობთ. ეს მუდამ არტმანია. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის არტმანი?

ახალგაზრდა ვენელთა პირველი გამოცვლა უცხოურ ტრიბუნაზე 1952 წლის 25 ივნისს შედგა, ბერნში. სამისოდ მათ საკუთარი სახსრებით იქირავეს დარბაზი. შვაიცარელმა მსახიობმა, არტმანის მეგობარმა ქალმა ესთერ ვირცმა წაიკითხა ჯენი ებნერის, ერნსტ კანინის, ოკოპენკოს, შმიდისა და არტმანის ნაწარმოებები. ფილარმონიის პიანისტის შვილმა, არტ-კლუბის წევრმა გერჰარდ რიუმმა, მანამდე პიანისტად და კომპოზიტორად ცნობილმა, მსმენელებს წარმოუდგინა თავისი "ხალისიანად ყოფნის მცდელობა თავშესაფარში, საჰაერო თავდასხმისას", – ამ დროისთვის ევროპაში მშვიდობა უკვე თანდათან ჩვეულ მდგომარეობა იქცა. რიუმის გარდა გამოვიდა კომპოზიტორი და ფლეიტისტი ერნსტ კიოლცი, ვინც მოგვიანებით არტმანის არაერთ ლექსზე შექმნა სიმღერა. მათი ტურნე გაგრძელდა ვინტერთურსა და ბაზელში და დასრულდა ციურხში. 1952 წლის გვიანი შემოდგომით არტმანის გარშემო ყალიბდება უკვე ხსენებული ახალი წრე, მაგრამ, ყველა სხვა წრის მსგავსად, ისიც ძირითადად მხოლოდ არტმანის პიროვნების ზედნაშენს წარმოადგენს. რაც შეეხება "ახალი გზების" ავტორთა წრეს, მათთან ის მეტნაკლებად ინარჩუნებს ან მოგვიანებით აღადგენს ურთიერთობას. 1956 წლის იანვარში ენსტ კანინი ჟარგონული პოეზიის ფლანგს უერთდება. 1954 წლის დეკემბრიდან პოლაკოვიჩის ხელშეწყობით ჟურნალი კვლავაც ღიაა ახალგაზრდების ექსპერიმენტული ნამუშევრებისთვის, რაც რიუმის-ნაირ "ორთოდოქსებს" აღაშფოთებთ და ბოლოს და ბოლოს ეს ყველაფერი სკანდალით მთავრდება. სხვათა შორის, სწორედ პოლაკოვიჩმა შეაკოწიწა არტმანის ჯიბეებში მიკარგ-მოკარგული ფურცლებიდან "მოთხრობები ჰუსარებზე" ზედ დართული 25 ეპიგრამით, პროლოგითა და ეპილოგით. იმ დროისთვის (ვგულისხმობთ 1952 წლის მიწურულს) უკვე ნახსენები მცირე პროზის გვერდით არტმანს დაწერილი ჰქონდა კიდევ თვრამეტიოდე პროზაული ტექსტი, ზოგიერთი მათგანი რამდენიმე ნაბეჭდ გვერდს ითვლიდა, მათ შორის: "ლანცელოტი და გვინევრა", "ფანტასმაგორიული მითოლოგია" (სწორედ ამ ტექსტით გამოვიდა შვაიცში გამართულ შეხვედრებზე), "ყველგან, სადაც კი ჰამლეტი მივიდოდა", "ურჩხულის შესახებ ანუ იკაროსის დაცემა" და მოგვიანებით "ჰუსარების" კრებულში შესული რამდენიმე ბაროკალური მოთხრობა.

ბაროკალური მოთხრობების გამოკლებით, ყველა ამ ტექსტის სიღრმეში ისევე ისმის ფანტასმაგორიული ჟღერადობა, როგორც – 1950-

51 წლების ნაწარმოებებში. სწორედ ის ანიჭებს ამ ტექსტებს ძალზე მოკლე და პოეტურად დახვეწილ ფორმას. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ავსტრიელ შემოქმედთათვის სწორედ ეს ფორმა გახდა ყველაზე მისაღები, რადგან საუკეთესოდ გამოხატავდა მათ სულიერ პროცესებს და პუბლიკაციის თვალსაზრისითაც ხელსაყრელი იყო: ჟურნალებში ხომ მუდამ შეინიშნებოდა ადგილის დანაკლისი. ეს ტექსტები ადრინდელზე ცოტათი უფრო გრძელია, თუმცა მაქსიმალური მოცულობა ორ ნაბეჭდ გვერდსაც კი ვერ აღწევს.

1953 წლის აპრილში არტმანი წერს "პოეტური აქტის რვაპუნქტიან პროკლამაციას", რომლის პრეამბულაც წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი, უკვე "ახალი გზებიდან" ცნობილი თეზის უფრო ხშირად ციტირებულ ვარიანტს: "არსებობს ერთი ხელშეუხებელი ჭეშმარიტება: შეიძლება იყო პოეტი ისე, რომ სიცოცხლეში ერთი სიტყვაც არ გქონდეს დაწერილი".

ვენელ პოეტთა ჯგუფის წევრებს, – უპირველეს ყოვლისა, ესენი არიან: გერჰარდ რიუმი (დაიბ. 1930), კონრად ბაიერი (დაიბ. 1932), ოსვალდ ვინერი (დაიბ. 1935), ფრიდრიხ ახლაიტნერი (დაიბ. 1930) და კ. კ. არტმანი, – ნაკლებად ადარდებთ ის, რომ პროკლამაციის დებულება: "პოეტური აქტი, შესაძლოა, მხოლოდ შემთხვევით იქნას საზოგადოების წინაშე გამოტანილი!" – ვენაში შექმნილი გამოუვალი კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე ისედაც ერთადერთია, რაც მათ რჩებათ. მიუხედავად ამისა, ჯგუფი ყველანაირად ცდილობს, იცხოვროს არტმანისეული პროკლამაციის მიხედვით, თავად უკრძალავს საკუთარ თავს ნაწარმოებების გამოქვეყნებას და, ფაქტობრივად, ემიჯნება არტმანს, როცა ამ უკანასკნელის "shwoazzn dintn" დიდი წარმატებით სარგებლობს და მოგებაც მოაქვს ატორისთვის. ეს არტმანს, ცხადია, დიდად არ ადარდებს.

1954 წელი, ჩვენამდე მოღწეული ტექსტების მიხედვითაც კი, შეიძლება ყველაზე ნაყოფიერ წლად ჩავთვალოთ. არტმანი წერს 15 ლექსს ორნაწილიანი, გამოუქვეყნებელი კრებულისთვის "გავრცობილი პოეზია". ესაა უცხოური გამოთქმების, ნეოლოგიზმების, მჟღერი მარცვლების გამოყენებით და ა. შ. შექმნილი ხმოვანი ლექსები, რომლებშიც ავტორი უარს ამბობს გრამატიკულ წესებსა და ტრადიციული პოეზიის მეტაფორიკაზე, რითაც ისინი გარდამავალ ეტაპად გვევლინება ისეთი მრავალფეროვანი გვიანდელი მიღწევებისკენ, როგორებიც არის დიალექტითა და ჟარგონით დაწერილი ლექსები, ბაროკალური ლექსები და, უფრო მოგვიანებით, ის, რაც შესულია კრებულში "ბოთლით გაგზავნილი წერილები". ამავე წელს არტმანი იწყებს მოცულობით ყველაზე უფრო დიდ

კრებულზე მუშაობას, რომელსაც "რითმები სტროფები ფორმულები" დაერქვა. მისი ფრაგმენტები გამოიცა 1961 წელს, კლაგენფურტში, ფ. ლანმაიერის ჟურნალში "Der Bogen", №4, სრული სახით კი – ვენაში, ავსტრიის რადიოს მიერ დაბეჭდილი ჰექტოგრაფული გამოცემის სახით, რომლის შოვნაც ახლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ კრებულში არტმანმა გააერთიანა არა მხოლოდ გაბნეული ლექსები, არამედ მთელი ციკლები, – მაგალითად: "უკეთური ფორმულები", "სასაფლაოზე ნამღერი ერთგული სიმღერები", "სიმღერები კეთილგანწყობილი საჭრელი დაფისთვის", "სასიყვარულო ლექსები", "ჯარისკაცის სიმღერები" და სხვა, – რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტული თემისა თუ ფორმის გულდაგულ დამუშავებაზე მეტყველებს. კრებული საკმარისად ჭრელია როგორც თავისი ხარისხით, ისე – გამოხატვის საშუალებებითა და განწყობებით, მისი ზოგიერთი ნაწილი არავითარ შემოქმედებით წინსვლაზე არ მეტყველებს. მაგრამ არის ძალზე დახვეწილი მონაკვეთები, რომლებსაც ნამდვილად ატყვია კითხვის, დაკვირვებისა და საკუთარ პოეტურ ნიჭზე ხანგრძლივი მუშაობის კვალი. ლირიკულად ძალზე დახვეწილია ზომიერად ფრივოლური სასიყვარულო ლექსები, ხოლო სასაფლაოს სიმღერების ბაროკალური სტილიზაციები სიკვდილის, წარმავლობისა და სიბერის შიმის თემებზე ორგანულად ერწყმის კრებულის საერთო ქსოვილს. თითქმის ყველა ლექსისთვის დამახასიათებელია არა მარტო ენობრივი თამაში, არამედ – თამაში სავნებითა და მოვლენებით. იქ, სადაც ლირიკული "მე" გვხვდება, საქმე თითქმის ყოველთვის ნიღბთან გვაქვს. ამ თვალსაზრისით კრებული უაღრესად ავსტრიულია, ცხადია, სულ სხვა მნიშვნელობით, ვიდრე პათეტიკურად განწყობილი "ბებრები" ანიჭებენ ამ სიტყვას. დაბოლოს, კრებული შეიცავს მსუბუქი სტილის საღაღობო ლექსებს, რომელთაგან რამდენიმე შევიდა გიუნტერ ბრუნო ფუქსის მიერ 1964 წელს შედგენილ ანთოლოგიაში "წივწივას ვიოლინო".

თუკი მოვისურვებთ არტმანის ლიტერატურული განვითარების ქრონოლოგიური ეტაპების გამოყოფას, უნდა ვთქვათ, რომ 1954 წელი ერთ-ერთი ასეთი ფაზის დასრულებას დაემთხვა. შეგვიძლია ისიც დავძინოთ, რომ დღეისთვის არტმანმა მთელი შესაძლო მწერლური აღიარება მოიპოვა, მის ხელთ შესაძლებლობათა მთელი სპექტრია, რასაც ის უაღრესად მრავალფეროვნად განავითარებს; ის გამუდმებით აგებს ხიდებს თავის დღევანდელ სამუშაოსა და იმას შორის, რაც ათითორმეტი წლის წინ უკეთებია. აღსანიშნავია, რომ ვალტერის რჩეული ლექსების გამოცემაში სასაფლაოზე ნამღერ ოთხ სიმღერასთან ერთად შესულია ასევე 1954 წელს შექმნილი "ეპიტაფიები" და "შვიდი ლირიკული

ვერბარიუმი". 1954 წლის ლირიკული ვერბარიუმებით არტმანმა კიდევ ერთი ახალი ექსპერიმენტი წამოიწყო. ექსპერიმენტული ხასიათისაა აგრეთვე "გამოგონებანი", ნაწილობრივ გერჰარდ რიუმსა და კონრად ბაიერთან ერთად დაწერილი. კონრად ბაიერმა ვერბარიუმის ცნება შემდეგნაირად განმარტა: ესაა ლექსი, რომელშიც ესა თუ ის სიტყვა, თუ სიტყვათა სვეტი, — სწორედ ამას ეწოდება ვერბარიუმი, — განიხილება სხვადასხვანაირი პრინციპით, მაგალითად, მათემატიკური მწკრივების მიხედვით. ოღონდაც ეს ვენელ პოეტთა ორიგინალური გამოგონება როდი გახლდათ. ვენაში ეს მეთოდი ჩილელმა მხატვარმა, იბან კონტრერა ბრუნეტმა შემოიტანა. ის შემდეგ აიტაცეს არტმანმა და სხვებმა, მაგალითად, მოქანდაკემ და კონსტრუქტივისტმა, ამჟამად კი უფრო პოპ-მხატვარმა და "ბლუმსდის" დემონსტრანტმა, მარკ ადრიანმა, თუმცა არტმანმა, თავისი თავისუფლებისა და სიახლის მოყვარული ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ გაკვრით გამოიყენა ეს მეთოდი და მეტი პოეტურობა შესძინა მას.

1955 წელს არტმანი წერს მოკლევადიან, ზოგჯერ ძალზე დიდი მოცულობის ლექსების ციკლს სათაურით "გამორჩეულად მშვენიერი სიმღერები კეთილშობილი კასპარისა, ხალხში ჰანს ვურსტელად წოდებულისა", შემდეგ — რამდენიმე ცალკეულ ლექსს, ავსტრიის შეიარაღების საწინააღმდეგოდ მიმართულ მანიფესტს, "25 ეპიგრამის" პირველ ლექსებს, ასევე რამდენიმე პიესას, მათ შორისაა აწ დაკარგული დრამა "შუქურ-კოშკის მცველის სიკვდილი — წარმოსახვითი ხდომილება", რომელსაც თავად არტმანი დიდად აფასებდა; ერთაქტიანი დრამა "მერცხალი", მისტერია "ურწმუნო კოლომბინა", პიესა "წარუმატებელი საჰაერო მოგზაურობა", ვენის კათოლიკური სტუდენტური თეატრის, "კილობნის" სცენაზე რომ დაიდგა, სასცენო დიალოგი "ქება ოპტიკისა", რომელსაც ყველა აქებს, თუმცა ის უკვალოდ არის დაკარგული, ცოტა ხნის წინათ "Eröffnungen"-ში გადაბეჭდილი მოკლე პიესა "ნისლი და ფოთოლი" და სხვ. 1954 წლისთვის არტმანს უკვე დაწერილი აქვს თავისი პიესა "ჩერმაკისთვის წიწკა არ არის", რომელიც მთელი სადამოს განმავლობაში გრძელდება. მასში აბსურდის თეატრი შემოდის ჰაილიგერშტატელი ვაჭრის ყოველდღიურობაში, კოლონიალური საქონლით რომ ვაჭრობს; ეს ყოველივე ისეთი სისხლსავსე ჟარგონული ელემენტებით არის შეკმარებული, რომ ჟურნალი "Wort in der Zeit" 1965 წელს ათავსებს ამ პიესას რუბრიკაში "ვენური კოლორიტი" და ნესტროისეული კომედიის კატეგორიას მიაკუთვნებს. არტმანმა დაწერა სცენა "la cocodrilla" და "მოგზაურობა კუნძულ ნანთაკეთზე", რომელიც რიუმს მიეძღვნა, მოგვი-

ანებით – ნახევარსაათიანი პიესა "გამგზავრება ამსტერდამში", ასე რომ 1955 წლისთვის მას თორმეტი დრამატული ნაწარმოები ჰქონდა შექმნილი, სრულიად განსხვავებული მოცულობის, ხარისხისა და "დაღმარების".

1956 წელს პოეტი გულმოდგინე მონტაჟის სამუშაოს შეუდგა. ვენის პოეტთა ჯგუფისთვის ტიპური ერთობლივი ნამუშევრების დრო დამდგარიყო. ლექსიკონებიდან, სახელმძღვანელოებიდან და სიტყვათა სხვა რეზერვუარებიდან ხდებოდა ტექსტური ელემენტების ამოკრება და ახალ სისტემატიზება, რასაც თავად ჯგუფის წევრები მონტირებას უწოდებენ; ამის შედეგად ჩნდება ისეთი შედეგები, როგორებიც არის კონრად ბაიერის "ვიტუს ბერინგის თავი". ჰაინრიხ ტერებელსკის მიერ 1830 წელს გამოცემული "ბოჰემიური ენის სრული ლექსიკონის" მიხედვით არტმანი და ბაიერი ამონტაჟებენ ტექსტს "სრული სასწავლო ლექსი გერმანელთათვის, თერთმეტი ვერბარიუმი"; რიუმთან თანამშრომლობის შედეგად იქმნება "მაგიური კავალერია". არტმანი დამოუკიდებლად ამონტაჟებს ტექსტს სათაურით "ნესვის პერკუსიის მცირე მოძღვრება, ანატომია და სივრცითი ჭრილი", მაგრამ ისევე, როგორც ინვენციონიზმისა და ჟარგონული ლირიკის შემთხვევაში, ის ამჯერადაც ახდენს მეთოდის კონკრეტიზებას და ქმნის ისეთ ინტუიტიურ მონტაჟებს, როგორიც არის "ელეგიური ოდა იმპერატორ კრუმს".

1957 წელს "ახალ გზებში", რომელიც, 1955 წლიდან მოყოლებული, ახალგაზრდა ვენელ მწერალთათვის, ფაქტობრივად, კვლავაც ერთადერთ ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენდა, ლიტერატურული სკანდალი დატრიალდა. მის მიზეზად მაისის ნომერი იქცა, სადაც ტრადიციული ლირიკის გვერდით, – როგორიც ქრისტოფ მეკელის ორი ლექსია, – მეცხრედან მეთორმეტე გვერდის ჩათვლით დაიბეჭდა ერნსტ კაინის, გერჰარდ რიუმისა და ერნსტ იანდლის ექსპერიმენტული ტექსტები, თანაც, უპირატესად, არაკონკრეტული ჟარგონული პოეზია, რაც ორგზის მკრეხელობად აღიქმებოდა. მართალია, იენისის ნომერში ახალგაზრდული თეატრის ხელმძღვანელი ჰაინრიხ ნოიმაიერი ამ ფაქტის გამართლებას შეეცადა; პირობა მისცა მკითხველს, რომ მომავალში ექსპერიმენტული ნაწარმოებები სხვებისაგან საგანგებოდ იქნება გამიჯნული და დაიმოწმა პროგრესული პოეტების მთელი შტატი, იმის დასტურად, რომ მიმდინარე ლიტერატურული პროცესები საფუძვლიან კვლევას ითხოვს და რომ ამ სფეროში მომხდარი სიახლეები თითოეული ავტორის შემოქმედებით გახსნილობაზე მეტყველებს. მიუხედავად ამისა, საზაფხულო არდადეგების შემდეგ, 1957 წლის შემოდგომაზე გამოსული ნომერი უკვე სრულებით "გასუფთა-

ვებულია", ხოლო ფრიდრიხ პოლაკოვიჩი აღარ მოიხსენიება, როგორც პასუხისმგებელი რედაქტორი. ამ დროიდან ვენაში მკითხველი საზოგადოება კარგა ხანს ველარ ადვენებს თვალყურს შემოქმედებით დისკუსიებს. "ახალ გზებში" მხოლოდ სამოციანი წლების დასაწყისში ჩნდება ისეთი რედაქტორი ლირიკის დარგში, რომლის სერიოზულად აღქმაც შეიძლება. ეს კრიტიკოსია გერალდ ბისინგერი, რომლის მოსვლითაც ჟურნალი კვლავ იძენს, მართალია, შეკვეცილ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ლირიკულ რუბრიკას, თუმცა მას აღარასოდეს ექნება ისეთი მძაფრი და ფეთქებადი ეფექტი, როგორც 1950-51 და 1957 წლებში ჰქონდა. თანაც, გარკვეული პერიოდის შემდეგ, გარკვეულწილად, ჰუბერტ ფისტესა და პატრიციო არტმანის ლექსების გამო, ბისინგერი ცენზურის უმკაცრესი წნეხის ქვეშ ექცევა.

ერთი ბიოგრაფიული გადახვევა. არტმანი კვლავინდებურად დედასთან ცხოვრობს ბრაიტენზეეში, თავის უფროს ვაჟთან, თორმეტი წლის პატრიციოსთან ერთად, თმა მხრებაზე რომ აქვს მოშვებული და მამის მსგავსად ლექსებს წერს. ყოველ ცისმარე, კაფეებსა და სარდაფებში ნაჯაფარი პოეტი მიაბიჯებს შინისკენ, კინმაიერგასეს ბოლოში და თან ვენის ტყის ფერდობების ცქერით ტკებუა. უკვე წლების მანძილზე უმუშევრისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებით ცხოვრობს, რომელსაც მხოლოდ "schwoazze dindn"-ის წარმატების შემდეგ მოუხსნიან. 1957 წლის ზაფხულში ვენის პოეტთა ჯგუფი განსაკუთრებული ინტენსიობით საქმიანობს, რის კულმინაციადაც იქცა ექვსსაათიანი საჯარო კითხვა გერჰარდ ბრონერის "ინტიმურ თეატრში", ლილიენგასეზე, სადაც მთლიანად შავებში გამოწყობილი პოეტები შავ ფონზე წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე. მიუნხენურმა სამსჯავრომ ხელმეორე დაბადება იზეიმა ვენაში, ოღონდაც ამჯერად ლიტერატურული სახე მიიღო: ბრალდებულის როლში მსმენელი აღმოჩნდა. არტმანი ამ შეხვედრაზე ყოველი პაუზის დროს უჩინარდებოდა და უკან სულ უფრო მეტად შეზარხოშებული ბრუნდებოდა. მხოლოდ დიდი დაგვიანებით, კულისებს მიღმა, ხუთლიტრიანი ღვინის ბოთლი აღმოაჩინეს.

1958 წელს გამოდის არტმანის "med ana schwoazzn dindn", ჰანს ზედლმაიერის წინასიტყვაობითა და ფრიდრიხ პოლაკოვიჩის საგულდაგულოდ დაწერილი განმარტებებით. ის საუბრობს ლორკასა და ჯოისის მიერ გაკვალული გზის კანონზომიერი გაგრძელების, თავისუფალი შინაარსის ბგერითი ლექსისა და გავრცობილი პოეტიკის შესახებ, ამასთან, გამოკვეთს ამ ჟარგონული ლირიკის არსებით სიახლესაც: არტმანი არა მხოლოდ დიალექტით წერს, არამედ – და უფრო მეტადაც – დია-

ლექტის გამოყენებით. არტმანი აქაც, როგორც ყოველთვის, ინარჩუნებს წონასწორობას ექსპერიმენტსა და კონკრეტულ საგანზე მიმართულ ფანტაზიას შორის. წერის ამ ახალ მანერას არნახული წარმატება ზედა წილად. სწორედ ამ წიგნით აღმოაჩინა ენამ თავისი პოეტი, ყოველ შემთხვევაში, მცირე ხნით მაიც მიაპყრო მას ყურადღება. "ექსპრესი" წერს: "ახალი პოეტი ბრაიტენზედან. ამბავი ერთი პოეტისა, რომელიც შიმშილით სიკვდილს გადაურჩა, მეტიც: წარმატებით მოიტანა თავი დღემდე. ამბავი პოეტისა, რომელსაც არ რცხვენია იმ იაფფასიანი წიგნებისა, ბიჭობაში რომ წაუკითხავს. ამბავი კაცისა, რომელმაც ხალხი დიალექტის გავლით კვლავ პოეზიასთან მიიყვანა".

ვენაში დღესაც მიაჩნიათ, რომ შიმშილი მწერლისთვის ყველაზე შესაფერისი კერძია. არტმანი ლებულობს ჰონორარებს და ჰგონია, რომ გამდიდრდა. მან აღიარებული სახალხო პოეტის საოცნებო ხატი მოირგო. ამ ოცნების რკინიგზაზე თითოეული კონდუქტორის მისაღმება მისთვის ახალ-ახალ დასტურს ნიშნავს. ამაყობს და ნესტროისა და რაიმუნდს ადარებს თავს. "კურიერი" მას ყოველკვირულ სვეტს უთმობს, რომელსაც ის ქალაქური ჩანახატებითა და სიურრეალისტური მოთხრობებით ავსებს. ქალაქის მერია სახაზინო ბინას უთმობს, თუმცა პოეტს მალევე კვლავ უწევს მისი დაცლა. ტელევიზია უკვეთავს პიესებს "დონაისპირა ქალი" და "გრასლი", ეს უკანასკნელი ავადსახსენებელი ისტორიული პირის, ყაჩაღების წინამძღოლის შესახებ არის. იგეგმება მისი სცენარით ფილმის გადაღება, პირდაპირ, სპონტანურად რომ უნდა გათამამდეს გარეუბნის ქუჩებში, მაგრამ რომელიღაც სამშენებლო კომპანიის მიერ ძველი უბნის დანგრევა ხელს უშლის გადაღებების დაწყებას. არტმანი სიცოცხლეში პირველად აფასებს იმის მნიშვნელობას, რომ განსაკუთრებულ პიროვნულ და სივრცობრივ გარემოცვაში გაიზარდა.

ის ლექსები, რაც მას შემდეგ დაწერა, ადრეულ ნამუშევრებზე უფრო "საფუძვლიანია", ნაკლებად მანერული, თუმცა მისი ჟარგონული ლექსების შავი იუმორი კვლავ შენარჩუნებულია მის მრავალ გვიანდელ ტექსტში, თუნდაც კაციჭამიას შესახებ რომანში, ანდა გროტესკულ-საშინელ საბავშვო ლექსებში საერთო სათაურით "allerleirausch"³, რომლებსაც ჰელმუტ ქვალტინგერი ასრულებს ფეტი ჯორჯის მიერ დაწერილი მელოდის თანხლებით. პოლემიკური ხასიათის ლიტერატურული ნამუშევრები, რომლებსაც არტმანი სახელისა და შემოსავლის გამო

³ გრიმების ერთ-ერთი ზღაპრის სათაურის – "Allerleirauh" ("ნაირ-ნაირი ბეწვით შემოსილი") პერიფრაზი, შეიძლება ითარგმნოს, როგორც "ნაირ-ნაირი თრობა, თავდავიწყება".

კიდებს ხელს, კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს იმას, რომ არტმანის ძალა, მთელი მისი სიმსუბუქის მიუხედავად, მხოლოდ უმაღლესი დონის ლიტერატურაშია. ასეა თუ ისე, 1958 წლით მთავრდება კიდევ ერთი შემოქმედებითი ფაზა. ამ დროს არტმანი წერს ციკლს "40 სპარსული ოთხპკარედი. მცირე დივანი". მასში შესული ლექსების ნაწილი დღეს დაკარგულია, ზოგიერთი მხოლოდ მოგვიანებით გამოქვეყნდა. ვენის პოეტთა ჯგუფთან ინტენსიური თანამშრომლობის პერიოდს დასრულდა. 1953 წლის პროკლამაციაც წარსულს ჩაბარდა, თუმცა გარეგნულად ჯგუფი ისევ ძველ ჟესტებს ინარჩუნებს. ამავე პერიოდში ერნსტ კიოლცი და ფეტი ჯორჯი წერენ მუსიკას არტმანის ჟარგონული ლექსებისთვის, ხოლო ქვალტინგერი ასრულებს მათ.

1959 წელს გამოიცემა "hosn rosn baa", დოდერერის წინასიტყვაობით, ასევე – "წმინდა პატრიკის გასაღები" და "მოთხრობები ჰუსარებზე", – მეტნაკლებად ერთ ბაროკალურ ტონალობაში მოქცეული 26 მოთხრობა, რომლებშიც უხამსი, სასიყვარულო და მისტიკური ამბებია მოთხრობილი. გასულმა წლებმა და იმ ფაქტმა, რომ არტმანი უკვე დასავლეთ გერმანიაშიც უფრო და უფრო ცნობილი ხდება, განაპირობა ის, რომ ეს გამოცემები უწინდელებზე ნაკლებ კომენტარებსა და განმარტებებს საჭიროებს.

60-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, არტმანი ექვსიოდე წიგნს თარგმნის; მათ შორის არის ვენურ დიალექტზე გადმოთარგმნილი ვიიონის ანდერძიც, რომელსაც ფეტი ჯორჯის მუსიკის თანხლებით კითხულობს ქვალტინგერი. სწორედ ამ თარგმანის წყალობით იქმნება მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს არტმანის მთავარი მწერლური ღირსება მის თარგმანებში იყოს. ეს შეხედულება იმიტომ არის მცდარი, რომ არაობიექტურად შეზღუდულ ხედვას ეფუძნება. თარგმანების პარალელურად იწერება ამდენივე ვრცელი დრამა და ენობრივად ახალი ლექსების რამდენიმე რვეული, ცოტათი 1950-51 და 1954 წლების ლექსების ტენდენციებს რომ განაგრძობს: 1960 წელს კარინტიამში შექმნილი სასიყვარულო ლექსები "ჩემს მახვილზე ამოტვიფრული" და 1962 წელს ბერლინში დაწერილი ციკლი "ირმების ნაკრძალი და შუქურკოშკი" – ორივე კრებულის უმნიშვნელოვანესი ტექსტები შესულია რჩეული ლექსების ვალტერის გამოცემლობის მიერ დასტამბულ კრებულში, – გარდა ამისა, დიდი რაოდენობით ცალკეული ლექსები და უკვე ნახსენები "ბოთლით გამოვ ზავნილი წერილები", რომლებშიც კვლავ გავრცობილი პოეტიკის მიმართულებით ჩატარებულ ცდებს ვაწყდებით, და კიდევ არაერთი ახალი გამოგონება. ამ პერიოდის მრავალრიცხოვანი, ნაწილობრივ დღემდე დაუმთავრებელი, პროზაული ტექსტებიდან აღსანიშნავია, პირველ

რიგში, ავანტიურული რომანის თანამედროვე ვარიანტი, რომლის მოქმედებაც ლისაბონში ვითარდება, მოკლე ტექსტების კრებული "ოთხმოცდაათი სიზმარი", კრებული "გულმოდგინება და ინდუსტრია" და პაროდია რობინზონ კრუზოზე. ამავე პერიოდში დასრულებულია მუშაობა "დრაკულაზე", ბოლო დროს "Diskus"-ში გამოქვეყნებულ რომანზე კაციჭამიას შესახებ, ძალზე სახალისო ზღაპრებზე და ა. შ.

ზემოთ აღვნიშნე: არტმანის სახელი დღეს სულ უფრო ხშირად ჟღერს-მეთქი. მისი "გუშინდელი დღის ძიება" შარშანდელი წლის თებერვლის საუკეთესო წიგნად გამოცხადდა. ბერლინისა და კიოლნის გალერეათა მეპატრონეებმა ათი წლის დაგვიანებით დაიწყეს ვენის ჯგუფის ავტორთა მოწვევა ლიტერატურულ საღამოებზე. "Europa-Center"-ის ბანზე, კონტად ჟიულ ჰამერის თეატრში, ტროპიკული სიცხის მიუხედავად გადაჭედელ დარბაზში შედგა "დრაკულას" სცენურ-ორატორიული დადგმა, რომელშიც გრაფ დრაკულას როლში თავად მაესტრო მონაწილეობდა და, გარდა ამისა, მისი უამრავი მეგობარი იყო ჩაბმული. უკმაყოფილო მხოლოდ ერთადერთი მაყურებელი აღმოჩნდა, ისიც მანდილოსანი, რომელსაც სპექტაკლის მსვლელობისას გული შეუღონდა.

გაზეთი "Frankfurter Allgemeine Zeitung" კარლ მიხაელ ბელმანის ლექსების წიგნის რეცენზრებისას მიმართავს არტმანის ვრცელ ლიტერატურულ ერუდიციას. ხოლო "Wort in der Zeit" 1965 წლის იანვრის სპეცნომრის ყდაზე ბეჭდავს ბაიერის, რიუმის, არტმანის, ოკოპენკოს, იანდლის, მაირიოკერისა და სხვათა ფოტოსურათებს, 1965 წლის მაისის ნომერში კი აქვეყნებს პიესას "ჩერმაკისათვის წიწაკა არ არის", მისი დაწერიდან თერთმეტი წლის შემდეგ. ჟურნალი "Eröffnungen", რომელიც ვენაში გამოდის, ბოლო დროს არტმანისეული ტექსტების ნამდვილ პატარა საბადოდ იქცა. უკვე ხდება ადგილობრივი ლიტერატურული მოვლენების ქრესტომათიულ ცნებებად დაყოფა: ლიტერატურა ვენაში და პ. კ. არტმანი. თუკი წარსულს გადავხედავთ, ნათელი ხდება, რომ საქმე უწყვეტ პროცესთან გვაქვს, – ცხადია, თავდაპირველად, ირაციონალურთან, რომელიც მთლიანად პოეტის პიროვნებიდან გამომდინარეობს.

(1966)

ჰანს კარლ არტმანი

იმ გარემოების გამო, რომ არტმანის პოეტურმა პროდუქციამ დაგვიანებით იხილა დღის სინათლე, ის დღესდღეობით ისეთ გემოვნებას შეესაბამება, რომლის ყურადღების ცენტრშიც ამ პროდუქციაში გამოხატული პოზიციის ნაცვლად ის განსაკუთრებული ეფექტია მოქცეული, რომელსაც ის მკითხველზე ახდენს. ახალ-ახალი ენობივი საშუალებებით დახვეწილი თამაში იმდენად გვაოცებს, რომ მხედველობის არიდან გვეკარგება ის, რაც არტმანის შემოქმედების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს და ის ლიტერატურული სიტუაცია, რომლის გარეშეც არტმანისთვის მისი შემოქმედებითი სტრატეგიის განვითარება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. არტმანის მსგავსად სინტაქსური ფორმებით დაინტერესებულ ავტორს ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში შექმნილი ლიტერატურული კლიშეები პრაქტიკულად აღარც კი უტოვებდა იზოლირებულს, დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობას. გრძნობათა გადამეტებული გამოხატვით დამძიმებული ენობრივი და სხვა სახის ტრადიციებისგან გათავისუფლება შეუძლებელია მხოლოდ გამოკვეთილად სააშკარაოზე გამოტანილი ექსცენტრიკის გზით, რამაც, თავის მხრივ, იმ სულისკვეთების აღორძინება განაპირობა, კლასიკისა და კლასიციზმის ეპოქებში ჩრდილში რომ იყო მოქცეული: ვგულისხმობთ არსებობის გამართლებას საქმიანობით და ორივეს მამოძრავებელ ბირთვად პოეზიის გამოცხადებას.

ამ მრწამსის საპირისპიროდ, იმ პერიოდის სოციალური გარემო შემოქმედისგან ითხოვდა, უკვე არსებულ ნორმებს მორგებოდა, – რაც საკმარისად ხშირადაც ხდებოდა, – წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვანი მარტოღმარტო რჩებოდა საზოგადოების პირისპირ, რომელიც მის მიმართ საკუთარ პოზიციას ჯერ კიდევ ისეთი მოძველებული ტერმინებით გამოხატავდა, როგორიცაა "გადაგვარებული" და ა. შ. უცხო ენათა ცოდნამ, პირველ რიგში კი უტყუარმა ალლომ, რომლითაც არტმანი სიტყვისა და გამოთქმის ძალას გრძნობდა, საშუალება მისცა მას, შემოქმედებითი პროცესი სინამდვილისადმი ფიქტიური მიმართების ნიშნით ეწარმოებინა; სწორედ ამის ხარჯზე, მისი თვითგამოხატვა და ცხოვრების სტილი არასოდეს შეწინააღმდეგებია ტრადიციებს, სამყაროს მისეული ხედვა

კი მუდამ მყარად რჩებოდა. საკუთარ აზრობრივ თამაშებს არტმანი თავის ფიქციებში მრავალფეროვანი როლების სახით აცოცხლებდა და თავის მიერ მიკვლეული სინტაქსური ელემენტებით ალაპარაკებდა; ამ-აზუა აგებული მისი ნაშუშვერების უმრავლესობა (1953 წელს დაწერილი "პოეტური აქტის რვაპუნქტიანი პროკლამაციის" მიზანიც სწორედ ეს არის: თვითგამოხატვა როლების მეშვეობით, ოღონდ – "პოეტური ცნობიერების" სფეროდან გამოუსვლელად).

არტმანის გავლენაში ზოგიერთ, – უპირველეს ყოვლისა, ბერლინ-ელ, – ლიტერატორზე დიდი წვლილი მიუძღვის მის უნარს, საკუთარი შემოქმედება და საკუთარი პიროვნება ერთ განუყოფელ მთლიანობად აქციოს, რომელსაც ასევე თავად ძერწავს. ამგვარად შექმნილი ერთგვარი მითოსი მის ნაწარმოებებს ობიექტური ანალიზისთვის ყოვლად შეუვალს ხდის. მოკლედ, კონრად ბაიერის განსაზღვრებით რომ ვთქვათ, არტმანმა "პოეზია მსოფლმხედველობად აქცია". გასულ საუკუნეთა ნაკლებად გავრცელებული ლიტერატურული ფორმების ცოდნამ, უშრეტმა ფანტაზიამ და სწრაფვამ "ძველი დროის ევროპულ ლიტერატურათა არსებითი ნიშნების ავანგარდულ მიმდინარეობათა სამსახურში ჩაყენებისა" ხელი შეუწყო არტმანს პროგრესულ ტენდენციათა წარმომადგენლებთან დაახლოებაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, "ვენის ჯგუფია", რომლის წევრიც გარკვეული დროის მანძილზე თავადაც გახლდათ. მართალია, მისი საქმიანობა მეცნიერული კვლევით არ იყო მოტივირებული: ენობრივი პრობლემების თეორიული განხილვა მას ნაკლებად აინტერესებდა.

მიუხედავად ამისა, საკუთარ შემოქმედებაში ის ხშირად იყენებდა იმ პერიოდში სხვებთან ერთად შემუშავებულ ტექსტურ მეთოდებს (როგორცაა ინვენცია, მონტაჟი და სხვ.), თუმცა ამას მეტწილად გაუცნობიერებლად სჩადიოდა. ამავე პერიოდს ემთხვევა არტმანის ჟარგონული, დიალექტით დაწერილი ლექსები, რომლებიც, – რიუმისა და ახლათინისგან განსხვავებით – იმდენად ენობრივი საშუალებებით ექსპერიმენტირებას არ ისახავდა მიზნად, რამდენადაც იდიომებით თამაშს ემსახურებოდა, რასაც არტმანი ხშირად მეტაფორული ეფექტის გასამძაფრებლად მიმართავდა.

მისი ერუდიცია მოიცავდა აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ლიტერატურულ პროგრამებსა და მათთან დაკავშირებულ ცხოვრების სტილს, რაშიც ის, ერთი მხრივ, თავისთვის ახლობელ მომენტებს ეძიებდა, მეორე მხრივ, საკუთარი ქცევის დასტურად და გამართლებად ეგულებოდა. ამ გაგებით, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ

სიურრეალიზმის, კონცეპტიზმის, ბაროკოსა და ტრუბადურების პოეზიის ზოგიერთი ასპექტი, აგრეთვე – რომანტიზმის ელემენტები, ხალხური ლიტერატურის კრებულები და ევროპასა და ამერიკაში მათზე შექმნილი ვარიაციები. ყველა სფეროს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ერთი კი უეჭველია: ისინი აუცილებელ წინაპირობად გვევლინება არტმანის შემოქმედების ღრმა წვდომის გზაზე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ის გავლენაც, რომელიც მასზე მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდის ტრივიალურმა ლიტერატურამ იქონია; მის მოდულაციებში არტმანი გარკვეულ პარალელს ავლებდა საკუთარ შემოქმედებასთან. იმ პერიოდში, როდესაც მისთვის გარკვეულწილად განმსაზღვრელი გახდა პოპ-არტის ტრივიალური კლიშეები, მან, – მართალია, ძალზე უშუალოდ, – გადმოიტანა პოპ-არტის ელემენტები საკუთარ ტექსტებში.

არტმანის შემოქმედებაში ყველაზე მეტად გვეცემა თვალში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, დროში განგრძობილი სამი ტენდენცია, და სამივეს ფესვები ერთ წიაღში – სინამდვილისადმი უკვე ნახსენებ ფიქტიური დამოკიდებულების შემოქმედისეულ მრწამსში – უდგას. ასე რომ არ ყოფილიყო, შეგვეძლო გვეთქვა, რომ მათ ერთურთთან საერთოდ არაფერი აკავშირებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მეტყველების განსაკუთრებული მანერა, რომელიც, ტრადიციული სინტაქსური საშუალებების ციტირების მაგიერ, ემოციების გამოსახატად ოდნავ შეცვლილ ლირიკულ ფორმებს მიმართავს; ტრადიციული თვალთახედვით დანახული ამგვარი თვითგამონატყა ძლიერ მეტაფორიზებულიად აღიქმება და, რაც მთავარია, ახდენს "პოეტური ცნობიერების შიგნით არსებული სიტუაციების" დემონსტრირებას. ამ პროცესის მომსწრენი ვხდებით როგორც არტმანის ადრეულ ლექსებში, ისე – შემდეგ ლირიკულ კრებულებში: "ჩემს მახვილზე ამოტვიფრული", "თერთმეტი ცალკეული ლექსი", "ირმების ნაკრძალი და უუქურკოშკი", "ჩანახატი სამგლოვიარო სიმღერისთვის. ბრძოლის ველზე დაცემულს", დაბოლოს, "სანახები"; რაც შეეხება პროზას, უნდა დავასახელოთ "გუმინდელი დღის ძიების" ცალკეული დიდი მონაკვეთები, ნაწილობივ – "დრომის ასომთავრული" და "ჰუსარებსა და ბაგირზე მოცეკვავეების შესახებ"; აგრეთვე, თითქმის ყველა ფარგონული ლექსი. პიესებიდან – "ჩერმაკისთვის წიწაკა არ არის".

ჩამოთვლილი ნაწამოებებიდან თითქმის ყველას, – შესაძლოა, უკანასკნელის გამოკლებით, – ერთი რამ აერთიანებს: მათში მეტყველება შეგრძნებების გადმოცემის მაგიერ თავს აფარებს შეგრძნების გარკვეულ

სურათ-ხატს. ეს, თუკი გავითალისწინებთ არტმანის მანერას, მთელი კომპლექსის გადმოსაცემად გამოიყენოს ერთი და იმავე გრამატიკული ერთეული, ხშირად არტმანისეული ლირიკის ერთადერთ მეტაფორულ ხერხად გვევლინება. (მაგალითად: "ბასრი ფოთლებით (ფურცლებით) ჩავეჭიდე ნათელ დღეს / ჩემი აყვავებული სარეველა ბალახიდან გალობდა ადრეული მზე / მე ვიყავი (...)" და ა. შ. ანდა: "ქარი მიმოქრის ლერწამში / მე ვიპოვე [რაღაც] შრომანისფერი / მე ვხედავ შენს ბაგეს / სიტყვებსა და ჩიტებს / ბაგე მიმოდის წითელი / ძალზე მუქი გვინეას გარშემო (...)", ანდა: "28 სექტემბერი: და კვლავაც იასამნისფერი პარასკევი [venerdies violacea]. მაგრამ, ო, თეზაურის ქალიშვილი ლიუბეკში ჩამოვიდა მატარებლიდან.")

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს არტმანისთვის თავად ემოციაზე უფრო მნიშვნელოვანი ის მეტაფორაა, რომლის არსიდანაც გამომდინარეობს ემოციასთან მიმართება. ამგვარ წარმოდგენას ისიც აძლიერებს, რომ მაპროვოცირებელი, თავისი ჟღერადობით თუ ხატოვანებით მიმზიდველი ლექსიკური ერთეულები მხოლოდ მათი გრამატიკული სახეცვლის ხარჯზე ახდენს მნიშვნელობის ნიუანსირებას, მსგავსად მონტაჟისა კინემატოგრაფში. იქმნება კიდევ ისეთი შთაბეჭდილებაც, თითქოს არტმანი რაღაც ზმანებით იყოს მონუსხული, რომლის წვდომასაც მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუკი ბოლომდე დაჰყვება მის ხიბლს.

არტმანის ნაშუშეგართა დიდი ნაწილისთვის დამახასიათებელია არა ცხოვრებისეულ, არამედ ენობივ რეალიებთან კომუნიკაცია; ამის შედეგი კი იმგვარი ემოციაა, თავისი სიმბოლიკითა და სინტაქსით გაუცხოებულ არქაიზმად რომ გვევლინება. ვითომდა მივიწყებული კლიშეების ციტირებით არტმანი თითქოს თანამედროვეობასა და ფსევდოისტორიულ წარსულს შორის შუამავლის როლში გამოდის და თავისი თხრობის საგნად საგანგებოდ შელამაზებულ არქაიკას აქცევს. ეს ფიქტიური ისტორიული ხედვა, გაიგივებული რეალურ ენობრივ ხედვასთან, შეიძლება მცდარად მივიჩნიოთ რომელიმე ისტორიულ გარემოცვაში დაბადებული ობიექტური განწყობის გულუბრყვილო ან უგემოვნო იმპლიკაციად. (მაგალითისთვის: "თეთრად გაშლილა დილით / ბანია ლუკა, / გრუნუნებს დოლი, / მამლაყინწას ვგავარ, გარნიზონის მესაყვირე, / ირხევა მზინავი ბუმბულები, / ერთურთზე გადაჭლობილ მახვილთა ფრენა..." ანდა: "მიმაქროლებს ჩემი მუქი რაში / შალ-ი-მანისკენ, / მსუბუქი მხედარი [მივაპობ] ტყეთა შავ დალალებს, / აგერ, ნაპირი! მდინარე! მდინარე! ოჰ, შესევი ფსკერამდე! / ბაგე გაივრილე წყლით, რომელიც ასე შორი ჯერ

არასდროს ყოფილა...", ანდა: "სიცილიურ სახლს, / ატლანტიკის მწვანე ბაღნარს, / ფრინველ სანე სიბირს, / ახალი ჰოლანდიის პირქუშ უბეს, / ვის მივმართო / მას შემდეგ, რაც დამზაფრა, / მოლოდინმა *** წლის...").

არტმანის არაერთ ტექსტში ისტორიული ფიგურები თუ ადგილები, მითები თუ ლეგენდებია გაცოცხლებული; ამის მიზანი სულაც არ არის დღევანდელი გადასახედიდან გაგებული ამა თუ იმ შინაარსის წარმოდგენა. ეს უბრალოდ კულისებია ამა თუ იმ ენობრივი სცენისთვის, რომელზეც არტმანი ვითომდა ამ ენის მატარებლის სახით გამოგვეცხადება. ეს, უპირველეს ყოვლისა, მის პიესებს ეხება. მაგრამ ისეთი ოდნავ პაროდული ფანტაზმაც, როგორც არის "რეალური შეხვედა დრ. ფუ მანჩუსთან" (ის პაროდიად აღიქმება მისი სიუჟეტიდან გამომდინარე) შეიცავს მინიშნებას გვიან ვიქტორიანულ ტრივიალურ მოდელებზე: "ჰ. კ. არტმანი გახლავართ, – წამოსთქვა მან შემდეგ, – ჰ. კ. არტმანი, აგრეთვე ცნობილი, როგორც ჯონ ეტერლი ბენკროფტი, იგივე ლორდ ლისტერი, იგივე დეივიდ ბლენერჰესეტი, იგივე მარტიმერ გრიზლიმოლდე ვერი და ა. შ. და ა. შ.!"

მაგრამ ეს მხატვრული ხერხი მარცხს განიცდის იქ, სადაც ორიგინალი კარგად არის ცნობილი ფართო მკითველისთვის, როგორც ეს "მწვანედ დალუქულ ეპისტოლესა" და "alleleirausch"-ის შემთხვევაში მოხდა. სამაგიეროდ, სწორედ ამ ხერხის წყალობით გაჩნდა სრულიად უნიკალური ნაწარმოები "გულმოდინება და ინდუსტრია", განსაკუთრებული ადგილი რომ უკავია არტმანის მთელ შემოქმედებაში. შემდგომში არტმანმა ეს მეთოდი არაჩვეულებრივი ემოციურობით გამორჩეულ თავის თარგმანებზე მუშაობისას გამოიყენა, – მათზე აქ, სამწუხაროდ, საგანგებოდ ვერ შევჩერდებით, თუმცა მათ არტმანის შემოქმედებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.

არტმანისეული წერის მანერის მესამე ტენდენციად შეგვეძლო დაგვესახელებინა ის მეთოდი, ერთი შეხედვით ექსპერიმენტულად რომ აღიქმება, სინამდვილეში კი ნაკლებად არის ორიენტირებული "მეცნიერულ" ცდებზე. ის უფრო გრძნობათა გადმოსაცემად ტრადიციული ფორმების გავრცობა-გაფართოებას ისახავს მიზნად (ამ ტიპის ნაწარმოებებია: "გავრცობილი პოეზია", "ბოთლით გაგზავნილი ბარათები", "ლირიკული ვერბარიუმები", ბაიერთან და რიუმთან ერთად შექმნილი ნამუშევრები, ასევე "რითმები, პწკარები, ფორმულები", პიესები "მოგზაურობა კუნძულ ნანთაკეთზე", "ბურუსი და ფოთოლი", "კეთილშობილთა და სამართლიანთა ხვედრი" და სხვ.). გავრცობა ძირითადად ფონეტიკის სფეროში მიმდი-

ნარეობს, მაგრამ ამასთან ბგერითი ჯგუფის კონსტრუქტიულ ელემენტს როლი ეწევა ანგარიში. გადამწყვეტი აქ ისევ და ისევ შეგრძნებებსა და ასოციაციებზე დამყარებული ერთგვარი სემანტიკური პრინციპია (მაგალითად: "wasserlobelia almevalsdatan / ich wohne lobelia almedals / nummernd auf weiß in weiß..." ანდა: "Assegor Thibeta et dü azimout... / vendigot ül iblout et '1 ab ab..." ანდა: "Ungummi / Schneebitter / Sanssouci / gekäfigte / Note / Abdusche..."). წერის ამგვარი მანერა საუკეთესოდ გამოხატავს არტმანის მიერ დასახულ ამოცანას: ამა თუ იმ გრძნობა-განწყობის შესაბამისად შერჩეულ ბგერათა ჯგუფებმა ახალი სისტემა შექმნან და ასე იქნან ჩაწერილი.

თუკი ზემოთ თქმულს შევაჯამებთ, არტმანის ნამუშევრები უნდა განვიხილოთ, როგორც ავტორის ცდები, ერთმანეთს შეუსაბამოს ენისადმი და ცხოვრებისადმი საკუთარი დამოკიდებულება. ორივე მიმართება მხატვრულ სინამდვილეში ხორციელდება; განწყობა და წერის პროცესი ამართლებს ერთმანეთს. არტისტიზმი გვევლინება ამა თუ იმ ემოციის საბუთად, შინაგანი მდგომარეობის პრეზენტაციად. შინაარსი მხოლოდ გრამატიკული ფორმის ხარჯზე იძენს თავის სიღრმეს; ენობრივ ელემენტებს უკვე არსებული ნიმუში ანიჭებს მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, არტმანის ქმნილებები არ უნდა განვიხილოთ, როგორც ძველთან შედარებითა და გამოხატვის ახალი საშუალებების ძიებით გაწაფული ინტელექტის ნაყოფი; ეს უფრო რიტორიკული ფიგურებია, გარკვეული ეპოქის შესაბამისი ცნობიერების ჩარჩოებში ჩასმული. მათი მიზანი ეფექტის სიმძაფრეა და არა – საზრისის გამოხატვა. საზრისთან ეს ტექსტები, – მთელი მათი ხიბლის მიუხედავად, – ისეთსავე მიმართებაში არიან, როგორც ხისგან ოსტატურად ამოჭრილი მეფეები, დელოფლები, გლეხები, კოშკები – ჭადრაკის თამაშთან; თუკი მათ, ამასთან ერთად, ძალუძთ, სიამოვნება მოგვანიჭონ, ეს იმას ნიშნავს, რომ...

(1970)

პომტი ჰ. ჰ. არტმანი

წიგნის გაყიდულ ეკზემპლართა რაოდენობის მიხედვით პოეზიის შეფასებას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ მართებულს, მით უფრო მაშინ, როცა საქმე ახალგაზრდა ავტორთან გვაქვს; ერთი გაყიდული წიგნით მეტი თუ ნაკლები, — ეს ავტორის შესახებ ბევრს ვერაფერს გვეუბნება. რაოდენობა საკმარისად მცირეა. ის მერყეობს 200-იდან 600 ეკზემპლარს შორის, თუკი წიგნი რომელიმე წესიერ გამომცემლობაშია დასტამბული (როგორებიც არის პიპერი, ჰანზერი ან ოტო მიულერი). ზოგიერთი გამომცემლობა, მაგალითად ბუკტლე, პირველ გამოცემას 500-იანი ტირაჟით შემოსაზღვრავს. უკვე ძალზე ფართო პოპულარობის მაჩვენებელია, თუნდაც, ის, რომ პარიზში მცხოვრებ პაულ ცელანს ანდა ვენელ პოეტს ქრისტიანე ბუსტას მათი შემოქმედების 1500-მდე დამფასებელი მოეძებნება, ვინც მზად არის ფული გაიღოს მათი წიგნებისთვის.

ამ ფონზე სენსაციად გამოიყურება ისეთი წარმატებანი, როგორიცაა ლეგენდარული ლეგიონერის, ჟორჟ ფორესტიეს 18000-იანი ტირაჟით გამოცემული კრებული "ჩემს გულს დავეწერ შარაგზის მტვერში", ანდა კარინტიელი ინგებორგ ბანმანის წიგნი "დიდი დათვის მოხმობა", რომლის ტირაჟმაც უკვე მეექვსე ათასს მიაღწია. მართალია, მთლად მართებული არ არის ლექსის ფასეულობაზე მსჯელობა მხოლოდ გამომხატურების საფუძველზე, ერთი კი ცხადია: როდესაც ლირიკული კრებული განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს, ბუნებრივად ჩნდება კითხვა ამ წარმატების მიზეზების შესახებ; და მეორე კითხვა: რამდენ ხანს გასტანს ეს წარმატება? ფორესტიეს შემთხვევაში გადამწყვეტი როლი "საზღვრით შუაზე გულგააბილი" ამ "ელზასერის" მიერ გენიალურად შეთხზულმა იგაჰმა ითამაშა, რითაც ის, ფაქტობრივად, ჩვენი დროის არქეტოპულ ფიგურად იქცა. მაგრამ მხოლოდ ამის ხარჯზე ვერაფერს გახდებოდა, მისი ლექსები სრულიად უვარგისი რომ ყოფილიყო. რაც შეეხება ინგებორგ ბანმანს, მისმა ლექსებმა მკითხველი, ალბათ, მათი ქალწულებრივი თუ ქალური სიმშვიდით მოხიბლა, ასე მკვეთრად რომ ემიჯნება ჩვენს შფოთიან დროს.

ოცდაჩვიდმეტი წლის ვენელმა პოეტმა ჰანს კარლ არტმანმა კი მოახერხა, ერთი წლის განმავლობაში დაეკავებინა პოპულარობით მეორე ადგილი 1945 წლის შემდგომ პოეზიაში. გასულ შემოდგომაზე მისი

წიგნი "med ana schwoazzn dntn – gedichta aus bradnsee" ("შავი მელნით ნაწერი – ლექსები ბრაითენზეედან", ოტო მიულერის გამოცემლობა) ბორის პასტერნაკის "დოქტორ ჟივაგოს" შემდეგ ყველაზე პოპულარულ წიგნად დასახელდა ვენაში, ზალცბურგსა და ავსტრიის სხვა ქალაქებში; ამას მოჰყვა ასეთივე წარმატებული აუდიო-ფირფიტა (med schwoazzn blodn). ამგვარად, არტმანი – საბედნიეროდ, სიცოცხლეშივე, – იმეორებს ყველას მიერ მასხრად აგებული ფრიც ფონ ჰერცმანოვსკი-ორლანდოს ბედს, ვისაც ათწლეულები დასჭირდა, რათა მის წიგნებს უკვე სულ სხვაგვარი ღიმილითა და მოულოდნელი აღტაცებით ჩაღრმავებოდნენ.

რამი მდგომარეობს არტმანის უეცარი წარმატების მიზეზი? ახალი და თვითმყოფადი მის ჟარგონულ ლექსებში ის გახლავთ, რომ იგი ახერხებს ენის მოხელთებას მისი ქმნადობის პროცესშივე, – იქ, სადაც ის ენად იქცევა, სადაც ის ყველაზე ცოცხალი და დასაბამიერია. იგი ჩასწვდა დიალექტის ფესვს, იმ წიაღს, სადაც ის ითხზვება და იქსოვება, სადაც სინამდვილესთან შეხვედრისას იბადება ხატოვანი და პლასტიკური გამოთქმა, რომელშიც ეს სინამდვილე თავის სიცოცხლეს განაგრძობს. ამ კუთხით თუ შევხედავთ, მისი ყველა გამოგონება და აღმოჩენა სრულიად ბუნებრივ ხასიათს ატარებს: პოეტის მაგიერ ენა გვეკვლინება შემოქმედად, თავად მას კი მხოლოდ პირის გაღებლა უწევს.

ახლა, როდესაც ვიცნობთ არტმანის მიერ ვენურ დიალექტზე დაწერილ ლექსებს, რომელთა წყალობითაც ეს დიალექტი მხატვრული ლიტერატურისთვის ახალ აღმოჩენად იქცა, უნებლიეთ ვეკითხებით საკუთარ თავს: რატომ გვეჩვენებოდა აქამდე დიალექტზე დაწერილი ლექსები ასე ამაზრზენად? მიზეზი ის უნდა იყოს, რომ აქამდე დიალექტი მუდამ ნაძალადევად იყო მოქცეული პოეზიაზე მცდარ და უგემოვნო წარმოდგენათა ჩარჩოებში ("ლექსი ისაა, რაც გართმულობ"). გარდა ამისა, ამა თუ იმ დიალექტით შემოფარგლვა იმთავითვე ნიშნავდა გარკვეულ გონებრივ შეზღუდულობასაც და თემატურ შემოფარგლულობასაც. ასე რომ, დიალექტი ერთგვარ გეტოში იყო გამოკეტილი და მხოლოდ ერთსა და იმავე ბილიკებს ტკეპნიდა. დიალექტზე წერისას ავტორი რატომღაც დარწმუნებული იყო იმაში, რომ მხოლოდ ლიტერატურული სქემა კი არა, – უბრალო ხალხის მენტალიტეტიც უნდა მოირგოს. შედეგად მიღებული ტექსტები მათი ობივატელურ-მდაბიური სტილის გამო სულელურ შთაბეჭდილებას ტოვებს, თანაც, ერთი და იგივე გაცვეთილი მოტივების გამო ერთფეროვანია.

ამის საპირისპიროდ არტმანი, – სიახლეც სწორედ ეს არის, – მუდამ საკუთარ თავად რჩება, მაშინაც კი, როცა დიალექტზე წერს. იგი დიალექტს გეტოდან ათავისუფლებს და სიურრეალიზმისა და შა-

ვი იუმორის იალაღებზე ანავარდებს; შედეგად ყოვლად უცნაური შეხვედრებისა და დაწვევლებების მომსწრენი ვხდებით. თემატიკა ხშირად ძალზე შავბნელია. გავიხსენოთ, თუნდაც, ლექსები კარუსელის მეპატრონის შესახებ, რომელიც, იმავდროულად, გარეუბნის მაცხოვრებელი ლურჯწვერა გახლავთ და რომელსაც დახოცილი ქალების გვაგები ისეთ შიშს ჰკვრის, რომ მთელი ღამე სინათლეს არ აქრობს. ჩვენს წინაშეა აქამდე უცნობი, აზრდილებითა და ლანდებით დასახლებული ვენა, რომლის ატმოსფეროს გადმოცემა "მესამე კაცის" მსგავსმა ფილმებმაც კი ვერ შეძლო. არტმანი ენობრივი საშუალებებით ახოციელებს ყოველდღიურობის კომპარულ, საშინელ რეალობად გადაქცევას. მაგალითად, ზამთრის ნავსაბმელი მდინარე დუნაიზე, რომლის ქვეშაც წყალმა გვაძი გამორიყა (ლექსში "dod en wossa"¹, ელიოტის "ფლებასის სიკვდილის" პერიფრაზი), ფრაზის "en heabst" ("შემოდგომაზე") სრულიად მოულოდნელი წამძვარების გამო მეტაფიზიკური ალაგის სახეს იძენს. არტმანს არ სჭირდება მთელი კოსმოსისა და ირმის ნახტომის გამოხშობა: ის ყოველდღიურობის მიწიერ დეტალებს სჯერდება "წარღვნის შემდგომი" ("noch ana sindflut") განწყობის აღსაწერად: დამპალი ფანჯრის რაფები, ერთი-ორი დამხრჩვალი ხოჭო და კინოთეატრის დარბაზი, რომელსაც სუნით შეატყობ, რომ მის ყოველ რიგში ზვიგენები და ვეშაპები ისხდნენ. მეორე ლექსში პატიოსანბიურგერული კვირადღის სიმშვიდე – დაკეტილი სასურსათო და საყოფაცხოვრებო მალაზიების, გამჭრალი "ნივეას" საპნების, "მაგის" მშრალი სუპების თუ მჭავე კიტრის ქილების წყალობით – ღამის ექსისტენციური სიცარიელის ხატად გვევლინება.

არ იქნება მართებული, არტმანი ზოგადად დიალექტის პოეტად მოვხატოთ მხოლოდ იმის გამო, რომ მისი პირველი წიგნი (თუ არ ჩავთვლით დღეისთვის დაკარგულ პირველ თვითგამოცემულ კრებულს) სახელწოდებით "გამონათქვამები, რითმები, ფორმულები და სასაფლაოს სიმღერები" დიალექტზეა დაწერილი. თავიდან ეს ლექსები თამაშით იქმნებოდა, რაც თანდათან სამეცნიერო ცდებსა და დაკვირვებებში გადაიზარდა და საქმე იქამდეც მივიდა, რომ არტმანმა განსაკუთრებული ბგერითი დამწერლობა შექმნა და ვრცელი ლექსიკონიც შეადგინა. თავისთავად ეს ლექსები სქელტანიანი, ჯერაც გამოუქვეყნებელი ნაწარმოების ფრაგმენტებს წარმოადგენს. არტმანის გატაცება შედარებითი ლინგვისტიკაა; უცხოურ და უძველეს ლიტერატურათა უბადლო ცოდნის წყალობით მან არა ერთი შემოქმედებითი იმპულსი მიაწოდა თავის გარშემო შეკრებილ ახალგაზრდა ავტორთა ჯგუფს.

¹ "სიკვდილი წყალში" (მთარგმნელი)

ასე 1950 წლისთვის დაიწყო ახალგაზდა ლიტერატორების ჯგუფის რეგულარული შეხვედრები; ყველანი საშუალოდ ოცი წლისანი იყვნენ, ოცდაათს არც ერთი არ ყოფილა გადაცილებული. ჟურნალი "ახალი გზები" (მას გამოსცემდა "ახალგაზრდული თეატრი", ორგანიზაცია, რომელიც შეღავათიან ფასებში სთავაზობდა სკოლის მოწაფეებს დრამატული და საოპერო თეატრების წარმოდგენებზე დასწრებას) მათ პირველ ბეჭდვით ორგანოდ იქცა. ჯგუფს ეკუთვნიან: გერჰარდ ფრიში, იმ დროისთვის ოთხი პოეტური კრებულისა და რომანის "ხავსი ლოდებზე" ავტორი; ანდრეას ოკოპენკო, რომლის ლექსებიც ("მწვანე ნოემბერი") ის-ის იყო დაესტამბა პიპერის გამომცემლობას; ერნსტ კაინი, რომელმაც 1958 წელს ჰერბერტ აიზენრაიხთან ერთად მიიღო სახელმწიფო პრემია პროზის დარგში; ფრიდრიხ პოლაკოვიჩი, რომელიც ცნობილი გახდა როგორც არტმანის ინტეპრეტატორი. შეხვედრებს დროდადრო ესწრებოდნენ: ჯენი ებნერი, ვისი მეორე რომანიც ("ადრეული ზაფხული") გასულ შემოდგომაზე გამოსცა კიპენჰოიერისა და ვიჩის გამომცემლობამ; პროზაიკოსი ჰერბერტ აიზენრაიხი, იმხანად ჯერ კიდევ ენსის შაქრის ქარხანაში რომ მუშაობდა, რათა წერისთვის აუცილებელი პირობები ჰქონოდა; დოცენტი ფსიქოლოგი ვალტერ ტომანი, რომელიც მალევე ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში მიიწვიეს, მისი გროტესკული მოთხრობები ბიერშტაინმა დასტამბა. "ბუსეს პატარა მსოფლიო თეატრი", – აქ ავსტრიული ლიტერატურის ახალგაზრდა წარმომადგენელთა დიდი ნაწილი თუ არა, ნახევარი მინც იკრიბებოდა, – ისინი, ვისაც ჰანს ვაიგელმა 1951-1954 წლებში ალმანახში "თანამედროვეობის ხმები" მოუყარა თავი.

არტმანის მიმართება ამ წრესთან შეიძლება შევადაროთ იმ ადგილს, რაც პაუნდს ეკავა პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდის ინგლისურ ლიტერატურაში. ის მამოძრავებელ იმპულსებსა და ახალ იდეებს აწვდიდა ლიტერატორებს. მართალია, რასაც ის ამტკიცებდა, მუდამ ყველასთვის როდი იყო მისაღები და ზოგჯერ კამათსაც იწვევდა. უმრავლესობის წინაშე მის დიდ უპირატესობას ის შეადგენდა, რომ მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს ორიგინალში იცნობდა. ვის ჰქონდა მაშინ წაკითხული გინდ პრუსტი, გინდ "ულისე", "ფინეგანის ქელეხზე" რომ აღარაფერი ვთქვათ? გერმანული თარგმანები თითქმის არ არსებობდა, პაუნდი საერთოდ არ იყო თარგმნილი, ელიოტი ის-ის იყო ხდებოდა ცნობილი, ჰემინგუეი კი ლამის სტილის კანონმდებლად გამოეცხადებინათ. ფრანგებს (ელუარს, სენ-ჟონ პერსს) მხოლოდ სახელით იცნობდნენ. არტმანმა მოგვაწოდა პირველი თარგმანები, პირველ რიგში, ნაკლებად გავრცელებული ენებიდან თარგმნიდა, მაგალითად, ესპანურიდან (გარსია ლორკა, რამონ

გომეს დე ლა სერნა, რაფაელ ალბერტი, პაბლო ნერუდა). განსაკუთრებული ვნებით უყვარდა ძველკელტური პოეზია. ის სპეციალურად გაემგზავრა ესპანეთსა და ირლანდიაში იმ წიგნების მოსაპოვებლად, ვენაში რომ არ იმოგებოდა.

ეს თარგმანები და ჯგუფის ის ნამუშევრები, "ახალი გზებისთვის" მეტიმეტად "გაბედული" რომ აღმოჩნდა, იბეჭდებოდა ჰექტოგრაფულ გამოცემაში "პუბლიკაციები", რომელსაც 1953 წლამდე ოკოპენკო, შემდეგ კი არტმანი უძღვებოდა. დროთა განმავლობაში ზოგიერთმა წევრმა აღიარება მოიპოვა, ჯგუფი დაიშალა, "პუბლიკაციების" გამოცემა შეწყდა.

დიალექტურ ლექსებთან ერთად, არტმანს ვენაში აღიარება მოუპოვა მისმა მოთხრობებმა ჰუსარებზე, რომლებიც კანტიკუნტად გამოქვეყნდა, მაგრამ თავად ავტორის მიერ ხშირად იქნა საჯაროდ წაკითხული. აქ არტმანი ბაროკოს ხანის ქრონისტის ნიღაბს არის ამოფარებული; თუკი ზემოთ მოხსენიებულ ლექსებში ბრაითენზეეს კილოკავი სიურრეალიზმთან არის შეუღლებული, აქ ძირძველი ავსტრიული მოუხეშავი იუმორი გადახლართვია ფრანსუა ვიიონის ტიპის მოხეტიალე მელექსის სულისკვეთებას (სხვათა შორის, არტმანმა ვიიონის ლექსები ვენურ დიალექტზე გადათარგმნა). შედეგი არაჩვეულებრივად მრავალფეროვანია: ჰუსარების ძალზე საინტერესო სიებით დაწყებული და ბაროკოსდროინდელი აზარსებული ძეხვის რეცეპტებით დამთავრებული. მკითხველს (თუ მსმენელს) აქ კვლავაც ენობრივი გარდასახვები ხიბლავს. მაგალითად, რეალური ქალაქი ამსტერდამი ერთადერთი ასოს შეცვლით გადაიქცევა მითიურ ქალაქ ამსტელდამად, შაშვების საპორტო ქალაქად.²

რას სურს ამ ტექსტების გზით დღის სინათლეზე გამოსვლა და ჩვენამდე მოღწევა? ყველასთვის ნაცნობ უმარტივეს ადამიანურ განცდებს – სიხარულსა და ტკივილს, სიყვარულსა და სიკვდილს, შიშსა და მიუსაფრობას. როდესაც ნაცნობ და ახლობელ გრძნობებს ახალი სამოსით შემოსილს ვხვდებით, სტრესებისგან ვთავისუფლდებით; უდიდესი შვებაა, ღმილით შეხედო იმას, რაც თავად შეგემთხვა.

ამგვარი კოსტუმირებული სახით არტმანი გვევლინება თავგადასავალთა მაძიებელ მოძღერლად, გარდასული დროიდან ჩვენთან შესახვედრად გამოხმობილ ბარდად, ყველანაირი ენობრივი კომპონენტით რომ ატარებს ექსპერიმენტებს, უთვალავი ფანდი რომ იცის და მრავალფეროვანი რეპერტუარით აჯადოებს პუბლიკას, რომელიც დარწმუნებულია, რომ უბრალოდ ერთობა.

(1959)

²"Amsel" გერმანულად "შაშვს" ნიშნავს (მთარგმნელი)

306 ვარ, მხიარული ველური ფუტკარი?

პოეტებზე ფიქრს დავიწყებ თუ არა, ავსტრია მახსენდება. ავსტრია დღესაც ბადებს მათ, ექსპორტზეც უშვებს სხვა ქვეყნებში, მათ შორის გფრ-შიც. ისინი უეცრად ჩნდებიან ხოლმე, განსაკუთრებით ბერლინში. თუმცა, არც სხვაგან უჩივიან ბედს, მშვენივრად გამოიყურებიან. ასე იმიტომაც იქცევიან, რომ პოეტები არიან. ცხოვრება და წერა მათთვის იმდენად ერთხვევია ერთმანეთს, რომ მალე შეუძლებელი ხდება იმის გარჩევა, სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე. ისინი უწყვეტი პოეტები არიან. ვენიდან არის ექსპორტირებული პირველ რიგში ჰანს კარლ არტმანიც, თანაც უკვე რამდენიმე წელია, თუმცა დაბადებულია სანკტ-ახატცში, ტყის პირას. ტყის აღნიშვნა უადრესად მნიშვნელოვანია, იქ ხომ მაყვლის ყოველი ბუჩქი პოეზიას ემონება. 1958 წელს მისმა პოეტურ-დიალექტურმა ბესტსელერმა *მედ ანა schwoazzn dintn* ისე შემოხეთქა კარი, როგორც სარწმუნო ჭორმა. არტმანი ხომ დღეს უფრო მეტია, ვიდრე ჭორი. ის მართლა არსებობს. ის ისეთი პოეტია, როგორსაც ნატრობენ - და ეს არის არა მარტო უბრალო ხალხის აზრი - და როგორებიც უნდა იყვნენ პოეტები ამ არაპოეტურ სამყაროში. არტმანი რჩება არტმანად, იმის მიუხედავად, მარჯვენა თვალზე მონოკლს დაიმაგრებს თუ მისი დამაგრება დაავიწყდება, ეს ვენის გარეუბნელი მეწალის ვაჟი, ეს ენის გენიოსი უმაღლესი განათლებისა თუ კვალიფიკაციის კურსების გავლის გარეშე. მან შევედურიდან თარგმნა ლინე, ესპანურიდან - კეველო, ირლანდიურიდან - რელიგიური კელტური პოეზია, ფრანგულიდან - მარივო, ინგლისურიდან - დეიზი ემფორდი, იდიშიდან - იდიშური ანდაზები.

არსებობს კიდევ სხვა ენებიც, რომლებიდანაც მას შეეძლო ეთარგმნა. არტმანი ყველანაირ როლს ერგება, მრავალსაც ითავისებს. იგი არის პოეტური მიჯნური, თანაც მრავალსახოვანი. როგორც კი დაფიქსირდება ერთში, მაშინვე სხვას მიაშურებს ხოლმე. სულ ახლახანს კატრენებით წერდა, აი, უკვე ბაროკოს მანტიამია გახვეული, ჯერ იყო და დიალექტს არ იშორებდა, მერე ხმოვანი ლექსების წერა დაიწყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მის იმიტატორულ შესაძლებლობებს საზღვარი არ გააჩნია. მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად იგი მაინც რჩე-

ბა, როგორც იტყვიან, არტმან არტმანად, ერთ-ერთად იმ ჰუსართა თუ ბაგირზე მოცეკვავეთა შორის, რომელნიც დაეძებენ გუშინდელ დღეს, ან თოვლს ცხელ ფუნთუშაში, დღიურში, ლექსში. ყველაფერი არის "ჩემს ფხაზე დაწერილი." არტმანს ფხა არ უფანგდება. ორმოცდაექვსი წლის ასაკში იგი აწუილებს მას ჰაერში. იგი უძღლებს ამას, ფხიზელი თუ მთვრალი, აყალ-მაყალსა თუ მტრედების სიჩუმეში (მტრედები – ამგვარი სიჩუმე მოდის მისგან. მათ ის მაღავს ქუდქვეშ, პერანგქვეშ, შარფქვეშ, და რა ვიცი, კიდევ სად). ყველაფერი მისია, ყოველი რეკვიზიტი, რეგისტრი, ყოველი ოინი თუ ხუმტური, ან სინაზე. მან იცის ცელქობის ფასი. რადგან იგი არის პოეტი, რომელსაც თავში და ენაზე აქვს ისეთი ლექსიკონი, რომელიც დაწერილია ეგზოტიკურ ენებზე, მაგალითად, გერმანულ ენაზე. არტმანთან, თუკი მას ეს უნდა, და მას კი ხშირად აქვს ასეთი სურვილი, გერმანული შეიძლება იქცეს ეგზოტიკურ ენად. თითქოს იგი გესმის სადღაც შორიდან, პირველად შენს ცხოვრებაში, ან დიდ-დიდი მეორედ. იმდენად განსხვავებულად ჟღერს იგი, ახლახანს გამოგონებულივით ისეა სავსე ფანტაზიით, ისეთი უცოდველია, ისეთი დაშორებულია იმ სხვებისგან, რომლებმაც ასევე იციან გერმანული.

დრო და დრო არტმანი გადაშლის ხოლმე ახალ საბავშვო, სურათებიან წიგნს და გზადაგზა საკუთარ ილუსტრაციებს ურთავს. მერე ხმამაღლა კითხულობს ხოლმე იქიდან, თავის თავსაც უკითხავს და ჩვენც. მის უახლეს (დანარჩენები დამუშავებისა და შეკვეთის პროცესშია) ნამუშევარს ჰქვია *სიბეჯითი და ინდუსტრია*, ეს არის არტმანული ვარიაციები თემაზე – ხელოსნობას გააჩნია ოქროს ნიადაგი. *სიბეჯითი და ინდუსტრიაში* ნიადაგი, რა თქმა უნდა, არა მარტო ოქროსია. საქმიანობათა ამ ოცდაათიან აღწერილობაში საპატივცემლო ხშირად გადადის უხემ ბუნებრიობაში, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ჩაის თავსაც უკითხავს და შეეხება, მეპურეს, მეცოცხეს, ტაროს ბანქოს მწარმოებელს, მედროშეს, კარგ მზარეულს, მასწავლებელსა თუ სკოლის დარაჯს, ჭეშმარიტ მხსნელს, ბუხრის მწმენდავის ვარცლს, მებისრის თავგადასავალს, ულრიხს, გაბედულ ყასაბს, საკანცელარიო რამე-რუმეებს, ავიაფოსტის მშენიერ მხარეებსა თუ უბრალოდ მებაღეობას, მეცხვარეობას, ძლიერთ ამა ქვეყნისა თუ ჩიტებზე მონადირეთ.

ნებისმიერს შეიძლება დაადო ხელი და მაშინვე მოხვდები სისხლსავსე, პოეტურ ცხოვრებაში. მხოლოდ იშვიათად თუ მოუვა ვინმეს აზრად, რომ აქ, არტმანის პოეზიაში ისევე შეიძლება მოიქცე, როგორც მეცოცხეთა საზოგადოებაში, კერძოდ "ჩაერიო ცხარედ ან ცივად, უპირა-

ტესობის შეგრძნებით". იმასაც ვერ ვიტყვით, რომ არტმანს უპირატესობის შეგრძნება აკლდეს, მაგრამ ეს არის პოეტური აზრები, თანაც – ხალისიანობის იმგვარ ხარისხში, როცა ვერავინ შეძლებს რაიმე განზრახვის დამალვას, რომ არაფერი ვთქვათ ამოცნობაზე.

ხშირად როდი გაიგებთ ორიოდ წინადადებით ამდენ რამეს წესიერი ხელობის შესახებ. "მებაღეობა", მაგალითად, იწყება ასე: "ვიღაც ბატონი ნახევრადმოწეულ სიგარას გადაისვრის ბალის მესერს იქით – მებაღე ქალი მაშინვე იქ ჩნდება თავისი ფოცხით და იქაურობას ამორებს უცხო სხეულს, უკეთესია თუ სატაცურს თვითონვე ამოიღებს." ამით მაშინვე იღებ მებაღეთა სურათს, რომელსაც აგროკულტურაში გადასვლა უნდა და სიგარის ნამწვეში ხედავს, თუ როგორ იზრდება მშვენიერი ასპარაგუსი. ბალის გაშენების დროს არტმანი მებაღეთა შორის უპირატესობას ანიჭებს ქალებს. ამის შემჩნევა შეიძლება მაშინ, სატაცურზე რომ ფიქრობს. მოგვიანებით, როცა ბალის სამუშაოებს შემოდგომა წამოადგება თავზე, ეს შემდგენაირად აჟღერდება: "შემოდგომაზე ბევრი ფოთოლი გროვდება ფოცხით, იჭრება ასტრები და გეორგინები, იკვრება თაიგულებად და გზებზე იყიდება, ნაღდი ფული შემოდის და რამე. არიან ტანსრული, შალმოხურული მებაღე ქალები." ან: "ქალაქის ყველაზე დიდ პარკს ჰქვია ქალაქის პარკი, ხეებით, ყვავილებით, მწვანე ბალახით დაფარული, მნიშვნელოვანი არეალი. მთელი სამუშაო დროის განმავლობაში ქალებს გედები სულ წვივებზე კბენენ, ჩიტების გუნდი თავსაფარზე წაუკრავს ხოლმე ფრთებს, ციყვები კალათებში საგზალს არ უჩერებენ. მოკლედ, ყოველდღიური სამუშაო არც ისეთი ადვილია, დასაწყისში რომ ჩანდა".

არტმანის წიგნი არის ნამდვილი ლოცვანი, რომელიც სავსეა მსგავსი სიბრძნეებით: "თუკი მებაღეთა შევირდი გოგონები გახდებიან მამაკაცური, მაშინ ჩიტი უძღვრებს მათ რაღაცას. (...) მებაღე ქალის პროფესია მზიურია. სადაც ბალახია, იქ სიყვარულიცაა, სადაც ხე გამაგრებულ ჩრდილს აწვენს, იქ შენც სიამოვნებით წამოწვები. თითქმის არასდროს მოგეწყინება, აქ სულ შემოქმედებითი მუხტითა და ხალისით ხარ სავსე." "თანამშრომლებში" კითხულობ, რომ ჩანჩქერები ისეთი ნაკადულებია, რომლებიც უშედეგოდ ცდილობენ აფრენას, "ისინი არ არიან ჩიტები." "რელიგიის მსახურ ქალთა და კაცთა" შორის, სახლისკენ მიმავალ მრევლში ფარფატით ეშვება დაცხრილული მტრედი.: "შეხედეთ, **უფალი** ნიშანს გვაძლევს!" "ნამდვილ მხსნელთა" შორის არის წითელი ჯვარი, რომელიც საბიჯელადან გაჰყურებს ჩამოწოლილ დამეს. არტმანის

შემთხვევაში პოეზია - რა სამართლიანია! – არსად არ მიდის და ყოველთვის მასთან რჩება.

არ არსებობს ისეთი შემთხვევა და განსაკუთრებულად საჩოთიროც კი, რომ პოეზია *dea ex machine*-სავით გრაციოზულ მხსნელ ანგელოზად არ მოეკლინოს მას. პოეზია სწვდება ყველაფერს, დაწყებულს ხნულით, დამთავრებულს ავიატორით. ავიატორი ჰუგოა სწორედ ის, ვინც ამ გზით ეზიარება არტმანისეულსა და უმშვენიერეს ზეცად ამაღლებას: "დღეს ღრუბელი გადასწმინდეს ზესთა მეუფეთ და მათ ქალბატონთ და ზეცა დაბადების დღესავით მოაკრიალეს, და გაზით ავსებული არწივივით მიშარიშურობს საჰაერო ბუშტი ჩრდილოეთისკენ, ჰუგო არის მზის სტუმარი და იმდენად ბედნიერი, რომ სრულ ნეტარებას თითქმის აღარაფერი უკლია. ვინ ვარ, მხიარული ველური ფუტკარი, ფიქრობს თავისთვის, თუ ფრთებხატულა პეპელა? ოჰ, ძვირფასო ეთერო!" ოჰ, ძვირფასო ჰანს კარლ არტმან!

(1967)

დაწესი IV

არათუ ბოლო-თქმა, არამედ...

1. აუსტრი-ული-მარადიული თემის არტმანნ-ისეულ-პოეტურ შემოქცევა

"აწმყოურ-მარად-მყოფენელი წამი", - ვითარცა აეგ გოტჰე-ს ესახებოდა, ჰანს კარლ არტმანნ-ის (1921-2000) "21-ს სანახს" იდილლიკა-ს ნიშან-ჰ-ს-დებს. პიროვნულს მითოს-ს ჩანაცვლე-ბული ისლანდურ-ირლანდურ-კელტურ თქმულებათა – სკან-დურ ღმერთთა თუ გმირთა ხატებანი, ზმანებისაებრ მოხეტე-ბულნი, ერთბაშად განაცხოველებენ მკითხველის განცდას: უუძ-ველესი კულტურა წმიდა-ქრისტიანულ მისტერიუმს შთაერწყ-მება, ნათლიერების ძალმოსილების (ენერგეტულობის) დაბრუ-ნება-აღორძინებას ეგ მოასწავებს: ყოველივეს "განანამდვილ-ებს" პოეტის გული, - იგია გარანტი ყოველის. მგრძობელობა პოეტისა უმაგალითოა. არათუ "ბუნების ხოტი", არამედ ფრთოს-ნებრ აგალობება – "ბუნების მგოსნობა" (ვაჟასებურ), გახლავს, რააც არტმანნ-ის ლექსს გამოარჩევს – განათვითობებს. ჰანს კარლ, - ვითარცა სიცოცხლეში უხმობდენ აქმაგ ომგამოვლილს მამრს, - იგი გახლდა პოეტი-სკალდი, მრავალი ენის, ბევრადბე-რი გერმანული დიალექტ-ის მეცანი, სწავლული-უნივერსალ-ი, სრულიადი შიფრის შემნახველიც, აღმოკითხველიც, - "ვენ-ის ჯგუფი"-ს ქომაგი, მე-20 საუკუნის 50-ათიანული ექსცენტ-რულობა-ატტრაქცია-თა მოთავე, სალექსო-საესტრადო სინთე-ზის-ის მტვირთველი, "სამყაროულ-ში-გა-სივრცე"-ს (რაინერ მარია რილკე-ს სამეფო-ს) მიტეგნილი არტმანნ.

გერმანელი გვარ-ტომი-ს მიუცილებელი მსოფლშეგ-რძნება "ღმერთთა დაისი"-სა ("ღმერთთა შთა-ჰ-ხდომისა") – სკან-დური რდოგნარეკ, - მიწიერი-გარდუვალი განახლების, ზე-დროული ზეციური მერმისი-ს წინამსწრე: გერმანული გონის აეგ თვალ-დაუწოლებელი სიღრმე, რააც ვაგნერ-ისეულ ჰანგად

ოდესღაც ა-ღ-მო-ნარნარ-ებ-დ-ა, ახლებურად "იალებს" ("დაირ-
 ხევა"). აღმოსავლეთ სამეფო-ს - Österreich-, აუსტრი-ის,- უფრო
 სწორედ სრულიადი გერმანი-ის ბუკოლიკა - "21 სანახი"
 ("Landschaft"), - ვითარცა ანდერძანაგი, - ხრმაღს თუ სამაჯურ-
 ს, სამკლავურს თუ ბეჭედს დატვიფრულ პირწმინდა "რუნ"-ად
 ანდა მოსვეადებად (გრაფირ-ებ-ად),-ოქრო-დავლილი, ვერცხლ-
 დავლილი, შავ-ლითონი-ს-შენადნობის ჭდეულებად დაეწოდვის.
 ძველ-ჩინური აზროვნება სამყაროს-მდგენ-საწყისთ-შორის ხე-
 ს და ლითონ-ს ალაგს უჩენდა (ლითონი - ნიშანი ასტრალუ-
 რი სიწმიდის; წრთობა-მჭრელობა ლითონი-ს,-უჩვეულო ბრკია-
 ლი, - სამყაროული ძალისხმევის გამცხადებელი) - "რუნ"-
 ძველ-გერმანულ-ძველ-სკანდური "საიდუმლო" ბეჭდულება; წი-
 ნა-უკმო ხილვებუი სკანდურ-სკალდური შუაღამის მზე თით-
 ქო ახლებრივ-სრულ-მშვიდობიანად განეფინებოდეს კაცებრივი
 კულტურ-ის საწიერს, ამიერ გარდმობრწყინებულ (კანტ-ის
 წმიდა-გერმანული იდეა მარადი მშვიდობის თავს-და-ჰ-ბრუნ-
 ვიდეს არტმან-ის "ლირიულ სანახთ.") მამრულს შეშა-ძარღვს
 გოტკჳ-სეული "მარად-დედრული" ურიოშო-უბრყვილო საწყი-
 სი "ეპირაპირება" [ბოიმე-სეული წყალკურთხევის შესადაგი,-
 განათლულ-დაწმინდავებული, რაღც ხან წყლის ნიმფე-დ ("გარ-
 დასული" რომანტიზმ-ის ამოყვინვადა), ხან გაზაფხულის ხიბ-
 ლიანს ხატად ("სანახი 9"), ხან კვერცხი-ს-სახედ, კოსმიური
 კვერცხი-ს "მცირე გარდასახვად" (ფინური "კალევალა"-ს, ასევე
 ჰინდური მითოს-ის მონასხლეტად) გა-ნ-ჰ-კრთ-ებ-ა (აიღანდე-
 ბა), - დედრის-სა-შოს თუ ფრთოსნის ბუდე-ს ფარვილი, იღუმალ-
 დავანებული (შიგნივ-ჩაბრუნებული) ზიგმუნდ ფროიდ]. ივანე
 გომართელი ჰ-ბრძანებდა: იმერულმა დიალექტ-მა დედრ-ის
 კვერცხ-ს "ვაშლი" უწოდა-ო, - მითვე ამოცნობილა ბიბლიურ-
 დამყინილი-მარადი-მითი სქესთა კავშირი-ს; არტმან-ის კალამ-
 ანაწერი დედრი, რომელმან "მუცლად-იღო" ("სანახი 7"): ცოლ-
 ქმრული გაერთმთლიანება (-სახარების ნაქადაგარი); შუა-
 მდინარეთი-ს წმიდათაწმიდა საკურთხეველი მეუღლეთა (თა-
 მუხ-იშთარ); იზიდა-ოზირის (ეგვიპტური უხრწნელი წყვილი):
 ცალ-კერძ მამრ, ცალკერძ დედრ: ორთა-ერთ-ქმნა; შემოქცეული
 ჰელენე, - ოცვნა გოტკჳ-სი! ჰოლდერლინ-ის ღმერთა, ასული
 დოტიმა, ლენორ ბურგერ-ის და ედგარ პო-სი, შარლ ბოდლერ-

ის "დედრ-მოწამე" (ნიკოლაი გუმილდოვ-ის მიერ ზედმიწევნით თარგმნილი „მუხენიცა“), გეორგ თრაკლ-ის "წმიდა ღაია", ქართველ-ის ალექსანდრე საჯაია-ს "ჩემი და თეთრი თოვლის ქალია"... და კიდევ მრავალი... შოპენჰაუერ-ისეული "თანა-მიღვენა" (თანაბარ-განღურა) – succession. ღიაცი სინდიცისებრ (ვერცხლის-წყლისებრ) მსლტომი-უხელთებელი, თითქო არამისანდო (მაქციერი),- ვითარცა მას სკანდური მითოს და-ჰსახავს, ბოლოს და ბოლოს მაინც მამრის თანა-ნაქუსი; ფრადა (სკანდინაველების ვენუს) ნებისად შე-ხ-ჰ-კრავს-შე-ხ-ჰ-კინძავს ყოველივეს. სკალდ-ი და გმირი (ჰეროე, ჰეროს) ჩრდილოურს გონს გაუიგივებია. სკალდებს-გმირებს, სკალდებს-მგოსნებს ეგულვებოდათ მელექსეობის ღმერთი ბრაგე (ვითარცა ძველჩინელებს – მწერლობის ღმერთი). დედრი-სენი, დედრი-სახადი (ყვავილი; ბუგრი), - აგრე მოიხსენიებს დედრს არტმანნ-ისეული ერთი ბწკარი: პირისპირობა, რადც ოგდუსტ როდენ-ის ქანდაკის მსგავსად, ქალ-ვაჟის კოცნას განუღღვია-განუწმენდია ოდენ. სახად-შეყრილი გერმანიის განმაახლებლად სწორედ გერმანული უბიწო გოგონიკა გრეტუნია (გრეტელ-gretlein) – "ჰენზელ-გრეტელ"-ის სანატრელი ზღაპრის მთავარი პირი ევლინება(იხ. არტმანნ-ის დიალექტურ-სხარტი ლექსი): "გზა-დაბნეული და-ძმა; ტყეს, ყიამეთს, ყინვას შეტოვილნი, / თაფლაკვერით მოქობვილს ქოხს გარდა-ჰ-ს-წყდომიან, - / ქოხის პატრონი ვინაა-ო, - ორივენი იკითხავდენ: / ჰუ ჰუ ბერდელა კუდიანი გამოიჭყეტდა, - / ქოხსაც ორივეს შეიტყუებდა, - / კეთილს მასპინძლად ბაღ-ღებსაცა თავს აწვენებდა /, ნამდვილად კი ღუმელს ჰენზელის შებროწასა განიზრახვიდა/ ხოლო სულ სხუა მო-ჰ-ხდ-ა: / / ვიდრე ესერა მოსათვალიერებლად ბერდელას/ღუმელშიგან თავი შეერგა, / ჩუენმა გრეტუნია მქიმუნჯი უყო, / ღუმელ-ს შეაგლო კუდიანი,- / ახლა ეგ თვითონ დაიბროწოდესცა, / პურად და-ჰ-ს-ცხვებოდესა-ო", - ჰრქუეს ბაღღებმა, შინისკენცა პირი ჰ-ქციეს,-/"ჰენზელ-გრეტელ"-ის ზღაპარიც აგრე და-ჰ-სრულდეს-ო, -ჰ-ბრძანებს ჰანს კარლ არტმანნ. გრეტელ გოტჰესეულს გრეთჰენ-ს შეგახსენებდეს...

ჩიტის პაწაწკინტელა კვერცხ-ს, ბუდეს მდებარს, დაინდობ-დეო, - განქარებულ-მბიჯარს მეომარს შე-ჰ-ვედრის არტმანნ-ისეული ლექსი (მეომარი – იგივე პირწმინდა მამრული

საწყისი), - სიცოცხლე არა-წარეცემოდეს-ო, - მიანიშნებს არტმანს. ოდესღაც ნანახი ესტამპი ზაარბრედუკკენ-ელი მხატვრის "ალ-ერგია": მოხორიალე ავტომობილთა საბურავებს-შორის-მოყო-ლილი დედრი, რომელს ვითარ ხორველა, შავსათვალიანი მა-მრნი, - უ-მზერ-ო-დ-ასრე, მინად-ქმნილ-თვალთა – მიდმო-უძრველ, თავს და-ჰ-ს-დგომიან. ქუჩის ამაგ "სურათ"-ს – ზედან-და-ჰ-ს-დებს მყინავი ღურჯი ფერი. აწინდელს მაშინერი-ას ეპირისპირება ესთეტური გონი; ბორგნეული აუტომატიზმის შესახებ ჯერეც 40-იან წელიწადთა დამდეგს გასული XX სა-უკუნისა გან-ჰ-ს-ჯიდა ერნსტ მუნგერ [იხ. "პირველი პარიზული დღიური"]... გასიფრიფინებული "ფენი" წყლისა (წყლის ლიც-ლიცი), ღამის არის, ზეცა დაკობ ბომე-სი; "ციური მდინარის" (ციური მხატვრობის) ძველ-ჩინური ზღაპარი; "წყალთმხატვარი" – ჰელმუტ ჰაისენბუტტელ-ის ლექსი; ცეცხლი-წყალი – წყალი-ცეცხლი, - ურთიერთნამაცვლებელი ორი საპირისპირო საწყისი, - ეგვიპტეს და ინდოეთს ერთმანეთისგან-დამოუკიდებ-ლად წარმომდგარი სიმბოლო-ნიშანი-შიფფრ-ი; კონკრეტისთა ლირიკა-ს გარდმოტანილი "აბსტრაკტულობა" – "21-ს სანახს" დაჭდობილი; პოეტური აკტი (ქმედება), - განხორციელება იმისა, რასაც აეგ ლიტერატურული მიმდინარეობა იმთავითვე ემიზნებოდა; ძირი ყოვლისა - rhythmus (ბეგრა, მაგიური "შთასმენა" – "ნათელსმენა", - რასაც რუდოლფ შტაინერ, - იგი-იც აუსტრი-ის პირმშოთაგანი, ოდესღაც ვითარცა ნათელხედ-ვის-ნათელხილვის ტოლფარდად მიათითებდა... "დაკარგული" ბერძნული ჰექსამეტერ არტმანს-ის ლექსმა თითქო ერთბაშად კოსმიურ-განწულილ დინებად (უფრო სწორედ გალობად-ლიტანიობად) შემოაქცია (ახლებურ-შემობარუნა); ამ მხრივ კ. კ. არტმანსს თვისსავე "კბილა" ჰაისენბუტტელ ენათესავებო-დეს. თანა-დროული მუსიკის მიერ აკცეპტირებ-ული pause-ყოფნი, შესვენება, - კონკრეტულმა პოეზიამაც ეგზომ გაიზიარა (თუძვალა ლექსი საზოგადოდ, "სულ სხუა მუსიკა"-ს აფუძვნია და, სამუსიკო ხელოვნებასთან პოეზიას არა ესაქმება რა, - აგ-რე იჩნედა ი. რ. ბეჰერ – იხ. „Bemühungen“ – 1-2 – "ღწუანი". ბერლინ-ვაიმარ 1972 – თხზულებათა სრული კრებული მე-13 და მე-14 ტომი). – ანგარიშსწასავდები რჩევა... დაუსრულებელ-

ასრე-ურთიერ-მიღვენილ-სიტყვათა ჯუფთი, მეთოდიკ, რაიც გვიანჟამ პეტერ ჰანდკე-ს პოეზიას, ის კი არა, ჰანდკე-ს სწორუპოვარს პროზასაც აგრერიგად წაადგებოდა...

ჯერეც გეორგ ჰაიმ-ის (1887-1912) და გეორგ თრაკლ-ის (1887-1914) ლექსს ჰ-ს-ცნობიყო გარდაცულილთა ლანდურეთერული შემოხეტება... იგივეს ჰ-ს-ცნევდენ მოგვიანებით ვოლფგანგ ბორჰერთ და პაულ ცელან; ლანდნი თავს დაჰფრფინვენ ჰ.კ. არტმანნ-ის "21-ს სანახს" აგრეთვე. ყოველი ადამიანის პირისახის ნაკეთულობა-მოხაზულობა მშობელი ქვეყნის "ლანდ-შაფტს" იმეორებს-ო, ნათქვამია...

თრაკლ-ისეულ მოტივ-ს მოიხმევს "დემონურობით" შემსჭვალული მომცრო ლექსი არტმანნ-ის, "Grete Müller"... არტმანნ-ის ერთს სხუა ლექსს ასევე თან-ჰ-სდევს თრაკლისეული მოტივ "პურის და ღვინის" ("Brot und Wein")... კონკრეტულ პოეზიას საზოგადოდ ემარჯვება კაცებრივი-"ვრცეული" ცხოვრების ღამისდა-ხელსახლებად-"რეალისტურ"-განსახოვნება... არტმანნ-ის ყალამი ფაქიზად შემო-ჰ-ს-წერს მდინარე ჰაველ-ს, -ელბეს შენაკადს (სწორედ ჰაველ-ს ჩაიღრჩო 25 წლის გეორგ ჰაიმ, პოეტი-წინასწარმეტყველი); ერთბაშად ასსოცირდება "ჰაველ-ის-მხარე" ("Das Havelland"), საზოგადოდ გერმანია – მდინარეთა, ტყეთა ქვეყანა; სიღრმიე-წვდომილი ბუნება, - სივრცობრივადაც შორად-შორს ქვეყნიერების განაკიდე, თითქოსდა ძველ-ჩინური დაო-ს მისადევარს მიეტანებოდეს, - პირველსავე "სანახი"-ს წიად ჩენილი საზრიანი ჩინელი მამრი-მიწათმოქმედი – დასტურია ამისა; დაო არის მოძღვრება, რადც რელიგიურს ჰაზრს ანთროპომორფიზმისგან ჰ-ს-წმენდს, ათავისუფლებს-ო, - ერთს იაპონელს სწავლულს უთქვამს (იხ. ნიკ. ტროფ. ფოდორენკო, იაპონური ჩანაწერები. მოსკოვი, 1968, რუსულ ენაზე)... ქალწულებრივი-უბიწო-უბრყვილო ყვავილთა სუნენელ-ნაზავ, მაუცხოებელი ფეროვანებით გადასარკულ ზეგანთაგან მოქროლას ტიბეტური გაზაფხულისა მოზუზუნე გერმანული ქარისწისქვილნი შეჰ-ხმატკბილებიან ["სანახი 4"]. ტიბეტ-იდან მოწვენილი მშვიდობის მეუწყე ბარათი გერმანელ მიწისმუშათა – გამრჯე მეურნეთა – კარ-მიდამო-ს უცნაურს რასმე ხალისად გარდმოეტანებოდეს (უნებლიეთ შეგა-ჰ-ს-ხენდეს ნიკოლაი რდორიჰ-ის ფერტილო "მაცნე"): ლჰასა-ბერლინ, - ერთბაშად-ასრე-

შეკავშირებულ (-unio mystica, – მაისტერ ეკკჰარტ-ის თქმას თუ მოიშველიებ-); მსოფლიო ომის საშინელება-სიზმარეული ფონი; გერმანულ შენაერთთა სალაშქრო მუსიკა გარდა-ჰჟღერს ვითარცა იმედნეულება; "სულ-სხუა-მომავლისად"; XX საუკუნის ოციან წელიწადთა დამლევეს წამოწეებულმა "მთლიანმა კოლლექტივიზაციამ" ციმბირს-მიმდებარე ტუვა-ყალმუხეთ-ბურიატია იავარ-ჰ-ყო; ინგრეოდა ბუდღჰისტ-ური მონასტრები, სალოცავები, იბილწვოდენ წმიდა ალაგნი, ჩანაგდებოდა იქაური ადამიანი; ზეპირსიტყვაობას შემო-ჰ-რჩენია იმუამინდელ მალხართა-დამაქცევართა მისამართით გზავნილი წყველა-კრულვა თუ შეჩვენება [იხ. ალექსეი ნიკ კონეტოვ, ლამაიზმი (პოპულარული ნაშრომი). გამომცემლობა "ნაუკა" 1973, რუსულ ენაზე]. შემუსრვილ ციმბირულ ლამაისტურ სიწმიდეთა თავს-დაწვენილი ცოდვის კითხვის ნახმევი ლხას-ას უზენაესი მმართველის ყურს, ცხადია, მი-ჰ-ს-წვდებოდა; მახადანა-ს (დიდი ბორბლის კანონ-ის) მიმდევართა უმაგალითო დევნა, ძურტა-თა და კაცთა ურთიერთ-შერთული გმინვა ლეგენდარული იდუმალი ქვეყნის, - კაცობრიული სამშობლოს შამბალა-ს მაფიცარ მამაც ტიბეტელ მამრ რაინდებს, მომავალი მსხნელის – მაიტრეა-ს მსასოებლებს, რუსსთა წინააღმდეგომს რისხვად მო-ხ-ჰ-გრაგნიდა... ტიბეტ გერმანულ ლირიკას ისედაც არ ეუცხოება: განა იქნება, გუზნტერ აიჰ-ის "ფრანკულ-ტიბეტური ალუბლის ბაღი" – ლექსი-მედიტაცია – უდარებელი, ძნელად-სათარგმნი ავე სტრიქონები გავიწყდებოდეს: "მონასტერ-ქალაქს გამოცდენილი /ლოცვა, შოშის ყურს ჩაწვეთილი/ ალუბლიან ფერდობთა მათთა/ ფოთოლთ-დაჩნეულ ძარღუთა მათთა გადამართებულ, //ჯანგის თუ წუიმის ნიშნისთანავე/მთროლოდარსცა ბალახს წარწერილი, /რადც ესოდენ დაშლილ-დაწეწილ აიმ ბურხალა ბუდღჰისტურთა ბაბთათაგან /აღმოიკითხა ტროპიკულმა ხორშაკმა რისხუად-გარდმოქროლილმა, //დრუბელთ-ჩრდილის-მიერცა-ესე ალუბლის ხეთა /ქერქს დატვიფრული,- შრიალი, რომელს /ლოფორთქინა თვისსავე სახლის წიად შთაიტანს, //ქუაბის ფსკერს მადლა-მადლა-ამოტაცილი შხრინვა-შიშინი /მოთუხთუხე ჩაის ტაღლა, /პილიგრიმთა კარვებს თავზემოთ/ვითარ თოვლის ალაში რამე აფრიალებულ. //"- ავე სრული იდუმალება].

"სანახი 5" – არტმან-ისეულ-შემძრველი, ამაფორიაქებული: ნაპოლეონ-ის შემოსევას თავ-დაღწეული კერძის მხარშეული დედაკაცის სახება, - აუსტერლიტც-ის ხატი, ვითარ განსხეულება მშვიდობიანი აუსტრიული მხარის [ხატი, ლევ ტოლსტოის რომ ეკადრებოდა ვინძლო]; ხატი – სრულ-ახლებური, ყოელთა "ჭირთა შიგან" აქაურთა დამფარველი, ყოვლიად-ბუნებრივი, უძალადო, სანდომიანი აუსტრიელი დედრისა; არტმან-ის "21 სანახს" ["Landschaft"] გან-ჰ-ს-ჰოლავს მშვიდობიანობა, ულოდნელი, ფრიად უცნაური – უმაგალითო რიტმად განეღვრება-განეწოდება, ალაგ-ალაგ იტალურს სიესტას – შუადღის სამხრეთულს ხვატს – ზოზინს, მოსვენებას მინამგვანი, მისადაგებული თითქოსდა. ["ღიმი... ჯერეც ზაფხულ-მიდევნილ" – "Ein Lächeln ... Noch vom Sommer her" – რემინისცენც ი. რ. ბეჰერ-ის ლექსისა]. ასსოცირდებოდეს ფრიიდრიჰ აჰლაიტნერ-ის "თეთრის ფერისა თანადი მონტაჟი" (1957 წელიწადისა ივლისი) – ფრიად-საკურველ-ლექსი იგი...

ხევეს-ის მოტაცებული ოიროპა – ეგვიპტურ-ბერძნული მაღალ-რქებ-ასხრიპული ხარის ღონიერს ქედს მინდობილი დიაცი (მედვა-ს, ჰელენე-ს დობილი), ვალენტინ სეროვ-ის ფუნჯის გონისეული მონაწერი... თუმცაღა ყოველი განმარტვა, მეტადრე კონკრეტული პოეზიისა, ფუჭი რომ არის, აკი ვუწყით. არტმან-ის თავიდათავი დამსახურებაა, რომ "მოიძია" მან "სინთეტური ფორმა", რადც აქამომდე "უცნოს", "გამოუთქმელს" შიგთავს-ს ერთთავად გაითანისთანავებდა. [ა. მოლ: "ადიქვა სამყარო, - ეგ ჰ-ნიშნავს – აღირჩიო, ხოლო შთაიცნო სამყარო, -ჰ-ნიშნავდეს – შთა-ჰ-სწუდე წესთ, რომელთამებრ არჩევანი იგი წურთნვა-აღზრდისთანავე წარიმართვის... არჩევნის განხორციელებისას გარდააწყდე სახელდობრ გაგებას ფორმის ("კონცეპციონ"), რადც თავად რასმე განზოგადებად, ნამდვილი (რეალური) სამყაროს სირთულისგან ასრე განკერძოებულ-განცალკეებულად წარედგინება და არჩევანის ამისა წიად მორჭმული ყოველი წარმატებისთანავე ინდივიდუუმ-ი უნდა ხელს-უწყობდეს ფორმად-ქმნის (ფორმა-მოსილობის, სახოვნების) თეორიათა განშლას, განვითარებას. თითოეული ფორმა (მორფუმი) ანუ "სახე" ("ხატი" - Gestalt) აღქმის წიად პირველ-ფუძედ სტრუქტურ-ისა ჰ-ვლინდებოდეს და, -ასეამგვარ-წარდგი-

ნებულ, -გამოჰ-ხატავდეს ზემოქმედებას იმისა, რაღც შესაძლებელია იქმნეს გაგებული (l'intelligible), მიმართულს მისკენ, რაღც შესაძლებელ არს იქმნეს აღქმული, ვთქვათ და". ცხორება არა-მარტო ცალ-კერძო ადამიანის, არამედ საზოგადოდ კაცობრიობის, ვითარცა რიტუს (განმეორებადი მარადღე ესე), ვითარცა კულტურ, თანაბარ და-ჰ-ს-ჭდევს "21-სავე სანახს". ბოლომდე-მიტანება-სიცხადე ჰაზრისა, რასაც რუსსი ეგვიპტოლოგი აკად. ბ. ა. ტურაევ ეგვიპტელთა თეთრი რასს-ის ერთერთ ძირეულ ნიშანდობლიობად იჩნევდა, თითქო მო-ჰ-მადლებოდეს არტმანნ-ის ლექსს.

მსწრაფლ-ბრუნვილ ურაცხელთ სამყაროთა კონტროვერზედ დაეჩინება დანელებული რიტმუს, - შეცნობის, გათავისების საწინდარი, რაღც სამოთხე-ს, კაცებრივს ყუდრობას, ღვთიურობას, ჭეშმარიტს ევოლუცია-ს (განვითარებას) განასახებს-ო, ჯერეც მეორე მსოფლიო ომის ჟამს ამას ჰ-ბრძანებდა ერნსტ ჟუნგერ. "წარსულ-მომავალი აიმ რასმე განუფენლისა წიად ურთიერთ-გარდიკვეთება... უნდა იპოვებოდეს წერტილი, რომლიდან მოხილულ ესენი ანარეკლის ბარობაზე ერთიერთმანეთს ემსგავსნიან. აქმაგ წერტილს ზნეობითისა წიად ცოდვა-ბრალეულება, ლოგიურისა წიად კიდევ – მიზეზობრიობის რვალისებრი კანონი მი-ჰ-მართებია. მუხათა-მრაცხელ ადამიანს უთაანსმობის (კონფლიქტ-ის) წიად ერთიანობა, სამყაროდ-ს შინაგანი იგივეობა (იდენტობა) ეგუმანება: წიად ლექსისა ეგე გააცხადოს, - გახლავს მუხათ-მსახურება ამ ადამიანის... ვითარ იტყოდა ნიიტცშე: "მოგვეც ფრთენი, ჰაზრნი ესერა ყოვლად-სანდონი, რათა გარდაველოთ (გარდავიდეთ) და კულავ-შემოვიქცეთ" (მარადი შემოქცევა-დაბრუნება). "ოდეს სამყარო ვითარცა ქმედება, ხის მსგავსადცა თვისით ათას-გზის განეტოტების, იგივე ვითარცა მოგონება (Erinnerung) რასმე ხლართს-შიგან წარგიძლებოდეს" – (ჰეგელ. გონის ფენომენოლოგია). "გონის აღრჩეულნი, - პირისპირობათა სრულ-ბუნებრივ-თავისუფლად თვის-შივ გარდამწყუეტელ-მომრიგებელნი; კეთილ-ბოროტიც ურთიერთგათიშულ როდი ჰ-გიებს, - ერთიც და მეორეც პირველ-ჯერად ადამიანში ცალკევდება"-ო, დაასკვნის ერნსტ ჟუნგერ.

"სანახი 21" ("Landschaft"): "...მეცადინებსცა... უგალობოს თუისსა lory-ს ერთბამ ლაურა ჰანგი იგი" – "versucht seiner lorry

ein laura zu singen" – [ლორი – ენაჯაგარა თუთიყუშთა ჯიში – ლორიიდაე, – ლორი-ს მოიხსენიებს დიდი მღუნჭუნელი კომიკოსი (ხუმარა) კარლ ვალენტინ (1882-1948) – იხ. მისი ზეპირმოთხრობანი, ჰორსტ დრეშერ-ის გამოცემული – "Lach-Musäum" ("სიცილის გამონაკრები". გამომცემლობა ფილიპპ რეკლამ უმცრ. ლაიპციგ 1978]. ლაურა-პოპ-სიმღერები გოგონახევისაც ჰსურს იქმნეს ჯანსაღი, - შობილი, მოწოდებული ცხოვრებისად, სიყვარულისად, თავის ცნობისად-დამკვიდრებისად [ინტერნეტ-ს ამოკრებილი მონაცემი]. "სულისეული თუთიყუში" – ასეთია მეტაფორა, ჰაფიზ ხორეზმელ-ის მოხმობილი [ჰაფიზ ხორეზმელი – უზბეკი მეოსანი (XIV-XV სს.) – იხ. მისი რჩეული ლექსები 1981-ს წელიწადს ტაშკენტ-ს გამოცემული]. – არსებობს "თუთიყუშის ზღაპართა" ჰინდური თუ თურქმანული ნუსხები. თუთიყუში საზოგადოდ მიათითებდა სულის წურთნვას (შეგონებას, ჭკუის დარიგებას; ცხოვრებისაკენ შემობრუნებას; ამავე დროს იგი გახლდა სიმბოლო-ნიშანი სამოთხისა, გარდაქმნისა, გარდასახვისა. კონტროვერზე (პირისპირობა), სამყაროულ მოუცდომელს ბრუნვა-ტრიალს რომ აღუდგებოდა. ახლივ-შემოქცეული დიმი ცალ-კერძ ჯოკონდასი, ცალ-კერძ მაიტრედა-სი, თაობაზე რომლის "ზემორე გვითქვამს"; ჩვენშივე მყუდარი იმედნეულების საღმრთო ნიშანი, ჩვენად კუთნვილი პიეროგლიფ, ამოსაცნობად რომლისა იღწოდენ, "მოწაფენი საის-ს" [იხ. რომანი ნოვალისის]: ისიდას წმიდა-ქალურს ნათელს მიახლებია არტმან-ის ლექსი (ზედმიწვევით აღწერილი "მძიმედ-დაზიდული ფარდაც" თითქოსდა შეგახსენებდეს "ისიდას საბურველს"). შეუღლება ორი საწყისის (დედრულ-მამრულის), - სრულ-მიწვირ-მიწვენილი ანდროგინული სინთეზისი, ჭეშმარიტად მოპოვებული...

"ღმრთის-ხელთ-პყრობილი "კაცი-განავალი", - ვითარ აღ-დგინებული ადამიანური რაობა – უუძველეს საკულტო მსო-ფლხედვას გარდმოტარებული იდეა, რადც ჰომიროს-ის ორივე ეპოსმა სხვადასხვაგვარ "აირქვა", რადც "ნიბელუნგთა სიმღერამ" და-ჰ-ბეჭდა, რასაც რუსთველის თხზული პოემა დაიტევინდა, რომელს "მარად-ქალური-ს" ბოლო ტვიფარი ი.ვ. ფონ გოდტჰემ და-ჰ-ს-დო. ე. მუნგერ გარდამო-ჰ-ს-ცემს პიკასოს-ს სიტყვებს, რადც პირადად მოუსმენია პარიზს შესხედრისას:

"ჩემს ფერტი-ლოებს ვინმელო იგივე ზეგავლენა (ზემოქმედება) ჰქონიყო, ესენი მომთავრებისთანავე სულაც რომ არ გამომეფინა, ისე შემეფუთა და დამელუქა. ამასთან რასმე უშუალო მანიფესტა-ციის თაობაზეა საუბარი" – [იხ. ე. ძუნგერ-ის "პირველი პარი-ზული დღიური"].

კონკრეტული პოეზია ჰ. კ. არტმანნ-ის (ასევე ჰაისსენბოუტ-ტელ-ისა) თითქო დემატერიალიზაცია-ს ემიზნებოდეს. (ეგეც სათქმელი არის, რომ მო-ჰ-ს-დგამს საზოგადოდ აუსტრიულ სიტყვაკაზმულობას უკიდურესი გაფაქიზება, მატერიის ზღვარს მიტანება, სხეულებრივთა ზღუართა გარდასლვა კიდევ). ამას-თანავე სწორედ სხეულ-მყოფლობის მძაფრი შეგრძნება, "თავის მოჩხრეკა", ზმანებისგან (ცხოვრებისეული სიზმრისგან) გამორკვევა, "სინამდვილისად დაბრუნება", "ნამდვილის და იდეალურის" შეთანაბრება (თანხმეობა), ესთეტურ-პოეტოკურ ფასეულობა-თა თავდაყირა დაღება, - ნაღდი არტისტულობა-აგანგარდის-ტობა გახლავს, რადც არტმანნ-ს ყოველთა პოეტთა შორის გა-ნათვითოებს, გამოარჩევს – ლირიული პირი: ყმაწვილკაცი მწვემსი, თუ რკინიგზელი მამრი "დაურიდებლად" – ასრე ას-ოს დაიფხანდეს – "ხორცს იჩმეტდეს" (ქართული ანდაზა რომ იტყოდა: "ბწკენა-ბწკენითაო პატარძალი დორსულდაო", - ისეა. თედო სახოკია. ქართული ანდაზები. "განათლება" თბილისი 1967); სრულ-ახალს-ლირიულს განწყობას, ვითარცა რასმე "უცნო" მისტერიუმ-ს გაგანდობდეს არტმანნ-ისეული აგე "მეთო-დიკა". ალბათ ჰ-ს-ჭირდებოდა არტმანნს "მეწვევიყო" სანახთა მისთა წიად დაუფეთებლად-ასრე მგოსნები (სკალდები), გმირუ-ბი: ფლოსსი, დეფიდდ (dafidd), ევალდ ფონ კლაისტ, ფარნმორ, დორნ, არნორრ, დარლ ო ნილლ, რათა "საჩინოექმნა" მარადიუ-ლობა ყოფისა; - ძველთა თუ ახალთა ტრუბადურთა შეყრა-შეკრება – "ურთიერთ-ცნობა" – დასტურად იმისა, რომ ერთი არის პოეზია; წინა-გზნება ერთიან-პლანეტური მარადიული პოეზიის – ხელახლივ შემოიქცეოდეს ფრადა-სილამაზის და სიყვარულის ღმერთა ("ტანწპოიზერ" ვაგნერ-ისა, ვენერას გო-რაკი, ბორცვი): არათუ თეორიისეული (ფილოსოფური), არამედ "ლირიული თხრობის" – თანა-მდევი-უტყუარი ("ნამდვილი") განგრძობადობა (კონტინუიტეტ) – "მგოსნური თვით-დადგინე-

ბა": ბგერა, სიტყუა, თქმა, - ნაწევარნი, - ამათგან არცერთი დაუმუხტვეელი, - არტმანნ-ისავე თქმული რომ მოიშველიო, - სწორედ მასრებივით ჩაწყობილი, თითო-თითოდ რომ დაექლდევაბა, დაეჩინება. [ნიკო ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი: ფორმა-მორფი სახედ და მორფოანი სახოვნად გამოაჩინაო კავშირმა, - იგულისხმება ი. პეტრიწი-ს წიგნი – თარგმანება; სიტყვის სახე-განმსაზღვრელი ნაწევარი – das Morphem – ფონოლოგ-გაცნობებს გერმანული დუდენ; საბა: სახე, ყალიბი, დარი; აგე, რასაც სიტყუა – დანაწევრების თუ კულაგ-შეკრების ოსტატი გერჰარდ რეუმ ("ვენის ჯგუფი") ამოსავლად იხნევდა].

ხელოვნების უპირველესობას ჰ-ქადაგებდა ფრიდრიჰ ნიიტცშე, ფილოსოფიასაც ისევ და ისევ ხელოვნებად მიიხნევდა იგი. ნიიტცშე-სეული აგე საზრისი გულისხმა-ჰ-ყო მარტინ ჰაიდეგგერ-მა სწორედ, - "ახალ-მოაზრემ" უცნაურმა. [-პოეზიის, ხელოვნების ახლებური, "სულ სხუა მითოს"-ი მოიწვენებოდა, - "ძუელ სამზღუართა" გარდამღწეველი. მითოსურობა "თავს და-ჰ-ბრუნვიდა" ჰ.კ. არტმანნ-ის "კბილა" ჰ. ჰაისსენბეუტტელ-ის განთქმულ "ტექსტთა წიგნებს" აგრეთვე. თუმცადა იგივე გერჰარდ რეუმ - "ვენის ჯგუფი"-ს გამომცემელი და-ჰ-ს-ძენს: "ძირეული ჩვენი გამიზნულება ყოულის მითოსისგან განცლა-განთავისუფლება არის და იქნება"-ო, - ეგ მაინც მოდერნისტთა ნიშანდობლივ ერთადგვარს თავმომწონეობას უფრო მიეწერებოდეს იქნება]... ასე მაგალითად მამლაყინწა – აგე გალღურ-კელტური ნიშანი(სიმბოლო) ჩრდილო-ევროპულ წისკვილს შე-ჰ-ხიზნებია, შე-ხ-ჰ-ყუყუია, გა-ჰ-შინაურებია ["სანახი 21"]

"...ან არა ჰაერს ციმბირის ტვერთა წმიდივ მარხულს უყ ნიადაგსცა" – "oder die luft der forste siberiens reine unbeackerte erde" ["სანახი 1"], – სისხარტე, წვდომა, პლანეტური სიფართოვე, განწოდილობა სტრიქონისა, ერთობლივ ასრე მოტვენილი, - მართლივ "შეგბოჭავს" (-გალაკტიონის თქმას მოვიშველიებ – ("იგი შე-ჰ-ბოჭა მწუხრისა კამარამ" – "მშვიდობის წიგნი"), - დაგიმონაგებს...

ერნსტ ფუნგერ-ის 1942 წ. 15 ოქტომბრის ჩანაწერი, წინასწარმეტყველს ექსიაჰ-ს რომ და-ჰ-ს-ტრიალებს: "მისი ძირეული იერი – ეს არს შემუხსრვა (დაცალეწვა) ისტორიული სამყაროსი,

ძუელთა ქალაქთა, ნიადაგთა თუ ზვარეთა და ზარზეიმი რასმე საწყისებრივის. ყოულის ამისა შიგან ჰ-ს-ძევს დასვენება და ღმრთეებრივის გონის წიაღ ახალი და დაუმსობელი – ურღვევი აღმშენებლობისა მისარგოდ შემზადებაჲ. იმაღვე, რადაც შინაგანს მხერას ადამიანები თუ სამეფონი ჟამითიჟამ მუნ აელანდებიან, ნამდვილად იქმნან იქნება ესენი ოდესმე.

შეიძლებოდა, ვთქვათ და, განგეჟურიტა აეგს ხატოვანი სამყარო ვითარცა სამმინდვრიანი მეურნეობა (სამმაგი ყანა): ნაშენი ნიადაგი, ნასვენი მიწა, გონისეული ნაყოფი. ტრიპტიქონის შუაგულ-მდებარს ნაკვეთს, - აემაგ დროებას უდაბურებისა, - ჰმოსავს თავისებური სილამაზე, აღფურჩვნილ უდაბნოთა თუ საშოდ-მღებელ ვერანა ალაგთა მეცანის მოხატული. საზომელი თოკი ნაკვეთისა ამისად უფალს მიუძარჯვნია" (Die Meßschnur).

"სანახი 13": "სადაღას ვარ ვინ ვარ... კეთილ ხელთაცა ვ-ჰ-პერივარ / ობოლ ლოგინბალიშიანი ვარ ანდა ასრე სანაგუესცა ვ-ჰ-გიებ ობოლ/"... "wo bin ich wer bin ich ... bin ich in guten / händen bin ich die waise im bett oder die waise im dreck /"... – თითქო ერთბაშად ხელუკუღმა-გაწნილს ან არა ჰაერ-განმსხევი გულბოყვ-ამომბრუნებელი შოლტის შხუილს მიგწვენიდეს მთელი ეგ ლექსი, - რასმე მაგიურს (ჯადოსნურს) და ამაგ დროს თერაპიულს ზემოქმედებას...

"სანახი 6" – არქეოლოგთა ბანაკის წვლილობითი აღწერაჲ, ფრიად შთამბეჭდავი... ჭაბუკი ზიგმუნდ ფროიდ არქეოლოგობას ეპირებოდაო, - იუწყებიან მკვლევარნი, - ეგ ნიშანდობლივია, - ფროიდ-ის მოძღვრება არქეოლოგიას- აგრერიგად ეახლოება, - და-ჰ-ს-ძენენ ისინი [იხ. ბერნდ ურბან-ის და იოჰანნეს კრემერიუს-ის ნაშრომი. შეშლილობა და სიზმარნი ვ(იღჰველმ) ენსენ-ის "გრადივა"-ში. Fischer Taschenbuch Verlag 1973] – არტმან-ის "21 სანახს" ერთიან გა-ჰ-ს-ღვეს ფსიქოანალიზის ანაშუქარი; დიდი მეცნიერის გვარი ჩაერთვის ერთერთი ლექსის სტრიქონს, - მომხიბლველად, შარავანდოვნად. ჰ. კ. არტმან – უუძველეს პოეტურ თემათა "ახლივ-ამრქმეველად" – განმგრძობად-გარდამსახველად წარმოგვიდგება: "სანახი 14" – თითქოსდა რანერ მარია რილკე-ს სონეტისა "ლექა" კვალდაკვალ ზეგრძნობადი – ირრეალური "ქვეყნის" "ცნაურებას"

აესწრაფებოდეს: "წყლის აღქაჯსცა მუნ დაჰ-ლანდავდეთ ჰ-ხმიანებსცა (ბუკი ლოკოკინისებრი მისი შროშანისებრ-თეთრ-ქარსა-შინა-მოეტანება ეგვ/გელი ვალერიი დორნ... წარ-ს-წაფავ-დესცა ფრენას თუისსა/" - "...sehst hier die nixe stimmt / ihr schneckenhorn im lilienweißen wind kommt an / der schwan valerii örn zieht seinen flug ... / ab..." [გელი და ადამიანი თითქო ერთქმნილა]. გედის, ე. ი. კაცებრივი არსობის უუძველესი, იჭვ-მიუტანელი-უტყუარი ნიშნის თაობაზე ჰ-ს-წერდა ჰუგო ფონ ჰოფმანნსთალ: "...გედები, გარნა, რაღა თქმა უნდა, პოეზიის თუალთა ხილვებულ, პოეზიისა, რადც თუისთა სასწაულთა თანად ყოველ-ჯერობას პირველ-ჯერადცა გარემო-ჰ-ს-ცევედეს თითოეულს საგანს: აქავე საგანს ამას-გედს-მეფურ აღფრენათა მისთა აღმატება-დიდებუ-ლებითვე ესე, მოსხივარის თეთრის სხეულის მისისა უწმარის მარტოობითვე მრუმე წყალზედან სევდაადვსილ, ძულვაადვსილ ესერა მბრუნველ; სიკუდილის უამის სასწაულებრივი იგავითა მისით..." [გედისეული ბოლო სიმღერის არ-არსებულობას მეც-ნიერნი დაბეჯითებით ამტკიცებენ; ოღონდ იფიწყებენ, რომ გახლავს აეგ სიმღერა მედიუმ-ურ-გარდმოტარებულ, ხმიანება მხოლოდდამხოლოდ, სრულ-აწმყო-ური, სრულ-შეუვალი]... — "თუალთა მათთა [პოეზიისათა] მიერ ხილვებულ, ცხოველნი ჰ-გიებენ მართლივს ჰიეროგლიფ-ებად, ჰ-გიებენ იდუმალსავსე შიფურთა წყებად, რომლით ღმერთს გამოუთქმელნი საგანნი სამყაროს წიად შთაუწერია. ბედნიერია მგოსანი, თუისსა ნაწერ-სა შიგან ღმრთეებრივთა შიფურთა ამათთა შექსოვა-შექსელვა რომ მიენებება მას", - დაასკუნის ჰოფმანნსთალ [H. von Hofmannsthal. Das Gespräch über Gedichte].

"სანახი 12" მოიხსენიებს უილლიამ-ს, იდუმალება-მოცულ პიროვნებას. – ლირიული თხრობისას იგი, ვითარცა აღტერ ეგო პოეტისა დაეჩინება, ნიშნობრივადაც განმეორებულ: ნდუ დორკის მიმდებარე ციხის (sing-sing; ოსსინინგ) ტუსალი უილ-ლიამ [ინგლისური ფორმა გერმანული სახელისა ვილჰელმ – შემოკლ. ვილლი: უმაღლე განიშლების ასსოციატური ბადე: გერმანელ "მეფეთა წყება" (გალაკტიონ-ის თქმას თუ მოიშვე-ლიებ), ასევე: შექსპირ უილლიამ (აკი შემორჩენილა გარდმო-ცემა შექსპირ-ის პატიმრობისა თაობაზე), ბლექ უილლიამ, თეკერედ უილლიამ, ამერიკელი პოეტი უილლიამ კარლოს

უილლიამს, დიდი ირლანდელი მგოსანი ეგტს უილლიამ, ფოლკნერ უილლიამ; ლაიბნიც ვილჰელმ (1646-1716), ჰაუფ ვილჰელმ (1802-1827)... უილლიამ-ის სურათ-ხატს თითქოსდა ეხმიანებოდა (შეავსებდა) სტრიქონი: "...ბიჯება ჩემი ასრე ლალი და სწორ-ადმსწრაფველი" – ჰომო ერეკტუს ("ამართულ-მბიჯარი") ძეხორციელი და შემდეგი: "...როდი ვიკითხავ წაწოდ-ვილცა ესევე ვიღებ" "ich frage nicht ich nehme" [სანახი 18']; შეგახსენდება ერნსტ ეუნგერ-ის ჩანაწერი: "საზრუნავთა ზედან მოექცეოდე არად-ჩამგდებ ესერა" [23 მაისი 1942. I პარიზული დღიური]; შემართება-სიმტკიცე ადამიანის, "სიცოცხლის ატომთა" (გალაკტიონ-ის თქმა) მოუცდომელი ღტოლვა (დიდი დემოკრიტეს განმგრძობელ-დამგვირგვინებელი ტიტუს ლუკრეციუს კაროს – ეპოპეა "ყოვლიადი-სამყაროს არსისა შესახებ".

"სანახი 14" მოიხსენიებს ფარნმორს-ს, - სახელს ეგოდენ მუდერს, - სტრიქონთა-შორის-ხიბლიან-ასრე რომ მიდმოიძრვის. – ცნობილი ფირმის დამფუძნებელი "კაი ყმა" – ირლანდურის წარმომავლობისა. ირლანდიელები მოქნილი ჭკუაგონებისა წყალობით ევროპა-ამერიკას გაჰ-ს-წვედებოდენ, "სახელსაცა იხვეჭდენ", - აკი ცნობილია. – ამას ინტერნეტ დაგვიდასტურებს; გარნა, მეორეს მხრივ, არტმან-ისეული ეუფონია-ც გვახსოვდეს, - შესაძლებელია აეგ სულაც იყოს თავისებური "გარდათქმა" სახელისა ფენიმორ: თუნდ ფენიმორ კუპერ (1782-1851) – ისტორიული რომან-ის ფუძემდებელი, რომელმან რომანტიზმ-ს ახალი რეალისტური სახოვანება მიჰკერძაო, - მკვლევარნი აგრე იხვევენ; იმასაც იტყვიან, - მ. ლერმონტოვ კუპერს უალტერ სკოტ-ზე მადლა აყენებდაო; იშვიათი პოლემისტი, პიროვნულ-გამორჩეული ფენიმორ კუპერ.

სუბუქს, აგრერიგ ტფილს ხუმრობას (Humor) შიგადაშიგ რიტმულ-ულოდნელად შემოგაგებებდას არტმან-ის ლექსი. "სხვაობრივი" – სრულ-ახალი ახმიანება ლექსის. "ენის შინაცვალების და თავისუფალი სინტაქსის-ის პრინციპი, რაიც, ვთქვათ, ენის-კუთვნეულ ილლუზი-ურ სივრცედ შეიძლებოდა განაზრებულიყო, იქმნეს ანტიგრამმატიკულ ფანტასტიკად (ანტიგრამმატიკულ გარდასხვაფერებად) ამიერ" – ჰელმუტ ჰაის-სენბუტტელ-ეს ნათქვამი აგრერიგად ესადაგება არტმან-ის მონაგარს აგრეთვე. 1921-1922 წელიწადთა მიჯნაზე "მომთავრდე

ბოდა" მაგიური ბოლო გვერდები რომანისა "ულისსე", რადც უკვე ჩანასახობრივ "შთაიცივედა", - შეიძლება ჰ-ს-თქვა, - კონკრეტულ პოეზიას [იხ. ჰანს ვოლფშლევეგერის თარგმანი]: პოეზია პროზის და პირუკუ: პროზა პოეზიის, ანუ ჰიბრიდ-ერთობ შთამბეჭდავი, ერთობ ნაყოფიერიც. - შვაიც-ს (ჰელვეციას) ყოფნისას ჯოის დაახლოებია ტრისტან ტვარა-ს. ჯოის პირადად იცნობდა ქ-ნ გერტრუდე სტაინ-ს - სტაინ-ის ტექსტური სეფურება (ვარჯიში), ცხადია, არ ეუცხოებოდა ჯოის-ს... მე-20 საუკუნის შემორჩენილი ფოტო: თვალის სერი: პარიზის ქუჩად მოსვირნენი - ჯემს ჯოის და გერტრუდე სტაინ... ირლანდ-ური "ელვარი"... სამიუელ ბეკეტი-ის ქმნილებათა მოტევილი პირქარი... პეტერ ჰანდკე-ს ბოლოჟამინდელი "სქელლანი" რომანი, - მოგზაურობა (შინაგანი გონისეული ხეტება) "არავისსა ქუეყანა"-ს ("Niemandland")... უწყვეტი შემოქმედითი რიგი... ვაჩესლავ ივანოვი-ის ერთი წერილი (1922) მოიხმევს დოსტოვესკისეულს ცნებას "სრულიადი ადამიანი", - აქედან "გამოიყვანებოდა" მერმინდელი კაცობრიული რწმენა მონანთროპ-იზმუს (ივანოვისეული სიტყვათხმარება)... იგივე ივანოვ პიკასსო-ს ფერტილოს ("ვიოლინო") აღ-ჰ-ს-წერს; მხატვარი იძულებულ-ქმნილა მატერია და-ჰ-შალოს, - ახლივ-შესაკინძად მატერიისა; ეგრედვე ქალს და-ჰ-ს-ჩეხს (დაანაწევრებს)-ო იგი, - და-ჰ-ს-ძენს რუსსი პოეტი-ფილოსოფოსი, სულის მკვლევარი. გახსენდება ჰ. კ. არტმან-ის ლექსი "დედრის ამჩეხველი მამრი", - ე. პო-ს და უაღდ-ის ერთდაგვარი სიმბიოზე, რადც ფრიადს "მხილებად". მამრისა (მართლივს რდონტნგენ-ულს განჭოლვად - ხილვად), ხოლო ამასთანავე ღმრთის შემონაქმედის ურღვევლობისა აღიარებად წარვლინდებოდეს.

ინგლისელი ტოლკიენ ("ჰობბიტ"-ის მოხზველი; - იგიც, სხვათა შორის, გერმანული წარმომავლობისა), - ახლებური ეპოსი-ს დამფუძნებელი, - ანგლო-საკსონურ-კელტურ-ისლანდურ-ნორვეგულ-ფინურ ეპოსთა ნიშნეული სამყაროული ხედვის ერთს ფართო განმჭვირვალს ლაჟვარდად შთარწმენას შთაიფიქრებდაო, - მკვლევარნი აცხადებენ. ჰ. კ. არტმან-ის "21 სანახი" ფორმად-ქმნადობის მართალი ნიშუშია. ცურიძელმა სალომონ გესსნერ-მა (1730-1788) თავის დროს გერმანულს არა-მარტო დაამყნა ანტიურ იდილლიათა ხატოვანება, არამედ

მიაკვლია ახალი ფორმა – წმიდივე-გერმანული "პროზა-ლექსი" ("Das Prosagedicht") "დააკანონა" იგი; განმგრძობლებად გეხსნერი-იანული "გარდმონაცემი"-ს (ტრადიციონ) დიდნი უცხოელნი: ბოლდერ, ტურგენევი, რემბო, უალდ, ლოტრეამონ, გაბრიელა მისტრალ, რენე შარ, ნეზვალ, ასევე გერმანულენოვანნი: ნოვალის ("ჰიმნი ღამისანი"), თრაკლ, ბრეჰტ, ჰ. კ. არტმანნი მიინევიან-ო, - მკვლევარნი და-ჰ-ს-ძენენ. [სოლომონ გეხსნერი. ამური-სადმი. იდილელიები. გამომცემელი, ბოლოსიტყვაობის ავტორი ულრიჰ ბერკეს (Berkes). გამომცემლობა ფილიპპ რეკლამ უმცრ. ლაიპციგ 1988]. – ეგ ფრიადცა საგულისხმიერო ჰამბავია.

"ჩემის შეტყობით, ამაღლესად გერმანული ენობრივი სივრცის წიად გარდაქცევა-გარდასხვაფერების ოსტატი მსგავსი ზომისა თუ ამის დარი სანთიანობა-სა-ზრიანობისა, ვითარ ჰ. კ. არტმანნი, არ გვეპოვებოდეს"-ო, -ჰ-ბრძანებდა კარლ კროლო.

"21 სანახთა" უპირველესი ნიშანდობლიობაა აის სრულ-ახლებური, "სხუაგუარი" ათვლა-ანგარიში დროისა, შინაგანს გრძნობას უშუალოდ რომ აფუძენია. მკვლევარი მიხეილ ივანეს ძე კამენსკი ჰ-ს-წერს [საგათა სამყარო. გამომცემლობა "ნაუ-კა" ლენინგრადი, 1971]: "ისლანდელთა შესახებ მთხრობელ საგათა" ფსიქოლოგიის წიად წარსულისადმი მტკიცე შეკავშირებას უწინარეს განაპირობებდა ის, რომ "ცნაურდებოდა" აწმყოს-გან წარსულის განმაცადკევებელი იგი სიშორე ვითარცა თაობათა კონკრეტული ჯაჭვი და არათუ წარდენადი აბსტრა-კტული დრო... სწორედ მერმინდელის მართლებრივის შურის-გებისა რწმენა ძალადობრივ-აღსრულებულს თუ ომში დაცემულს ყოველს ადამიანს "სიკვდილს შეარიგებდა". ასე ამრიგად წარმო-ჰ-ს-დგებოდა მტკიცე კავშირი არა-მარტო წარსულის, არამედ მომავლის მიმართ ასევე, ერთდაგვარი არა – დროებითობა, არამაღწერახდომადობა, არა-საწუთობა ცნობიერებისა; ჩვეულს ცხოვრებას თანადა-ჰ-ს-ტანებოდა ბედისწერის რწმენა, - ავე რწმენა ქრისტიანულს მოძღვრებას ცხადლივ ეპირის-პირება... დრო სიკვდილისთანავე როდი მთავრდება (როდი მოილევა), სიმკვიდრეს უფლობს დრო"... მკვლევარმა თვისივე გამონაგონი ჰამბავი რვასაუკუნოვანი განშორების შემდგომ მშობელს ისლანდ-ს "შემოქცეული" მამაცი ტორლეივისა, ვითარცა ცალკე თავი იმაგინირებული შინაგანი მოგზაურობის,

წიგნს დაურთო, აუთენტური საგის უფლებითვე: "ძალ-უცს თუ არა დროს მკვიდრად-მყოფობა და რაღ არს სიკუდილ?" – "პირობითობისგან" დახსნილი, ფათერაკიანი ჭაბუკი, აწინდელს "ტექნიკურს პროგრესს" სრულ-გარიღებული ტორლეივ. "აქ (ძველს სკანდინავიაში) ნამდვილად არაა საუბარი აიმი უპირობო (უცილობლის) ჰაზრით, რაღც, ვთქვათ და, აწმყო-წარსულის გაგებისას, ჩვენ, ყომრალს ღრუბელ-შიგან ნიადაგ-პირისახე-დაფლულ-დამარხულთ, - წინ მიმმოძრველთ, ჩვეულებისამებრ მოგვიმარჯვინია, ჩვენ, რომელნიც ქეხითი რასმე სიცივესცა ჰ-ვზმნობდეთ იქნება. [აქ] დრო ადამიანთა გარეირგულივ ოთხს-მხარეს სრულ-უწყვეტელ განეფინებოდა" – (ვილჰელმ გრონ-ბეკ-ის), - აქმაგ ეპიგრაფით ყველაფერი თქმულა...

მარადისობას შეთანაბრებული დრო, რასაც ძველჰინდური აშვათჰა, შეუმუსრველი (წარუვალად შერაცხილი) ხე – "ფეს-ვებით ზე და ტოტებით შექცეული" – განასახებს. [ბჰაგავატ-გიტა. თარგმანი თამაზ ჩხენკელი-ს. თბილისი "ნაკადული" 1963].

ამასვე გულისხმა-ჰყოფდა ნიკოლაი ფოლოროვ-რუსის სწავლული ბიბლიოთეკარი-ი (ბიბლიოთეკა-ის "მცველი"), - ფოლოროვ-ისეული იდეა "საერთო საქმისა" – ერთიანი კაცობრიული აღდგომის იდეა, იდეა ერთიანი კაცებრივი მესხიერების (იდეა შენახვა-პატრონობისა, იდეა გა-დარჩენ-ისა); შესაძლოა, სრულ-ახლებურ ეხმიანებოდეს "ღმრთეებრივი სოფის" კონცეპციას ოგდუსტ კონტ-ისა, კონცეპციას, რაღც ესოდენ ბრწყინვალედ აღმოიკითხა ვლადიმირ სოლოვოვ-მა, რუსული სიმბოლიზმ-ის ნამდვილმა მესაძირკველემ. (-კონტ-ის კონცეპცია გახლდა იდეა ერთიანი კაცობრიობის, - მარადიული ცხოველ-მყოფლობის, ანუ ღმრთეებრივის არსებობისა წინა-გზნება).

1967-ს წელიწადს სტოკჰოლმ-ს წარმდგარი ჰ. კ. არტმანნ "21 სანახი"-ს თაობაზე მსმენელთ განუცხადებდა: "1961-ს წელიწადს მოვ-ჰხელთე კარლ ფონ ლინნე-ს წიგნი "Iter Lapponicum" ["ლაპლანდ-ის აღწერილობა"]. ბუნებისმეტყველების იმჟამინდელმა სტუდენტმა ლინნე-მ ირგუნა სტიპენდიუმ, რაღც მას ლაპლანდ-ს გამგზავრებას (იქაური ბუნების თუ ხალხის გაცნობა-შესწავლას) შეაძლებინებდა..." [თვინიერ მრავალ-ტვეადი მეცნიერული შეტყობინებისა ლინნე აიმი ფრიადს

შეჭირვებულს ვითარებაში უამითიუჟამ შესვენებისას თვისთა დაკვირვებათა გვერდიგვერდ ნაკვეთ-ნაკვეთ ამოტაცვილი პირადი შთაბეჭდილების დღიურს ჰ-ს-წერდა იმავდროულად. არტმან-მა მოგვიანებით ჰ-ს-თარგმნა მოგონებათა იგი წიგნი... დღიურს ჩაწნვილი მრავალი ცალ-კერძო ნაქვსი, - მსხივარი ფაქტობრიობა: "გზის მოელს გასადევარს ჩვენს მისარგოდ იგალობდა ტოროლა, ჰაერთ-ჰფრფინვიდა-ჰთრთოლვიდა იგი" – "Die Lerche sang den ganzen Weg für uns, sie zitterte in der Luft..." [არტმან-ისეული ლექსის ("სანახი I") სტრიქონს თითქო ჰკითხულობდე]. "ის იყო, ლოგინს წავწექი, რომ აიღანდა კედელს-მომდგარი ჩალი ნათელი, - ჯერ-კი დავშინდებოდი, - ხანძარი თუა-მეთქი, - გარნა იმავე წამს სარკმლის განმჭოლთვალი ვჰ-ხ-კიდე, ვითარ აღმო-ჰ-ხდებოდა მზე, რომლის დაჩენას საიმხანოდ აღარცა აგრერივ დავდარაჯებიყავი. მამლაყინწაც ყივილს მოიწყებდა, სირნი – გალობასა. ოღონდ მობრძანებად როდი ენებებოდა ზაფხულს"... ლინნე-ს თვისითცა შეუკრვია სიტყუათ-ნუსხანი, მეორადი ბგერათა-კრებსი და ყოველივედ ესე და-ჰ-ს-ტვეს რასმე სფურტეალურისა და იმავდროულად ნებელობის თუ თვითდამკვიდრების აიმ მეყვსეულ წარმოვლინებას, რადც ცალ-კერძო სურათ-ხატს თუ განთვითოებულს სიტყუას ფრიად მომცველის გამოცდილებისა წიად ვინძლო შთაიტანდეს. აკი გვეუწყება ცნება ავტომატურის წერისა. იგი აქ არ გამოდგება. მაგრამ წინააღმდეგომ ვითარებათა მათთა დამყოლ გამოძალულმა კალმოსნობამ, შთაბეჭდილებათა – მსწრაფლ-ჩაჭიდებამ მსგავსივე შედეგი ვინძლო დასტურ აითანოს. ჰგიან ესერა სიტყუათ-მიდამოდ ხელდახელ მირქმულნი წინა-ნაწარმნი თუ მოვლენათა განჯაჭვულობანი, ნამკეკნი იგი გამოცდილებისანი, - განმიჯნულ ასრე და, განმიჯნვითა მათით სპონტანურ და, აღჭურვილ სპონტანურისა აიმ ხიბლით, რისად მიწვენის უნარიც ფაქიზ-მზნობელს (მგრძნობიარეს) დაკვირვებასა და აღწერილობას, სათუო არის, რომ მო-ჰ-ს-დგამდეს... ლინნე-ს წიგნის თარგმნისთანავე საკუთრივ მივეტანებოდი იმაგინირებული დღიურის წერად... არათუ დღეთა თანა-მიდევნილ აღწერად, არამედ სადღენიადაგო ყოფის ცალ-კერძო დამტყვენელ წვლილობითობათა მისარგოდ მზერის მომხვა: მომცველ ასრე nota bene უფრორე, ვიდრე ქუალიტეტური

ცნება. საიმდროოდ მრავალ-გზის მიმოგზაურია, მოგზაურობაც არათუ შორს მიდმოსლვად მესახებოდეს, არამედ აიქ დაბინავებდად, საითაც ჩავლიდ დავეშურები, მესახებოდეს არქმევად ხილვადისა და იმა ხილვადისა თანად ჩემსავ კუთვნიული იერის ცვალებადცა... სანახი-ს (Landschaften) ჩემულ წარმოდგენას ნიშან-ჰ-ს-დებდეს ბალახ-დავლილი ბორცვი, რომლის ამჟომდ ფეხი ამსხვტომია, ქუჩის სუნი, საათს სრულს თორმეტს, - არათუ უგვიანეს; ელექტრო-ხერხის გალობა, სასტუმროსეულს ოთახს დამტკვერილი ფარდის მიღმა რაი ვიჯდე, ან არა აქმაგ ატეხილის წუანედ-ყუდრო თხილნარის წიად ჩემმიერლუდის-სმისეულ-ფსლებრიფ-ნჩქლევაჲ. ვ-ჰ-მეცადინებდი განმესახებინა თქვენდა ნირი, რომლითაც სანახო [Landschaften] ვ-ჰ-ს-ჭურეც, შთავიგობნობ, ჩემგნივ შინაგანცა ვაიგივევებ. ესე ყოელნი, რანიცა აქა მომიყოლია, რასმე წინაპირობად, რასმე პირადულს წელილობად ჰგებენ: ჰ-ს-თხზავდე ლექსს, ეს სხუა რამეა. რადც ჩემმიერ-წართქმულ მოგისმენიათ და რასაცა მოისმენდეთ იქნება, სხვათა შორის, სიტყუიერს მასალას გარდმოტარებულა: ჭექა-ქუხილი, ფურ-ზროხა, ჩრდილი, მწყემსი, ხამი მაუდი, ჭექა-ქუხილი, ფურ-ზროხა, სპილენძი, ტილო, მასრები, ელჭექი, სპილენძი, ყმაწვილკაცი.

სიტყუათა მათთა წიად ჰყუდიან წარმოდგენანი, რანიც "მე" ჰ-მ-ძენან, რომელთ მეტ-ნაკლებ პირადად ვუფლობ, გარნა ავგ წარმოდგენანი მოიღებენ არცა რა ლექსსა. ჰ-მ-ძენან წარმოდგენანი და თანა-ვ-ჰ-რთავ წარმოდგენათა ამათ. აქმაგ თანა-რთუამ ერთდაგვარადცა ჩემდა გააუცხოოს პირადი წარმოდგენანი ჩემნი: რამეთუ თანა-ჰ-ს-ძევს სიტყუებს განსაზღვრული ანდამატური მასსა, რადც წესისამებრ მხიბლავ-მიმზიდუელ ორ-მხრივ ჰ-ქმედებდეს; თითქოსდა "სექსუალურ" ურთიერთჩაისახვოდენ სიტყუანი, სადავე-მიშუებულნი-ურთიერთ-მიესწრაფვიან, მაგია-ს ჰ-ს-წურთინან სიტყუანი, მაგიას, რადც გარდამიარს, ხოჭოსებრ აღისხას თუალნი ბადისებრნი სიტყუებმა, კუთხეკუნჭულთ ყოველთ ესერა დაუცადებლად თუისით გამო-ჰ-მზერ-დეს სიტყუები. სიტყუათა მაჭანკალ და სუტენერ ვიყო, ქუეშსაგებელთცა მიუზნენდე სიტყუებს; ვ-ჰ-გზნებდე, თუ რავდენს ხანს ყოფიერ ესერა გა-ჰ-ს-ტანს ტაეპი, თუ რავგარადუნდა გამო-ჰ-ვლოს სტროფმა. ელვა-მან წამნი-წაბმულნი ანაყო-

ფიეროს, თუისით ჰ-ს-ჩინებდესცა მასრები სპილენძ-შიგან, ფურ-ზროხა რქათა-ზედან ირქმევს ჭექა-ქუხილს, სიწმიდე ფრად-სი ჭაბუკს წარიტანებს, მწყემსი ვინმე თუისითცა ასოს დაიფ-ხანს, ყმაწვილკაცი თუისითცა ასოს დაიფხანდეს, რკინიგზელი მამრი ასოს დაფხანასცა ეპირება, ხელი დაუცდესცა მამრს. აკი ჰ-ხედავთ, მასნდილოსანნო და ბატონკაცნო ჩემნო, არას მოგახსენებთ გრძნობათა ჩემთა თაობაზე, სცენად ვაწვევ ბევრწილ უფრორე სიტყუათა ამათ, თავიანთს ქორეოგრაფიას გაჰ-ს-წეუდინცა სიტყუანი. ლექსნი ჩემნი, რომელთ თქუენს წინარე წარ-ვ-ჰ-ს-თქუამ, "სანახებად" (Landschaften) იწოდებიან, სხვათა შორის. თქუენც ჰხედავთ, ესენი აემაგ სადღენიადაგო ჰაზრით მოწოდელი "სანახნი" სულაც რომ არ არიან, არამედ სანახნი იგი შინაგანნი, წარმოსახულნი პეიზაჟნი, სანახნი, რომელთაც თვითონვე სიტყუანი თუისადცა ჰ-ქმნიან, ანუ სიტყუათა მეშვეობით ახლივ-წარმოებულ (აღწარმოებულ) იქმნან რომელნიც".

[კარლ ფონ ლინნე (23.5.1707-10.1.1778) – შვედი ბუნების-მკვლევარი ლინნე-ს ნაშენი დარგობრივი ბოტანიკური ენის ბალავარი დღეისდღესაც შერაცხილა. ლინნე-სეული საბო-ლოო ფორმა-მოსილი დიაგნოზე (ე.ი. აღწერილობა) განარჩევს და ნიშან-ჰ-ს-დებს მცენარეთა ცალ-კერძო ნაწვევართ განსაზღვ-რული და მუდამ-ჟამ იგივე სახის წყება-მიდევნისამებრ. ...ბინა-რული სახელწოდება - Nomenklatur, რადც ყოელს მცენარეს სახეობისა და გვარისგან დგინებულ ლათინურ ორმაგე ნიშან-დებსა მიუსადაგებდეს (მაგალითად, *viola tricolor* – იასამფერა - *Ackerstiefmütterchen*). სახეობანი კლასსებად და მწყობრებად გაერთმთლიანდებიან. 1735-ს წელიწადს გამოქვეყნებული სის-ტემ ლინნე-სი მცენარეთა საზოგადოებრივ ორგანოთა (საცავ-თა) წიად აღგებული სქესებრივი სისტემ გახლდა. მთელი ცხოვრება იღწუოდა ლინნე, რათა მცენარენი ჰაბიტუს-ის (იერის) მსგავსებისადაკვალად რასმე ბუნებით-ს სისტემად საჩინო-ექმნა. მანვე ალაგო ზოოლოგ-ური და მინერალოგ-ური სისტემანი. სიკუდილის შემდგომ გამოქვეყნებული შიფ-ფრ-ული (საიდუმლო) ჩანაწერნი იმასაც დასტურ-ჰ-ყოფენ, რომ ჰ-ს-წამდა ლინნე-ს ღმრთეებრივის Nemesis-ისა (ნემეზ-ის – შურისგების – მართლივ-მიგების ღმერთაა). ლინნე-ს

აღწერილობანი სტილისტურ გამორჩეულან. 1775-ს ლინნე-ს აზნაურობა ებოძა. წინაპირველი ბეჭდური ნაშრომი ლინნე-სი იყო "Florula Laponica" "ლაპკლანდ-ის მცენარეთა გამოკვლევა" (1732): - "სწორედაც ბუნების წიაღს აქაურ (ლაპკლანდელ) დიაცთა მკერდი უყალიბებია",-ო, გინდაც აეგ კონსტატაცია ლინნე-სი ერთ რამედ ჰღირს. (ცნობანი, ამოკრებილნი ბროკჰ-ჰაუზ-ის დასავლურ-გერმანული ოცტომიანი ენციკლოპედი-ი-დან ვიისბადენ 1973].

"იგი, რითაცა სუენნი ჩუენნი საზრდოობენ, არის ლექსი, წიად რომლის ვითარ ზაფხულის მიმწუხრისეული ნიავეპარისა მისისა წიად, ახალგადათიბულ მდელობთ რომ მიდმოეხლები, ეგრედცა გარემოგვეფრფენდეს სუნთქვილი სიკუდილ-სიცოცხლის, ზმნობა ფურჩნვისა, ძრწუნება ხრწნისა, რადც ახლათა, აქა და იმავე დროს მიდმიერ ასრე საზარელ ჰკვიებს. თითოეული სრულქმნილი ლექსი ზმნობა და აწმყოობათა, ნატრულობა და აღსრულებათა იმავედროულად. იგი ელფ-ის (ფერიის) სხეულებათა, ჰაერივით ჭვირვალნი, იგი უძილარი მაცნეა, ჯადოსნურს სიტყუას ერთიან აღუვისა რომელიც, იდუმალ-საესე მოწოდებულობა ჰაერთ-გადამართ წარეზიდება რომელს: თვისსავე არსის სუნთქუას ყოულიად-უღრმესს იგი ღრუბლებს, ვარსკვლავებს, ხის კენწეროებს გამო-ჰ-ს-წოუნიდეს, მისთა ბაგეთ წარცდომილი ჯადო-შელოცუაც მისანდოდ და მაინც აღმრევე ესერა ჰ-ხმიანდება ღრუბელთა, ვარსკვლავთა, ხის კენწეროთა, ჰაერის ამის საიდუმლოთა თანა-გარდაწინდ... სანახნი სულისანი [Landschaften] არიან უფრორე საოცარ, ვიდრე სანახნი ვარსკვლავებმოჭედლის ზეცის: არათუ ოდენ გალაკტიკანი მათნი, არამედ ჩრდილთა მათთა ორწოხნიცა ვარსკვლავთ აღევსებიან, სიმრუმენი მათნი ათასფერს სიცოცხლედ ჰკვიებენ, სიცოცხლედცა, რადც მოტვენისა თუისის მეოხებით ქმნილთა ესერა ნათელ-წარხოცილ, რადც სისავსისა თუისის წყალობით მოი-ჰ-შთობოდეს, აეგ უბსკრულნიც, რომელთა წიად სიცოცხლე თავს შთა-ჰ-ნთქავს, ძალ-უცს წამისყოფას ამას ერთიან გარდაანთოს, და-ჰ-ხსნას, მათგან შე-ჰ-ქმნას გალაკტიკანი. წამისყოფანი იგი სრულყოფილ ლექსთა ნაშიერნი არიან, შესაძლებლობა სრულ-ქმნილთა ლექსთა ზღვარდაუდებელი არის ისევე, როგორაც შესაძლებლობა ამგვართა წამთა. მაინც რაოდენ მცირენი არიან ლექსნი სრულქმნილნი... ერთობ მცირენილთა... გარნა საერ-

თოდ რომ წარმო-ჰ-ს-დგებიან თითო-ოროლა ამათგანნი, აევ სასწაულს არ ედრებისცა? რომ იპოვებიან სიტყუათ-ურთიერთ-მიჯრილობანი, რომელთაგან, თითქო გაკვესილი მრუმე ქვისაგან აღმო-ჰ-რღუევენ სანახნი სულისანი [Landschaften], რანიცა ჰკი-ებენ განუზომელ, ვითარ ვარსკულავებმოჭედილი ზეცა, - იგი სანახნი, სივრცეს და დროს რომ განეფინებიან, რომელთაცა მძოვარ-ესერა-მიმზერა ცხოველ-ჰ-ყოფდეს ჩვენშივ გრძნობას, რომელიც ყოელთა გრძნობათა უმაღლეს არს. მაინცლა იშვევენ ლექსნი ამგვარნი..." [ჰ.ფ. ჰოფმანსთალ. საუბარი ლექსთა თაობაზე: კლემენს-გაბრიელ-ის. Das Gespräch über Gedichte: Clemens-Gabriels].

2. ტექსტური ცალ-კერძო "შიფფრ"-ის "ამოსაცნობად"... (სავარაუდო-ვარიანტობრივი "აღმოკითხვის" მცდელობა)

"სანახი 21": *waldo*:

1. ეპისკოპოსი-ი (883-906). – ფრაიზინგ-მდუნჰენ-ის მიმდებარე ქალაქი
2. Waldo Emerson (1803-1882) – დიდი ამერიკელი ფილოსოფოსი-ტრანსცენდენტალისტი-ი
3. ვალდელთა ეკკლესიის ფუძემდები Petrus Valdes (1140-1206) – პეტერ ვალდო – Pierre Waldes – Waldus - Valdus – ლიონ-ის მკვიდრი დიდვაჭარი, რომელმაც მთელი ქონება უკუ-ჰ-რიდა; ევანგელიუმ-ის ქადაგების მისადაგად დაამკვიდრა მოხალისეთა მოძრაობა [სახარება მატთე-სი, 10: ქრისტე-ს მიერ მოციქულთა შემოკრება]. კლერიკალთაგან ათვალწუნებულს ძმობას, "ლიონელი ღარიბ-ღატაკებისა" მრავალი მიმდევარი აუჩნდა "უბრალო ადამიანთა" შორის. ხალხურ ენაზედ მქადაგებელ მოვზაურ ბერებს ნამეტნავად იტალიის მოქალაქენი თანაუდგნენ ("ლომბარდელი ღვთისგლახანი" და ა.შ.), თუმცაღა თავიანთის ბუნებისამებრ თაურ-ეკკლესიის ერთგული იტალიელები Waldes - ის რადიკალურ გამიზნულებათა ბოლომდე მიმდევარნი, ცხადია, ვერ იქნებოდენ, ასე რომ, 1205-ის განხეთქილებაც გარდუვალი იყო. ვალდელებს, თავიანთის მხრივ, ასე გასინჯეთ, ფრიად ჰფონებდათ იშუამინდელი მწვალებლობის ნიშანდობლივი შეუწყნარებლობა. ამისდამიუხედავად ვალდელთა მოძღვრება ესპა-

ნეთ-ს, უნგრეთ-ს, ბოჰემია-ს, გერმანიას გარდა-ჰ-ს-წვდენიყო. რომაულ-კათოლიკურს რიტუს-ს გარეგნულად რამდენადმე შეთანაზომებული აგე ახალ-აღმსარებლობა მრავალ-წილ მაინც იატაკქვეშეთურს არსებობას შე-ჰ-ს-ჯერდებოდა. ვალდელთა მრევლი გულისხმა-ჰ-ყოფდა ეკკლესი-ის მაკრიტიკებელ დანარჩენ მოძღურებათა გაცნობა-გაშინაგანებას. გერმანელი ვალდელები ბოჰემიელ თანა-მოძმეებს შეეწყობოდენ. პიემონტ-ს (იტალიის ზეგანს) მოდებული ვალდელები კიდევ შვაიც-ის (ჰელვეცი-ის) რეფორმაციას მიუერთდნენ 1532-ს წელიწადს (ეგ ახლებური თეოლოგიური გეზი გახლდა). მე-16 საუკუნის შუა-ხანიდან მოყოლებული სამხრით-იტალიის და სამხრით-საფრანგეთის მრევლნი თავიანთს თავზედ და-ჰ-ს-ციდიდენ რეფორმაციის წინააღმდეგომ მოწყობული რეპრესიის მძვინვარებას. მხოლოდღამხოლოდ პიემონტ-ის ალპთა წიად შეიარაღებული დახვედრის წყალობით ვალდელებმა ჰპოვეს თვითდადგინება. მე-19 საუკუნის დასაწყისს ახლებურ-მომძლავრებული მისსიონერული თვითშეგნება და 1848 წელიწადის შემდგომ გამოცხადებული რელიგიური თავისუფლება ვალდელთა მოძრაობის განშლა-განვითარებას განაპირობებდა. დაფუძნდა ახალ-ვალდელთა იტალიური მრევლი; რიო დე ლა პლატა-ს (ურუგვაი-არგენტინ-ის) მიდამოდ დაჩნდენ ვალდელთა დასახლებანი. 1905-ს წელიწადს გაერთიანებული პიემონტ-ის მრევლი და იტალიური დიასპორა აყალიბებენ "ვალდელთა ევანგელისტურ ეკკლესია-ს".

ნაცისტური ჟამიანობისას ვალდელები თანაუდგნენ ანტი-ფაშისტურ რეზისტანს-ს. (ხელახალი დევნა-შევიწროება). მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე შეუდგნენ ისინი ღია-მრავალმხრივ მოდგაწეობას. ვალდელთა ეკკლესია პრესბიტერულ განწესებას ექვემდებარება. ღმრთისმსახურება და სამრევლო ცხოვრება რეფორმისტულ ტრადიციას დაფუძნებია. ღმრთისმსახურების ცენტრში ჰ-ს-დგას ბიბლიურ-ორიენტირებული ქადაგება. ვალდელები რეფორმირებული აღმსარებლობის ეკკლესიად შე-ჰ-რაცხენ თავს. ისინი მსოფლიო რეფორმირებულ კავშირს მიეკუთვნიან.

უხვეულო დიაკვნური ღწუა (Diakonie) ვალდელთა ნიშან-დობლიობაა სწორედაც. [ეკკლესიათა ლექსიკონი გამოცემუ-

ლი ზიგრიდ და კარლ-ვოლფგანგ ტრფოგერ-თა მიერ ქრისტეან-დემოკრატიული კავშირის გამომცემლობა (Union Verlag) ბერლინ-ი 1990 DDR].

"სანახი 20":

"gráine verworfene gattin des fionns" "gráine განკიცხული ცოლი fionn-ის"... – ყოფილა მჭედელი (რკინის მკვერავი) ვინმე ლონ მაკ ლოიმჰტჰა (ლიომჰტჰა), ირლანდ-ის ძველისძველი ბინადარი; სამ-ხელიანს და ცალ-ფეხა-ს, თვისსავე გამონაგონი მოწყობილობის მეშვეობით ადამიანთაგან სრულ-განსხვავებული მიმოდრვა ნიშან-ჰ-სდებდა. საომარი იარაღი (რკინის საჭურველი) ირლანდ-ს სწორედ ლოიმჰტჰა-მ შემოიტანა; მანამდე ხისტარიან ქვის იარაღს მოიხმარდნენ აქაურები. ლოიმჰტჰა-ს მშვენიერი ფური მთის ფერდობებზე ბალახობდა (ეგ ზროხა მჭედელს ესპანეთიდან "წამოულადავს"). ბევრი უხეტიალია ლოიმჰტჰა-ს, ვიდრე იგი ირლანდ-ს დაემკვიდრებოდა (ირლანდ საბალახოთი ხომ განთქმულია). აეგ ფური ყოველს ძეხორციელს აპურებდა თურმე. ერთხელაც "უცხო" დედაკაცს მოუწვევია ზროხა: "შუიდის (7) მიმართულებით განტოტდა ნჩქლეულის რძის 7 მდინარე. რძე მერმე ჩანჩქერად ქცეულა. იმ ალაგას, სადაც ფური ძილად მიესვენებოდა ხოლმე, - კლდოვანს მთას, - ზროხის ძლიერთ-ჩლიქთ-ნაჭდევი ატყვიო, - მითი გვითხრობს. 7 ვაჟი ჰყოლია ლოიმჰტჰა-ს; კვირა – 7 დღე თითოეულს ზროხის მოწველა ევალებოდა-ო [ორფიკულ-პითაგორული შვიდეული – საკრალური შუიდი]. – იმ ალაგას, იმ მთას ხალხმა ზროხის სახელი დაანათლა. (საქონლის – ხვასტაგის კულტუს). მისი დღეობაც დაწესდა. ზროხა ველად გაშვებული ჰ-ყავდათ: მას ფეხს არ უბორკავდენ, რქებს არ მიუჯაჭვავდენ. მთის შუა-გულ წრიულ-ჰ-ს-წყვია ვეება შვეტი ქვები. ალაგს მაგას შეეფაროდნენ ღარიბ-ღატაკნი. იმ ზროხაზე თვალი ჰ-ს-ჭერია არა-ერთს. საბოლოოდ ვინმე უსტერ-ს გაუტაცია ზროხა. იმ მხარე-მიდამოს მაინც დღემდე განდიდებულ-განდმრთობილა იგი მარჩენალი. მჭედელი ლიომჰტჰა ჰ-მსახურებდა ირლანდ-ელს ლორდს ფიონ მაკ კუმჰაილ-ს (Cumhail). ფიონ მამაცი, სახელოვანი მეომარი გახლდა. ერთი-ხანობა იგი შვიდი მეომრითურთ შოტლანდ-ს ჰ-ბინადრობდა. ფიონ-ს ჰ-ყოლია ცოლი გრაინე (Gráine), რომელიც დერმოტ ო'დუივენ-ს (Dermot O'Duivn)

ფიონისგან მოუტაცია და მღვიმეს გადაუმაღლავს. აგეთია გრაინეს და ფიონის უიღბლო ჰამბავი. [ინტერნეტ-ის ცნობა] ირლანდური თემა გერმანულს სიტყვაკაზმულობას იმთავითვე ჰს-ცნობია: თ. მანნ. "აღრჩეული". რომანი ("Der Erwählte"), ჰ. ბოლდ-ის ბოლოჟამინდელი ირლანდური ჩანაწერი და ა.შ.

კურტ ვაილ-ის მუსიკის მიმოხილვისას Ernst Bloch მოაყოლებს: "ბუნებისანი მქროლავნი ხმანი მოჩვენებათა ირლანდურს ზღაპარს გარდმოტარებული"-ო. "არრას... ძალუძდეს ცხოვლად აღაგზოს და ირლანდ-ის მწუანე ბორცვთაკენ ფრენად წარიტანოს წარმოსახვად ჩემი ისე, როგორაც აქმაგ უბიწო მელოდებს, რადც მიმწუხრის ნიავექართ-წიად ლბილ-მიდმოძრულ ტბათა ტალღებს თავზემთ ფრფინვად თითქოსდა მოიწვენება; ისე, როგორაც აქმაგ საგალობელთ ყოვლის-შემღვენელის სიყვარულისა, რომელთ ამონარნარებისთანავე იქმნებოდე შეძრული, აი ისე, რომ არც უწყოდე თუ რატომ და, აღევსებოდე ფიქრთ მარტობისა მიმართ, დიადი ბუნებისა მიმართ, მიმართ საყვარელ არსთა, რომელნიცა აღარ არიან, გარდასული დროის გმირთა მიმართ, მრავალგნებული მამულისა მიმართ, დიად, თვითონ სიკუდილის მიმართ, რადც ეროვნულის მგოსნის თქუენის თომას მურ-ის თქმით, ჰგიებს მეოცენე და ესერა მშვიდ ვითარცა ღამე", - თავის ცოლის-ძმას ბ-ნ ჯორჯ ოსბორნ-ს (ირლანდური მუსიკის მოხზველს) ჰს-წერდა ჰექტორ ბერლიოზ (1803-1869) [მოგონებანი].

"20-ე სანახი"-ს მახლობელი ბწკარი: "...wo aber tarne ich mich du [თითქმის უთარგმნელი] "სადაღას ... შევინიღბოდე შენავ..." ["მე"-ს და "შენ"-ის ჩანაცვლება, - ღმრთეებრივი შენ, რასაც რიღკეს ლექსები, გოტჰე-ს ორფიკული მომცრო "შემღერებანი", - ორფევსი-სად აღვლენილი გერმანული საგალობელი გ. რობაქიძის (ირრუბაქიძის) - უტრიაღებენ, რადც არტმანნ-ს - კაცებრივის ექსისტენს-ის მგოსანს, ნოვატორ-კონკრეტისტს ახლივ მიუკვლევია].

ისევ და ისევ "წარგიტანენ" არტმანნ-ისეულ-ულვენელ-ერთი-მეორეს-მიყოლილ "გამოძახებულნი" სახებანი - personalis; კარი სოლმუნდსონ და ფლოსი ტჰორდსონ (თორდსონ); ორი ურთიერთ-მოქიშპე დიდგვარონის თავგადასავალი (ირლანდური საგა - ბრძენკაცის ნდალ-ის ჰამბავი. გერმანული თარგმანი ანდრეას ჰოიზლერ-ისა. ოიგენ დიიდერიჰ-ის გამოძ-

ცემლობა ენა 1914). ფლოსი სამართლიანობის აღმდგინებელია – ბრძენი ნაღალის ნაშვილები ობოლი ყმაწვილკაცის, მუხანათურ-მოკლულის ჰოსკუდლ-ის სისხლის მაძიებელია (ჰოსკუდლ-ის ცოლის ბიძაა სულაც); ფლოსი – მეომართა წინამძღოლი "უჟიდესი", გულოვანი ადამიანი. დიდძალი თანამზრახველი გარემო-ჰ-კრობა მან. "სრულიადს-კაცურობას ცოტად გ-ჰ-კლდეს"-ო, ფლოსი-ს მი-ჰ-მართავს ბაძარნი – ბროდდ-ჰელგისსონ. ფლოსი ბრძენი უფროა, ვიდრე უბრალო მეომარი, - ბუნებით სკაღღია ფლოსი, - ჭირგამოვლილი, ფათერაკიანი, ღონელაუზოგავი, ფრიად წინააღმდეგობრივი ინდივიდუუმ. – მრავალ-მოსხეტე მამრი (აღმოსავლეთ თუ ჩრდილო ირლანდს თუ ნორვეგეთს); მიზანმისწრაფული ფლოსი, ქრთამს (მოსყიდვას), სხვათა გადაბირებას რომ არად დაგიდევს, ოღონდ მტერს არა და არ გაუერიგდება; უხუცესთა და ბრძენკაცთა სამსჯავროს – აღდინგ-ის მიერ გაძევებული ფლოსი ფერხით დაეშურება რომის პაპის საბრძანისს (კარგაღ ხარჯსაც გაიღებს); რომის პაპისგან ცოდვათა მიტევება ირგუნა ფლოსი-მ; აწ სამშობლოს მოემგზავრება იგი; ნორვეგელი ძარღ-მხედართ-წინამძღოლი ეირიკ გემს ჰ-ს-ჩუქებს მას; ფქვილის დიდძალს მარაგს მიუბოძებს. პაპის საბრძანისს დაშურებულა (ოღონდ სულ სხვა სავალით) აგრეთვე კარი სოლმუნდს-სონ, ფლოსის მოქიშპე – "უებრო მეომარი", - ღმერთ-კაცებრ მბრძოლი (მის რკინებას განმაოგნებლად აღვიწერს საგა); ფლოსი, რა თქმა უნდა, აფასებს კარი-ს, გულ-მიგან პატივს მიაგებს. გზა დაჩენილა ცოდვათა მიტევების, ერთობლივი განწმენდის: შინისკენ შემობრუნებული კარი სოლმუნდსსონ მოწადინებულა გამო-ჰ-ს-ცადოს ძველი მოპირისპირე; ცოლი გარდა-ჰ-ს-ცვლიყო სოლმუნდსსონს; ფლოსი-მ შინ მიიწვია დამწუხრებული ვაჰკაცი, სრულ-უანგაროდ მას უმასპინძლა, გადააზამთრებინა კიდევ შეჭირვებულს (ჩრდილოელს გადაზამთრება ხომ დიდად უღირს); ის კი არა, - დაქვრივებულ სოლმუნდსსონ-ს ცოლად შერთო ფლოსი-მ თავისი დისწული, - მეუღლე აიმ უსამართლოდ დაღუპული ჰოსკუდლ-ისა, რომლის სისხლის საზღვევად მთელი ამასწინდელი ომი და ხოცვა-ჟლეტა წამოტეხილიყო. ეპიურ-განხვინილი ფერ-უხვი თქმულება (საგა) თითქო წინა-ჰ-გზნებდეს ქრისტეს სჯულის ისლანდ-ს შემოტანებას: მე-12 საუკუნეა, - მხარეში ჯერეც ფეხი არ მოუკიდებია მაცხოვრის

რწმენას. ფლოსი – რაინდი, სკალდ-ი, რამდენადმე ისლანდელ ოდისევსად წარედგინება აგრეთვე. ზღვაზე დაღუპვა ისლანდელ გმირთა ხვედრი ყოფილა იმთავითვე. ასე ამრიგად, ღმრთის-რჩეულთ-შორის შეჰ-რაცხეს მარადი მოხეტე (დაუცხრომელი მოგზაური) – მოხუცი ფლოსი. (ფლოსი-ს აღსასრული უცნაურად თანა-მიემთხუა ისლანდ-ის გაქრისტეანებას).

სხვადასხვაგვარ მოიაზრება არტმან-ისეულ ერთერთს "სანახს" (Landschaft) დატვიფრული სიმბოლო – ნიშანი ურჩხულისა, - შესაძლოა, ეგ იყოს ვიკინგთა ამავე სახელწოდების დიდი გემი, რაღც 50-ზე მეტ კაცს ჰ-ს-ტევედა, შესაძლოა, ასევე ძველ-ჩინურს ანდა ჩრდილო-ევროპულს "მწუხრის ვარსკვლავს" განასახიერებდეს იგი სულაც (იგივე ნიშანი მიუმარჯვნია ლირიული-პოემისაებრ-ვრცელს ლექსს ინგებორგ ბახმან-ისა – "Von einem Land, einem Fluß, einem See" – "ქვეყნისა, მდინარისა, ტბისა თაობაზე").

"სანახი 19":

"განივ-გასულ-მოსასხამ-მოსილ მუნვე ჰ-ვლიდეს ევალდ კლაისტ..." – "in weitem mantel dort geht ewald kleist"... [ევალდ კრისტიან ფონ კლაისტ (1715-1759). ოფიცერი კლაისტ ჯერ დანეთ-ს (Dänemark), მერმე ფრიიდრიჰ II-ს ჯარს გამწესდებოდა... კლაისტ-ს თავისი რაყიფი, ვინც მას საცოლუე წარჰ-გვარა, - ორთაბრძოლად გაუწვევია... მძიმედ დაჭრილა პოეტ-ი კლაისტ. იოჰან-ლუდვიგ გლაიმ-ს (1719-1813) მოუნახულებია, გაუმხნევებია პოეტურს სარბიელს მიხლომილი ყოვლად-ნიჭიერი ყმაწვილკაცი. კლაისტ ერთი-ხანობა შვაიც-ს (ჰელვეცია-ს) მეომრად დაექირავა. შვაიც-ს მყოფი მეოსანი დაახლოვებია დიდ გერმანელ მწერელებს: იოჰან-დაკობ ბოდმერ-ს (1698-1783), კრისტოფ მარტინ ვილანდ-ს (1733-1813)... კლაისტ-ს შვაიც-ი მალევე მიუტოვებია... ლაიპციგ-ის დიდი ლაზარეთის ზედამხედველად უმსახურნია ერთ ხანს: სამხედრო სამსახურის წყალობით თავი გაჰქონდა ხელმოკლე პოეტს. იგი ფრანკო-საკსონიის ბატალღონ-ს მეთაურობს, ფინკ-ის არმიის მხარდამხარ რუსთა და აუსტრიელთა წინააღმდეგ ბრძოლისას სახელს იხვეჭს. 1759 წელიწადის 12 აგვისტოს ფრიიდრიჰ დიდი კუნენერსდორფ-ის მიდამოდ დაჰ-ხვდა აუსტრია-რუსეთ-ის გაერთიანებულს ჯარს. აღმოსავლეთ გერმანიას ალყად შემოჰ-ს-წყობიყო მტერი.

კლაისტ თავის ბატალლონითურთ სამს რუსულ-ს ბატტერიის-ს დაჰ-ს-ჯახებია; მარჯვენა მკლავში დაჭრილმა ხრმალი მარცხენა-ს გადანააცვლა; ახლა მეოთხე ბატტერიის-ს ხრმლით მიეჭრა იგი; ანდელ გამოსროლილმა ტყვიამ კლაისტს-ს მარცხენა მკლავიც დაუკოდა, მაინც უკან არ დაუხევია "უებრო მეომარს", - იქით ერქინებოდა მომხდურს კლაისტ, - ოცდაათს ნაბიჯს წინ გაჭრილი, თვისსავე ცხენს გარდმო-ხ-ჰკიდვია, რადგან ფინდიხით ნასროლმა მგოსანს მარჯვენა ფეხი დაუმსხვრია. "ბაღლნო, არ აატოვოთ თქვენი ხელმწიფე!"-ო, - ამ მოწოდების წარმოთქმისთანავე მიწის პირს გარდმოენარცხა კლაისტ; ჭრილობის გადასახვევად იქავე გაჩენილა დასტაქარი. - ტყვიამ იგიც მიწას გააკრა; რუსნი შემოიჭრნენ; ყაზახებმა სამოსელი შემოაფლითეს კლაისტ-ს, მერმე ჭყანტობს მოისროლეს მისი სხეული; რუსს ჰუსართ შე-ხ-ჰბრადგოდათ კლაისტ, - საფლობიდან ამოუთრევიათ, კოცონისკენ პირ-მიქცევით დაუსვენებიათ (ზემოდან მაზარაც წააფარესო კლაისტს ჰუსარებმა); პური და წყალი უწილადეს, რვა გროშიც დაუტოვესო, - ამას ჰყვებოდენ. ის ცხენოსანნი თვალს მიეფარნენ თუ არა, ახლივ შემოცვივდენ ყაზახები, - პირწმინდად განჰ-ს-ძარცვეს ბედისანაბარ დარჩენილი მეომარი. მეორე დღეს, ზედ მოშუადღევებულს, ჩამოევლო რუსს-ის ოფიცერ-ს, - საზიდარს დაუწვევია კლაისტ, ფრანკფურტ-ისკენ განუმგზავრებია ფორნით. გარნა განჰ-ს-ხუნოდენ ჭრილობანი კლაისტ-ს; თორმეტი დღე რა მიიღეოდა, სული დაიღო მრავალტანჯულმან. იგი საბრძოლო პატივით დაჰ-კ-რძადეს: კუბოს თავს მახვილიც დაუდეს მას, არ დაანაკლისეს ეს ღომკაცი: მავანს რუსს კუთნივილი ხრმალი ამოუწოდია, გარდაცვლილისა თანა-დაუტანებია. კლაისტ-ის საცხედრე გადაუფარავთ პრუსს-თა შავ-თეთრი აღმით ["პრუსული ძუელი აღამი შავ-თეთრი"-ო, -ჰბრძანებდა მხცოვანი დუბსლაჟ ფონ შტეკლინ. - "შტეკლინ" ("Der Stechlin") - თეოდორ ფონტანეს რომანი]. - კლაისტ-ის დანატოვარი "ლექსთა მომცრო ტომი" მარგალიტთა დამტევენელიაო, - მიიჩნევენ მკვლევარნი. "კლაისტ-ის-მხვედრი-გაზაფხული" ("Kleistens Frühling") უბეს მჩრია"-ო, - წარჰ-ს-თქუამდა ლუდვიგ უულანდ (ჰლანდ) [1749-ს, გოტჰე-ს დაბადების წელიწადს დასტამბული ლექსთა კრებული - იამბ-ით და ანაპესტ-ით - ჰექსამეტრულ გაწყობილი], - ლექსთა კრებული, რადც შიგადაშიგ სიკუდილის წინა-

გზნებას ინიშნავს და მაინც მსოფლიური გაზაფხულის სიხალ-
 ასეს განუტოლვია; ომს და შიშიანობას გამოარღვევს სულის
 უცნაური ანაშუქარი ეგე, - იტყვის კრიტიკოსი; იმასაც დაჰ-
 სძენს, კლაისტ-ის ლექსს ერთგვარად ატყვია გლაიმ-ის პოეზიის
 კეთილისმყოფელი ზეგავლენა, თუმც მხატვრულობით კლაისტ
 გლაიმ-ს მრავალ-გზის აღემატებოდეს-ო [გერმანული ლიტერა-
 ტურის ისტორია. ავტორი: ი. ჰოვალდ. Verlag von Karl Hirsch
 Konstanz] – გოტჰე-ს თქმა რომ მოიშველიო, - "შორეულის აგ-
 რე ახლორე მოტანებისა და ახლო-მდებარის შორს-განსღვა-
 გარდაწვევისთანავე" შენს თვალწინ ერბაშად გერმანიის ბედ-
 იღბალი-წარსული, აწმყო, მომავალი თითქო აღიწონებოდეს
 და ახლივ-განიაზრებოდეს. (გარდასახვის ძალმოსილების დას-
 ტურად). – პოტსდამ-ის შემოგარენი: შორსდავლილი ფიჭვნა-
 რით მოქობვილი მშრალი ქვიშრობი ნიადაგი – "მიმოსაბნევის
 სილის ყუთნი"-ო, - აგრე იწოდებოდა წინათ ის არე-მიდამო, -
 ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო დასასვენებელ-გამაჯანსაღებ-
 ელ ალაგთაგანი. აღმოსავლეთ-პრუსსია (პროისსენ; ბოროსია):
 "ო, წმიდაო დროებაო ქვიშნარისა ამის" – "O heilige zeit des
 Sands..." – "აბღღვიანებულ რა ვერედცა შპანდაუ-ს-ყოვლად-
 სახელისუფლებო-ვარ/-დის წინარეცა შუადღის-ხვატს-რეგნილ
 ესე ტალერ-ის-ტოლ იღუმალცა იგი შუქი" – "klar vor spandaus
 ordentlicher ro / -se in der mittagsglut fällt heimlich tallergroßes licht"-
 ["სანახი 19"]; დაერთოდეს რემინისცენც ბობროვსკი-ს პრუს-
 სულ-აგალობება (წმიდა-გერმანული სინთეზის-ი)... გონისეულ-
 გამთლიანებული გერმანია... "არ მეშინის იმისა, რომ არ იქმნება
 გაერთიანებულ გერმანია... მყოფობდეს დაე იგი ურთიერთშორ-
 ის-სიყვარულით წინარე-ყოვლის" – გოტჰე – ვაიმარ 23.10.1828.
 სულმნათი სახელდახელოდ ქვეყნის გაერთიანებას არ ესწრაფ-
 ვოდა – ერთიერთმანეთისადმი დანატრულობა – შინაგანი
 აღღტოლვა მას ბევრად უფრორე უღირდა. (სწორედ "სულსწ-
 რაფობამ" ადამიანებისა ჰ-შუა "ნაციზმუს")... ხალხისაცა და
 ობროდი ხელისუფლებისაცა ერთობლივმა "აღტაცებულობამ"
 ლამის აგრე-ერთი-მეორეს-მიყოლილ თავს დააწივნა გერმანია-
 ს 2 მსოფლიო ომი (მეორე ხომ პირწმინდად-მიწას გამასწორე-
 ბელი-ორი თვით-რჯელის,-ქართველ-რუსს-ის და აუსტრო-გერ-
 მანელის "გამოისობით" ამტყდარი... არტმან-ისეული "სანახი"

სიჯანსაღეს, განკურნვას, ახლებრივს კაცურს შემართვას – არსებობისად-სლვას შეგაგონებს...

გერმანულს ნიადაგს დიალექტური ლექსის ახლივ "შედ-ვიძება", რასაც სწორედ ჰანს კარლ არტმანნ მთელის ძალისხმევით ნიჭისა მიტვენიბიყო, უმაგალითოა ამ-ჯერად ["გულის ციცქნა საკანსაო" -შუასაუკუნეებრივ ჰანგს უიგივევდება ლამის]... რომაელთა-მიერ სახელდებული "ეთნოს" – Der Germane – სხვა და სხვა გეოგრაფულს გარემოს სხვადასხვაფრივ ყალიბებული. – ამ ნიადაგზე წარმომდგარი "აუსტრიული ფაკტორ" (ფაკტურ-ა, რასაც მწერალთა თაობანი: გრილლპარ-ცურ, შტიფთერ... სხუანი და სხუანი თანდათან ჰ-ხვეწდენ, რადე მომთაერებულ-განასახა უბადლო ჰოფმანსთაღ-მა ("საზრის-ნი" – "Blicke" – ესსე-ები ჰოფმანსთაღ-ის: "ციალი" – "ნათებად" თითქო)... აუსტრიული შთამოება – ძუელ-გერმანულ ტექსტთ-მოდარაჯე, ოდინდელი "მცველი". ამიტომ ეახლოებოდა-ჰ-ს-თნევდა სტეფან გეორგე-ს ჰოფმანსთაღ, - აემაგ ლტოლვის ნამდვილი "ახსნა" არათუ რასმე "გადაფერდების" (უკეთურების), არამედ აქავე, უზადო მხატვრულს წიაღს ამასა იძებნებოდეს. ეგაა, რამაც "ესთეტური გონი"-ს ორი უდიდესი წარმდგინებელი დააკავშირა. XX საუკუნისჟამინდელი იმპერული მართვის საპირისპიროდ შინაგანი ეროვნული მთლიანობის იდეა-ს წარაყენებდენ ორივენი ცალკ-ცალკე... კაცთა-სიმრავლე(ბრბოდ) კიდევ ზერექვერობას, "წაჭარბებულს" ნაციონალიზმ-ს, უ-თეორ-იობას, ე. ი. უთავობას შეჰ-სჯერებიყო... უთეორიოდ შეტოვილი "ნაციზმუს" ვითომდა-თეორია-შეჭურვილ, ნამდვილად კი – ასევე უ-თეორიო იტალო-ფაშიზმ-ს დაესესებოდა ("ყვავს რა ჰქონდა ბუს გა-ჰქონდაო"). ჩვეულებრივ "ერთმანეთში-ჰ-რევენ" ორს ცნებას ამას; რა ცოდვაც ეგ არის: "გულმოდგინედ" შე-კოწიწებული, "ფაშიზმუს" საბოლოოდ მაინც ნაციზმად დაიყ-ვანებოდა ალბათ... გერმანიას, გულისგულ "ოიროპა"-ს, "და-ჰვალდებოდა" ცნაურებული შინაგანი მთლიანობის იდეისამებრ "განენათლებინა" ურთიერთმონათესავე ერნი: გალაკტიონ-ის თქმისა არ იყოს, - "სულის სანთლები" უნდა დანთილიყო, რომელს გერმანია საკუთარის ფშუინვიერებით არ განაქრობდა, არ განაქარებდა, - მოჰ-ხდა კი პირუკუ... აგე გახლდა ტრაგედია გერმანიის...

ზემორე-მოსხენიებულ "აუსტრიულს ფაკტორ"-ს, რასაც რილკეს შემოქმედება (მეტადრე რილკეს ლირიკა – აგე შერიოტიშული წყვილი) "განანამდვილებდა", - მიჰბრუნებია სწორედ ჰ. კ. არტმან-ის პოეზია. ინგლის-რუსეთის პოლიტიკურმა "გარიგებამ" პირველი მსოფლიო ომის გასათავარს დაამცრო-დაცალეწა (პირწმინდად აღხოცა) "გერმანულს აღმოსავლურს სამეფოდ" სახელდებული საუფლო – "აუსტრო-უნგრული" – კვერთხთა-მკერობი-გვირგვინოსნობა, - ევროპულის-გულის და პერიფერიის მაერთებელი, - ფაქტობრივი მთლიანობის ნიმუში, აღმოსავლეთ-ევროპის ხალხთა იმედი, - სინთეზისი და სინდი-სი ამასთანავე, - აქმაგ კატასტროფა-ს ემსხვერპლა იოზეფ როთ (1894-1939): სამშობლოცა და სიცოცხლაც წარ-ჰგვირცო (აღ-ჰ-რთმევიყო) ლეგენდურს მთხრობელს (სწორუპოვარს ავტორს რომანისა "რადეტცი-ის მარში"-ი. 1932), იშვიათს ადა-მიანს.

სახელმწიფო საიდუმლო მრჩეველმა გოტჰემ წინა-გან-ჰს-ჭურითა აღმოსავლეთიდან "მოტანებული" საფრთხე. 1813-ის წელიწადის 13-ს დეკემბერს განუცხადებდა იგი ენ-ელ მისტორიე-ს ჰაინრიჰ ლუდენ-ს (1780-1847): "ხალხი ნამდვილად გამოღვიძებულია კი? დაგ-ჰ-ვიწყნიათლა ლახათიანი სიტყვა, რადც თვისსაგ-სიხარულს-აყოლილმა ერთმა პატიოსანმა ფილ-ისტერ-მა ენა-ს თვისსა-ვე მეზობელს გარდა-ჰ-ს-ძახა, მას მერმე რაც მორეცხილი საკუთარი ოთახნი მოათვალიერა და, ამიერ-ფრანგთა უკან-გაწვევის შემდგომ, შინაურულ-ყუდროდ რუსთა დახვდომას ვინძლო შე-ჰ-ვ-ს-ძლებდეთ, - ჰფიქრობდა იგი? ეს-ენი მეტისმეტად ღრმა ძილს მი-ჰ-ს-ცემიან, იმგვარს, რომ ყოვლი-ად-ძალუმს შეჯანჯღარებასაც არ შეეძლებოდეს იქნება აგრე უცებ მათი აზრს მოყვანა-შემობრუნება და ყოველი მიმოძრაობ-აც წამომართვაა განა? წამომართუიდესლა იგი, ვინც აგრე მოძალადობრივ იქმნების დარბეულ? აქმაგ ათასეულ ჭაბუკს თუ ვაჟკაცს არ ვამბობ, - უმრავლესობისა და მილლიონ-თა თაობაზეა საუბარი; მოპოვებული ანდა მოგებული რაღდა-არს-მეთქი? – მომიგებდით: - თავისუფლებათ, - ალბათ აგრეა, გარნა უფრორე სწორი იქნებოდა, განთავისუფლებად მოგვენა-თლა ეგე; სახელდობრ, არათუ უცხოელთა უღლისგან, არამედ უცხო უღლისაგან. ჭეშმარიტად აგრე არის: ფრანგთ ვეღარა ვ-ჰ-ხედავ, იტალიელთაც ვეღარ, მაგრამ სამაგიეროდ ვ-ჰ-ხედავ

ყაზახებს [Kasaken], ბაშკირებს, კროატებს*, მაღიარებს, კაშუბებს**, ზამლანდ-ელებს***, მრეშისფერს თუ სხუა-ფერს ჰუსარებს****. აგრერიგ-ხანგრძლივ-შე-ვ-ჰ-ს-ჩვევივართ, მხერა ჩუენი განვაწოდოთ ოდენ დასავლეთს, იქიდანცა მოველოდეთ ყოელსა საფრთხეს, გარნა განეფინება შორსა და შორს დედამიწა აღმოსავლისკენაც აკი".

**უწინდელი ძუგოსლავეთის მოსახლენი სლავეური გვარ-ტომისა – კროატები;*

***კაშუბები – აღმოსავლეთის ზღვის სანაპიროს – პომერანიის მხარის ბინადარნი, დასავლეთ-სლავეთა გვარ-ტომისა;*

****ზამლანდ-ელები აღმოსავლეთ პრუსსია-ს, პოლონეთს- და რუსსეთ-ს შორის მდებარე, - ამჟამად რუსსეთი-ს ნახევარკუნძულის- (ძველი კონიგსბერგ-ის მხარის) მოსახლენი.*

***** ჰუსარები – მსუბუქი კავალერია.*

აუგუსტ გრაფ ფონ პლატენ (1796-1835) მი-ჰ-მართავს ფრანც II-ს, მას, ვინც ჯერ კიდევ 1804-ს წელიწადს აუსტრიის იმპერატორად ფრანც I-ად აღმჯდარი, 1806 წელიწადის 6-ს აგვისტოს გერმანიის იმპერატორ-ის ტიტულ-ს აერიდებოდა და გერმანულს უუძუელესს სამეფოს მითვე ფორმალურადაც და-ჰ-შლიდა: "კულავ მოეც გული გერმანული შენს გერმანიას! – ვის მოსკოვისად-მონება ჰ-სურინ, მონადცა და-ჰ-შთეს! / ...დაბრუნდებოდე, ო ხელმწიფეო საყუარელო! / ბაშკირთ-მო-ჰ-ხდომას აგვარიდებდე; / ...მერმელა შენს ერს განახლებულს არჩივად მოუდ /მეგობრობითცა-მრგე ახალი ფრანკთა სამეფო და აახენურს წმიდა საცხედრეს გარდმოტანილი ხელდასამა" [კარლოს დიდის საფლავი იგულისხმება] – [26 თებერვალი წელიწადი 1831] - ..."ოდა ნაპოლეონისადმი" (1825): "კუნძულ-შეუვალს მზვაობრობას ინგლის-ისა-და ეშმაკისცა ციხე-სიმაგრეს სარმატულს შენავ შე-ჰ-მუსრვიდი" [რუსთ-იმპერია იგულისხმება... "ეგრეთწოდებული ომნი თავისუფლების" (1832 წელიწადისა დეკემბერს): "ჭეშმარიტადცა ჰკიან ომნი თავისუფლების! შეეკუროდალა, ვთქუათ, ბაშკირებს/მილტიადე/სპარსთ რად გარდა-ჰ-ს-ძალავდა იგი?/"... ა. ფ. პლატენ. ლოექსები. ჰაინრიჰ ჰენელის გამოკრებილი, მისივე ბოლოსიტყვაობით. ფილიპპ რეკლამ უმცრ. შტუტგარტ 1984]... დედა-გერმანია, - "გერმანია-ზამთრის

ზღაპარი" (ჰაინე), "გერმანია-ფერმიხდილი დედა" (ბრეჰტ), - ჰაინე-ს და ბრეჰტ-ს ჰ. ჰაისსენბოუტტელ (იხ. ლექსი "გერმანია 44") და ჰ.კ. არტმანნი – ორთავენი თანაბარ ელმერთებოდენ... – "სხუა გერმანია" – გონისეული მთლიანი სამშობლო... მრავლისმეტყველია გოტჰე-ს ერთი ნაკლებ-ცნობილი ჩანაწერი: ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის ერთდაგვარი კარაკტეროლოგიის (დახასიათების) შემცველი: საფრანგეთი ნიადაგ ინგლისს დაესესებოდა ფილოსოფურს ჰაზრს, მერმელა ჰ-ს-ქერწვიდა, ფორმად-ჰ-ქმნიდა ნასესხებსა ამას; ხოლო ორთავეს უსწრებს გერმანია, რომელიც ცალ-კერძო შინაგანს ადამიანს ერთიან ემ-ჰ-სგავსვიდეს და უიგივევდებოდეს; გერმანიის ნიშანდობლიობაა Bildung (განათლება-სახედქმნა-ყალიბება,-ამბივალენტური ცნება,- ლამის უთარგმნელი-),რადც ქუეყანას ამას სრულიადის ტვიფართ და-ჰ-ს-ჭღვევს... თითქო აღმოკითხულიყოს ლაიბნიტც-კანტ-ის სინთეზისი... თეოდიცეე ლაიბნიტც-ისა (1646-1716) – პრედესტინირება, განმართლება კაცებრივის არსებობისა, რადც "ფაუსტურს ხანა"-ს გარდატარებული, ჰეგელ-ისეულ გა-შინაგანებული, დოსტოევსკი-სეულ მწერლურ-ნაწურთნევი, ვლადიმერ სოლოვოფის ფილოსოფიურს გაგებას "დეტერმინებული სიკეთისა" ჰ-კეგებავდა...

"სანახი 21" მოისხენიებს "ციცქნა ცახეს-ს, სინგურად წოდებულს" - ე. თ. ა. ჰოფმანნი-ის (1776-1822) ზღაპრის მოქმედს პირს – დუხჭირს, დახამრულს, მახინჯს არსებას, მდაბიოთა ნაშიერს (სინგურ – იგივე მანდრაგორას ფესვი), უკეთურ-მიმართული მაგიის (გრძნების) ნათხზენ-ს, - განუსჯელობასა და შემთხვევითობას დაფუძნებული უზნეო-უპრინციპო გარემოს ძალისხმევისამებრ "შემთხვევით" აღზევებულს, ჯადოთი-შემკრეველს, ვინც სხვათა ღვაწლს, დამსახურებას და მონაგარს ესაკუთრება, იჩემებს, ხოლო ბოლოსდაბოლოს თვისსავ შემთხვევითს აღზევებულობას ემსხვერპლვის... ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბების იდეა, რასაც შექსპირ-ის "ქარიშხალი" (დრამა),ასევე კალდერონ დე ლა ბარკა-ს პიესა "ცხოვრება სიზმარ არს" განასახებდა, ჰოფმანნი-ის აქმაგ უბადლო ქმნილებასაც თანა-ჰ-ხლებს. გერმანელ მწერალთაგან იშვიათად რომელიმეს ჰ-ღირსებიყო სრულ-ვეროპული აღიარება, რადც ბერლინი-ის სასამართლო პალატ-ის მრჩეველს ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანნი-ს სიცოცხლეშივე წილ-ჰ-ხვდა. "სინამდვილისეული

ზღაპარი", - აგრე იწოდება ჰოფმანის ქმნილებათა წყება. სწორედ ჰოფმან-მა პ-ს-ძლია გერმანული "კარჩაკტილობა", რასაც თომას მან 1948 წელიწადს აშშ-ს წარმოთქმულ სიტყვაში "პროვინციულობად" ჰ-ნათლავდა. "რასმე ფეერისებურ და სასწაულებრივ, გარნა დაურიდალ ესერა მოტყვნილ ჩვეულებრივის და სადღენიადაგო ცხოვრების წიად და თვისთა სურათხატთა ამრმქმეველ, ჯერ არს, ეს ყოველივე იქმნებოდეს"-ო, - აგრე მოიხილავს შემოქმედებითს პრინციპს ჰოფმანის პირადი წერილი. 1813. მრავალი დიდი მწერალი ჰოფმანს "და-ჰ-ვადლებოდა". თომას მან ორ-გზის მოიხსენიებს მას ფრიადის პატივით... ახალი თვალთა-ხედვა, უჩვეულო, "სხვაგვარი" სინტაქსის-ი ჰოფმან-ისა, ცხადია, "წარიტანდა" ჩამკვლეველ-ჩამძიებელ არტმან-ს აგრეთვე... თუნდაც დიდებული მიმარჯვება გერმანული სიტყვისა – Die Verwindung – ჭირგამოვლილობის, ტანჯულებათა გარდატანის, დაძლევის, განქარვების ამბივალენტური მიმნიშნველობა (წინასწარმეტყველებაც იმავედროულად)... თითქო შეგაგონებს პოეტი არტმან: ნაციზმის შთატოვილს უუქლს, წვირეს გერმანია ჩამოირეცხდეს, მითვე სხუა ერებს გა-ჰ-ნათლვიდეს, განანათლებდეს-ო. ხალხის შობილი უკეთურება ხალხისავე საზღველი გახლავს... თვისსავე შეცოდებას უთუოდცა ისყიდის ყოველი ერი, - ასე ყოფილა, ასე იქნების მარად, - ამას ერთობლივ გაგვიცხადებენ: ე.თ.ა. ჰოფმან და პ. კ. არტმან... ავე "21 სანახი" – იდილლიკა თითქოსდა იყოს პ. კ. არტმან-ის ანდერძნამავი, რაც გერმანიამ, - გონისად მოწოდებულმა მხარემ, ვითარცა მთლიანი დედამიწის ცალ-კერძო დიდმა "სანახმა" ("Landschaft") ღმრთის ნებისაებრ ოდესმე ვინძლო აღასრულოს... ავე გახლავს, რასაც შთა-ჰ-ხლომა-დაისი-სკანდინავური რფონარეკ-გერმანული "Die Götterdämmerung" ანუ ფაუსტ-ეპოპეა გოტტჰე-სი., ასევე ვაგნერის ეზოთერულ-საკრალური-ხედვა-მუსიკა ჰ-მოძღვრიდა: ქვეყნის და ადამიანის გარდწევალი აღდგომა, აღ-ჰ-ხლომა, აღსლვა... გერმანია – ყოელთა-უმეტეს-მიწიერი ქვეყანა, ღირსმან პირმშომან რომლისა, ფრიდრიჰ ფონ ჰარდენბერგ-მა, ირქუა novalis [ხნული, ნახნავი, ყანა – მოშორებული მიწლორი სახნავად ანუ სანადიროდ დანიშნული. ნიკო ჩუბინაშვილი-ს რუსულ-ქართული ლექსიკონი]...

საჰარის უდაბნოს დაბრძანებული ცხოველმყოფელი ნიშ-ანი სრულიადი კაცობრიობის - Sphinx – სფინქსი, - ყოველთა განმარტებათა გარდამწყვეტელი იღუბალება, რადც მხოლოდდა-მხოლოდ შინაგანს მზერას, მხოლოდდამხოლოდ ნამდვილს ინდივიდუუმს განეხსნება, განემხილება, - მეტაფორა, რადც ალექსანდრ ბლოკ-მა თავის სამშობლოს მიუსადაგა, რადც ცალკე-ერთი ერის კუთვნილება ვერა და ვერ იქნება ["რუსე-თი – სფინქსი". ლექსი "სკვითები], რადც ალბათ სხუა ერებს, მათ შორის გერმანიის ერს, ასევე მიუდგებოდეს... – დიადი ბურუსი იგი... ერთიანი დედამიწის დანიშნულება... აეგ ქართუ-ლი თარგმანი სახსოვარია გივი ადიკაშვილი-ს, - პოდრია-სი,- "გაფრენილი სიცოცხლის" ["ნარდად ამღები"], - სხივმომჯარ-ველი ძვირფასი თელის, - ინჟენრის, რომელმან წიგნთა თუ პედაგოგთა ყოელთა გარდამმეტ, - უშუალოდ აგრე "შთამაჭურ-ეცინა" სრულიადი გერმანია.

2007 წელიწადის 6 სექტემბერი. ტფილისი

P. S. ვითარცა ინტეგრალური პოეზია – ინტეგრალური ლირი-კა – ისახება ჰანს კარლ არტმან-ის დანატოვარი; ინტეგრალუ-რის ცნება აუსტრიელმა დიდმა ესსეისტმა იან ამერიმ (1912–1978) მოიხმო რომენ როლლან-ის შემოქმედების შეფასებისას [Der integrale Humanismus]; გალაკტიონის მინაგნები "პოეზიის ინტეგრალები" (1932) ამასვე მიანიშნებდა, ალექსანდრ ბლოკ-ის სტრიქონებიც: "ფოლადის მანქანათა სად ჰ-სუნთქავს ინტეგ-რალი / მოგოლთა ველურის ურდო-სთანავე" ("სკვითები". 30 იანვარი 1918 წ.); არსებობს შრი აურობინდო გჰოშ-ის ინტეგ-რალური ვედანტა; ყოვლისგან გამომდინარე, ჩემშივ რედუ-ცირდა ახლებრივი უჩვეულო გაგება-ამოსაცნობლად არტმან-ისეული პოეტური ფუძისა.

უმნიშვნავნი

ზარბაზანთა ზრინს...

¹ blois – საფრანგეთის დეპარტამენტის [Lôir-et-Cher] დედაქალაქი ლუარის მარცხენა ნაპირს მიმდებარ.

დავერ...

¹ daver – ნავთსადგური სამხრით-აღმოსავლეთ ინგლისს

² calais [ká:le] – ნავთსადგური ჩრდილო-საფრანგეთს

მანიფესტ-ი

¹ Österreich

² dextropur – ყურძნის შაქრის ღონემგვრელნი ნაზავნი

ენდობოდეცა...

¹ გდოთე-ს რომანი ასსოცირდება.

² potz veitl - [veit-vitus] (ლათ.) წმინდა ვიტე (ვალენტინ)

ზამთრის ნათხუნ ესერა სახაზავი დაფა...

¹ pro forma

უფალო ღმერთო მხიარულცა ვჰყო დაბადების დღე ესერა ჰმ-ს-ძენსცა...

¹ slogans

პეტეფურ-ის კარს ერთ-ხანობამონად-ყოფნა...

¹ Potiphar: „ხოლო იოსებ შთაიყუანეს ეგვიპტედ და მიიყიდა იგი პეტეფური; საჭურისმან ფარაონისმან, მზარაულთა მთავარმან, კაცმან ეგვიპტელმან კელთაგან ისმაილიტელთა, რომელთა შთაიყუანეს იგი მუნ“. მოსეს ხუთწიგნეული. I წიგნი დაბადებისა, რომელს ეწოდების ებრაელთაგან ბერეშით – 39,1.

ღმრთის შვიდეულის შიგან სწავლად წარსწრაფებაი

¹ იამაიკა[ჯამაიკა] კუნძული(დასავლეთ ინდოეთი). დედაქალაქი – კინგსტონ.

² it is surrounded by monstrous negro gigantes

³ აპოკალიპტური რემინისცენც,ერთობ საგულისხმიერო

⁴ იაპონია - Japan [ჯაპან]

⁵ like a vertical spring season a reinfall before night a cocka fuck

⁶ მაიმუნი

⁷ three fat homs deep

⁸ akzident

⁹ it is here and there adoit y orself kit for sexual frauds

¹⁰ იღუმალებამოსილი ლეგენდური უდაბნო,ჩინეთსა და თურქესტანს (ტიან-შანს, პამირსა და კუნ-ღუნ-ს) შორის მოქცეული, რომელსაც შუა აზიის უუდიდესი, მრავალგანტოტვილი მდინარე ტარიმ შეერევენს და ჩაეკარგება, რათა მერმე კვლავინდებურად გამოშინარდეს. უსსოვარი დროიდან მოყოლებული აქ გადიოდა ჰიმალაია-ს ქვეყნებს მაკავშირებელი საქარავნო გზა. ესე არს მხარე ფრიადი და უცნაური (კულტურის კერებიანად და სახელოვან ქალაქებიანად), მხარე, ურაცხავ მომთაბარე ტომთა შემფარებელი. [დასავლეთ-გერმანული ბროკკაჰუზ-ის ენციკლოპედია-ს ცნობანი. ვიისბადენ 1973]

¹¹ it is an exclamation like whow!

¹² it almost erases the past

¹³ y sale desde luego de un cuatra lleno de miembros

¹⁴ it makes you fuck a pine apple

¹⁵ [Die] cochenille

¹⁶ c'est si bon

¹⁷ if

¹⁸ es la gran meona de los desiertos asiaticos

¹⁹ შუა-ამერიკა-ს შობილი ევროპელთა პირმშონი; უფრო ადრე აგრე იწოდებოდენ ზანგთა ნაშიერნი აგრეთვე [კონრად დუდენ-ის გერმანული ლექსიკონი]

²⁰ Space men

²¹ jacaranda

²² y tiene dos pechos parece una esfinge tiene los pelos color de arena

²³ კენტუკკ-ის ერთ-ერთი რაიონის (აშშ) სახელწოდებისადაკვალად

²⁴ ისტორიული სანახი (შუა საფრანგეთს) – შერ-ის და ლუარა-ს ორივე ნაპირს გაყოლებული ბორცვიან-ტაფობიანი ველური მხარე - ცენტრალური მასსივი-ის ჩრდილო-კიდეს-მიტანებული, - იგი პარიზ-ის გარე-აუზის საფეხურებრივადვლილ მთაგრეხილთა ბოლოს დაუსწორდება.[დასავლეთ-გერმანული ბროკკაჰუზ-ის ენციკლოპედია-ს ცნობანი. ვიისბადენ 1973]

²⁵ ბრაზილი-ის შტატ ალაგოას-ს დედაქალაქი, ატლანტური ოკეან-ის მიმდებარე ნახევარკუნძულს გაშენებული.

²⁶ ინგლისელი პროზაიკოს-ის ჯონ ფლემინგ-ის (1908-1964) რომანთა მოქმედი პირი ბრიტანეთ-ს საიდუმლო სამსახურის ჯაშუში, განქვეყნებულ კინოფილმთა გმირი.

²⁷ it makes yourise a horn it makes you a pornographic photo

მამაო ჩუნო...

¹ მილან-ს კამპარი-ს მიერ დაარსებული ფირმის წარმოებული მწარე ლიქიორ-ი

² ფერლაჰი – კლაგენფურტ-ის საოლქოს ქალაქი (კეერნტენ, აუსტრია)

ერთის წელიწადისთანავე ჩჩვილი...

¹ ბუდღისტური თქმულება შეგვაგონებს: ადამიანის ფიზიური არსებობის ყავილი ვინიცობაა ოდესმე ათი წელიწადის ასაკამდე დაემცროს-დავიდესო; ბუდღისტურის რწმენით ეგ უნდა ყოფილიყო მაიტრეა-ბოდღისატტვა-ს(კაცთა მხსნელის, მომავალი ბუდღა-ს) ქვეყნად საბოლოო მოვლინებისა ნიშანი. რუდოლფ შტაინერ-ის მოძღვრება, - ანთროპოსოფია, - მაიტრეია ბოდღისატტვა-ს (მომავლის ბუდღა-ს) აღმდგარი მაცხოვრის ეთერული სხეულის გამტარადა და შემოსეველად ჰრაცხს. არტმან-ის აეგ ლექსი ზემორე-მოსხენიებულ ბუდღისტურ თქმულებას შეგახსენებდეს.

თავისცა დაგ-ჰ-ხურავ ჩემივე ხელით...

¹ ბალდერ (ბალდურ) – სკანდინავთა გაზაფხულის ღმერთი ყოელთა-უუმწუენეს-უუკეთილესი

² ფერდინანდ გრაფ ფონ ცეპპელინ (1838-1917) – მართვადი საჰაერო ხომალდის გამომგონებელი

³ იგივე ოდინ – სკანდინავთა მთავარი ღმერთი – ცალ-თვალ-ბრმობილი

⁴ დონარ – ძველ-საქსური Thunar (თუნარ) – ძველ-ჩრდილოური Thor, თორ ვოდან-ის (ოდინ-ის) თანად ყოულის უუმნიშნველესი ღმერთი, - ოდინ-ის მსგავსად იგიც As-ების მოდგმისა (ღმერთთა მოდგმისა) გახლდა; რომელი მწერალნი მას ჰერკულესად ანდა იუპიტერად იხსენიებენ; აქედან წარმოდგა შვიდეული-ს (კვირის) მეხუთე დღის სახელი Donnerstag (ლათინური ნიმუშისდაკვალად: dies Jovis – იუპიტერ-ის დღე). [იხ. ბროკჰაუს-ის დასავლეთ-გერმანული ენციკლოპედია 20 ტომად. ფ. ა. ბროკჰაუს ვიისბადენ 1973].

და-ჰ-ს-ც-ვიედესცა ძუელთა ბართთ...

¹ ეს არის ქართული თავისუფალი თარგმანი დაშიფრული (ძნელ-ამოსაკითხი) მესამე სტრიქონისა: mich manannán mac lir

ცხრა ჰაიკაი

¹ ნიჰონ-ური (იაპონური) ხოკუ

პერკუტორული მცირე მოძღვრება

¹ perkussion – მიკაკუნება; სააქიმო გასინჯვა.

² Panade(die) – Panad(e)l – ფუნთუშის ხარჩო ფრინველის დაკეპილი ხორცის მისარგოდ (აუსტრიულ).

³ Ischl – აუსტრიის სააგარაკო ალაგი.

⁴ servus – grün gott - (აუსტრიულ-მისაღმება).

⁵ კრემსშტადტ-ქვემო-აუსტრიის ქალაქი.

⁶ კოტტბუხ-ქალაქი და მხარე აღმოსავლეთ გერმანიის.

⁷ fiaker – საქირავებელი ორცხენა ეტლი - წმიდა-აუსტრიული რამ.

⁸ ფოსტის ბარათი (საფოსტო ბარათი).

⁹ ქალაქი საფრანგეთის სამხრით-დასავლეთს; აქედანვე წარმო-ჰ-ს-დგა სასმლის სახელდება.

¹⁰ სამშობლო-ს ცხოვრებას ვითარ საგულისხმიერო პოემას ჰ-ს-თხრობს მგოსანი.

¹¹ შებოლილი დამარილებული ღორის შაშხისა კოტელეტტ (ბავარულ-აუსტრიულ).

ნესვის გრამმატიკა-ქრესტომათიაცა

მსოფლიო სფურვალისტური პოეზიის გამოცდილებას ჰ. კ. არტმანნ განსაცუიფრებლის ოსტატობით მოამთაფრებს (თაგვირგვინს დაუდგენს). არტმანნ-ისეული ლექსი მეორე მსოფლიო ომის რემინისცენცს იმავ დროს შთაიცავდეს. უცვლელი მეტამორჰოზე არის ერთადერთი გზა (მარად-საძნელო საგალი) ამ მარად-საჭოჭმანო იდენტურობის მისა-კულევად, რადც ფილოსოფიას ყოულის უუმნიშენელეს საფუძვლად უნნს. Tropus [ლექსის მწყობრი] აქეთ წარგეზიდება. ნესვის ნაყოფიც აქმაგ მართლიევი გზის ორგანულს ნიშნად დაეჩინებოდეს. ღმრთეება-ბუნების გოტტკ-სეული დიადი იდეა და, რაც მთავარია, ოვიდიუს-ის დასაბამიერი შთანაფიქრი განიგრძოს შესაცნობლად (გავონებად) ყოელ-თა ჩუენთა. პოეზიისადცა თითქო კარგა ხნის ცნობილი, მაინც სრულ-ახალი აღტყუელვა ლექსისა წარმოგვევლინოს. ენითუთქმელი უბრყვი-ლოება, სიწმიდე პირველ-მხედველის-პირველ-ამრქმეველის ბაღლისა, ძირი თვისებაა მგოსნის ჰანს კარლ არტმანნ-ის.

¹ ბგერათთამაში (ჩანაცვლება) – აქედან წარმომდგარი სიტყვა der affe მაიმუნი (ციდა-მტკაველა) ვითარ გაფრთხილება; ბაძისა და ნამდვილი ესთეტური გრძნობის წმიდა-“ფაუსტ”-ური პირისპირობა.

² კატილინა, ლუციუს სერგიუს – რომაელ გადატაკებულ პატრიციათა შთამოება. 108-62 წწ. ქრისტეს წ.-მდე. შეთქმულების მოთავე. პრეტორი, აფრიკის პროვინციის მმართველი 67-66 წწ. მცდელობა მისი კონსულად არჩევისა ორგზის ჩაიფუშა. ექსორიაქმნილიყო კატილინა (კელტებს შე-ხ-ჰ-კვროდა იგი, სენატის მიერ დასჯილი). 62-ს წელიწადს პისტორიას მიდამოდ (ეტრურია) მის მიერ მოკრებილი ლაშქარი რომ-მა განაცამტვერა. ბრძოლაში დაიღუპა კატილინა. 1862 წლის 30 სექტემბერს ბის-მარკკ-მან მოიხსენია კატილინა-სებრი პიროვნებანი ფესვ-განცლილი გადატრიალების მომხრეთა ჰაზრით სწორედაც. [ბროკჰაუს-ის ენციკლო-პედია (გერმან. ენაზე). 20-ტომეული. 1966-1974 წწ. ვიისბადენ].

³ glauben – glaubersalz – blaubart - aufklauben – ემეცადინებდი, იშვიათი გერმანული შემდეგება (მგოსნურის ნიჭის აუგ ანაშუქარი) უცულებლად (მიახლოებით მაინც) გარდმომეტანა: რწმენა-ლურჯწვერა-წარწვება-წარღება-უბრალოდვე გლაუბერის მარილისცა სასყიდლადა წარსლვა.

⁴ der platz der 22. Juni

⁵ სკალდ-ებ-ის მწერლობა (ძველწრიდლოური) – მარტივის ცნების ხატოვანი აღწერა, ორი-სა ანთუ მეტის ნაწვერისა შემცველი. კენნიგარ (“ხედვა”) ვითარცა ხატოვანი ენა ორი ურთიერთმაცხოვებელი-ურთიერთ-საპირისპირო წარმოდგენის შერევნას იგუნებებს, ამასთან საჩინოდქმნას იგი ნაკლებად მეცადინებს ვიდრე, ვთქვათ, აზრისეულ ასსოციაციათა წყებად მიყოლებას. პირველ ყოვლისა სწორედ კენნიგარ-ის წყალობით სკალდური პოეზია ეზოთერულ, მანიერისტულ ხელოვნებად იქმნა. რაკიდა კენნიგარ-ისეული სურათ-ხატნი მითოლოგიას მოხშირებულ დაჰ-სესხებიან, ისინი საკულტო პოეზიისა ან არა ტაბუირებული ენის (გარდაცვლილთა კულტის) ნაშიერნი არიან სწორედ.

⁶ ფიზიოლოგუს (ბერძნ.) – ძუელ-ქრისტეანულს ხანას მოყოლებული საქვეწმითად განგრცობილი მწყობრი ქრისტეანული ბუნებისეული სიმბოლიკისა, ესევეითარ ურთიერთ-შენაწვერებულ-შეწმასნილი. ერთნი ასე მე-2 ს.-ის მიწურულს აღექსანდრია-ს ანთუ სირიას, სხუანი კიდევ IV ს.-ს შექმნილს კრებულად იჩნევენ მას. ერთერთი მკვლევარი ბუნების მეცანს მოძღუარს (ოსტატს) ასახელებს ავტორად ამ კრებულისა. თქმულებად-გარდასული არსებანი; ლომი, ვარხვი (Pelikan), ფენიქს, სირინოზი, ვეფხი, მითიური მარტორქა [მეზღაარენი იტყვან ცხენსა ერთრქიანსა შუბლზედ – ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი], აფთარი განსახოვნდებიან; თვისებანი მათნი ქრისტეს ან ეშმას გარდატანებენ, ანუ სრულ-სხუაფრივ განიმარტებიან. ბერძნულს დედანს ეფუძნვის ეთიოპური, სომხური თუ ქართული (ნ. მარრ-ის მტკიცებისამებრ. პეტერბურგ-ი. 1904), არაბული თუ სირიული კრებულები. ლათინურად გადაამუშავებული “ფიზიოლოგუს” – ვითარცა ბესტიარიუს მთელს დასავლეთს განივრცო; ერთიან განჰ-სჭოლა შუა საუკუნეთა მწერლობა და ხელოვნება. ფიზიოლოგუს-მა კვალი დაატყო ხალხურ რელიგიურ წარმოდგენათა ქმნადობა-ჩამოყალიბებასაც. [Brockhaus-Enzyklopädie in zwanzig Bänden. F. A. Brockhaus Wiesbaden 1966-1974]

⁷ იოჰან პეტერ ჰებელ (1760-1826) – მდაბითთა ნაშიერი. დაიბადა ბაზელ-ს. ხალხის წიაღიდან შობილი მწერალი და რელიგიური მოღვაწე. მისი ცხოვრება და შემოქმედება თანა-მიემთხუა ეპოქის სავალთ. ენა ჰებელ-ის-სხარტი და გამომხატველი. ჰებელ-განმსახებელი ჭეშმარიტი გერმანული ნიშანისა: გამოცანათა, თავშესაქცევ ჰამბაეთა თუ ანეკლოტა გამომკრებელი. ჰებელ-ცინცხალ-მთხრობელი, ჭეშმარიტი სახალხო მგოსანი, 1807-ს წელიწადს მოყოლებულ ამუშავებდა სამხარეო კალენდარს, რასაც მანვე “რაინის მხარის ოჯახთა მეგობარი” სახელად დაანათლა,

რადც გერმანული სახალხო კალენდრის აღმატებულ სრულიადს კლას-სიკურს ნიმუშად წარველინებოდა. სწორუპოვარი ოსტატი გერმანული ენის იოჰანნ პეტერ ჰებელ [Geschichte der deutschen Literatur von J. Howald Verlag Carl Hirsch Konstanz].

⁸ მეფე-ხელმწიფე.

⁹ canastertaback – გამაბრუებელი საშუალება (თუთუნი) ბანქოს თამაშისას გამოსაყენებელი.

¹⁰ schajak – მაულის წყალგაუმტარი მსუბუქი, თბილი სამოსელი, აუსტრია-ში გავრცელებული.

¹¹ გაბროვო – გლეხკაცური ენამახვილობის წყალობით განთქმული რეგიონი ბულგარეთისა.

¹² curpfalz – die Rhein-Pfalz – გერმანული ძუელი საგრაფო. დაიშალა 1803-ს წელიწადს.

¹³ felix salten – ზიგმუნდ ზალცმანნ-აუსტრიელი მწერალი (1869-1947). 1938-ს წელიწადს გაიხიზნა საზღვარგარეთს: ცხოვრობდა ჰოლდიუფდ-ს და ციურიჰ-ს; მრავლადმრავლის ნოველლ-ისა თუ რომანის ავტორია იგი; ტყის ბინადართა ჰამბავთმთხრობელი; ერთს მათგანს “ბემბი“-ს მსოფლიო აღიარება წილ-ჰ-ხუდა (“Bambi”). 1941/42 წელიწადთა მისადე-ვარს “Bambi” ეკრანიზებულ-ჰყო W. Disney-მ.

¹⁴ სულს მოარებული რამ სიმწარე (ლათინ.)

¹⁵ ურიგო არ იქნებოდა მოგვეჩხრიკა “მხვედრად” ამისა შილლერ-ისეუ-ლი Parallele: “ჰექსამეტრ-ის წიად აღვალს ნაკადულის წყალთა სხლეტილიცა სუეტი-ჰექსამეტრისადცა მიდევნილის პენტამეტრ-ის წიად სვეტი იგი მელლოიურ თავქვე დაექანებოდეს” [Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache Berlin 1968 (ნაკუეთი 23)].

ელეგიური ოდა მეფე-ხელმწიფის კრუმ-ისადმი

¹ გერმანული სიტყვა krumm – მრუდე, გაღუნვილი, დაღრეკილი, დაი-რიბებული, გადატანით კიდევ: უპატიოსნო, უღმრთო, გონებაში უნებლიეთ ამოგიტივივდებოდეს. კრუმ 803-იდან 814-მდე ბულგარელი მბრძანებელი ხანი (ხანის ტოკტუ-ს ვაჟი, ტახტის მემკვიდრე). ურჯუკი და ძლიერი. კარლოს დიდის ეპოქისა შემდგომ სწორედ კრუმ-მა ახლივ მოარყია საბერძნეთის უძლეველობა. მანვე განაცამტვერა ავართა ბატონობა. 811-ს წელიწადს კრუმ-ი ნიკეჰჰოროს I-ის წინამძღოლობით დაძრულს ჯარს ამარცხებს, ადრიანოპოლ-ს იპყრობს, მრავალ-გზის საბრხეცა განუმზადებს ბერძენთა იმპერიას. ბულგარეთის სამეფოს ფუძემდებად წარმოველინდება წინააღმდეგობრივი და მაინც აგრერივ განუტეხელი პიროვნება იგი [Brockhaus-Enzyklopädie in zwanzig Bänden. F. A. Brockhaus Wiesbaden 1966-1974].

² როუ მეიშ – ახალ-ბერძნული ენა.

³ გეთაყვა ლაპარაკობთ ბერძნულად?

⁴ რეტორომანული კილოკავი. Das Engadin – სამხრით-შვაიცის ზეგანს გარდაფენილი ტაფობი.

⁵ die caladontzähne – აუსტრიული ფირმის მიერ წარმოებული კბილის პასტა. ლექსში საუბარია კალოდონტით ნაწრთობ კბილებზე.

სანახები

¹ ძველი-ირლანდიური ტარა (ტემაირ-თეამაირ-“შუენიერი გარდასახედი”) - საბრძანისი ირლანდის დიდ-მეფეთა. – ავე სტატუს ალაგმან ამან მე-12 საუკუნე-მიტანებულ დაინარჩუნა. მუნ გეხილვება 5.000 წელიწადის მომთვლელ პრე-კელტურ ძეგლთა ნაშადი; გეხილვება “Cross-Quarter-Tage” (8 ნოემბრის და 4 თებერვლის დიდ-დღეობათა) – Samhain და Imbole – მწუხრისპირ მზის საბუნავს ზედმიწევნით მიმიზნულ მცირე კარი – მსგავს ნაგებობათა (თუნდ სტოუნჰენჯ-ის) განაწესისებრ-ფრიად მოკლე (ოთხ-მეტრ სიგრძივ) – “განსახვლელი”-ათინათის დგო-მათ-ცვალებათა განმწოდ. ტარა მარად-ჰყო თომას მურ-ის ლექსმა “The harp that once through Tara’s halls”.

² ბუდე

³ ...durch die corn-flaces

⁴ ბუდღა-სადმი ადვლენილი ლოცვა-ვედრება: ო მანი პადმე ჰუმ: ო საუნჯეო შენ,- ლოტოსს მჯდომარეო!

⁵ ...en avant mes gaillards

⁶ მსწრაფლ აილანდება გდოთეს ლექსი “მგზავრის ღამეული სიძღერა” (მოტივი მარადისობის – მოტივი ამასთანავე სიკვდილისა ესე იგი, - ვითარცა გერმანელი დიდი პოეტი გუსტავ ლიფერკე განგვიმარტავდა მაგას. განმარტება, რაც არქეოლოგურ ასპექტ-ს ასევე დაიტყვნის, რა საკვირველია).

⁷ ფრადა – სკანდური ღმერთა სილამაზის და სიყვარულის.

⁸ სამრეწველო გაერთიანება ან სავაჭრო ფირმა უნდა იყოს. [Flosi Tordsson – მამრი მრავალ-ჭირ-გადანახადი – შუასაუკუნეთაჟამინდელი “ისლანდელი ოდისეუსს”, - ღმრთებრივის სამართლის მაძიებელი. – ისლანდური საგა “ბრძენკაცის ნაღ-ის ჰამბავ” – გერმანულად. ენა 1914. გვიანჟამინდელი საფესხაცმლო საწარმოს მოთავე-დამარსებელიც, შესაძლოა, ლეგენდური პირის მოსახელედ, შთამომავალ-მონათესავედ მიიხნოდეს].

⁹ ...eartha

¹⁰ ტრამვაი – s-bahn

¹¹ პრუსული სახელმწიფო დროშა (ძველებური შავ-თეთრი-ო, - ბერიკაცი დუბსლავ ფონ შტეკლინ იტყოდა. – თეოდორ ფონტანე. რომანი “შტეკლინ”).

¹² ვარჯიში – თურქთა ენაა, ქართულად სეფური ჰქვიან (საბა)- სეფური ესე არს მრავალჯერ ქ(მ)ნითა საქმე გაიადვილოს, რად(ც) ენებოს საქნელად, გინა სწავლად.

¹³ ოსინინგ-ს მიმდებარ სახელმწიფო საპრობილე New York-ის.

¹⁴ william- ვინაობა მისი ძნელი დასადგენია; ჰ-ს-ჩანს, ჰ კ. არტმანნ-ის ტექსტი საერთოდ ნანახ-განცდილის პოეტურს სინთეზისს უმეტესად აფუძნია და ძნელ-განსასჯელია, - ვინძლო პიროვნული შარავანდის განფენად უფრო მიინიშნებოდეს იგი.

¹⁵ fbi – ამერიკის იუსტიციას დაქვემდებარებული მთავარი უწყება, უმეტესწილად შეერთებული შტატების წინააღმდეგომ ქმედებათა გამოსავლენად მოწოდებული.

¹⁶ polizei der guardias civiles

¹⁷ you are

¹⁸ well met

¹⁹ ზიგმუნდ ფროიდ – ფსიქოანალიტიკის დამდგინებელი. არტმანნ-ისეული ზეობითი გაგება ფსიქოანალიტიკისა - მართლაც შთამბეჭდავი.

²⁰ საგულისხმიერო *parallele*: Paris, 23 მაისი 1942: “...ზრუნვათა-ზედან თუისით ესერა გადამართებულ” დაედგინებოდეს – (შევაგონებს ორსაგმსოფლიო-ომ-გამოვლილი მხედარი-მთხრობელი *ერნსტ ჟუნგერ*: განსხივებანი, პარიზული პირველი დღიური).

²¹ შპედესტე ორნ-ვალერიი ორნ (*spädeste örn; vallerii örn*) – ირლანდური წარმომავლობის ამერიკელი ავანგარდისტი მუსიკოსი.

²² დარლ (*earl*) – სკანდინავური მხედრობის – მძღუანი [მითიური სკალდ (მომღერალი)-ბელადი] (მხედართ-მყუანებელი; მხედართ-წინა-მიმძღოლი).

²³ *farnmor* – ვერ დავადგინეთ; შესაძლოა, ეგ იყოს დიდი საპარფოუმერო გაერთიანების თავკაცი (თუკი ინტერნეტს ვერწმუნებით), ვინძლო ირლანდური წარმომავლობის ამერიკელი მოღვაწე. [არტმანნ-ისეული ეუფონი (ანუ ბგერითი ფენი; ბგერადმიმთხვევაც) გასათვალისწინებელია: თუნდ ფარნმორ – ფენიმორ (ფანიმორ) -, რადც ჩრდილო-ამერიკელი რომანტიზმის ბურჯთავანს, ისტორიული რომანის ერთერთს ფუქმდებელს, უბადლო ესსეისტს, თავისუფლების რჩეულს – *Jeams Fenimor Cooper*-ს ვინიცობაა მიათითებდეს].

²⁴ *armin* – შესაძლოა იგი პოეტის იმჟამინდელი მეგობარი – კონკრეტული პირია, ვისაც მითოსური დატვირთვა თან-ჰხლებს ამასთანავე – ძველ-გერმანული: *ermin/irmin* – დიადი, ძალმოსილი – ირმინ: საქს-ების გერმანიკული ღმერთი – ძველგერმანულ *arn*-ს – არწივს უკავშირდება –

არწივთ-მმუსრველსაც ნიშნავს – ლათინური Arminius-იდან მომდინარეობს ეგ სახელი – შესაძლოა ჰერუსკელთა მთავრის ჰერმანის – გერმანული ერთიანობის საფუძველმდებრის სახეებაც იაზროს კაცმა – ჰაინრიხ ფონ კლაისტის გენიალური დრამის მთავარი პირისა. – [ინტერნეტის ცნობებანი].

²⁵ მითიური ჰელენე-მენელაე-ს მეუღლეც იგულისხმება.

²⁶ მეურიტცის ტბის სანაპირო (გერმანია).

²⁷ მაცხოვრის მიერ მოხმობილი – სახარებაში მოხსენებული მეტაფორა სულის უნაპირო სიწმიდისა და თავისუფლების.

²⁸ arnor – ირლანდური წარმომავლობის ამერიკელი ავანგარდისტი-პოეტი-მომღერალი (დარლ-სკალდის ანსამბლის სულისჩამდგმელი) – თეორეტიკოსი-მეცნიერი; კომპოზიტორზედ მუსიკის ამკრებ-გადმომტანელი; უსაჩინოესი შემოქმედი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისა.

²⁹ valhall – სკანდ-ური უხუცესი ღმრთის ოდინ-ის სასახლე; ნეტართა საგანე – სად მტერთან ბრძოლაში გამიჯნულად დაცემულნი სიკვდილის შემდგომ ემკვიდრებოდენ (გმირთა თეოზისი). სიყვარულის ღმერთა-ს ფრადას თან-მხლებნი შუენიერი ქალწულ-მეომარნი (ვალკაურები) გმირთა სულებს ღმერთთა ქვეყანას – ასგარდ-ს აღიტანდენ – (იგივე აზენჰაიმ-აზების ქვეყანა – აზე-ღმერთი – აზების მოდგმისა).

³⁰ im unisono

³¹ ...ტორ-ის სარტყელი – მეგინდარდ (მაგინდარდ) – წელზედ-შემოკვრის-თანავე აორმაგებდა ძალოვნებას ჭექა-ქუხილის მბრძანებლისა. ტორ-სკანდური ყოვლად-ძლიერი ღმერთი ჭექა-ქუხილის-ბუმბერაზულ-აღნავი (მიწათმოქმედებისა და კერიის მფარველი).

³² waverley [„მერხვევი“] – მთავარი პირი ამავე სახელწოდების სერ უალტერ სკოტ-ის ანონიმურ-გამოქვეყნებული პირველი რომანისა (1814) – შოტლანდ-ის (სკოტლანდ-ის) თვითმყოფობის (დამოუკიდებლობის) ესერა-საზოგადოდ-გარდამსახველი. 1825 წელიწად-მიტანებულ-ანონიმურ-გამოქვეყნებულ დანარჩენ რომანებსაც სკოტ-ისა ავე სახელი დაჰნათლეს. (Waverley Novels) – ძველს დროს სერ უალტერ სკოტ წინარე ყოვლის სწორედ “ვაიფერლეი“-ს, არათუ ცნობილ სხვა რომანთა მთხზველად იხსენიებოდა-ო,-მაგასაც იტყვიან. (დასავლეთ-გერმანული ბროკჰაუს-ენციკლოპედიუმ. ვიისბადენ. 1969).

³³ dafydd – Ap Gwilym (ეპ გვაილემ) – კიმრელი სწორუპოვარი მგოსანი 1320-1380 (Cymry-კემრი – უელს-ის კელტური მოსახლეობა) (შტო კელტური გვარტომისა); ახალკელტური მოლექსეობის მებაღავრე (მინსტრელთა და ფრანგ ტრუბადურთა მაგალითისებრ არაერთი სატრფიალო

ლექსის, ხოლო უპირატეს ყოველისა ბუნების ფერუმქვერველ საგალობელთ მიმრთველი).

³⁴ ვვალდ კრისტიან ფონ კლაისტ (1715-1759) – დიდი “პოეტი და მეომარი” – სრულ-პრუსულის ღირსებით ბრძოლის ველს აღსრულებული (რუსს-ყაზახთა მოტყენის ჟამსა).

³⁵ მდინარე ელბეს შენაკადია ჰაველ. აქავე ასსოციირდებოდეს: ჰაველის მხარე (das Havelland)

³⁶ შპანდაუ – ბერლინის მიმდებარ მცირე ციხესიმაგრე.

³⁷ graine da fionn - შუა საუკუნეთაჟამინდელი ირლანდიელი დიდგვაროვანი (ცოლ-ქმარი)

³⁸ კელტურ-ირლანდური Chiffre.

³⁹ Ui Néill - სამხრელ-ირლანდელი მეფენი შუა საუკუნეებში აგრე იწოდებოდენ.

⁴⁰ კელტურ-ირლანდური Chiffre, რაც ვერ “აღ-მოვიკითხეთ”(ვერ “აღ-მო-გა-ხსენით”)–ეგრედვე შევატოვეთ ისედაც შთამბეჭდავი ეს ბგერათწყება - მაგ ჩანართს, სავარაუდოა, დედანშიც წმიდა-ბგერითი-დატვირთვა მოუდიოდეს.

⁴¹ waldo - გვარ-სახელით ამით წარედგინონ: 1. ვალდო, რომელმან ჰპყრა კვერთხი ფრაიზინგ-ის ეპისკოპოსის (808-906) [ფრაიზინგ-საეპარქოს საბრძანისი, ქალაქი მიუნჰენ-ს მიმდებარ]. 2. ვალდელთა ეკკლესიის ფუძემდებელი Petrus Waldes – Peter Waldo (პიერ ვალდეს) – 1140-1206 – ლიონის მკვიდრი დიდვაჭარი, ფრიად მამულთა მფლობელი, ვინც უკუპრიდა ყოველი ქონება, ხოლო ირჩია გზა “ღვთის გლახათა”. ვალდელთა მოძრაობა რეფორმისტულს აღმსარებლობას იმთავითვე აღვა. ღვთის-მსახურება თუ სამრევლო ცხოვრება რეფორმისტულ წარიმართვის. ღმრთისმსახურების გულისგულია ბიბლიური თაურ-ტექსტის შესადავი ქადაგება. ვალდელები – დაუდგრომელნი მოხეტენი, მაძიებელნი, ხალხურს ენაზედ მოქადაგენი, გარდაჰ-ს-წუდენ ზემო-იტალიენ-ს, პემონტის ალპთა, ესპანეთს, უნგრეთს, ბოჰემიენ-ს, გერმანია-ს, შვაიც-ს, ურუგუაფარგენტინიენ-მიმდებარ რიო დე პლატა-ს. ცხოვრებისეული ღიაობა, ღიაკონური უჩვეულო გარჯა – ვალდელთა ძირი ნიშანთვისებაა [ეკკლესიათა სიტყვარი გამოცემული ზიგრიდ და კარლ-ვოლფგანგ ტრიოგერთა მიერ-ქრისტეან-დემოკრატიული კავშირის გამომცემლობა – ბერლინი 1990 (გერმანულად)]. 3. Ralph Waldo Emerson – 1803-1882 – ნათელმოსილი ამერიკელი ტრანსცენდენტალისტი.

⁴² მთავარი პირი გერმანული ხალხური ზღაპრის “ჰენხელ და გრეტელ” [ინტერნეტში იხ. – ზღაპრის არტმან-ისეული სალექსო ვარიანტი].

⁴³ ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმან – 1776-1822 – ლიტერატურული ზღაპარ-რომანი “ერთ-ცახე ცახეს, სინგურად წოდებული” (1819).

⁴⁴ lory – თითიუქშის ერთი ჯიშის განვრცელებული სახელებია – loridae [ამავე სახელებას მოიხმობს კარლ ვალენტინის – 1882-1948 – მდუნჰენ-ელი დიდი კომიკოსის ერთი Sketch]; laura – პოპულარული სიმღერანი გოგონაზე, ვინც დამფასებლად თავისა, ჯანსაღი სიყვარულისად, სიცოცხლისად არის მოწოდებული.

ბესიკ აღვიშვილი

შინაარსი

ჰანს კარლ არტმანი ლექსები

თარგმნა ბესიკ ადეიშვილმა

გული ჩემი
ზვართ-გარდამბრწყენის აბლაბუდის განმჭოლ ესერა...
ჩივილისად ნახაზ ესერა
ზარბაზანთა ზრინს...
შენამც გუბესა მაგას...
ვითარცა არის ისარი რამ...
დავერ...
მანიფესტ-ი
მკბენარიცა...
ტყის სამოსწავლოს...
ენდობოდეცა...
მწარე ესე...
ფითრი მწუანე მდუმარებსცა..
საპატიო ვარსკვლავისცა...
ზამთრის ნათხზენ ესერა სახაზავი დაფა...
მუდამჟამცა ფრთოსანნი იგი...
საბძელს ასრე ნაჯახ-ნაჯახ ჰ-ყუდან ნაჯახნი...
უფალო ღმერთო მხიარულცა ვ-ჰ-ყო დაბადების დღე ესერა ჰ-მ-ს-მენსცა
ახლა იმადცა მი-ჰ-სდგებოდეს...
პეტეფერ-ის კარს ერთ-ხანობამონად-ყოფნა...
პოლუს-ერთ-კერძო მთიებად ვ-ჰ-გიებ ას-დოლოლარ ვ-ჰ-ფასობ...
ნალარის კრვისცა საქებელი უნდა ვ-ჰ-ს-თხზა...
ღმრთის შვიდეულის შიგან სწავლად წარსწრაფებაი
დედრის ასო-ასო-დამჩეხველი მამრი
მამაო ჩუენო...
ვით ნამეტნავად ტკბილის ნაყოფის წვენი...
მიძლუნად
ერთის წელიწადისთანავე ჩჩვილი...
გრეტე მთულღერ...
ასრე საყვარელი მუშიაცა ვარ...
ჩვენი ჰანს-ი...
ბჭენი განახუნენ, განახუნენ ბჭენი...
თავსცა დაგ-ჰ-ხურავ ჩემივე ხელით...
წვიმიტ-გაჟიჟინებული...
და-ჰ-ს-ც-ვივდესცა ძუელთა ბარათთ...
ცხრა ჰაიკაი

ვითარ კუნძული ესე რაიმე...
წვიმა ესერა ააზვეებს...
მზეო...
ნაკადულის ახლო...
რტოთა წვერონი ზეცად მიბრჯნილ...
მღვიძარეა ლელწმის ყარყატი...
პერკულტორული მცირე მოძღურებად
ნესვის გრამმატიკა-ქრესტომათიაცა
ელეგიური ოდა მეფე-ხელმწიფის კრუმ-ისადმი
სანახები

ღანართი I

ჰ. კ. არტმანი. ესეები. თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

პოეტური აქტის რვაპუნქტიანი პროკლამაცია
დაღუპული მეგობრის დატირება
მანიფესტი
ვილანდ შმიდის შესახებ
კარლ ლინე: ლაპლანდიური დღიური
“ლექსი და მისი ავტორი”

ღანართი II

მარია ფიალიკი. ეს იყო ფერხული. საუბარი ჰ. კ. არტმანთან
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ღანართი III

პეტერ ო. ხოტიევიჩი. ახალი თვითმყოფადი პოეტი
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ
რაინჰარდ პრისნიცი. ჰანს კარლ არტმანი
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ
ვილანდ შმიდი. პოეტი ჰ. კ. არტმანი
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ
კარლ კროლოვი. ვინ ვარ, მხიარული გარეული ფუტკარი?
თარგმნა შორენა შამანაძემ

ღანართი IV

ბესიკ ადგიშვილი. არათუ ბოლოთქმა, არამედ...

შენიშვნანი ბესიკ ადგიშვილი